

# ՀՅՈՒՆՅՈՒ

II (8)

2013

Հ  
Յ  
Ո  
Ւ  
Ն  
Յ  
Ո  
Ւ



2013 №2 (8)

# გზობის დღესასწაული



უნმინდესი გზობის დღესასწაულზე



პრემიერი ბიძინა ივანიშვილი  
მეუღლესთან ერთად



ნუგზარ ნადარაია და გულნაზ ხარაიშვილი



პოეტი ლამზირა შეყილაძე

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი  
ნუგზარ ნადარაია და ჯუმბერ ლეჟავას  
სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი  
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი

UDC(უკ) 050(479.22)  
ა-376

ISSN-2223-3312

ჯუმბარ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ათინათი

## II



გამომცემლობა „ანიპრესი“

თბილისი 2013

# ყვლის სავგებობელი

*მორიორა, ნინო მთებით მორიორა  
რა მოჭუნრა სანახურერი ვაზის ჯვარი...  
ანა კარანდრამა*



*ღურჯ ზეცირან შენ  
გვმფარველობ ნმინრა ნინო,  
იქნებ შენებრ იანუსზუც  
ქება გვეუქვა.  
მისი არ გვნამს,  
თრპირია არ გვინყინო,  
შენი ხაყით „ათინათის“  
გური ფუქავს.  
გურნაზ ხარაიოვირი*

## უწინდესა და დიდებულსა

მეუფევე დიდო, მღვდელმთავარო,  
ჯვარისმტვირთველო,  
ვედრება შენი შეწირულ არს მალლისა მიერ...  
შემოგლალადებს იმედებით მთლად საქართველო –  
მრავალჟამიერ, მეუფეო... მრავალჟამიერ...  
სიყვარულისთვის მოვლენილ ხარ ამ ქვეყანაზე...  
ღმერთი დიდია – უბედობას შეცვლის ნამიერ...  
გაგვიმარჯვდება... ავმალღებით მძიმე ხანაზე,  
მრავალჟამიერ, მეუფეო... მრავალჟამიერ...  
დე, ყოფილიყოს ქართველთ პირი გაღიმებული  
და ველარავინ შეგვიცვლიდეს ტანჯვით ამ იერს...  
მთლად საქართველო ერთ სულ, ერთგულ  
გზით დიდებულით...  
მრავალჟამიერ, მეუფეო... მრავალჟამიერ...

მიტროპოლიტი თადეოზი  
(მირიან იორამაშვილი)  
2002 წ. 4 თებერვალი



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი,  
უნწინდესი და უნეტარესი ილია II



## საქართველო ბრწყინდება...

ვარსკვლავს გააქვს ციმციმი,  
ცა თანდათან ცისკრდება,  
პატრიარქი იცინის, –  
საქართველო ბრწყინდება...  
სხივზე-სხივის კიაფით  
თვალნათელობს ოცნება,  
იცინის პატრიარქი, –  
სული მზით იმოსება.  
ჟამი ქრება სიმცირის,  
გული რწმენით მშვიდდება,  
პატრიარქი იცინის, –  
იმედები ღვივდება...  
სიამისგან ია თრთის,  
ნათელია ღვთის ნება,  
იცინის პატრიარქი, –  
– საქართველოს ღირსება.  
რას დააკლებს სისინი  
კარზე მომდგარ დიდებას,  
პატრიარქი იცინის, –  
საქართველო ბრწყინდება...

საბა მოძველი  
15.05.2013.

**გულნაზ ხარაიშვილი**

**"შენ სულ სხვაგვარად ხედავ სამყაროს"**

გაივლის წლები, საუკუნეები. მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) სახელი მიწიერ ქვეყანაშიც იარსებებს, როგორც სიკეთის მთესველი, თავმდაბალი, ლექსით მლოცველი და სამშობლოს ტკივილებით სულატკივებული მეუფე-პოეტისა, უფლისა და ერის წინაშე რომ იჩოქებს იგი და ლექსით შესთხოვს იესო ქრისტეს,

"უფალს დიდება!

სული მშვიდდება,

გული ხალისით ცად აფრინდება."

"მე ვარ ანი და მე ვარ ჰოე" – ბრძანებს უფალი (წმინდა იოანეს გამოცხადებიდან). მეუფე თადეოზი პოეზიის ენით ევედრება უფალს:

"შენი ტკბილი წყალობა

არ მოგვაკლო, უფალო...

მართალ რწმენის სიმაღლით

სულ გვამყოფე უბრალო..."

სამოთხე – ეს სულის სიყვარულია ღვთისადმი და ღმრთის სულისადმი. სამოთხე – ეს სიყვარულის სხივებია, ყოველი წმინდანისაგან რომ გამოდის. მეუფე თადეოზი ლექსით მოგვინოებს, რომ კეთილნი ვიყოთ, რომ მივუტეოთ ერთმანეთს გულის-ტკენა.

თუ კეთილი ვიქნებით, თუ განგებამ ინება, უფლის მაღლი, წყალობა მზეებრ მოგვეფინება, ან კიდევ:

"უფლის კეთილმა თვალმა დაგვხედოს

და შეგვიწყალოს მუდამ,

უკვდავებაზე უფრო ლამაზი

ნატვრა გულს რაღა უნდა."

ცათა სასუფეველი იმ ბადეს ჰგავს, რომლითაც ზღვაში ყველანაირი თევზი დაიჭირეს. როცა ბადე გაივსო, ის ნაპირზე გამოათრის, დასხდნენ და კარგი თევზი ჭურჭელში შეაგროვეს, ხოლო ცუდი – გადაყარეს.

ნეტარი თეოფილაქტე ამბობს:

„ეს იგავი გვიჩვენებს, რომ ჩვენ რწმენაც რომ გვქონდეს, თუ კეთილი ცხოვრებით არ ვიცხოვრებთ, მაინც ცეცხლში ჩავცვივდებით. ბადემ ყველა რჯულის ხალხი შეაგროვა – ბარბაროსები, ელინები, იუდეველნი, მეძავნი, მებაჟენი და ავაზაკები. როცა სანუთრო დაასრულებს თავის არსებობას, თუ ცუდები აღმოვჩნდებით, შორს გადავცვივდებით, კეთილები საუკუნო საცხოვრებელში იცხოვრებენ.“

მეუფე თადეოზი ამბობს:

"ბედნიერი ხარ, თუ გადაურჩი

ამაოების დამლუპველ ჭიდილს,

თუ მოჩვენებითს, სამართლად ურჩი

წარმომავლობის აჩრდილად თვლიდი."

ან კიდევ:

"ღმერთმა დაგლოცოს, კეთილო,

ღვთიური მაღლის მთესავნო



**ფშავ-ხავსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)**

ეგ მონყალეა დაგისნის დიდი განკითხვის დღესაო."

გიორგი წერეთელი ამბობს: ქართულ სიტყვაში ყოველთვის გამოირჩევა ერთი მარცვალი არტიკულაციის სიძლიერით და ტონის სიმაღლით, განსაკუთრებული პათოსით, თუ ფსევდო პათოსით წარმოთქმულ რიტორიკულ მეტყველებაში. მეუფე თადეოზის ლექსებში გამოირჩევა უწმინდესისადმი მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი:

"გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!

მწყემსო დიდო!..

ცხოვრებისა მოსურნეთა საიმედო

გზავ და ხიდო!..

მცველო ჭეშმარიტებისა და ქომაგო

ჭეშმარიტო...

წუთისოფლის ლელვათაგან არ იმღვრევი

ღვთისგან მშვიდო."

მეუფეო, სასულიერო მოღვაწის მძიმე ტვირთთან ერთად ღირსეულად ატარებ ქართველი პოეტის ტვირთს. ჩემს მცირე წერილს შენი წიგნის – "სულის სამყაროს" შენივე სიტყვებით დავამთავრებ:

"შენ სულ სხვაგვარად ხედავ სამყაროს,

ცაში ვარსკვლავებს ეაღერსები,

ეჩურჩულები ყვავილებს, წყაროს,

ინვი ოცნებით, ინვი ლექსებით.


შენ დედამიწის დუმილი გიკვირს,

როდესაც ღამის ბინდი შემოსავს,

შენ დედამიწის ხმაური გიყვარს

და გაზაფხულის მწვანედ შემოსვლა."

ჩვენო საყვარელო მეუფეო, შენ ხარ ის პიროვნება, რომელსაც ახარებს მრავალი ადამიანის სიხარული და ცდილობ ყველას უფლის სიყვარული ჩაუხერგო.



ნმიდაო ნინო, მასველებს ნისლი...  
გულს ყინვის ლოდი იქნებ გამილღვეს,  
შენით ვაგრძელებ ცხოვრებას წინსვლით,  
ვიცი, შენ მაღლის კარებს გამიღებ.

### როდის მოგიჩეხება გული სამშობლო?!

(ავლანეთში დაღუპულ შვიდ ვაჟკაცს)

რ – ოგორ ვცდილობ მე, დავიმწუხრო განსხვავებულად,  
ო – მის ქარბუქო, დღეს შენ მამულს დარდით რაგვავდი...  
დ – იდი ტკივილით განთიადიც დაღამებულა,  
ი – სე იქროლე, თოვლის მთები მხრებზე დაგვადგი.  
ს – ამგლოვიარო სამოსშია ჩვენი სამშობლო,  
მ – იმოიხედე, ცრემლში დნება ტაძრის კედლები...  
ო – მს შენირულნო, ნანინანატრად გაზრდილ-ნაშობნო,  
გ – ულში დაჭრილ ერს თქვენც დარდებად შეეკედლებით.  
ი – ქნებ უხმობდით თქვენს ახლობლებს, ჩვენო ბიჭებო,  
რ – ამდენჯერ მიწას მოპოტნიდით განამებულნი...  
ჩ – აწყდი სამარხო, ქვა და რიყევ, ეკალ-ჭინჭრებო,  
ე – რთი კიარა, დღეს შვიდით ვართ გამწარებულნი.  
ბ – დღვნიან ქარები, მწარე ცრემლებს ღვრიან ჭადრები,  
ა – მ მწუხრის დილით, ქარიშხალმა დააგო მახე.  
გ – არეთ რა არის, სულში ხურავთ მშობლებს ჩადრები.  
უ – ფლის რჩეულნო, მტრის ტყვიებით ავსებთ სამარხებს.  
ლ – ოყაზე ცრემლებს ერი უკვე ველარ შეიშრობს,  
ი – ფერფლებიან, ნაცრდებიან შვიდეულები...  
ს – ქართველოს ცავ, ამ ბიჭებით იქნებ შეივსო,  
ა – ღარ გასწირო დასალუჰად ღვთის რჩეულები.  
მ – უხლმოკვეთილი დარჩენ სადღაც, შვიდივე ერთად,  
შ – ორს დაღვრილ მათ სისხლს დაჭხარიან შავი ყორნები.  
ო, – ერთი მაინც დედებისთვის სიტყვა რომ გეთქვათ,  
ბ – იჭებო, ცხარედ დაგტირიან გულისსწორები.  
ლ – ომისის მაღლი გამფარველობდეთ, ცის დასალიერს,  
ო – რიათასჯერ მოსულიყოთ ამავე სოფელში,  
თქვენ ხომ სიცოცხლე საქართველოს შეალიეთ და...  
თქვენი სულები ან და მარად იყოს ნათელში.  
როდის იქნება საქართველოს შეაშრეს ცრემლი,  
შვილებს ლუკმისთვის არ ვფანტავდეთ ვით მტრედის ხუნდებს,  
ჩვენს მამულშივე მოვიქნით ხმალი და ცელი,  
რომ ბენვის ხიდზე იმედები არ გაგვიხუნდეს...



გულნაზ ხარაიშვილი

# მხატვრული განყოფილება



რევაზ მიშველაძე

## შარი

ნამეტანი მივეჩვიეთ დახმარებას, ბატონო. არ ვარ-გა ეს. ჩვენთვის ხომ არ ვარგა და, არ ვარგა – ვზარ-მაცდებით სხვისი მოიმიდე. შენ წარმოიდგინე, არც იმისთვის ვარგა, ვინც გვეხმარება. ჯერ ერთი, გადასაყრელი არავის არა აქვს დღეს საქმელ-სასამელი. იმ ამერიკა-გერმანიაშიც ბევრი შიმშილობს თურმე. მეორეც, ერთხელ და ორჯერ რომ გაჭმევს ის კაცი, მესამეჯერაც თუ არ გაჭამა, გული მოგდის, ბრაზდები. რას ემართლები, კაცმა რომ თქვას, მარა, ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება. ხომ გაგიგონია: „მიურვე-ველს ნუ მიმაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადამაჩვევ“. ამასწინათ ხმა გაერცელდა, დასავლეთი მალე ჰუმანიტარულ დახმარებას შეგვიწყვეტსო და, ხომ ნახე, ერთი ამბავი ატყდა. დაბლვერილი დადიოდა ხალხი. აშკარად დაინყეს ლაპარაკი – რას მოელოდით უკეთესო. ამერიკისგან და გერმანიისგან ღალატი ახალი ამბავი ხომ არ არის ჩვენთვისო. ა, ეს ითქვა, ბატონო, იმ დასავლეთის გასაგონა, თავისი მოქალაქეებისთვის მოკლებული ხორაგით, შენ რომ შიმშილით სიკვდილს გადაგარჩინა. ეგ კი არა, ერთ დღეს რომ თეთრ ფქვილს გამოგვიგზავნიდნენ და, მეორე დღეს სერ ფქვილს მოაყოლებდნენ, მაშინაც იგინებოდა პურის რიგში ზოგიერთი, კაცმა არ იცის, რას გვაჭმევენ. ამ ფქვილისგან, თურმე, ძროხის საქმელს ამზადებენ ამერიკელებიო, ხომ სწორს ვამბობ, შენც მოკრავდი ყურს.

ამას წინათ ოტია იოსელიანმა თქვა ტელევიზორში: ნუ მივეჩვიეთ ამ ჰუმანიტარულ დახმარებას. არ ვიცი, რატომ მიგვაჩნია ღირსეულ საქმედ ჰუმანიტარული დახმარების მიღებაო. ჰუმანიტი ისაა, ვინც იძლევა დახმარებას, თვარა ვინც ღებულობს – მათხოვარიო. ჩვენ კიდეც, მათხოვრები, დიდი სერიოზულობით და თავმოშონებით ვღებულობთ მონყალებას და, თან ჰუმანიტარულ ტვირთს, მუშტრის თვალთ ვზომავთ, ხომ არაფერი დაგვაკლეს წინა თვესთან შედარებითო.

რალა შორს წავიდე, გეტყვი, რაც პირადად შემემთხვა, ამ ანგარიშშიუცემელ დახმარებასთან დაკავშირებით.

ბაზარში ვმუშაობდი მაშინ, დირექტორის მოადგილე მერქვა. ბევრი არაფერი, მარა ცოლ-შვილის

სარჩენ ფულს ვმოულობდი. რომ არ დაგიმალო, ერთი-ორი კაპიკიც მრჩებოდა საქეიფო-სახარჯოდ. აბა, ახლა ვარ კაცი, შენისთანა საპატივცემო ადამიანს, ასე, ქუჩაში რომ ველაპარაკები და ორი ბოთლის ფულიც რომ არ მიჭყავის ჯიბეში?

ჩემს ქუჩაზე ბუხუტი ლექვინაძე ცხოვრობდა. აღმასკომში მუშაობდა, მე მგონია. გაზეთების გამონერა და გავრცელება ეხებოდა. მოკლედ, ყველაზე პატარა კაცი იყო აღმასკომში. ჩვენს შორის დარჩენ და, ცოტა ზარმაციც იყო. ეზო სულ დაუბარავი ჰქონდა. რასაკვირველია, ხელმოკლედ ცხოვრობდა.

შემხვდა ერთ დილას ბაზარში. ოკრიბელ გლეხს ყველს ევაჭრებოდა. იმდენი ეხვეწა, დამიკელი ცოტაო, რომ გული მომენვა. მოვკიდე ხელი და დახლს გამოვარიდე. წამოდი, ჩემი ბუხუტი ჩემთან, საქმე მაქვს პატარა-მეთქი. ვუსყიდე ოთხი კილო კაი, უშობლის ხორცი, სამი კილო ყველი, თევზი (მაშინ გაუყინავი თევზი იშოვებოდა), მწვანილი, რალაც-რალაცეები... ა, ეს ჩემი ფეშქაში იყოს-მეთქი. გაუკვირდა, გაეხარდა, შენ აგაშენა ღმერთმაო, სად მქონდა ამის ფული მეო. ერთი კილო ლობიოს და ნახევარ წველა ყველის ყიდვას ვაპირებდიო.

ერთი კვირის მერე კიდევ შემხვდა, ასე, შემთხვევით, ბუხუტია ლექვინაძე ბაზარში. გადავანყდი-მეთქი შემთხვევით მეზობელ კაცს. ყოველშემთხვევაში, მე ასე მეგონა.

არ დავნწყვიტე მეორედაც გული. ვუსყიდე რალაც-რალაცეები. გაუფუსე ჩანთა და მივაცილე ბაზრის კარამდე.

მე რომ ბუხუტის ადგილზე ვყოფლიყავი და მესამედ შემხვედროდა ჩემნაირი კაცი, მე, მაგალითად, დავემალებოდი. უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს-თქვა, და, საერთოდ, თავმოყვარეობის ამბავი, ერთხელ გცა პატივი, თან, რა ვალი აქვს შენი, კაცმა რომ თქვას.

შენ არ მომიკვდე, ბუხუტის ჩემთვის თვალი არ აერიდებინოს. პირიქით, დიდი, ცარიელი, ფართხუნა ჩანთით ხან ბაზრის ერთ კუთხეში გამეჩითებოდა, ხან – მეორეში. ჩემი კაბინეტის წინაც ჩაივლიდა ისე, „შემთხვევით“, ისე, მომელამებოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აითრევა, რომ იტყვიან ფეხს.

ჯერ ერთი, ყოველთვის არ ხარ კაცი ერთნაირად, არ გრჩება ჯიბეში ფული, ხომ შეიძლება და, მეორეც, შენ თვითონ გგონია: ხომ არ დავამცირებ გაუთავებელი დახმარებით, არ ეწყინოს ეს არამკითხე მამიდობა კაცსო, ფიქრობ შენთვის. რა ვიცი, ამნაირი ფიქრიც ხომ არსებობს.

მოკლედ, მხვდება ბუხუტი ხშირად ბაზარში, მაგრამ, რომ არ მოგატყუო, მეტი აღარ გამიკრავს ჯიბეზე ხელი და აღარ დაფხმარებივარ. თვენახევარი-ორი თვე გავიდა ამნაირ მშრალ შეხვედრა-განშორებებში. შემოდის ერთხელ ბუხუტი გამწარებული ჩემს კაბინეტში. აქაო, მეუბნება, მიშვეტულია ყველაფერიო. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ასეთი სიძვირეო, მეორეც, ანტისანიტარიაა ბაზარშიო, თვალსაჩინოება არ გივარგათო, კედლის გაზეთი არ გამოდის ბაზარშიო. მიედ-მოედება რალაცას, შარზეა, აშკარად ჩანს.

მე რისი ბაზრის ხელმძღვანელი ვიქნებოდი, ბუხუტი ლექვინაძის რომ შემშინებოდა. მოკლედ, მაგარ-მაგარი რალაცეები ვუთხარით ერთმანეთს და მტრები-

ვით დავშორდით.

ამის მერე ჩვენ ერთმანეთისთვის სალამი არ მიგვიცია.

ხომ მიხვდით, ბატონო, რატომ მოგიყევით ეს ამბავი.

თქვენ თუ არ მიხვდებით, ვინ მიხვდება.

ა, ეს ქნა ჩემმა ნაჩქარევმა, მოუზომავმა ნაბიჯმა.

ხომ უნდა იცოდეთ, ვის ეხმარები და რატომ ეხმარები.

### ქმარი თორმეტი ღლით

აბა, მე რა უნდა ვთქვა, შენ შე ქალო, რვა წელიწადია ქმართან ცხოვრობ და მეუბნები, თუმცა არ ვიცნობდი კარგადო. მე რჩევად ნუ მეკითხება, დეიდა, მე მხოლოდ თორმეტი დღე მყავდა ქმარი, მეტი კი არა. საერთოდ, მაგ საქმეში რჩევას ვერც ვერავინ მოგცემს. შენ თვითონ უნდა გადანყვიტო. მილალატა და ვშორდებიო, აგიჩემებია. არის, სანყენი, როგორ არ არის, მარა ისეთი ამბავიც არაა ეგ, თავი გაიგიჟო და არ აპატიო. კაცია, შეემთხვა. შენ ახლა გაიგე ხომ? ეგება მანამდისაც გლალატობდა. ახლა ასე ვსვამ საკითხს მე. რომ არ გაგეგო, ხომ არაფერი მოხდებოდა. სანამ გაიგებდი, ხომ არ მოგსვლია აზრად, ქმარს გავშორდებიო. ესე იგი, არ იყო გლახა ქმარი. ვინც შენ ეგ ამბავი დაგირეკა, იმას გაუხმა ენა. შენ გგონია, კარგი უნდა იმას შენთვის? დამირეკეს, დავუდარაჯდი იმ ადგილას და გამოვიჭირე ორივენიო, გამარჯვებულის სახით რომ მეუბნები ჩემთვის, მანამდე რომ გეკითხა, არ გაგიშვებდი სადარაჯოდ. „დიდი მადლობა, ვიცი, გენაცვალე, ყველაფერი, შეარგოს ღმერთმა ჩემს ქმარს. თუ შენ გული გწყდება, შენთანაც გამოვუშვებ, როცა მოიცლის-თქვა“, ა, ასე გაპასუხებინებდი იმ შენი „კეთილისმყოფელისთვის“ ტელეფონზე და ამით გათავდებოდა საქმე. ისიც მოისვენებდა და შენც მოისვენებდი. თუ მთლად ქვეყანა არ იქცევა, ისეთი სიმართლე არც უნდა დაიჯერო დღეს ადამიანმა, რაც ხელს არ გაძლევს, თვარა მთლად გამწარდება ეს გამწარებული ნუთისოფელი.

მე რა უნდა გირჩიო, დეიდა, მე თორმეტი დღე მყავდა ქმარი, მეტი კი არა. რომ გაიგებ, რაზე გავშორდი, შეიძლება ეს კეტი მდრუხო თავში, თუმცა ამდენი ხანი გავიდა და ერთი ნუთითაც არ მინანია. მართალია, მერე ველარც გავთხოვდი და დავრჩი ასე მარტოხელა, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი. იმანაირ კაცთან ცხოვრებას ეს მტანჯველი მარტოობა სჯობდა.

ოცი წლის წინ მოხდა ეს ამბავი.

ხელი მოვანერეთ და იტალიაში წამიყვანა. საქორწინო მოგზაურობა ერქვა ფაქტიურად ჩვენს წასვლას, თორემ ისე ტურისტული ჯგუფის წევრები ვიყავით. ჯერ ერთი, მაშინ ორს მარტო, უვიზოდ (მითუმეტეს ცოლ-ქმარს), ვინ გაუშვებდა საზღვარგარეთ და მეორეც, სად იყო საშუალება. ტურისტად წასვლა შედარებით იაფი ღირდა.

გადარეული ვიყავი. ღამით არ მეძინა შთაბეჭდილებისაგან. წარმოიდგინე ოცდაორი წლის გოგო იტალიაში. რომი... პეტრეს ტაძარი, კოლიზეუმი, მოსეს ქანდაკება, ლეონარდოს ჩანჩქერი, ვენეცია, დავი-

თი... ხუთი უბის წიგნაკი გავავსე ჩანაწერებით. გიდს ნაბიჯ-ნაბიჯ დავსდევდი. პირდაპირ ველაპავდი მის სიტყვებს.

ეს ჩემი ქმარი ისე მშვიდი და გულგრილი იყო, თითქოს მთელი ცხოვრება რომში, ვიქტორიას მოედანზე ჰქონდა გატარებული. არაფერი უკვირდა, არაფერი აოცებდა. სალამოს ნომერში რომ მოვბრუნდებოდით, ვერ იყო ხასიათზე. მე ვჭიკჭიკებდი გაუთავებლად. არ ავაჭიკჭიკებს ნორმალურ ადამიანს სიქსტის კაპელა? ეს ჩემი ქმარი ოცდახუთი წლის ბიჭი, გესმის ქალო? ოხრავდა, ნუხდა სალამოობით, რაზე, თუ იკითხავ, ყველაფერი ძვირი ღირსო, ტყვილად დავხარჯეთ გზაზე ამდენი ფულიო. ამ ფასად თბილისშიც ქე ვიყიდით ყველაფერსო. შენაო, შემომიბღვირა, ნამეტანი ფუქსავატი ყოფილხარო. რავა მიმაცემიე ბუკლეტში (პეტრეს ტაძარში რომის ბუკლეტი ვიყიდეთ) ორი დოლარიო. ასე თუ ვფანტეთ ფული ცხოვრებაში, კარგი დახლი დავგიდგებო. მეო, შენაო, უფრო ხელმომჭირნე და მუყაითი მეგონეო. ძლივს გავამეტებინე, ქალო, ბუკლეტისთვის ორი დოლარი, ძლივს გამოვწინე ხელიდან. რად მინდა ბუკლეტი, ბუკლეტი მინდა მეო? ბუკლეტს ვერც შეეჭამ, ვერც ჩაიცვამ და ვერც დაიხურავო.

გაშლიდა სალამოს საფულეს და დაიწყებდა ანგარიშს. მეტროს ამდენი მივეცი, სიროფიან წყალში ტყვილად გადავყარეთ ფული, მათხოვარისათვის მაინც რამ მიგაცემინაო; გროშები ჩავუყარე ქუდში, შეკაცო, იმ გროშებით მაინც ვერაფერს ვიყიდდი-მეთქი. გროშებისგან შედგება ფული, უნდა იცოდეს შენხელა ქალმაო. საერთოდ, ჩვენ, ტურისტები ვართ, ტურისტს ალაგობრივი მათხოვრებისთვის მონყალების მიცემა არ ეკუთვნის, ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მათხოვრები გვეხებაო.

ეს რომ მითხრა, ისედაც ყელში მქონდა სევდა მოწოლილი და მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. მაშინ ვუთხარი ჩემს თავს: ვერა, მე ამასთან ვერ ვიცხოვრებ-მეთქი. ვთქვი და გადავწყვიტე. იქ რაღას ვეტყოდი, თბილისში რომ ჩამოვედი, აეროპორტშივე გამოვუცხადე: მე შენი ცოლი აღარ ვიქნები, ხვალიდან შენ შენთვის, მე ჩემთვის-მეთქი.

თითქოს ელოდაო, მიზეზი არც უკითხავს, წარმოგიდგინა? საქორწინო მოგზაურობიდან ერთი ნუთის მობრუნებული ცოლი ვშორდები და არც მეკითხება, რა მოხდა, რაშია საქმეო.

ამდენი ხანი გავიდა და, ვისაც მოვუყევი ჩემი გათხოვება-გაყრის ამბავი, ყველა მე მამტყუნებს. სულელი ყოფილხარ, ასე პატარა მიზეზის გამო, რავა გაშორდი ქმარსო.

ასე რომ, მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, ჩემო დაია, რაკი შენ ამდენი ხანი არ ისურვე წასულიყავი მისგან, ეს იმას ნიშნავს, რომ არაა ურიგო ქმარი. ესე იგი შეგიძლია მასთან ცხოვრება. ასე რომ არ იყოს, ჩემთან რჩევის საკითხავადაც არ მოხვიდოდი. შენ თვითონ არ გინდა გაშორდე, ჩემგან სწორედ ისეთ რჩევას ელი, ოჯახს რომ არ დაგანგრევიან, ჰოდა, ჩემი სიტყვაც ეგ არის, – იყავი შენს ქმართან, ნუ გეშინია, არ დაქცეულა ქვეყანა.

კაცია, შეემთხვა.



## ნიკა თოდუა

## 1 ნოთელი მარგალიტი

ნითელ პარასკევს დაიბადა.  
 ბიჭი იყო, გვარის გამგრძელებელი.  
 დედას გაუსაძლისი ტკივილები აწუხებდა, მაგრამ  
 მაინც გადაიტანა.  
 სახლის სამზარეულოში ჩვილის ბებია სააღდგომოდ  
 კვერცხებს ღებავდა...  
 შემდეგი წლის ნითელ პარასკევს სამზარეულოში  
 უკვე ბავშვის დედა ფუსფუსებდა.  
 შარშან დაბადებულ ბავშვს ტკბილად ეძინა.  
 ერთ კვირაში გახდება ერთი დღის (წლის) .  
 უკვე მესამედ დადგა ბავშვის ცხოვრებაში ნითელი  
 პარასკევი.  
 დადის და დედას აბრაზებს. ქალი კვერცხებს ღე-  
 ბავს, ბავშვის მამა სამსახურში არ წასულა, გაზეთს  
 კითხულობს.  
 ცა მოვარდისფრო გახდა. მზეც უკვე ჩადის. კაცო-  
 ბრიობის მხსნელი მაშინ ჯვარს ვაცვით ...  
 მეოთხეჯერ დადგა მის ცხოვრებაში ნითელი პა-  
 რასკევი.  
 ხვალ დაბადების დღე აქვს და სამი წლის ხდება.  
 უკვე დიდი ბიჭია და დედასაც ესაუბრება.  
 ქალი კვლავ კვერცხებს ღებავს და თან იღიმება,  
 სიამოვნებს ბავშვის საუბრის მოსმენა.  
 მამა შინ არ არის . ბავშვმა კვერცხი გატეხა , დედა  
 გაუბრაზდა.  
 მზე ჯერ არ ჩასულა.  
 მეხუთეჯერ იგრძნო ბავშვის სულმა ამ დღის თა-  
 ვისებურება.  
 ამ დღეს ყველა მონყენილია და დედა სულ კვერ-  
 ცხებს ღებავს.  
 -დედა! რატომ ღებავ კვერცხებს?  
 -საჭიროა , შვილო.  
 -მეც დაგეხმარები.  
 -არა , ხელებს დაინვაგ!  
 ქალმა ჩამოსვა ბავშვი სკამიდან.  
 ბიჭი ტიროდა, დედამ ხელში აიყვანა, მოეფერა,  
 თვალეხი ჩაუკოცა და კვლავ განაგრძო თავისი საქ-  
 მიანობა.  
 მეექვსედ ეგებება ბავშვი ამ დღეს სახლში, ეზოში  
 არ უშვებენ.  
 -თამაში მინდა!  
 -არა, არ შეიძლება!  
 -რატომ?!  
 ქალმა თითქოს ვერ გაიგო შვილის შეკითხვა.  
 -მოდი ჩემთან, გარეთ გავისეირნოთ.  
 მამამ მაგრად ჩასჭიდა ხელი ბავშვს, ცოლს აკოცა  
 და ეზოში ჩავიდა.  
 ქალი კვლავ აგრძელებს საქმიანობას, თითქოს ის  
 ყოველთვის ამ საქმიანობა დაკავებული,  
 ახალი რაღაც ისწავლა , ძველ ჩულქებში ჩაალაგა  
 კვერცხები და შიგნიდან მწვანეხლის ფოთლები დაუ-  
 მაგრა.  
 ლამაზი გამოვიდა  
 ქალი უკვე მეექვსედ დგას გაზქურასთან ( პირვე-  
 ლად დედამისმა ხომ შეღება , ახალ სახლში , სააღდ-  
 გომოდ კვერცხები) , მარტო არაა, დედამისიც აქაა.  
 ბავშვი მამასთან ერთად სეირნობს.  
 -დაჯექი , არ დაილაღე?  
 -არა, დღეს რაღაც მშვიდაადა.  
 -უკვე მუცელიც დაგეცყო, ექიმები რას ამბობენ ?

-არ ვიცით, მაგრამ ვგრძნობ, რომ გოგოა.  
 ქალი მარჯვენა ხელით ქვაბში კვერცხებს ურევდა,  
 მარცხენათი კი მუცელში მყოფს ეფერებოდა.  
 თითქოს მანაც იცის, დღეს რა დღეცაა და გლო-  
 ვობს.  
 დღეს კაცობრიობა, მხსნელი ჯვარს ვაცვით !  
 მერვე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალმა აუტა-  
 ნელი ტკივილი იგრძნო, ხოლო დაახლოებით ნახევარი  
 წლის წინ, გოგონა მოეწვინა სამყაროს.  
 ბებიაც აქაა და შვილს გვერდით უდგას.  
 -ნადი, მე დავაძინებ, შენ კვერცხები შეღებე.  
 -კარგი, უკვე ვაჭამე და მალე დაიძინებს.  
 ქალმა კვერცხების შეღებვა განაგრძო, ბიჭი ოთახ-  
 ში გასულსული იჯდა და დაიკოს აკვირდებოდა.  
 ის ვერ იყო ხასიათზე, რაღაც უცნობი გრძნობით  
 განიმსჭვალა დის მიმართ.  
 ნამოდგა და საკუთარ ოთახში შევიდა, მიუჯდა  
 სანერ მაგიდას და რაღაც დაწერა ფურცელზე: "მე  
 არავის ვუყვარვარ".  
 ასოები ძლივს გაარკვია დედამ, ბიჭი წელს შევიდა  
 სკოლაში.  
 -ვინ გითხრა ეს სისულელე?  
 ბავშვი დუმდა.  
 -მოდი ჩემთან, სულელო, მე მიყვარხარ, ბებიას და  
 მამასაც ძალიან უყვარხარ.  
 ბიჭი ტიროდა.  
 -არ იტირო, ნახე, რაღაც უნდა გაჩუქო. ფლომას-  
 ტერები მოიტანე.  
 ბიჭი სასწრაფოდ გაიქცა ოთახში.  
 ფლომასტერები მოიტანა, დედა და შვილი ნითელ  
 კვერცხზე ხატავდნენ და ამ კვერცხს განსაკუთრე-  
 ბული ადგილი მიუჩინეს სამზარეულოში.  
 ბიჭს უკვე არ ადარდებდა, რაც ხდებოდა მის გარ-  
 შემო, მან იცოდა , რომ დედას უყვარდა.  
 2  
 მეცხრეჯერ დუმს სახლის მამასახლისი.  
 ბავშვები თამაშობენ, მაგრამ ის აქ არ არის, მისი  
 გონება სხვაგან ქრის.  
 ქალი კვერცხებს ღებავს და თანაც ტირის.  
 ბიჭის დაბადების დროს არ უტიროია ასე მწარედ.  
 კაცი მივიდა ბავშვების დედასთან, ხელი მოხვია  
 წელზე.  
 ქალმა თავი გააქნია და ცრემლები შეიმშრალა.  
 -მაპატიე!-განწირული ხმით თქვა მამაკაცმა.  
 ქალი დუმდა, ის კვლავ კვერცხებს ღებავდა.  
 კარები ვილაცამ მოიჯახუნა.  
 მამასახლისი სახლიდან გაქრა.  
 ქალი ტირის, ბავშვები თამაშობენ, სულაც ვერ  
 ხვდებიან, თუ რა მოხდა.  
 მეთადე განითლდა ცა უცნაურად.  
 სახლის მამასახლისი უკვე ბიჭია, ქალი კვერცხე-  
 ბის შეღებვას მორჩა,  
 ახლა ის მათ წმენდს და სათითაოდ აწყობს.  
 გოგონაც უკვე ლაპარაკობს, ბიჭი უბრაზდება და  
 ხანაც ატირებს დაიკოს.  
 -გეყოფათ!  
 გაისმა დედის ხმა.  
 გოგონას თვალეხზე ცრემლები გადმოსცვივდა,  
 ბიჭმა ის მკერდში ჩაიკრა.  
 ქალმა განაგრძო კვერცხების წმენდა.

“რა დაემართა?” გაიფიქრა შვილმა.

მათ სახლში უკვე ოცდამეჩვიდმეტედი შეიღება ნითელი კვერცხები.

ქალს გოგონა ეხმარება, ბიჭი სახლში არაა, საცოლის სანახავად წავიდა.

-პრობლემები აქვთ?

-არა დედა, უბრალოდ ხვდება.

-კარგი გოგოა?

-კი დედა, ძალიან ლამაზია და თანაც შევეწყვეთ უკვე.

-იმედი მაქვს, რომ ასე იქნება, ჩემთანაც.

-გაუგებ დედა, შენ ყველაზე საუკეთესო დედა ხარ! ქალმა გაიღიმა, გოგონამ აკოცა.

დედის სახესაც დაეტყო ხანი.

ცხოვრების ყოველი წელი, მისთვის ორჯერ უფრო სწრაფად გადიოდა.

ქმარი უგზოუკვლოდ გაუჩინარდა.

ბოლოს მოსკოვში ნახეს, შვიდი წლის წინ, საყვარელთან ერთად,

ამ ოჯახში, ოცდამეცხრედ დადგა ნითელი პარასკევი.

ქალს უკვე რძალი და შვილი ეხმარებიან შეღებვაში. მამასახლისი (ბიჭი) უყურებს მათ და ტკბება ცხოვრებით.

მისი ცოლი ორსულადაა, ორ თვეში ბავშვი ეყოლება.

დედას უხარია, რძალი კარგი გამოდგა და ბიჭის ცოლსაც ძალიან უყვარს დედამთილი.

ცა იევ ნითლად იღებება, ოჯახში სიტბოა.

მოსკოვში ვილაცის გვამი იპოვეს.

ალკოჰოლის სუნით ყარს, უცნობის ცხედარი.

ყველა გაიძახის:

-დღეს როგორ დალია?!

შავებში შემოსილი ქალი არ არღვევს ტრადიციას.

ქმარი ერთი წლის წინ დაკარგა.

სახლში ბავშვის ტირილის ხმა ისმის.

გოგონა დედას გაუთხოვდა და ქალი ძალიან განიცდის ამ ამბავს, მამასახლისს არ სჯერა; “რატომ არ გვიტხრა?!”-გაიფიქრა ბიჭმა.

-ბავშვი დავაძინე, იქნებ შენც დაწვე და დაისვენო.

-არა, მაღლობ, დედას დაეხმარე.

ბიჭმა აკოცა ცოლს და სახლიდან გავიდა.

დღეს ოცდამეათედ დაუმძიმდა მას სული.

3

ოცდამეთერთმეტე ნითელი პარასკევი, ბიჭისთვის სავალალო აღმოჩნდა.

სახლში არავინაა.

ფიცი გატეხეს, კვერცხები არ შეღებეს!

... ეპატიებათ.

დღეს ბიჭი დაიჭირეს, დილით ნახეს, წამალი გაიკეთა.

თურმე მაგრამ “მაყუთს” შოულობდა, დღეს კაცობრიობამ მხსნელი ჯვარს ვაცვით, მან კი ეს “კაიფით” გადაიტანა.

დედა შავებს იფხრენს და არ სჯერა.

ცოლი ტირის, ბავშვი დედასთან დატოვა.

ორივენი დგანან ციხის კარებთან და არ ჯერათ.

ცა ნითლად შეიფერა, მაგრამ სახლში არავინაა დადგა ოცდამეჩვიდმეტედ ნითელი პარასკევი, ბიჭის ცხოვრებაში.

ციხის შესასვლელთან გოგონა და და ცოლი ელოდებიან.

“დედა სადღაა?!” გაიფიქრა ბიჭმა.

და შავებში იყო შემოსილი, ერთი თვის წინ დედა გარდაიცვალა.

ეგრევე საფლავზე წაიყვანეს ბიჭი, დედა დაიტირა, პატიებას თხოვდა, მაგრამ გვიანი იყო, ის გარდაიცვალა და ალბათ სამოთხიდან უყურებს, თუ როგორ იღებება ცა ნითლად. მაგრამ სახლში არავინ ღებავს კვერცხებს.

მეორმოცე, უკვე რალა მნიშვნელობა აქვს?!

სამზარეულოდან ყველაფერი გატანილია, ბოლო კაპიკებით ცხოვრობენ.

დამძმას ფული გამოუგზავნა საზღვარგარეთიდან, მაგრამ ჯერ არაფერი უყიდიათ.

-აღდგომა ნითელი კვერცხების გარეშე?!

ცრემლმორეულმა წარმოსთქვა, უკვე გაზრდილმა და დაქალბუღმა, მამასახლისის შვილმა.

-არა უშავს, შვილო, მამა ფულს გამოიტანს ბანკიდან, მამიდან ცოტა გამოგვიგზავნა სააღდგომოდ.

ბიჭი დუმდა, უცებ რალაც გაახსენდა.

კვერცხი.

-საიდან?!

-მე და დედამ შევღებეთ ადრე და დღემდე შენახულია.

-მაჩვენე, რა ლამაზია!

აღნიშნა ქალიშვილმა. ფლომასტერით შეღებილი კვერცხი...

ბახ! -არა! - კვერცხი გატყდა. ბიჭი მუხლებში ჩაიკეცა.

ცუდი სუნი არ დამდგარა, პირიქით.

-დედა! შეხედე!

ქალმა დახედა დამტვრეულ კვერცხს, საამო სურნელება ამოდიოდა და შიგნით რალაც მოჩანდა..

-დედა, ნახე მარგალიტი!

-რა?!

-ხო, დედა, ნითელი მარგალიტი!

ბიჭს არ სჯეროდა და როცა დარწმუნდა, ცოლ-შვილი მაგრად ჩაიკრა გულში. უკვე ველარც კი მოვთვლი რამდენი ნითელი პარასკევი გავიდა მას შემდეგ, რაც “ბიჭი” მოველინა სამყაროს, მაგრამ ახლა ეს უჩვეულო ფორმის მარგალიტი მუზეუმში ინახება, რომელიც მილიონებად იქნა გაყიდული. საოცრებაა არა?!

მაგრამ სახლი? ის დაცარიელდა და იქ აღარავინ ცხოვრობს. ის მიატოვეს, ტრადიცია, რომელიც ნლობით გრძელდებოდა, აღმოიფხვრა ამ სახლში. საოცრებაა, არა?! მაგრამ ყველაფერში დამნაშავე ნითელი მარგალიტია!

მე და ჩემი ქუჩის მათხოვარი



მე და ჩემი ქუჩის მათხოვარს ზუსტად ერთნაირი უღებები გვაცვია. ჩემები ზამთარში თბილია, მისი – არა. შეიძლება იმიტომ, რომ ის მინიდან 5-6 ფუტის ქვეშ ზის ხელგანვდილი, მე კიდევ ზევით, უფრო ზევით ვცხოვრობ და ვარსებობ. მისთვის ბევრია ის, რაც მე ცოტა მეჩვენება და ბედნიერებაა ის, რასაც მე უბედურების სარჩულს ვაკერებ. მე

და ჩემი ქუჩის მათხოვარს სხვადასხვა ოცნება გვაქვს, მე მოკრძალებული, იმას კიდევ, უფრო ადამიანური. ჩვენ ხშირად ერთნაირი ცრემლი გვდის და ერთნაირად ვგრძნობთ, რა რთულია არსებობდე ისე, რომ შენს ყოფას ახსნა მოუძებნო. როცა დანაღვლიანებული გვერდით ჩავუვლი ხოლმე, ცხოვრებისადმი დაგროვებული ბოღმა გულიდან მშორდება და გათავისუფლებული, მოხუცის ტკივილს ერწყმის...

ვიცი, როცა წლები მომემატება ჩემს ნაოჭებში დაეტევა არა მარტო ასაკის თავისებურად მტკივნეული მშვენება, არამედ ის განცდები, რაც მიღვედა და დღემდე ჩემში სახლობს. ისიც კარგად ვიცი, რომ, როცა ბერდები ცხოვრება იძრობს უდარდებლობის საბურველს, თვალზე ვარდისფერის ნაცვლად, რეალურად გამჭვირვალე სათვალეს იკეთებ და ისე აგრძელებ ჟამთა სვლას. ალბათ ერთადერთი, რაც არ მესმის ისაა, თუ რატომ ხდება ზოგიერთის ზღაპარი და რატომა აქვს უმრავლესობის ოცნებას ჩანასახშივე ფრთები შეკვეცილი.

მე და ჩემი ქუჩის მათხოვარი შეიძლება ერთ დროს ვიძინებთ და, ერთ დროს ვდგებით. ასევე სრულიად შესაძლებელია, მასაც ისევე ახარებდეს უცნობის ღიმილი, როგორც მე. ვფიქრობ, როცა ეშინია ისიც ჩუმად ბუტბუტებს ლოცვას საბნის ქვეშ და ეძებს სინათლის რაიმე წყაროს ავი ფიქრების გასაფანტად. თუმცა, ზოგჯერ ისიც მგონია, რომ ჩემი ქუჩის მათხოვრისთვის არ არსებობს ძილი, სულაც არა აქვს საბანი, არ შეუძლია გაღიმება, აღარ ახსოვს ლოცვა, ვეღარ ხედავს სინათლეს და აღარაფერი დაგვრჩა ჩვენ ორს საერთო...

გუშინ შევესწარი, როგორ აჩუქა ერთმა ინტელიგენტმა, ახალგაზრდა მამაკაცმა მინდვრის ყვავილები ჩემი ქუჩის მოხუც მათხოვარს. გაიღიმა. გაიღიმა ისე, თითქოს ამ ყვავილებს პირთამდე ავესოთ მისი ბედნიერების ფიალა, თითქოს, გვირილის ყვითელ გულებში მზის სხივებს დაედოთ ბინა, თითქოს რაიმე ჯაღალსობის წყალობით დაგებრუნებინათ მისთვის ახალგაზრდობა... ღმერთმა უწყის, ლალი თუ ტკივილიანი, მაგრამ მაინც წარსულისფერი და მშვენიერი. იმ წუთას მივხვდი, რომ არსებობდა რაღაც, რაც გვაერთიანებდა მე, ჩემი ქუჩის მათხოვარს და სრულიად სამყაროს ერთმანეთთან – იყო იმედი იმისა, რომ ამქვეყნად ყოველთვის იარ-

სებებს ადამიანი, ნაცნობი თუ უცნობი, რომელიც ყველაზე რთულ მომენტშიც კი მოგცემს უფლებას: გაიღიმო, გიყვარდეს, გნამდეს.

ნიგნები და თანამედროვე მსოფლიო

21-ე საუკუნე. არსებობენ ავტორები და არსებობენ მკითხველები. ლეპტოპის გვერდით თუ არა, თაროებზე გვეგულება ბრონტე, მანი, რემარკი, თუნდაც, სერვანტესი, რომლის გარდაცვალებამაც ნიგნის დღესასწაულს დაუდო სათავე და დღემდე გადამდებია კატალონიელების მაშინდელი განწყობა, რომ ნიგნს ამქვეყნად ვერაფერი შეეცვლის. გადამდებიცაა და ოდნავ საეჭვოც, როცა ჩვენი თავისუფალი დროის სტატისტიკურ ანალიზს საგანგაშო დასკვნამდე მივყვართ. ციფრული ტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ ხომ ნაბეჭდი ნიგნის მნიშვნელობა საგრძნობლად შეამცირა.

ნიგნამდე იყო ანბანი და მერე იყო სიტყვა. როცა ადამიანებს აღარ ეყოთ სიტყვები, გამოქვაბულის კედლებზე, პაპირუსზე თუ ხარის ტყავზე წინადადებებმა დაიწყეს ცოცვა. დროთა განმავლობაში იზრდებოდნენ წინადადებები, რადგან იზრდებოდა ადამიანთა ცოდნა და სურვილი, ის მომავალი თაობებისთვის გადაეცათ. ასე იქცა დამწერლობა ძალად, რომელმაც ააგო პირამიდები და მოიგო ომები, ჯერ დააარსა და შემდეგ აღგავა პირისაგან მინისა რომი, „ჰომო საპიენსი“ აქცია „ფეისბუქის“ მომხმარებელ ხანშიშესულ მეზობლად და კიდევ უამრავი საკვირველი რამ ჩაიდინა, რადგან სიტყვა კომუნიკაციაა, დამწერლობა ქმნის ისტორიას, გამოცდილება კი ჭკვიანი ადამიანების ხელში დიდი ძალაა.

ჯერ იყო ხელნაწერები და იყო კაცობრიობა, რომელმაც ანბანის გამოყენების სიკეთე ისე გაისიგრძეგანა, რომ შვა გუტენბერგი, გუტენბერგმა შვა სტამბა და იმის მერე 1500 წელია ვცხოვრობთ ბედნიერად საყვარელ სავარძლებში მოკალათებულები და ნიგნების სუნით გაბრუებულები. კაცობრიობამ იფიქრა, იფიქრა და დაჩრჩილულ ფურცლებს „ქინდლი“ მიჩვენიაო, გადანყვიტა. ხოდა იმის მერე შევიყვარეთ „ამაზონი“ და გადავივიწყეთ ბიჭუნაც და კარლსონიც.

რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში? დაკარგა ნიგნმა მნიშვნელობა თუ მხოლოდ შემცირდა მისი გამოყენება? ამერიკელ ჟურნალისტს, სტივენ ლევის თუ დაფუჯერებთ, ნიგნები არ მომკვდარან, მათ უბრალოდ ციფრულ სივრცეში გადაინაცვლეს. მართლაც, ელექტრონული ნიგნები გუტენბერგისეული წინამორბედების მომავალია, რომლებმაც მთელი სამყარო დიდი სისწრაფით მოიცვეს. ვეცდები, არ ვიყო სენტიმენტალური და არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ყვითელი ფურცლები მიჩვენია უკანასკნელი თაობის „რიდერის“ ეკრანს (არადა, მართლა ასეა.) ნიგნი ნიგნია, თუმცა არ შემიძლია გავაიგივო ბაბუას დატოვებული „თამარიანი“ ინტერნეტიდან „გადმოქაჩულ“ კოელიოსთან. და მაინც, რა ფუნქციას ასრულებდნენ ისინი კაცობრიობის ისტორიაში და შეიცვალეს თუ არა მნიშვნელობა ონლაინ ნიგნების გამოგონების შემდეგ?

ნიგნების ფუნქცია ყოველთვის იყო და დღემდეა ინფორმაციის გადაცემა, რასაც ელექტრო-

ნული ვარიანტები განსაკუთრებით წარმატებულად ახერხებენ. ესაა აზრების, მსოფლმეხველობის წარმოების მანქანა, რომელიც ისე მარტივად ახდენს ჩვენს რესოციალიზაციას უამრავ კულტურულ სივრცეში, რომ დრონაშეილის არ იყოს, „კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტი ნამყარო პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიზუხგარჩილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა.“

თანამედროვე სამყაროში წიგნი, ვირტუალური სამყაროს მიერ შექმნილი სიცარიელის შევსების გზაა. 21-ე საუკუნის ადამიანი იღებს იმ მოცულობის ინფორმაციას, რომ უჭირს მისი გააზრება და სოციალურ სივრცეებში ჰყავს იმდენად ბევრი მეგობარი, რომ რეალური ურთიერთობების ნამდვილ დეფიციტს განიცდის. ვფიქრობ, წიგნი საუკეთესო გზაა ვირტუალური სივრციდან ჩვენივე ცნობიერების მორევეში ისე გადასასვლელად, რომ არ ვიგრძნოთ ინტერნეტის მიერ შექმნილი ვაკუუმი და ვისიამოვნოთ ჭეშმარიტ რაინდებთან, რობინ ჰუდებთან თუ ტარიელებთან ურთიერთობით, წინა საუკუნეებში მოგზაურობით, ზღაპრული სამყაროს მიმზიდველობით ისე, რომ სისავსის შეგრძნება სამუდამოდ გაგვყვეს.

წიგნი ცივილიზაციების შეხვედრის ადგილია. სწორედ იქ ანალიზდება დღევანდელი პრობლემები, იხსნება ძველი საიდუმლოებები და ისახება მომავალი. თანამედროვე მსოფლიოში წიგნს საპატიო ადგილი უჭირავს. ამის დასტურია ახალი გამოცემები და ძველი ლიტერატურის ინტერპრეტირებული ვარიანტები. მართალია, კომპიუტერებმა მეტად შეამცირეს ერთ დროს მათთვის განკუთვნილი დრო, მაგრამ უმბერტო ეკოს სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „კომპიუტერები წიგნიერების ახალ ფორმას ავრცელებენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმ ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც თვითონვე აძლევენ სტიმულს.“

როგორც სერვანტესს პლუს ვილაც ვიგინდარა არ უდრის ორს, ისე ნაბეჭდი და ონლაინ წიგნები არ უდრიან ერთმანეთს, თუმცა თანამედროვე სამყაროში პრიორიტეტი სისწრაფე და ხელმისაწვდომობაა, რასაც ეს უკანასკნელი, იმედია, წიგნიერების ახალ განზომილებაში გადაყვანით უზრუნველყოფენ.

## დარჩენა

გაცრეცილ გოგოს უყვარს გაცრეცილი ამინდები. უყვარს, როცა მზე ღრუბლებს ისე ეჩხირება, როგორც ტკვილები, ლავინის ძვლებს. უყვარს ფერები და უყვარს მდუმარება. სხეულით წელიწადის ოთხივე დროს დაატარებს და ეშინია გლობალური დათბობის, რადგან სადღაც ამოიკითხა, რომ ჯერ გაზაფხული და შემოდგომა გაქრებიან, შემდეგ კი მთელი დედამიწა. არ იცის გაცრეცილმა გოგომ, რა შუაშია სადღაც ჩრდილოეთში თუ სამხრეთში არსებული, ოკეანეების გამყინვარების დონე მის სახლთან და სხეულთან. მას არც მშობლიური პლანეტა ემეტება, არც ატმები და არც ნეკერჩხლის ფოთლები. საკუთარი სევდაც კი არ ემეტება დასაღუპად, გაცრეცილ გოგოს.

გაცრეცილი გოგო ცხოვრობს მარგინალურ ქალაქში. ეს ქალაქი არც აღმოსავლეთითაა და არც დასავლეთით. აქ მეჩეთიც იმდენივეა, რამდენიც მართლმადიდებლური და კათოლიკური ტაძარი. აქ ხიდები სავსეა გარემოვაჭრებით, რომლებიც ვილაცების და საკუთარ მოგონებებს ეშმაგამოსახულ მონეტებზე ყიდიან. ამ ქალაქში ცოტა ადამიანია და ბევრი მანქანა,

ცოტა ემოცია და ბევრი სიცარიელე. ამ ქალაქში არ თენდება და არ ღამდება. ამ ქალაქში მხოლოდ ერთი გაცრეცილი გოგო ცხოვრობს და ის ერთი გოგოა მხოლოდ მეოცნებე.

გაცრეცილი გოგოს დილა იწყება მაშინ, როცა დღე და მანვნის დამტარებლები იღვიძებენ. იღებს ყოველთვის ქილით და მიირთმევს თაფლით. სვამს დაშაქრულ ყავას. დგება ფანჯარასთან და იღიმება. უღიმის ყველა გაცრეცილ წინაპარს, რომლებიც უბრალოდ გარდაიცვალნენ და ყოველ დილით ზეცის კედესთან ხვდებიან გაბერილი მზის ამოგორებას. უყვარს გაცრეცილ გოგოს საყვარელი სახეების ცქერა. უყვარს გაცრეცილ გოგოს თავისიანების მისალმება.

8 საათზე მთელი ქალაქი იცლის ძილის მოცვისფერ საბანს და იწყება ხმაური. იღვიძებენ გაცრეცილი გოგოს მშობლებიც. დგებიან, იმზადებენ ჩაის და სქლად გადასმულ კარაქთან პურს მარწყვის ჯემს აყოლებენ. გაცრეცილი გოგო ამ დროს ისევ ფანჯარასთან დგას და სევდიანად იღიმება. ვერ ხედავენ მშობლები გაცრეცილ გოგოს. ისე მოძრაობენ მასში, თითქოს არც არსებობდეს. არ კოცნიან დამშვიდობების ნიშნად და აღარც კი ახსოვთ, რომ ოდესღაც მათი ფსევდოცოლქმრული ოთახის სიღრმეში იწვა გაცრეცილი პატარა, რომელსაც წლებმა ძუძუ აწოვეს და რომელიც გაცრეცილ გოგოდ იქცა.

გაცრეცილი გოგო დადის სკოლაში. უყვარს ხელოვნება და არ უყვარს ფიზიკა. ხელოვნება იმიტომ რომ ფერადია, ფიზიკა იმიტომ არ უყვარს, რომ სამყაროს შექმნის უცნაური თეორიებითაა აჭრელებული. მას კი არ ძალუძს იმის დაჯერება, რომ ჯერ იყო ნაწილაკი, და მხოლოდ მერე გამოისხა ადამიანური სისუსტეებით ორსულმა პლანეტამ ოკეანეები და ტყეები. მას უნდა სწამდეს, რომ დროში არასოდეს იყო ცნება „უდედამინობა.“ უნდა და იჯერებს კიდეც.

გაცრეცილ გოგოს ერთი მეგობარი ჰყავს. უყვარს თავისი გამჭვირვალე მეგობარი გაცრეცილ გოგოს. ყველგან ერთად დადიან და თითქოს მეგობრები კი არა, ერთნი არიან. რაც დრო გადის, მით უფრო ძალუძს მად გრძნობს გაცრეცილი გოგო, როგორ ეზრდება მის სხეულს გამჭვირვალე მეგობრის უფრო სითეთრე. ხვდება გაცრეცილი გოგო, რომ მალე საბოლოოდ გაქრება მისი გამჭვირვალე მეგობარი, მაგრამ სულ არ ნაღვლობს. იცის, რომ გაქრობისთანავე მასში განსხეულდება...

მარგინალურ ქალაქში ერთადერთხელ ჩამოვიდა გაცრეცილი ბიჭი, ბოშათა ბანაკს ჩამოჰყვა და სწორედ ამ საბედისწერო ქალაქში დაიდო ბინა. საბედისწეროა, აბა რაა მარგინალური ქალაქი! ირგვლივ ყველაფერია და თან არაფერი, არსებობს, და თან არც არსებობს. სიკეთეშიც კი მეტასტაზებია წასული მარგინალურ ქალაქში. სამაგიეროდ ბოშა ზეიმობს თავის 101-ე დაბადების დღეს.

და შემდეგ იყო, იყო და, არა იყო რა. იყო გაცრეცილი გოგო და იყო გაცრეცილი ბიჭი. მათი სიყვარულიც იყო და მათ სიყვარულს ცხრა თვეში ფილტვი გაეხსნა. მერე გაცრეცილი ბიჭი მაინც წავიდა. ბოშა იყო და წავიდა. ბოშებს არ აქვთ სამშობლო და აქვთ მოხეტიალე სისხლი.

გაცრეცილი გოგო კი დარჩა და დარჩა.

ეს დარჩენა ჰგავდა, თბილისში რომ იცხოვრებ მთელი საუკუნე და ჯერ არ გინახავს მტკვარი.

თამარ ჯაჭვადე

რუსთაველი “მუსამბაზი”

30 აპრილს უცნაური გამოცოცხლება იგრძნობოდა რუსთავის მე-17-ე საჯარო სკოლაში. დირექტორი - გურანდა სირბილაძე, პედაგოგიური კოლექტივი, სკოლის აქტივი და პოეზიისა და მეცნიერების მოყვარული მოსწავლეები ამ დღეს სკოლის სააქტო დარბაზში დედაქალაქიდან სტუმრებს ელოდნენ. სტუმრები იყვნენ: ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზი ხარაიშვილი, წევრები; მხოლოდ საქართველოში კი არა, მსოფლიო მეცნიერებაში კარგად ცნობილი, ფესტოსის ლეგენდარული, ასწლოვანი დისკოს გამშიფრავი, პროფესორი გია კვაშილავა და პოეტური ჯგუფის “ზღვარი” წევრები: სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია, რუსთაველი პოეტები.

მადლობა გადაუხადა აკადემიას საინტერესო შემოქმედებითი საღამოს დაგეგმისათვის და გამოთქვა სურვილი ამ ურთიერთობის გაგრძელებისა.

შემოქმედებით საღამოს ამშვენებდა პოეტ კახა ბაციკაძის ლექსი და მის მიერ შესრულებული სიმღერები, საკუთარი თუ ქართველ პოეტების ლექსებზე შექმნილი. სკოლის მოსწავლეები, მომავალი მეცნიერები და შემოქმედები ტოლს არ უდებდნენ სახელოვან ადამიანებს ლექსის თქმაში თუ სიმღერაში.

ასე, ლექსით და სიმღერით გამშვენებული საღამო, ასევე პოეტურ გარემოში – “მუსამბაზი” გაგრძელდა. ამ კოპნია და ოაზისად ქცეული გარემოს დირექტორი: მამუკა სურმავა, თანამშრომლები: თათია ჭაბაშვილი, რობერტ გაგნიძე, ხათუნა ჩან-



გულნაზ ხარაიშვილი, გია კვაშილავა, გარი ჩაფიძე და გურანდა სირბილაძე მე-17 საშუალო სკოლაში ჩატარებული ღონისძიება, ჯგუფი „ზღვარის“ ბიჭები“-თან და რუსთაველ პოეტებთან შეხვედრაზე

პოეზიის საღამოს უძღვებოდა გულნაზ ხარაიშვილი სერგი ლომაძესა და კახა ბაციკაძესთან ერთად. ლექსით ეფერებოდნენ ერთმანეთს თბილისელი და რუსთაველი შემოქმედები. სკოლის მოსწავლეთა შორის აღმოჩნდნენ ნიჭიერი დამწყები პოეტები:

ურა მაზმიშვილი, ცინუკი გურიელიძე, დაჩი ბარამაძე. მათ თავიანთი ლექსები წაუკითხეს საზოგადოებას და დიდი მოწონება და შექება დაიმსახურეს. ჯგუფი “ზღვარის” ბიჭებმა გამოთქვეს სურვილი მათთან შემოქმედებითი თანამშრომლობისა.

შეხვედრის მწვერვალი მაინც მეცნიერება იყო. აკადემიკოსმა გია კვაშილავამ მოკლედ ისაუბრა თავისი აღმოჩენის შესახებ, მან გაიხსენა, როდის და როგორ გაუჩნდა (ჯერ კიდევ ბავშვობაში) ოცნება, ფესტოსის წარწერის ამოცნობისა და როგორ აასრულა თავისი ოცნება უკვე სახელოვანმა მეცნიერმა. გია კვაშილავამ დაინტერესებულ ბავშვებს წარუდგინა თავად დისკოს ფოტოპირი და ძველქართულად აჟღერებული სტრიქონები წაიკითხა. მოკრძალებული ცნობები არასაკმარისად ჩათვალეს აკადემიის წევრებმა, პოეტებმა: ლამზირა შეყილაძემ, თინათინ ხაბურზანიამ, ლია ოსიაშვილმა, თამარ ჯაჭვადემ... მათ ისაუბრეს იმ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენაზე, რომელიც ქართველი მეცნიერის დამსახურებაა. შემდეგ გია კვაშილავასადმი მიძღვნილი ლექსები და ნარკვევები წაიკითხეს. მეცნიერს მიესალმა აკადემიკოსი გარი ჩაფიძე. სკოლის დირექტორმა გურანდა სირბილაძემ

კიანი, ილია ივანიშვილი – მეცნიერებისა და პოეზიის თაყვანისმცემლები და მოყვარულნი აღმოჩნდნენ. მათ შეძლეს ხელოვანთა და მეცნიერთა მოფერება და ერთი ლამაზი დღის კიდევ უფრო გამშვენებება, რის გამოც მათი სიყვარული და მადლიერება დაიმსახურეს.

და... ბოლოს, აკადემიის პრეზიდენტმა, ქალბატონმა გულნაზი ხარაიშვილმა შეაჯამა შემოქმედებითი საღამო, აკადემიის მუშაობა, და გამოთქვა ხელოვანთა და საზოგადოების სხვადასხვა ფენათა ურთიერთობებისა და მათი დამეგობრებისათვის მზადყოფნა. მომავალში, თბილისელ და რუსთაველ შემოქმედთა ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმა, და რაც მთავარია მათი მოსწავლე ახალგაზრდობასთან ურთიერთობა, ხომ ერის სიყვარულისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ჩვენი ბრძენი და კაცთმოყვარე პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მიერ დალოცვილი ჟურნალი “ათინათი” მარტო სამეცნიერო კი არა, საყოველთაო სახალხო ჟურნალი რომ გახდეს, საზოგადოების ყველა ფენისათვის მისაღები და სასურველი უნდა იყოს და მასში მონაწილეობას ყველა მსურველი, ყველა ქართველი ლებულობდეს.

მეჩვიდმეტე საჯარო სკოლაში დაგეგმილი შემოქმედებითი საღამო, სწორედ რომ დასტური იყო პოეზიის, მეცნიერების, სილამაზის, მომავლის და მეგობრული ურთიერთობების სიყვარულისა.

## ნინო ტატიაშვილი

### გაკვივი და მისი ცნობისმოყვარეობა

გეგვიმ ღრმად ამოიოხრა და ყვავილები შავ მინაზე დაანყო, მერე მარმარილოს ქვაზე დახატულ სურათს შეხედა, ხელით განმინდა დედის სახე და ფრთხილად აკოცა. – რატომ კვდებიან, მამა, ადამიანები? – ჰკითხა დიტომ და საჩვენებელი თითით მინაზე ხატვა დაინყო.

- იმიტომ, რომ ასეთია ბუნების წესი.

- რატომ არის ბუნების წესი ყველასთვის სხვადასხვა? ზოგი რატომ კვდება ადრე, ზოგი გვიან? რატომ არის ბუნება მკაცრი იმისთვის, ვინც ძალიან პატარა კვდება?

- ეს მხოლოდ ღმერთმა იცის.

- რატომ იცის მარტო ღმერთმა?

- რადგან მასზე ბრძენი არავინაა.

- ადამიანებს რატომ არ უნდათ ხოლმე სიკვდილი?

- იმიტომ, რომ ეშინიათ, იმიტომ, რომ სიკვდილი ცუდია.

- რატომ ეშინიათ, რატომაა სიკვდილი ცუდი?

- იმიტომ, რომ მათ ღრმად არ სწამთ ღმერთის.

- ვინც თავს იკლავს, მათ ღრმად სწამთ ღმერთის?

- ისინი ეწინააღმდეგებიან ამით ღმერთის ნებას.

- ბებია რომ ტკივილებისგან იტანჯებოდა და უხაროდა სიკვდილი, მას სწამდა ღმერთი?

- დიტო, ნუ დამალე ამდენი კითხვებით.

პატარა ბიჭს ეწყინა მამის შენიშვნა, თავი ჩაღუნა, ფეხზე წამოდგა. მამამ შვილის შემორიგება სცადა და მზრუნველი ხმით ჰკითხა, - დიტო, რა დახატე მინაზე?

ბიჭს ხმა არ ამოუღია, მამა კიდევ გაუმეორა კითხვა. – ეს სიკვდილია და ანიშნა დაჯღანული კაცის მსგავს არსებაზე, რომელიც მოდის, რათა წაიყვანოს ეს ადამიანი, ეს ადამიანი კიდევ, ხედავ, რო სიკვდილზე დაჯღანულია. იმიტომაა დაჯღანული, რომ თავისმართულმა და მტკივნეულმა ცხოვრებამ დაჯღანა და ხედავ, რომ იცინის, მას არ ეშინია სიკვდილის, რადგან ეს ადამიანი სიკვდილზე დაჯღანულია.

- დიტო, ამ ადამიანს რატომ აქვს შუაში ხაზი გასმული?

- ეს ხაზი ზღვარია, ტკივილისა და ტანჯვის ზღვარი, სადაც მივიდა ეს ადამიანი და იცის, რომ თუ სიკვდილი უფრო მტკივნეულია, მას ვეღარ იგრძნობს, რადგან ადამიანმა ზღვარს მიაღწია და იმ ზღვარის მეტს ვერაფერს იგრძნობს, რადგან ის უკვე უგრძნობი გახდება.

- საინტერესოა... – ჩაილაპარაკა მამამ თავისთვის და ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა.

- ნავიდეუთ, დიტო, გაბრიელი ბალიდან გვყავს გამოსაყვანი. – მანქანაში ჩასხდნენ – ძალიან ბევრს ფიქრობს 11 წლის ბიჭი. არც კი ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, ან დავუშალო, თუ...

- მამა! წითელი ანთია! – იყვირა დიტომ, კაცი გამოერკვა ფიქრებიდან და გააჩერა მანქანა.

29 მაისი 2013 წელი

### ერთი ფინჯანი ყავა და მთელი ცხოვრება

ყავა მოიშადა და მაგიდასთან დაჯდა. ეს იყო ნინო. ყავა დაყნოსა და ისე ღრმად შეისრუტა მისი სურნელი, როგორც დამწყებმა ნარკომანმა კოკაინი. რა საოცარი ცხოვრება, გაიფიქრა და თავი ზევით ასწია, კიდევ დაყნოსა ყავა და მიაჩერდა ფინჯანს, საიდანაც გამჭვირვალე ორთქლი მოიკლავებოდა. მერე უტეებ ხელი დაავლო ფინჯანს და მოსვა ყავა, ეგემრიელა, კიდევ მოსვა, კიდევ... თითქმის ნახევარი დალია და შეჩერდა: როდესაც ძალიან გემრიელია, ისე სწაფად სვამ, რომ ვეღარ ასწრებ გააზრებას, რომ თითოეული ყლუპი ძალიან გემრიელია. რადგან კარგია, ამიტომ სვამ სწრაფად, რომ მალე იგემო ისევ კარგი, ისე მალე, ამასობაში ვეღარ ასწრებ გააზრებას, რომ კარგია; კიდევ მალე და, აი, უკვე ძირამდე დალიე. ახლა ფიქრობ რომ მალე დაგიღვევია, ცოტადაა დარჩენილი და გრძნობ, რომ ის არ გეყოფა. უკვე გული გწყდება, რომ მეტი ყავა აღარ გაქვს, უნდა დასჯერდე იმ სამ ყლუპს, რომელიც ფინჯანშია დარჩენილი, მაგრამ იცი, რომ ის სამი ყლუპი შენ არ გეყოფა, კიდევ გინდა მიიღო ტკობა გემრიელი ყავის სმით, მაგრამ მეტი აღარ არის, უკანასკნელ სამ ყლუპს ნელა, ტკობით სვამ, თან მწარე სინანულს ატან ალპენ გოლდის შოკოლადივით. რა იქნებოდა, რომ ნელა დამელია და მთლიანად მიმეღო ის სიამოვნება, რომელიც ერთი ფინჯანი ყავისთვის იყო განკუთვნილი! აი, მეორე ყლუპიც დალიე და, აი, მესამეც – ყავა აღარ არის! ცარიელი ფინჯანი დაუკმაყოფილებელი გრძნობაა და სინანული. ვერ ვისწავლეთ ცხოვრება ადამიანებმა, თავი გააქნია ნინომ და ცარიელი ფინჯანი საჩვენებელი თითით მარცხნივ გასწია.



უძლეაი შვილის (ზღაპარი)



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ძალიან ლამაზი სოფელი – „ნალკოტი“ – ყველაფერი ყვაოდა ამ სოფელში, ერთი მარცვალი რომ გადაგეგდო ამ ყმისმიერ მიწაზე, ერთი ათად აღმოცენდებოდა.

ამ სოფელში ცხოვრობდა ლამაზი ოჯახი. მშობლები და სამი შვილი. უფროსი შვილი მაკრინე, ვაჟი სოლომონი და უმცროსი შვილი, თეკლა. დაიზარდნენ შვილები, ბავშვობა გალალეული ჰქონდათ. გოგოები დათხოვდნენ, ვაჟი დაქორწინდა. მშობლებმა შეძლებისდაგვარად გაამზიოთვა გოგოები.. ბიჭსაც ცალკე სახლ-კარი მისცა და გოგოსავით გამზიოთვა. ყველაზე უფრო დაიჩაგრა უფროსი შვილი, მაკრინე – ის ქმრის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად. მშობლებმა მაკრინეს მზითვი მისცეს, სახლს მიუშენეს ოთახები, გაულამაზეს ცხოვრება, დანყნარდა დედა, იგი მართლაც და გადამკვდარი იყო შვილებზე.

მაკრინეს სახლში (ქმრის ოჯახში) დახვდა დედამთილი, განათლებული, გალალეული, ნებიერა დარეჯანი. იმდენი იშრომა დედამთილმა რძლის მოსარჯულებლად, რომ ის აქცია „უძლებ შვილად“ გაბოროტდა, უხასიათო გახდა, დედის უფროსი ქალიშვილი. გამოცხადდა ომი მშობელ დედის მიმართ.

ომი დასრულდა იმით, რომ დედამ დათმო თავის სახლი და გადაულოცა „ურძლებ შვილს“, შვილმა ეს ლამაზი სახლი ჩაკეტა და გაემგზავრა თავის დედამთილ, დარეჯანთან, გახარებული, გალალეული, თავანუელი ამაყად და ყველაზე მთავარი, ყელს უმშვენებდა ნითელ ბაბთაზე ჩამოკიდებული გასაღები – გამარჯვების სიმბოლო.

დედა დარჩა ღია ცის ქვეშ, დაუმშვიდდა სული, რომ ყველა შვილი ყავდა დაბინავებული და გახარებული, მეტი რა უნდა მშობელს – მხოლოდ შვილების კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება.

შვილები კი მაღლიერები უნდა იყვნენ მშობლების.

დედამ იარა-იარა, ცხრა მთა გადაიარა და შემოხვდა მტრედების გუნდი. ეს ის მტედებია, რომლებსაც დედა აპურებდა წლების განმავლობაში ყოველდღე. ნაიყვანეს მტრედებმა დედა და რა ხდება? ხდება სასწაული – უზარმაზარი ვაშლის ხე – ნითელ-ნითელი ვაშლებით. ეს ნატვრის ხე იყო. ჯადოსნური ხე – ულამაზესი კიბით და ზედ ამ ხეზე გაკეთებული იყო უზარმაზარი ბუდე – ეს იყო ბუდე სასახლე, დედას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ცრემლები სცვიოდა.



ხედავ, ჩემო ძვირფასო მკითხველო? – სიკეთე არ იკარგება. განსაცდელის ჟამს უფალი არ მიგვატოვებს, ყოველთვის დაგვეხმარება. ღმერთი სულ ჩვენთან არის – მორჩილები უნდა ვიყოთ. უფალი ჩვენს შესაძლებლობებზე მეტად არ გვცდის და იმ განსაცდელს გვარგუნებს, რისი გადატანაც შეგვიძლია. მთავარია სიკეთე ვთესოთ, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, პატივი ვცეთ ჩვენს მშობლებს. ასე დასრულდა ზღაპარი „უძლებ შვილზე“ – დედა შვილს იმ ბუდესაც მისცემს თუ დაჭირდა და, სიცოცხლესაც – ძილი ნებისა, ჩემო პატარა ანგელოზებო.





გარი ჩაფიძე:

**“ იყო წარმატებული, არ არის პრივილეგია, ეს პასუხისმგებლობაა! ”**

გარი ჩაფიძე- საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი. ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი. უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, სხვადასხვა დროს მსახურობდა სანკ- პეტერბურგში, ჩელიაბინსკში, კიევში, შემდეგ კი- საქართველოში, საპასუხისმგებლო და ნომენკლატურულ თანამდებობებზე. ამჟამად არის ყურნალისტა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია “ქალდეა“-ს აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის საკადრო პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, “ფაზისი“-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ჯუშუბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. ასევე არის საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ “ჩირარდანი“-ს მთავარი რედაქტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარე, უკრაინის საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის ქ.რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი. ავტორია 100-მდე მხატვრული ლიტერატურული ნიგნისა და 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც თარგმნილი და გამოცემულია მრავალ ენაზე. არის უკრაინულ- ქართული ლექსიკონის სამტომეულის პირველი შემდგენელი, პოლონურ-ქართული ლექსიკონის, ქართულ-ბელორუსული სასაუბროს, უნგრულ-ქართული ლექსიკონისა და რუმინულ-ქართული ლექსიკონის პირველი ავტორი, რომელმაც დემდე მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნიათ. მისი კვლევის სფეროებია: პედაგოგიკა და პედაგოგიკის ისტორია, მოზარდთა ფსიქოლოგია და ფილოსოფიური აზროვნება, პოლიტოლოგია და სამყაროს გარდაქმნის ახალი მოდელები, პოლიტიკა და პიროვნება, პლემბიცისტიკა და პოლიტიკური თეორიები, მედიცინა და ბიოეთიკა, კულტურა და აზროვნება, ყურნალისტიკა და პიარი, ადამიანთმცოდნეობა და პერსონალთა მართვა, პოლიტიკური ფილოსოფია და კატაკლიზმები XXI საუკუნეში. მიღებული აქვს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა ჯილდოები, მათ შორის: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაქტიონ ტაბიძის, დავით გურამიშვილის სახელობის მედლები და პრემიები, „საქართველოს-უკრაინის მეგობრობის“, „საერთაშორისო

**ინტერვიუ სპეციალურად ყურნალ „ათინათისათვის“ მოამზადა გულნაზ ხარიაშვილმა**

მეცნიერული მიღწევებისათვის“, „საერთაშორისო მეცნიერული დამსახურებისათვის“-მედლები. არის ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოს -იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორგზის მედალოსანი; ასევე არის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ოქროს ჯვრის ორდენის, „განათლების განვითარებისათვის“ ოქროს ორდენის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ოქროს ორდენის, „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენის, მსოფლიო მეცნიერების ფუძემდებლის, პლატონის ოქროს ორდენისა და ლირსების ორდენის კავალერი.

**- ბატონო გარი, საკმარისია ადამიანმა ჩაიკითხოს თქვენი დოსიე და უმაღლეს დაებადება კითხვა, როგორ ასწრებთ ამდენს?**

- სრულიად უბრალოდ, ეს ყველაფერი ჩემეულია, ჩემი სულიდან მოდის, ამიტომაც არასოდეს დამბადებია აზრი რომელიმე საქმის უკუგდებისა, ისე კი, რაც უფრო მეტად არის ადამიანი დატვირთული, მით უფრო მეტს ასწრებს...

**- სხვა უთვალავ მიღწევებთან ერთად თქვენი სამეცნიერო შემოქმედებითი მიმართულებაა რუსთავის აკადემიური ქალაქი, თუმცა ფილიალები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გაქვთ...**

- დიახ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებენ თბილისში, ქობულეთში, ოზურგეთში, ქუთაისში, ჭიათურაში,

ხესტაფონში, ამბროლაურში, გორში, ხაშურში, დუშეთში, გარდაბანში, ახალციხეში, საგარეჯოში, გურჯაანში, ყვარელში, ლაგოდეხში, თელავში, ახმეტაში... ხოლო რუსთავში აკადემიური ქალაქი ავაშენეთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, აქ რამოდენიმე კორპუსში განთავსებული სკოლა, ხელოვნების ცენტრი, კოლეჯი, სასწავლო ცენტრები, აფთიაქი, მასაჟის კაბინეტი, სილამაზის სალონი, კაფე-ბარი, დეტექტივის სამსახური, იურიდიული კლინიკა, მიზანში სროლის სპორტული კლუბი, აკადემბანკი, თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი, სტამბა, რედაქცია... მიღებული გვაქვს „ ჩ “-ის ხარისხის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო-აკრედიტაცია!

**- საბავშვო ბაღი?**

- თვითმფრინავში, მსოფლიოში პირველად ჩვენი აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე, რუსთავში, ფუნქციონირება დაიწყო საბავშვო ბაღმა -თვითმფრინავ „იაკ“-40-ის სალონში, რომლის შესახებაც დღეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ორმოცდახუთ მილიონზე მეტი ადამიანი აფიქსირებს თავის დადებით ემოციებს. აკადემიურ ქალაქში ასევე გვაქვს უკრაინის



უნივერსიტეტის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის პროგრამებით, ანუ აქ განათლების ყველა საფეხურია საბავშვო ბაღიდან დანწყებული - დოქტურანტურით დამთავრებული, დიახ, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს აკადემიურ ქალაქში ორი წლის ასაკში საბავშვო ბაღში შემოსულ ახალგაზრდას შეუძლია ეს მართლაც და თვალწარმტაცი ტერიტორია დასტოვოს 25- წლის ასაკში, უკვე მეცნიერებათა დოქტორმა!

**- არაფერი გითქვამთ აკადემტელევიზიის შესახებ...**

- ეს ცალკე თემაა, მისი პროპაგანდა კი თითოეული ჩვენთაგანის ღირსების საკითხი, სულ მალე იგი ერთ-ერთი საინტერესო და მიმზიდველი ინტერნეტ სივრცე გახდება ყველა ასაკის ადამიანისათვის, ამ მიმართულებით უკვე შედგენილი გვაქვს სამუშაო გეგმათა სპეციალური ნუსხა...

**- პესრსპექტივები?**

- მალე გაიხსნება ქართული ეროვნული სუვენირების სანარმო, რომელთა რეალიზაციის რეალური ბაზა უკვე შექმნილია უკრაინაში, მოლდავეთში, ბელორუსიაში, უნგრეთში და პოლონეთში. ამუშავდება „აკადემფარმი“ და „აკადემფლორა“.

**- თქვენ, ერთ-ერთმა პირველმა შეძლით საქართველოში შეგექმნათ სტუდენტთა სპეციალური ფორმა და ყველა სტუდენტი შეგემოსათ უნიფორმით...**

- დიახ! მაგრამ როგორც არ უნდა გაუკვირდეს მავანს, ეს ჩვენი ნოვაციების მხოლოდ დასაწყისია...

**- როგორც ვიცი თქვენთან მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დღის ცენტრიც ფუნქციონირებს ...**

- ძალზე წარმატებითაც, რამეთუ მას სათავეში უდგას პოლონური მხარის წარმომადგენელი ქალბატონი ქეთევან ტრიპოლსკი, რომლის სახელთანაც საქართველოში უამრავი სასიკეთო წამოწყებაა დაკავშირებული...

**- საქართველოს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეც ბრძანდებით...**

- ეს პედაგოგთა უზარმაზარი არმიაა, იგი იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა და არავის მიეცემთ უფლებას ამ უდიდესმა პიროვნებამ ჩრდილში გადაი-

ნაცვლოს,

**- ისე დარწმუნებული ვარ, თქვენც ამაყობთ გოგებაშვილის მედალოსანი რომ ხართ!**

- რასაკვირველია, ეს ჩემთვის უდიდესი მონაპოვარია! და აქვე მინდა გაზეთ „ჩირალდანი“-ის შესახებაც გკითხოთ...

- საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთი „ჩირალდანი“ მალე თავისი განახლების ოცი წლის იუბილეს იზეიმებს. მომდებნო სასწავლო წლიდან მისი ტირაჟი ორმოცდაათათასზე მეტი იქნება, ფერადი, ილუსტრირებული რვაგვერდიანი გაზეთი, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას ნიჭის მეტად განვითარების საშუალებას მისცემს...

**- უამრავი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ბრძანდებით, ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით და ამიტომ თქვენი წარმატებების აღარ მიკვირს, მე ვიცი ის, რაც საკუთარი თვალთა მინახავს: - თქვენი უძილო ღამეები, დანწყებული საქმისადმი უღალატობა, არც თქვენ ისვენებდით და სხვებსაც არ გვაძლევდით მოდუნების უფლებას, მე ვამაყობ, იმ, თქვენთან გატარებული წლებით... ახლახანს წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ოქროს ჯვრის ორდენის კავალერი გახდით...**

- ეს ორდენი და აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე აშენებული ეკლესია ჩემი ცხოვრების ოქროს ფურცელია...

**- ორი კვირის წინ უკრაინის პეზიდენტის აპარატმა „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდება მოგანიჭათ და ოქროს ვარსკვლავის ორდენი გამოგცათ...**

- საზოგადოება, ჯეროვნად აფასებს ჩემს შრომას, შრომა, რომელიც ჯარისკაცის საქმიანობის ტოლფასია. დაბრკოლებებს ებრძვის... სანგრადან ამოსული, მეორე სანგრამდე მისასვლელად, მხოლოდ წინ მიიწევის და უკან მოსახედი წამიც არა- აქვს, განვლილ გზებს კი საზოგადოება, ხალხი, ხელმძღვანელობა აკვირდება, ამიტომაც უკეთ ხედავენ ნახალისების მოტივს, რომელიც მხოლოდ წარმატებულთა ხვედრია! - თუმცა იყო წარმატებული, არ არის პრივილეგია, ეს პასუხისმგებლობა!



სამლოცველო



თვითმფრინავი ბალის ბავშვებისათვის



გარი ჩაფიძის მიერ აშენებული ახალი რუსთავ ქალაქი

# ფიქრები



**ტერენტი ბრანელის დღიურიდან**

## 6 თებერვალი

ორშაბათი უფრო აღმართია; ადრე ვდგები, მზიანი დღეა, შევდივარ კათოლიკების საყდარში, ვუსმენ ფისგარმონიას და ჩემს წინ იხსნება უსფკრული, საიდანაც მოსჩანს მარადისობის შავი ყვავილები. თავდება წირვა. გავდივარ ქუჩაში, ვხვდები ჩემს მეგობარს... ვსაუბრობთ თოვლზე, გრძელ ღამეებზე, შორეულ ქალზე.

## 9 თებერვალი

დილა არის, ნელა მივდივარ საბურთალოსკენ, და გზაზე დაფრინავენ ყვავები; მზე ოდნავ მოსჩანს ღრუბლებიდან. თბილისი წევს, როგორც მორიელი. იქიდან ვბრუნდები, შევდივარ ამერიკულ სასადილოში, ვხვდები მეგობარ აკაკი ანდრიაშვილს; ვსაუბრობთ დროგამოშვებით, უფრო დუმილია ჩვენს შორის და გაგება. უკვე დაღამდა, ახლა სადღაც მატარებელი შორდება სადგურს, ვიღაც დაღონებული ადამიანი დარჩა. კივის ორთქლმავალი, ახლა სადღაც შორს კრთიან უზრუნველი ქალები. მე ვზივარ პატარა ოთახში, მივჩერებივარ გარინდებულ კედელს. ვიღიმები და ვამაყობ: ტერენტი გრანელი.

## 11 თებერვალი

მზიანი შაბათის თბილი დღეა, თითქოს გაზაფხულია. დავდივარ ალექსანდროვის ბაღში და ვფიქრობ. თოვლი დნება გზებზე. სულ მინდა ვიარო, სანამ არ დავიღლები და სანამ არ დავეცემი. გაზაფხულია. მხოლოდ არ ჩანან ფოთლები. ბაღში შემოდის გერონტი ქიქოძე და ხარიტონ ვარდოშვილი. მე და გერონტი ქიქოძე ვსაუბრობთ ლირიკაზე და განვლილ დღეებზე. ქუჩიდან მოგვესმა მუსიკის სამგლოვიარო ჰიმნი. ეს დღე სიზმარივით მდის. დაღამდა, მე ვბრუნდები ოთახში. გავიარე მადათოვი. მტკვარი ღამიდან ნისლივით მოსჩანს. ცაზე ვარსკვლავები ანათებენ, მთვარე დამალულია, ღამეა და მინდა გათენებამდე ვიარო...

## 13 თებერვალი

გაქრა დღევანდელი ორშაბათი. მე მთელი დღე ვწუხდი; დაღამდა, დავტოვე სალამოს კვამლიანი ქუჩები, ახლა ოთახში ვზივარ და შორიდან მესმის ტრამვაის ძახილი. ახლა ვიგორებ ნინო გარსიაშვილს, იმ ქლექიან ქალს, რომელსაც თანდათან უახლოვდება სიკვდილის საშინელი ლანდი. თანაც ვიგონებ იმ

მზიანს და უზრუნველ დღეს, როდესაც მე პირველად მივდიოდი კახეთში.

ახლა ღამეა და მე არ ვიცი, რა ვქნა, მინდა ისევ ხეტიალი, მაგრამ არ შემიძლია, უკვე დაღლილი ვარ, საშინლად დაღლილი.

## 14 თებერვალი

სალამოს, დაბრუნებისას ვნახე, ცაზე დაფრინავდნენ უამრავი ყვავები. თითქოს გაზაფხულის საღამოა. შევდივართ ოთახში, აქ სიჩუმეა; არ ვიცი, საიდან ისმის შორიან როიალის დატეხილი ხმები. მგონია უკრავენ „თავო ჩემოს“. ახლა ვიგონებ ქალს, რომელიც ერთხელ ნახვის შემდეგ დაიკარგა. და დარჩა ლანდი შორეულ მოგონების.

ღამეა, მწყურია ძილი და მოსვენება...

## 15 თებერვალი

დილიდან ღრუბლიანია ზეცა, მივდივარ ხელოვანთა სასახლეში, ვესაუბრები ვარლამ რუხაძეს რაღაც უხილაზე.

გადის დრო. ქუჩაში ვხვდები ნიკო მაკალათიას, ჩემს ძვირფას მეგობარს. იგი მიჩრევს, მოვშორდე თბილისს დროებით.

ცაზე ისევ ღრუბელია და სუფებს უიმედობა.

ვერევი ხალხში, ვიღაც მიცქერის დაჟინებით, მიცნობს ყველა. ავდივარ კოჭორის მთაზე. ზევიდან დავცქერი მთელ თბილისს და მიხარია. გარშემო დუმილია და უამინდობა; ვხვდები კლდეზე, ვხედავ ბოტანიკურ ბაღს. მიდის პატარა ღელე და მახლობლად დგანან კვიპაროსები.

სალამოს დაინყო წვიმა, მე დავსველდი. ახლაც წვიმს და ქარია...

## 18 თებერვალი

გათენდა დღე შაბათის, ისევ ყინავს; მე ადრე გავემგზავრე მამადავითისაკენ, შევედი ეკლესიაში და ჩუმად წარმოვსთქვი „ღმერთო! მიშველე და შემენიე“. შემდეგ დავრეკე ზარები. შემხვდა ვიღაც ღამაში ქალი და გამომეცნაურა. ვნახე აკაკის და ილიას საფლავი. ხანგრძლივი მწუხარების შემდეგ ისევ დავეშვი დაბლა და დიდხანს დავდიოდი ნიკოლოზის სასაფლაოზე.

შორიდან მიმზერდა ოთხი ადამიანი და მე ვფიქრობდი ცისფერ სიშორეზე.

## 19 თებერვალი

დილიდან ცა ფარავდა შავი ღრუბლები. ცხრა საათზე ცა გაიწმინდა ღრუბლებისაგან. დადგა მზიანი დღე, ოდნავ ქრის ქარი; მე წავედი ორთაჭალის ბაღში, ახლოს დავინახე ის ციხე, სადაც მე ვიყავი დამწყვდეული. მიხარია, რომ თავისუფალი ვუმზერ სატუსალოს. ვზივარ ერთ პატარა ჯირკვზე და ვწერ ლექსს.

ირგვლივ ბალი არის, აგრეთვე ყანა, დგანან ჩალის ღერები და კვიპაროსები.

ამ ეზოში არის ბავშვთა სახლი, ჩემთან მოდიან თეთრად შემოსილი მოსამსახურე ქალები, მთხოვენ ლექსს, მე უარს ვეუბნები. მესმის როიალის ხმა და ვგრძნობ საშინელ სინანულს.

შორს დაფრინავენ ყვავები. იქიდან ავდივარ ავლაბარში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე და ვკითხულობ წარწერებს. აგერ მარხია ვიღაც ამილახვარი.

ვბრუნდები სალამოს და შევდივარ ანიკო ღვინიაშვილთან. ვსაუბრობ საკუთარ თავზე და ღამდება.

რეზო ადამია

ნორმანდიული დღიურები

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

1998 წ. 7 აგვისტო. ნორმანდია. ქ. პორტაბაილი.

ნორმანდიაში, ივნის-ივლისის ამინდის ჭირვეულობის შემდგომ, მგონი დაინყო ნამდვილი ზაფხული და დღეს მშვენიერი ამინდია. ნუხელ ჩემიანებთან ვხუმრობდი, ოკეანეს ძილი მოერია ღრმად, რადგან არც ქარია და ნიავი, მხოლოდ მისი გატრუნვაა, ფარული უცნაური მოქმედება და უსასრულო წყლოვანი სუნთქვა-მეთქი. ელენა (ჩემი პატრონი) მეუბნება, საქართველოში რომ ჩახვალ, ალბათ რომანსაც დანერ, ისეთ ლამაზ შედარებებს აკეთებ და გამოთქვამო. მე არ ვიცი, რეზო, ქართულად რას წერ დღიურში, მაგრამ ვგრძნობ, საინტერესო იქნება ნაღდადო. – კი, ელენა ივანოვნა, – ვეუბნები, – დღიურებში, გეფიცები ყველაფერს, თქვენი ფაშისტობის თაობაზე არაფერს არ ვიხსენიებ-მეთქი. ელენას ოღონდ კომუნისტი არ უნოდო და სხვა ყველაფერზე თანახმაა. ხოლო ვლადიმერ ანატოლიჩი (ქმარია თუ საყვარელი) პირიქით აზროვნებს, – კომუნისტების საყვედური არ გამაგონოთო. ასეა მათი ცხოვრება ღვთის განგებით გადანაწილებული. ვლადიმერი ისევ მოსკოვში გაფრინდა საფრანგეთის ინტერპოლის პრეზიდენტთან ერთად (თავად მრჩეველი გახლავთ მთავარი შეფისა), რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა შეხვდნენ. ორშაბათს ჩამოვა და იქნება მოწოდებითი ძახილი: – დავლიოთ, რეზო! საქართველოს გაუმარჯოს! ჯულაშვილს გაუმარჯოს! – ჩვენი ვალოდიას ფიქრნი და მსჯელობანი ხშირად აგრე წარიმართებიან ხოლმე. ვლადიმერ ანატოლიჩი თავის დროზე ბრეჟნევის დაცვის უფროსი იყო, ასევე კოსიგინისა; მათთან გადაღებული ფოტოებით მოფენილია მისი პარიზის ბინის სამი ოთახის კედლები. ასე რომ, ყოფილი საბჭოთა გენერალი ვლადიმერი ისევ უტეხი კომუნისტია.

სალამომდე მე და ანდრეი, ჩემი პატრონის უფროსი ვაჟი (უპატიოსნესი და ნიჭიერი, მამით გერმანელი გახლავთ. ანდრეის ბაბუა მხატვარი ყოფილა და მისი სურათი ლუვრშია მუდმივ გამოფენაზე ექსპონირებული; უმცროსი გოგოა – სოფო) სხვადასხვა საქმეებს ვაგვარებდით. ოკეანის სანაპირო მეზობელ ქალაქ კარტერეში წავედით საგამოფენო გალერეის თობაზე და მოსაწვევების დასაბუჭდად. ელენა და ქალაქის მერი გამოფენას აწყობენ პორტაბაის მერიის დარბაზში. ჩემი სურათები და რუსული ფაიფური „გჟელი“ უნდა გამოიფინოს. სალამოს რვა საათზე, როცა ოკეანე მოქცევით ნამოვიდა, გავედი პორტაბაის უძველეს, XII ს.-ის ხიდთან და პატარა ფერწერული ეტიუდი დავხატე, ნათელ ფერებში. ჩემს ფრანგ პორტაბაიელ მხატვარ მეგობრებს, ცოლ-ქმარს ნიკოლოს და ბერნარს, ძალიან მოეწონათ, ნაღდი პროფესიონალიაო, იძახდნენ. ორთავე თვითნასწავლი მხატვარია და ხშირად ჩემს გვერდით დადგებიან და ხატავენ... მერე ანდრეი მოვიდა და მითხრა, სუფრას ვუსხდებით და დავუჩქაროთო. რატომღაც ელენამ დღეს სიყვარულით აიწყვიტა და თავის დამსვენებელ მდგმურებთან ერთად ღამის ორ საათამდე ვიქეიფეთ. თანაც, ხვალ ესპანელი მხატვარი დომალასი და მე შორს გავდივართ პეიზაჟზე სამუშაოდ.

ამ ბოლო დროს ძალიან დატვირთული დღეები მაქვს. თხუთმეტიდან პარიზში წასასვლელი ვარ და იქ



სრულიად სხვა პრობლემები და საქმეებია მოსაგვარებელი. მერმე ჩემს დალოცვილ ქვეყანაში, საქართველოში მივფრინავ ორ სექტემბერს.

8 აგვისტო, 1998 წ. ნორმანდია. ქ. პორტაბაი

ისევ შესანიშნავი ამინდია. დომალასი ათ საათზე მოვა და გავალთ მოტივზე. დღეს ერთ-ერთი საინტერესო დღეა და განსხვავებული. დომალასი გახლავთ საფრანგეთში ალიარებული ფერმწერი, შესანიშნავი მხატვარი და პიროვნება. ახალგაზრდა, ულამაზესი მეუღლე ჰყავს, კეთილი და თბილი ადამიანია. დომალასი, როგორც მოგახსენეთ, წარმოშობით ესპანელია, გილენი – მისი მეუღლე – ნორმანდიელი ფრანგი.

დომალასი ზუსტად დანიშნულ დროზე მოვიდა თავისი მანქანით. სალონში ელაგა ყველაფერი: საკეცი მაგიდა, მოლბერტი, ტილოები და სხვადასხვა, მხატვრისთვის საჭირო ხელსაწყოები. ათის ნახევარზე სახლიდან უკვე გასულეები ვიყავით. გზაში ურთიერთობა ოდნავ გვიჭირდა, მაგრამ თითქმის ყველაფერს ვუგებდით ერთმანეთს, რადგან მხატვრის საერთო სულიერი სამყარო და ენა გვინყობდა ხელს. კარგ მოტივს რომ აღმოაჩენდა, კვილამდე ადიოდა, ისე მოსწონდა და განიცდიდა. მეც მხარი ავუბი, თუმცა ნუხანდელ ნაქეიფარს ცოტათი მოდუნებული მაქვს შეგრძნება და ემოცია. დომალასი მიმითითებდა მოტივებზე და მეც ჩემთვის ვაზუსტებდი, თუ როგორი სახლების სურათები მოსწონთ აქ. საბოლოოდ კი მთავარია, თუ როგორაა სურათი შესრულებული, მაგრამ მას მიმატებულ იმ კონსტრუქციასა და რელიეფს, რომელიც ნორმანდიის პეიზაჟისთვისაა დამახასიათებელი თავის ფერზე გამასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგი მოტივი თავისი უძველესი სახლებით, ეზო-ბაღებით, რომლებიც საოცრად თბილი ფერისაა, მთლიანობაში წარმოადგენენ ამ კუთხის შინაგან და გარეგან სახეს, რითაც იქმნება ნორმანდიის ლანდშაფტის კოლორიტი.

საფრანგეთის ატომურ სადგურს ჩავუარეთ. ამ საუკუნის ქალაქი-საოცრება, თავისი უნიკალური გალავნით. მავთულხლართების ყოველ მეტრში რაღაც მგრძნობიარე აპარატებია ჩადგმული. სამი ფენაა ლამაზად შეღებილი ეკლიანი მავთულისა, მაგრამ კოხტადაა მოწყობილი და ისეთი მჭიდროა, პატარა თავიცი ვერ გაივლის. ჭიანჭველა ვერ შევაო, რომ იტყვიან, იმ დონეზეა გაკეთებული. შიგნით კი რა ამბავია, ვინ იცის – რესტორნიდან სასტუმროდან დაწყებული ყველაფერია. რაღაც უშველებელი ფერად-ფერადი მილები ცამდეა აზიდული. ხოლო ორი იმდენი ამ ქალაქისა მინის ქვეშაა თურმე.

ქალაქის ირგვლივ და ოკეანის სანაპიროს გასწვრივ ულამაზესი სოფლებია გორაკებზე განფენილი. და პატარ-პატარა გორაკები ადგილმდებარეობის უმშვენიერეს რელიეფს ქმნიან, განსაკუთრებით ოკეანის სანაპიროზე, ოკეანეში შემავალი უშველელი ლოდები (სკალები). ოდნავი სიღრმისეული მონითალო ფერისაა ან მომიხაკისფრო ნაცრისფერით, ზოგიც მუქი ლურჯი, მწვანეებით და ეს ქვის პატარ-პატარა კუნძულები უზარმაზარი წყლის აუზის ლურჯ და ზურმუხტის ფონზე ქმნიან ოკეანისეულ ფერთა გამას, თავისთავად – განწყობილებას.

მანქანით ბევრი რომ ვიარეთ, დომალას ვუთხარი, მგონი დროა, გავჩერდეთ და დავინყოთ სადმე მუშაობა, თუ არა, დრო მიფრინავს-მეთქი. – კი, რეზო, – მითხრა და ოკეანის ულამაზეს, ოდნავ ამალღებულ სანაპიროზე გავჩერდით. აქ საითკენაც არ მიიხედავ, ყველა მონაკვეთი ღვთისაგან გაჩენილია დასახატად. ჩვენც ხარბად და მწყურვალედ ყველაფერს ვუყურებთ და მხატვრულად აღვიქვამთ. მე უმალ ავირჩიე მუქი მწვანე (ზურმუხტისფერი) ხარბად უსასრულო წყლის მცირეტალღებიანი სივრცის მონაკვეთი დიდი კლდეებით. ოკეანის ახლო ნაპირას, წყალში, პატარ-პატარა და ზოგი მათგანი სიგრძივ განელილი ქვის კუნძულებია ჩალაგებული. ჩვენს ირგვლივ ქვიშიან მინაზე გამხმარი, შავი ფერის პატარა ხეებია ჩამწკრივებული, დაგრეხილი ტოტებით. – აი აქ ვდგები მე – მოვახსენე დომალას. – ისიც – ნოუ პრობლემ, – გვერდით დამიდგა და გააწყო თავისი სამუშაო სიტუაცია, მეც – ჩემი და დავინყეთ მუშაობა. ხუთი საათი, შარდზეც რომ არ გავსულვარ ისე, შეუსვენებლივ ვიმუშავე. დომალასი კეთილი ღიმილით ხან ლუდს მომანვდის, ზოგჯერ ღვინოს. მეც, რა თქმა უნდა, წამოდებული მქონდა ერთი ბოთლი წითელი ბორდოს ღვინო თავისი საუზმეულით. დომალასი ზოგჯერ ჩაჯდებოდა მანქანაში, ისვენებდა და სიგარეტს ეწეოდა, თან მეძახდა: – რეზო, ვუ ტაბლო სუპერ! – შენი სურათი სუპერიაო. ტურისტების ბევრი ჯგუფი მოდიოდა და ჩემზე ეკითხებოდნენ, სადაურია ეს მხატვარიო. დომალასიც უხსნიდა – საქართველოდანო. წელს პარიზში პერსონალური გამოფენა ჰქონდა, ამჟამად პორტბაიში ცხოვრობს და მუშაობსო. ხალხსაც მოსწონს ჩემი სურათი. ცოტა უხერხულობა იქმნება, უფრო დიდხანს ჩემთან რომ დგანან და: – თხეყო-ლი, თხეყო-ლი, – იძახიან. ღუკვე თვითონ დომალასმაც უმატა ჩემს გვერდით დგომას და – სუპერ, რეზო! – გაიძახის, თან პატარა ჭიქაში ისევ ჩამოასხამს ღვინოს და მანვდის. კი ბატონო, სურათი საინტერესო გამოვიდა, მაგრამ ჩემს წინ მდებარე ბუნებას რომ ვუყურებ, ვგიჟდები, ისეთი სიღრმისეული სილამაზეა. – აქაურ თავისებურ ფერთა გამას და კოლორიტს რომ მიაღწიო, დიდხანს და ბევრ სურათზე უნდა იმუშაო მხატვარმა, – დომალასს ვეუბნები. დომალასი იუმორის კაცია და მპასუხობს, თბილისის თვითმფრინავის ბილეთი დააბრუნე, ჩვენთან დარჩი და ვიმუშაოთ ერთადო, მერმე გამოფენა გავაკეთოთ სადმე დიდ ქალაქში, თუ გინდა შერბურგშიო. – ეს შეუძლებელია, დომალას, თუმცა რატომაც არა, – ვიძახი. მერე ფრანგის ქალს მოვიყვან და აენწყობა საქმე-მეთქი. დომალასი მორჩა მუშაობას და მანქანიდან მიმზერს. მეც მორიდებით ვეუბნები: – დომალას, ყველაზე მცირე ნახევარი საათი მჭირდება და მოვრჩები. – ნოუ პრობლემ, რეზო, თხავაი – იმუშავე, – მეუბნება. მერმე ტურისტებმაც უფრო იმატა. მეც ვგრძნობ, სურათზე კიდევ შეიძლება მუშაობა, მაგრამ ვშიშობ, ის კარგად დაჭერილი ნაღდი

განწყობილება არ შეიცვა-ლოს, რასაც დიდი შრომით მივალნიე. შემდეგ დამამთავრებელ ხაზებს და ლაქებს მოვუხშირე სურათზე და ჩემს მეგობარს მივაძახე: – ფინიშ, მოსიე დომალას! – ლე კოლ, რეზო! – დამიძახა.

ასე მოვრჩით დღევანდელ დაძაბულმუშაობას და დომალასი მანიშნებს, ან კი ჩვე უნდა სალამომდე ვიაროთ ტურისტებივითო! გზაზე ცოცხალ კადრებად მორბიან არნახული, ჩემთვის ულამაზესი ოკეანის სანაპიროები ნავებით, კატერბით და კატარლებით შემკობილი, ყოველივე სიყვარულით – დეტალურად დავათვალიერეთ. ბუნებრივი ფერებჩამჯდარი, მსუყე, ყოველგვარი ფერია აქ შეხამებული, ამრიგად, ოკეანის საოცარი ფერ-თა განწყობილება და გამაა ირგვლივ გაბატონებული და მთლიანი ულა-მაზესი სურათული ატმოსფეროა. სიმართლე და ფაქტი უნდა ითქვას, რომ ამ გარემოს მხატვრულ შექმნას მიქებენ ფრანგები ჩემ სურათებზე. როგორ ვნანობ, წლევანდელმა ცუდმა ამინდებმა რა ოქროს დრო წამართვა. თითქმის ნახევარზე მეტი მოტივებზე თავშესაფარზე გაქცევით ვიმუშავე. ხან წვიმა, ქარი, ან გამუდმებული სიცივეები იყო. ახლა თითქოს გამოანათა ქვეყანამ, სოფელმა და ქალაქმა, მაგრამ სანინალმდეგო პრობლემებიც გაჩნდა. საჩქაროდ გამოფენის მოწყობაა საჭიროო, ესაო და სტუმრები ჩამოდიანო. ვლადი-მერ ანატოლიჩის ძმა იურა რახმანიანი, აკადემიკოსი მედიცინის დარგში, ათ ავვისტოს ჩამოდის. შემდეგ გვეახლებიან ვილაც გენერლები ისევ მოსკოვიდან და აქ ჩემს შემოქმედებით შევიწროებასაც ექნება ადგილი. არ მანყოფს ეს ღრეობები და ფუქსავატური განცხრომები. მაგრამ მეორე საპირისპირო გარემოებაა. შესაძლებელია მათ არ მოსწონთ ჩემი სპარტანული ცხოვრება, რადგან პირადი შემოქმედებითი შინაარსი, დრო და მისია ხომ მთლიანად ეკუთვნის ჩემს მოკრძალებულ ფერწერას. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი ცხოვრებისა და თან მე არ შემწევს ძალა და უნარი ერთი დღითაც მისი შეცვლისა, უთუოდ ბოლომდის ამ ბედით უნდა ვიცხოვრო. ეს სიღარიბეში იქნება თუ ფსიქოლოგიურ დაძაბულობაში. საერთოდ მხატვრის ცხოვრება ხომ მრავალფერადოვანია თავისი შინაარსით. დრო ხან რას გვთავაზობს და ხან რას. დაუყოვნებელი ბრძოლა და ბრძოლაა საჭირო, ასევე არის ჩამყოლი უხეირო ელემენტებიც, რომ ჩაგიყოლიებს, მერმე გინვეს იქიდან ამოსვლა სხვადასხვა ურთულესი ხერხებით და მიდგომით.

შემდეგ დომალასმა ვაჟკაცური სიურპრიზი გამიკეთა და გამიყვანა ფრანსუა მილეს სოფელში. მილე, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მოელვარე ფიგურაა როგორც ფრანგულ, ისე მსოფლიო ფერწერაში. სოფელი რიველი, მილეს მშობლიური მხარე, დაახლოებით ერთი კილომეტრით იქნება დაშორებული ოკეანისგან. უმშვენიერესი და ძლიერი დასახლებაა. სოფელს აქვს თავისი მოედანი და ამ მოედნის ცენტრში მილეს დიდებული ბრინჯაოს ბიუსტია მაღალ კვარცხლბეკზე აღმართული, ირგვლივ ულამაზესი ყვავილების გაზონით. იქვე, ერთ-ერთი უზარმაზარი სახლის კედელზე, დიდი პანოა დაკომპლექტებული – მილე დგას ოკეანის სანაპიროზე და ხატავს. შესანიშნავი განწყობილება და გარემოა შექმნილი მხატვარ მილესადმი. მთელი ნორმანდია ამყოფს მილეს ნორმანდიელობით და სწორიც არიან, მილე ისეთი დიდი მხატვარია, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოსათვის გამორჩეულ ფიგურას. მან მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შექმნა კლასიკის ფერწერული შედეგები და სამუდამოდ დაიღო ბინა საერთაშორისო უნიკალური ხელოვნების საგანძურში (ლუვრი თუ ორსეის მუზეუმი და სხვა მრავალი).

გავდივართ სოფელ რიველიდან და ისევ მომხიბვლელი მოტივები. მერმე დომალასი მეუბნება: – ან კი წავიდეთ პორტბაიში! – მეც მომერია უძილობა და დალილობა. – წავიდეთ, დომალას, დღეს გვეყოფა...

პორტბაიში რომ ჩავედით, ჯერ სახლში მივიდეთ ჩემთანო, – დომალასი მეუბნება, – გილენს ვაჩვენოთ შენი სურათიო. მართლაც, თავის ეზოში დომალასმა კედელთან განალაგა ჩვენი სურათები. აქ რომელიღაც შორი ქალაქიდან სტუმარი, მხატვარი-აკვარელისტი ახალგაზრდა კაცი დაგვხვდა მშვენიერი მეუღლითურთ. ჩემი თავი გააცნეს, ქართველი მხატვარია, ჩვენი სტუმარიო, აი მისი ნამუშევარი-ცო. გილენს ნახატი ძალიან მოსწონს. აკვარელისტი მხატვარი იძახის: – სუპერ ტაბლო, მესიე! – ხელს მართმევს და მილოცავს. ქალბატონმა გილენმა ჩაილაპარაკა, ქართველმა როგორ დახატა ასეო. გაუკვირდა (ის ნახატი შემდეგ შერბურგელმა კოლექციონერმა შეიძინა). მერმე მასპინძლებმა გამოიტანეს ცივი სასმელები. ერთი ბოთლი ლუდი დავლიე და დომალასს ვეუბნები, – გთხოვ, გამიყვანე ჩემთან სახლში, თორემ უკვე მომერია დალილობა და უძილობა-მეთქი. მან მეუღლეს თადარიგი მისცა, რათა სალამოს გადმოვიპატიოთ რეზო, ანდრეი და ქალბატონი ელენაო. ახალგაჯობობ მხატვარს და მის მეუღლეს დავემშვიდობე. გილენმა მაკოცა – კარგი სურათის დახატვისთვისო – და სახლში მომიყვანა დომალასმა.

ქალბატონი ელენა პარიზში წასულა, რადგან ვალოდია მოფრინავს სალამოს მოსკოვიდან და აეროპორტში უნდა დახვდეს. დომალასს კატია (ანდრეის შეყვარებული, მოსკოველი გოგოა) გავაცანი და დაპატიჟა ორთავე – ცხრის ნახევარზე ჩემთან იყავითო. ჩემს ოთახ-სახელოსნოში გვარიანად დავისვენე და ცხრა საათისთვის სამივენი – კატია, ანდრეი და მე – დომალასთან ვართ. კატიამ და ანდრეიმ შებრანული ნახევარი ინდაური წამოიღეს. ღამის ორ საათამდე ვიქეიფეთ. დომალასს ხან თეთრი ღვინო გამოჰქონდა, ხან წითელი. იქვე ახლოს ცალკე მაგიდაზე კი კოლექცია ელაგა ვისკისა, რომისა, ტკბილი სასმელების, ასევე თავს იწონებდა მექსიკური არაყიც. კეთილი მასპინძელი ხან რას გვანვდიდა და ხან რას. ხამანკებიც გვახელით ბლომად, ძმრიან წყალში მოხარშული (ლოკოკინები). ოკეანის ნოტიოთი გაჟღენთილი სავსე მთვარე დაგვბრდღვიალებდა თავზე. მოსიე დომალასს ვეუბნები: – ჩვენი სუფრა ისეთი ღამაზი და მშვენიერია, აქ მჯდომი წევრებითურთ (ამჟამად ანდრეი გვიტარგმნის), რომ შესაძლებელია, მთვარე გადმოვიდეს თავისი ორბიტიდან და ჩვენთან, სუფრაზე, აი ამ ესპანურ – ვარდისფერ თეფშზე დაბრძანდეს-მეთქი! დომალასი იცინის: – შესაძლებელია ესეც მოხდეს, რეზოო. – მერმე, ძალიან ნასიამოვნებნი, ღამის ორ საათზე დავიშალენით.

### 9 აგვისტო, 1998 წ. ნორმანდია, ქ. პორტბაი

აგვისტოს დრევანდელი ამინდია თბილი, ნოტიო შეპარული – ოკეანის სურნელით გაჟღენთილი. ბოლოს და ბოლოს, ისევ ვიმეორებ, დადგა ცხელი ზაფხული საფრანგეთში – ნორმანდიაში. შუადღისას ტელევი-

ზიით გადმოუციათ, დღეს პარიზში 38 გრადუსი სიცხე ყოფილა. ეს უკვე მაღალი ტემპერატურაა პარიზისთვის. ატელიეში ვფუსფუსებ ჩემთვის და რამდენიმე ახალ სურათს სხვადასხვა ზომისა და ფერის ჩარჩოები გავუკეთე. თანაც გუშინდელი დაძაბული მუშაობით ისევ გადაღლილი ვარ, მერმე – შუალამდე სუფრასთან ჯდომა და ქეიფი ადვილი არ არის. ანდრეის ვუთხარი, ცოტას დავისვენებ და სალამოს შვიდ საათზე გამიყვანე ქალაქ კარტერეში-მეთქი (ანდრეის ბოლო გამოშვების თეთრი „მერსედესი“ ჰყავს). რატომღაც გუშინდელის შემდეგ და საერთოდ ამ დღეებში ჩამე-სახა ისეთი რწმენა, ხელშეწყობა და საკმაო ხატვის მასალები თუ მექნა, მართლაც გავაკეთებ ნორმანდიელებისათვის მოსაწონ პეიზაჟებს-მეთქი. რომელი ამოცანებიდან დაიხატება, ეს უკვე ავტორის შემოქმედებითი სამზარეულო და მისი მიზან-ფიქრების შედეგი იქნება.

ხვალიდან ჩემმა პატრონებმა გამოფენა უნდა მოაწყონ პორტბაის მერიის დარბაზში. – კი, გავაკეთოთ, – ვეუბნები, – მაგრამ ეს საქმე ასე არ კეთდება, ბატონებო! ჯერ აფიშა უნდა იყოს მზად, მოსანვევები და შემდეგ უნდა მოხდეს ოფიციალური გახსნა. არა! გამოფენით სურათები და გავყიდოთო. ეს ყოველივე არასწორი დამოკიდებულებაა შემოქმედი მხატვრის მიმართ. ხშირად ვეუბნები და ვარიგებ ჩემიანებს, რომ მხატვრის გამოფენის მოწყობას წინ უნდა უსწრებდეს რამდენიმე სპეციფიური პროცესი: აფიშა, მოსანვევები და ექსპოზიციისთვის მრავალმხრივი მზადყოფნა. საცოდავი ეს ჩემი სურათები, ჯერ ხომ გაუმშრალებია, არადა, მათგან რამდენიმე ცალი უნდათ ნაპრონიალონ გამოფენაზე ან სალონში. მართალია, გაყიდვით გაიყიდა ზოგი და მომავალშიც ასე მოხდება, მაგრამ სურათი მნიფე ატამი კი არაა – ჩაანყვე ჩემოდანში და გააქანე ბაზარში. მესმის, ფული საჭიროა ჟანგბადით; მაგრამ ამ სიტუაციაში აჩქარება არ ვარგა.

მე და ანდრეი სალამოს შვიდ საათზე გავედით ქალაქ კარტერეში (თხუთმეტი კილომეტრია ობიექტამდე), ისევ ოკეანის სანაპირო... ჩემი ნორმანდიული სურათებიდან დღევანდელი ნახატი ერთ-ერთი საინტერესოთაგანი გამომივიდა. სურათს რომ ვამთავრებდი, ჩემთან მობრძანდნენ ჰოლანდიელი შუახნის მხატვრები, ცოლ-ქმარი. შესაძლებლობის მიხედვით ვისაუბრეთ და მითხრეს, თქვენი სურათი კარგია, აბსტრაქტამდე მისული მოდერნიაო. რა თქმა უნდა, მესიამოვნა ამსტერდამელი მხატვრების შექება. ასეა თუ ისე, მე შინაგანად მწვავედ ვგრძობი, მეტი და მეტია გასაკეთებელი და დიდი გზაა გასავლელი, რათა მივალნიო აქაური პეიზაჟების სიღრმეს, ხასიათს, განწყობილებას და სახეს.

სალამოს გვიან დაბრუნდნენ ანდრეი, კატია, იულია, პარიზელი ულამაზესი ოქროსთმიანი გოგო და მისი უმცროსი ძმა, რვა წლის ილუშა (დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში ამათ არ ეზარებათ გასეირნება და განსაკუთრებით ოკეანის მიმოქცევის ყურება). ვილაში დღევანდელი სურათი საჩქაროდ ძველებურ ჩარჩოში ჩავსვი და მოუხდა. ბოლო ნახატმა, ჩემდა სასიხარულოდ, ყველას მოწონება დაიმსახურა...

## ვანიკო ჩარვაზია

## სოსუმის ზღვა სხვანაირია

ძალიან მაგარი წელია, ჯერ ჩემი და დაიბადა, ახლახან სსრკ დაიშალა. ამბობენ: თბილისში ომია, ქართველები ერთმანეთს ხოცავენო. ნეტავ მართალია? ან როგორია ომი? თბილისი როგორია? ჰგავს სოსუმს? მასწავლებელმა მითხრა, იქაც არის ზღვაო, მაგრამ მგონია, ასეთი ლამაზი ზღვა ვერ იქნება. სოსუმის ზღვა ხომ სხვანაირია, სხვანაირი ტალღებია, სუნიც კი სხვანაირი აქვს. მზის ჩასვლაც უცნაურია. აი, უკვე როცა უნდა ჩავარდეს წყალში, ბოლოჯერ მაგრად გაანათებს წითლად, გეგონება ბუღბუღმა სიკვდილის წინ ერთი მაგრად დაიჭიკჭიკაო.

დღეს დავამთავრე ნ.დუმბადის მოთხრობა “ჰელ-ლადოს”. მივხვდი, რომ ძმობა და მეგობრობა ყველაზე ძლიერი რამაა, რომლის საფუძველიც სიყვარულია. იმ წელს დავბადებულვარ, ბერძნები რომ დაბრუნდნენ “ელადაში”. მეც მყავს ბერძენი მეზობელი, მარტოხელა კაცია- თეოფილე მავრომატისი. კეთილი, კარგი მოხუცია, არავინ ჰყავს, მისიანები ყველა წავიდა საბერძნეთში. თვითონ ვერ შეეღია სოსუმს, ვიცი, ძალიან უყვარს. ყოველ დღით მიდის სანაპიროზე, დაჯდება პლაჟზე და უყურებს მზის ამოსვლას, საღამოს ჩასვლას, ასეა ყოველდღე. ლამაზი, მოვლილი, პატარა სახლ-კარი აქვს და ყვავილების გაყიდვით ირჩენს თავს. მთელი სოსუმი მის ყვავილებს ყიდულობს.

გაივსო სოსუმი ხალხით. რუსები, ქართველები, სომხები... ძალიან დაცხა. ბაბუა თეოფილეს მოვეხმარე ყვავილების მორწყვაში და მეც გავვრილდი. ჩემი და ცუდადაა, ექიმთან ჰყავთ ნაყვანილი. ნეტავ როდის მოვა? რა ჭირს? მომენატრა.

დღეს თეოფილემ თავის სახლში შემეყვანა. სოსუმის სურათები მანახა. ძველადაც რა ლამაზი ყოფილა. წიგნიც გამომატანა, მითხრა, წაიკითხე და შენს სოსუმზე ბევრს გაიგებო. სოსუმი ჩემია! სულ ჩემი იქნება!

მოვრჩი წიგნს. გამიძლიერდა სიყვარული. თითქოს გული ამეგსო თბილი სითხით. მინდა, სახლიდან გავიქცე. მოვირბინო ჩემი თეთრი ქალაქი, მერე ზღვაში შევცურო, რომლის თვალწინაც გავიზარდე. მიყვარს ზღვა, სოსუმის ზღვა სხვანაირია, სხვა ფერია, სულ სხვა სილამაზე აქვს და საერთოდ, ცალკე სამყაროა, უკიდევანო და თვალუწვდენელი.

ძლივს არ გიპოვე, დღიურო? მომენატრე. ომი დაინყო! არეულობა დაინყო, დღიურო! დღიურო, რამდენი რამე მაქვს მოსაყოლი შენთვის, საიდან დავინყო, არც კი ვიცი. თეოფილე მოკლეს! ვხედავდი, როგორ დააკლეს თავის ყვავილებზე კაზაკმა ჯარისკაცებმა. მინდოდა მეყვირა, მაგრამ მამამ გამაჩერა.

მამა “ქართველების” ჯარში წავიდა გუმინ. ბარგს რომ ვალაგებდით, მამის გიპოვე. მივდივართ დღიურო ამ ქალაქიდან! მაშორებენ ჩემს სოსუმს! ჩემს თეთრ ქალაქს! ჩემს ზღვას! სხვანაირ ზღვას....

სადღაც ბანაკში ვართ. გუმინ საღამოს დაბომბვა დაინყო, დახოცილი ხალხი ქუჩაში ეყარა. რომ გამოვრბოდით, გზაში ვილაც ახალგაზრდა მამაო შემოგვეფეთა, გარბოდა. მკითხა, ჰოსპიტალი საითააო. იქით, მაგრამ ბომბავენ მეთქი,- ვუპასუხე, გამიღიმა. საოცრად სათნო და რწმენით აღსავსე სახე ჰქონდა. ეგ სახე არ დამავიწყდება, ან რად მინდა მახსოვდეს, ალბათ აღარცაა ცოცხალი. აქ ქართველი დაჭრილები არიან. იცი რა ხდება? ზოგს ხელი არ აქვს, ზოგს ფეხი. თან მოჰყავთ და მოჰყავთ... მამაჩემის არაფერი ისმის. დედაც, ვიცი, ცუდადაა, მაგრამ არ იმჩნევს ჩემ გამო. ჩემი და სულ ტირის, ბომბების ხმის ეშინია. ამ ბომბებსაც ძალიან საშინელი ხმა აქვს. წუუუ... ეს წუილი ისმის კარგახანს და უცბად დიდი ხმაური და ზანზარი.

ღმერთო, რამდენი ხანია არ გამხსენებხარ... შენ ალბათ სულ გახსოვარ... სადაა მამაჩემი? რატომაა ომი? რა უნდა ვქნათ? მიპასუხე ღმერთო, შენ მაინც მიპასუხე, გთხოვ!...

მამაჩემი კიდევ არ ჩანს, არადა ერთი კვირა გავიდა. იცი მე რა მაგარი მამა მყავს? მთასავით კაცია, სულ წვერითაა და დიდი ადამიანის შეხედულება აქვს, თორემ ისე 33 წლისაა. ღმერთო, შენც 33 წლის არ იყავი ჯვარს რომ გაცვეს?! რამ მაფიქრებინა ეს?! არა! არა! მამაჩემი არ მოკვდება! იმიტომ არ მოკვდება, რომ როცა მიდიოდა, გულიდან წმ. გიორგის მედალიონი მოიხსნა და მომცა, მითხრა- ეს შემინახე, რომ ჩამოვალ და ყველაფერი დამთავრდება, თბილისში წავიდეთ და ეს მედალიონი კათალიკოსს გადავცეთო. ალბათ, ძალიან ძველი და ძვირფასია. არ მომატყუებს მამა! ჩამოვა! აუცილებლად ჩამოვა! ღმერთო, დაიფარე!

ახალ ბანაკში გადაგვიყვანეს. ფრონტიდან ისმის, წარმატებები გვაქვსო. მაგრამ არ მჯერა. თანდათან გვაშორებენ სოსუმს. ჩემს თეთრ ქალაქს.

მეორე კვირა დამთავრდა, რაც მამა არ მინახავს. ხან ვის ვეკითხები მის ამბავს, ხან ვის. არავის ახსენდება. ან რა უნდა გაახსენდეთ? თავიანთი გაჭირვება ეყოფათ. მომენატრა მამა. ჩემს დასა და დედაზე ვნერვიულობ. არ მინდა შევიმჩნიო, მაგრამ მეშინია! მამამ მითხრა, კაცი ხარ უკვე, ყველაფერს უნდა გაუძლოო.

1989 წელი



**ელენე ფუტკარაძე****ფიქრები.....ღარღიანსინარულიანი.....**

.....მიხარია, რომ მართალი ვარ...მთელი ცხოვრება მაგას ვამბობ, რომ სიყვარული სულიერი კატეგორიაა, შინაგანად, სულით უნდა გიყვარდეს, მის თვალბში შენი ანარეკლი უნდა იყოს და პირიქით.... როცა ხედავ, მაშინაც უნდა გენატრებოდეს... როცა არ ხედავ, მაშინაც უნდა გრძნობდე, განიცდიდე მის არსებობას.... არ არსებობს - არც ფერი, არცსუნი,არცასაკი, არც მდგომარეობა, არც წონა და არც სიმაღლე...არ არის ფორმულა - ეს მძაფრი განცდა ყოველსმომცველია, დედალი კიბოსავით მთელ სხეულშია მოდებული - ოღონდ პირიქით ანტიკიბოა - ძალას გაძლევს, თბილი ჯავშანივითაა შემოხვეული დაგიცავს ნუთისოფლის დარტყმებისაგან... ის ცოცხალია, მოქმედი და ენერგიას გაძლევს... გენიოსი მანანალა ჩარლი წერს თავის ჯერალდინას- "დამახსოვრე, შენი შიშველი სული უნდა ეკუთვნოდეს იმ მამაკაცს, რომელიც შენს შიშველსულს შეიყვარებს".....ეაია, 28.2013...

**რომის პაპი - ბენედიქტ XVI გადადგა... რატომ???**

იოსებ რაცინგერი - ბენედიქტ XVI --- ნაღდი გერმანელი, ყოფილი ვერმანტის ჯარისკაცი, წინააღმდეგი იყო - პედოფილიის, ერთსქესიანი ქორწინების, აბორტების, ქალების მღვდლობისა და სხვა სისაძაგლეების... და გადადგა...წესით ინკვიზიცია უნდა ამოქმედებულიყო ამ სიბინძურის წინააღმდეგ.... მაინც კაცური პროტესტია... საინტერესოა ვინ იხსნის გარყვნილ ევროპას.... ელენეაია, 10.03....

...როგორ მწყდება გული.... რა ცივისსხლიანები, ბოღმიანები, კანიბალები და ნახევრად მონსტრები გავხდით...არაფერია და რჩენილი იმ ქართველები-

საგან, რომლებიც სიყვარულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს ყველაზე მძიმე დროს... "მობრძანდით ქალბატონო", "ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეთ", "დიახ, ბატონო, რაზეა საუბარი", "როგორ გეკადრებათ, ბატონო"... სად დაიკარგა ეს ყველაფერი, ხალხო...რატომ ვახარებთ მტერს - ქართველთყლაპიას... მგონია, რომ ქართველებიც აღარ ვართ, ღირსებას, სინმინდეს, კეთილშობილებას დავცინით და საქილიკოდ მიგვაჩნია, ის რაც წინაპრებმა სისხლითა და ომით გადმოგვცეს... ვითომ გვნამს - სინამდვილეში, არა...ვითომ გვიყვარს, სინამდვილეში - ვერ ვიტანთ...ვის სჭირდება ასეთი ფარსი?! იქნება ყველას ერთად ცივი კი არა თბილი წყლის გადსხმა გვჭირდება და ვერ გაგვიგია... სადღა გვაქვს "მზიანი სული და თაკარაგული" სულნათელი დუმბაძე რომ წერს.... მგონი მყინვარწვერმა გაყინა და შეინახა... ვანადგურებთ ერთმანეთს, ვლანძღავთ უშვერი სიტყვებით... ვისჭირდება ყალბი, თვალთმაქცური ღიმილი - იქედნეს მოდგმას...ამოსაძირკვია ჩვენში ეს სარეველა...რა მოხდება, რომ დილით შევხედოთ მზეს და ისევ გავალლოთ გაყინული "თაკარა გული".... ვილოცოთ, იქნებ ღმერთი შეგვეწიოს, სანამ გვიან არ არის... სიყვარულით ელენეაია.... თებერვალი, 2013.....

\*\*\*

ყველა ჩვენგანი თავისი ბედის წერით დააბიჯებს ამ ქვეყანაზე... ერთი წმინდა მამა ამბობს: "თუ ღმერთი არ გისრულებს იმას, რასაც ლოცვაში თხოვ, ნუ დამწუხრდები... ღმერთზე გონიერი არა ხარ"... აღბათ ასეა საჭირო... არასოდეს არ მაქვს ის, რაც მინდა და არა ვარ იქ, სადაც მინდა... ესეიგი მაქვს ის - რაც მჭირდება და ვარ იქ, სადაც საჭირო ვარ -ამას გაანალიზება და მოთმინებით ატანა სჭირია... ინებოს უფალმა, გვიბოძოს მადლი და ძალა ამისათვის... ელენეაია, 2013.თებერვალი..



# ჭოგობი



რწმენა მაცნობრისა...

“ne var ani da ne var hoe – brZanebs ufal i”  
(winda ioanes ganocxadebidan)

Seni tkbil i wyal oba  
ar nogvaki o, ufal o...  
narTal rwneis sinari iT  
sul gvanyofe ubral o...  
naradiul gazafxul s  
caSi dauvania...  
rwneba macxovaris  
sicocxl is anbania...  
SevinanoT codvebi,  
gvirCevs racxa xania...  
is arasdros Zvel deba –  
narad rac axal ia...  
borots rac niezRveba,  
gul is nosafxania...  
keTil is pirs dascviva  
xan vardi da xan ia...  
j oj oxetur yofisgan  
dagvixseni, naral o,  
sixarul o nohfine,  
danZinebul sanyaros.

ფშავ ხევსურეთის მიტროპოლიტი  
მეუღე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

\*\*\*

o, RnerTo Ceno, RnerTo dido, RnerTo  
naral o,  
ronel nac Sehqnen ca da miwa, srul ad sanya-  
ro,  
Seniwyal ebde ara Rirssa, Sesawyal ebel s,  
sul i daxorci Ceni odes erTurTs galyaro...  
Seni sicocxl e ers uxaria  
uwindess

macxovris kverTxis npyrobel i xel Ta,  
SeWdebul i uxil av nterTan,  
sinxiT da Rvawl iT aRuricxvel Ta,  
cad minarT uZRvi cxovarTa SenTa.  
ayvavebul i sanTl ebi xatTan  
sikeTis dReTa iyvnen macneni,  
siwindis madl ad da saswaul ad  
nsobel Ta l ocviT aRnonacemi.  
inednosximi an Seni dReebi  
sixarul s yovel s romuwil adeh,  
Seni figria Seni naml i  
sanaradiso naral iT brwyinavdes,  
Tu saqarTvel o winda j varia,  
natroh, sanoTxis karTan iyoso...  
Seni sicocxl e ers uxaria,  
naraval Jamier kaTal ikoso!..

I eqsi daveril ia eqsprontad  
uwidesis aRsaydrebis wl isTavze  
ganarTul sazeino saRanoze,  
1978w 25 dekenber i

და, ყვავილმობდეს მართალი რწმენა

uwindess

RvTivkurTxeul i sicocxl is ena  
da sxivkankana nargal tebi...  
de, yvavil obdes narTal i rwneba,  
iyaviT nevel ad WSnaritebis.  
nogagebs samwyso sanagieros,  
ra siyvarul iT Tqven giyvarT igi...  
oRond ciT madl is Suqna iel vos,  
ar nogvesal os wesi da rigi...  
de, winda crenl i eris wyl ul s hbandes,  
gvl ocavdeT narad winda xel ebiT  
da Tqvens crenl ian Rimil Si Candnen  
nugeSnenel i cisartyel ebi.

amin

2001w 1 april i



ღიღებულ უმინდესს

gul Ta nobel o, gul Ta mil avo,  
winda WirWel o sul i windisa,  
naml ze l ocviT RameT mxil avo,  
ganfantvel i xar sofl is bindisa  
SenTa saqueTa noTvl a Znel ia  
randens iRwi da randens mSakob..  
Semwe didi gyavs - winda el ia  
Sen saqarTvel os nfarvel -guSago..  
Wsmaritebis madl iT nocul o,  
Rirso didebis - tkbil ad „aqsi“..  
eri ki, Seni, Senze l ocul obs,  
naradisobis mzed romgaqcios.  
did winaparTa maTel Si brwyinav,  
qarTvl is siwindis droSad qceul i..  
saqristianos niuZRvi wina,  
gl ocavs nesane aTaswl eul i.  
nokrZal ebul i da Svil uri siyvarul iT

25. 12. 2012.

სად ყვავილი სამოთხის

sad yvavil i sanoTxis  
l amz Tval ebs axel s,  
zecis wigni sicocxl is  
Cawers ukvdav saxel s.  
igi naradisia,  
zecis wigni tkbil ia,  
sxva vin Tqvenebr Rirsia,  
uwideso il ia  
uwideso il ia,  
ciT nakurTxo neufev!..  
l ocva aRvl Emil ia,  
naml s madl i Seuqe..  
qarTvel s Svil ad nosul xarT,  
inis sindis-namsad,  
xatebr eal ersebiT,  
enasac da naml sac..  
Suqi oqrofenil i, -  
naml is nTebis aanTebis,  
Tqveni sibrZnis veril i  
nonavl is gzebs anaTebis.  
wutisofl is sinZine,  
Tqveni Rvawl iT Zl eul a,  
dagibrunebt ufal i  
naRvaws aTaseul ad..  
... xanla qeba ciera,

ara codvil emiTa,  
Jani ganaTl ierda,  
Tqveni didi rweniTa  
uwindesisadmi

„aRgamRl o rCeul o erisgan Cemisa“..

88e fsal muidan

ამ უნდობელ სანუთროში

mZine jvari gergoT wil ad,  
ar SegSl iaT mainc droSi  
da rCeul Ta madl iT brwyinavT.  
didebul i nociqul i  
pavl e brZanebs: „ne nonbaZe“..  
gza windaa, nagr amrTul i,  
radgan eris tvirTi gaweVT.  
Tqveni natvra sul Ta xsnaa  
da inedi gadarCemis..  
sul ganoxsna, sul daxsnaa  
da RvTiuri ganaCeni.  
ar noakl ebT mugeSs Svil ebs  
l ocviT Rame iT geTiaT,  
siyvarul i iyvavil ebs  
siyvarul i TviT RnerTia.  
RvTiT ixareT... ers axarebt  
sazrunavi Tqveni did ars..  
l ocviT gaxsniT zecis karebs  
Segvawynarebt windad windas.  
nTavar ia sul i vixsnaT -  
waruval ze fiqri gymarTebis,  
winda fiqriT da cxovrebiT  
nivensgavsoT arwivT marTves..  
Zal a mogceT arst gamrigem  
SemtodeT rCeul T rigebis..  
ciT mogvfiNET madl i RvTisa  
axl isa da Zvel aRTqvisa

2002 w 1 ianvari

სად უმინდესი ილმცავს

sad uwindesi il ocavs -  
iq didi madl i trial ebs..  
sanSobl os erTgul s axarebs,  
orgul ebs - gaatial ebs..  
ukuRna nbrunav Carx-borbal s  
mzisaken Seatrial ebs..  
saficar xatad SerCeba  
nonavl is did natianes..

## ტერენტი გრანელი



### ნისლიანი ბალი

მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა,  
ახლა შენსავით მეც ვიმოსები.  
და სევდის ბაღში ისევ აყვავდა  
იები, ვარდი და მიმოზები.  
უზრუნველობა და სიხარული  
ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა.  
მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული  
და ანგელოზი თეთრი ბალისა.  
ეს ჩემი ბედი ახლა ამალდა,  
ვით შუალამის თეთრი ლოცვები.  
და სევდის ბაღში ისევ აყვავდა  
იები, ვარდი და მიმოზები.

### განშორების შედეგად

ძვირფასო, ახლა მითხარი რა გსურს,  
მე შენ მომეცი უნინ პირობა.  
შენ იგონებდი შორეულ წარსულს  
და როიალიც ჩვენზე ტიროდა.  
მიქროდა წამი თანდათანობით,  
სულის დაღუპვას ვგრძნობდი წინათაც.  
შენ განშორებას უფრო ნანობდი  
და თვალში თეთრი ცრემლი ბრწყინავდა.  
ნელა წყდებოდა ფოთლები ხეებს  
და სადღაც სდუმდა ხე გაძარცული.  
შენ იგონებდი გაფრენილ დღეებს  
და თვალწინ გედგა ჩვენი წარსული.  
ის არ ვიყავი, რასაც ელოდი,  
ძვირფასო, ახლა მითხარი რა გსურს.  
მე შეგამჩნიე – იცრემლებოდი  
და როიალიც ტიროდა წარსულს.  
ჩანდა ღრუბლისგან ცა გაძარცული,  
იდგა მინასთან ღამე გვიანი.  
შენ მოგაგონდა ჩვენი წარსული  
და მომაჩერდი თვალცრემლიანი.  
ძვირფასო, ახლა მითხარი რა გსურს,  
მე შენ მომეცი უნინ პირობა.  
შენ იგონებდი შორეულ წარსულს  
და როიალიც ჩვენზე ტიროდა.

\* \* \*

გალაკტიონი  
ხომ მდიდარია.  
ზარი სიონის  
კივის, დარია.  
გალაკტიონი  
ხომ პოეტია.  
ზარი სიონის  
გულზე მეტია.  
გალაკტიონი  
ხომ ძვირფასია.  
გალაკტიონი  
მუდამ ასეა.

\* \* \*

მე მივალწიე შორეულ მიზანს,  
ეს გული შფოთავს და მაინც გოდებს.  
მე ფეხს ვაბიჯებ მშობლიურ მიწას  
და შემოდგომის დაცვნილ ფოთლებს.  
გვიან გათენდა, სხივმა იელვა,  
მორჩა, სიხარულს არ ველოდები.  
ბალი სავსებით დაცარიელდა  
და მხოლოდ გრიგალს მიაქვს ფოთლები.

\* \* \*

ფრინველივით ვზივარ ღამის უბეში.  
თბილისია ერთადერთი ნუგეში.  
რა ვქნა, დროა ამნაირი წვალეების,  
მალე ტირილს დაიწყებენ თვალეები.  
შენთან ასე მოვიქცევი, აბა რა,  
და ღუბელმა ცაზე მთვარე დაფარა.  
თბილისია და წამებას ავიტან,  
დღევანდელი მზიანი დღე წავიდა.  
ფრინველივით ვზივარ ამის უბეში,  
თბილისია ერთადერთი ნუგეში.

### განშორების ლოდავი

ათოვლილი სავანე,  
თან სურვილი გვიანი.  
რჩება ოდნავ დასანანი  
ეს დღეები მზიანი.  
მალე გავა ზამთარი,  
მგონი ვნახავ გაზაფხულს.  
ღამე სწოვს, როგორც აფთარი  
სულს, ლექსებში დამარხულს.  
და სიზმრების მორევი  
ჩემთან მოდის გოდებით.  
მძიმეა განშორების  
თოვლიანი ლოდები.

## კახა ბაციკაძე



## რუსთაველი

მე პოეზიით ვარ შეპყრობილი,  
როგორც იესო - ჯვარცმის სურვილით;  
მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,  
სამყაროს ზღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,  
სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;  
კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში  
გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...  
მე მსურს შევხედო უფალს თვალებში... -  
ეს ნატვრა, თითქოს, სიზმარს ედრება,  
და სული რჩება სიმწუხარეში...  
ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,  
ისმის მთებიდან თეთრი ხმა - ყინვის,  
შეხედეთ, - თავად იესო მადგამს  
მე პოეზიის ეკლიან გვირგვინს!..  
ვგრძნობ: პოეზიით ვარ შეპყრობილი....

## პიროსის გამარჯვება

მარტოობის სარკმლიდან ვუმზერ  
გულის ბაღში ამოსულ მონატრების ყვავილებს.  
სიტყვები ფეხაკრეფით შემოიპარნენ ფურცელზე  
და თავისი კუთვნილი ადგილები დაიკავეს.  
ახლა, ალბათ, სადმე მხიარულობენ,  
გიტარას უკრავენ, უხარიათ ერთად ყოფნა,  
იქ, სადაც მზე ფორთოხალივით იწურება  
და ოქროსფერ კოქტილს სთავაზობს ადამიანებს.  
აქ კი წვიმის შრიალიც სანატრელია.  
ტყვიის ზეცა დაუმხიათ თავზე ამ ადგილისთვის  
და ადამიანებიც ტაფაზე დაყრილი  
ხორცის ნაჭრებივით შიშინებენ...  
ფიქრების სარკმლიდან ვუმზერ  
თვალების ზეცაში მიმავალ  
იმედების ჩამქრალ ღრუბლებს...  
ტრიუმფი ტრიუმფზე მოდის ბოლო დროს, -  
ადამიანებმა კერპად გამიხადეს,  
პოეზიასთან ვასოცირდები.  
(თუმცა წარმატებები თითქმის არასოდეს ასახულა  
ჩემს ეკონომიკურ მდგომარეობაზე,  
ჩემს მდგომარეობაზე - საერთოდ).  
პოეზიის საღამოებზე ჩემი გამოსვლები  
სიტყვით არ გადმოიცემა, არც ფოტოებით,

არც ვიდეოჩანაწერებით...  
ვინც ნახა პირდაპირ, ცოცხლად, მხოლოდ  
მან იცის, თუ რა ხდებოდა იქ,  
ის ეზიარა იმ დროის უკვდავებას...  
ეს წარმატებები, დიდნილად,  
რამოდენიმე კეთილი ადამიანის დამსახურებაა,  
რომლებიც ცდილობენ რალაცის შეცვლას,  
ცდილობენ ადამიანის არსებობის გამართლებას.  
მაგრამ სევდა ოკეანესავითაა, პოეტი კი - ნაპირი-  
ვით,  
და როგორ გინდა სანაპირომ ისე უმზიროს სამყა-  
როს,  
რომ არ დაინახოს ოკეანე...  
სიტყვები ფეხაკრეფით შემოიპარნენ ფურცელზე  
და თავისი კუთვნილი ადგილები დაიკავეს.  
ახლა, ალბათ, სადმე მხიარულობენ,  
გიტარას უკრავენ, უხარიათ ერთად ყოფნა,  
იქ, სადაც მზე ფორთოხალივით იწურება  
და ოქროსფერ კოქტილს სთავაზობს ადამიანებს...

## წყვილის ეზემერა

ვინ არის იგი, ვინაც დაამსხვრევს  
შავ მარმარილოსგან შექმნილ  
ღამის ქანდაკებას...  
მკვდარი ოცნება თვალს ისევ აახელს,  
როცა გაიგონებს ზეცის ქადაგებას.  
სისხლის ფრინველები ძარღვებს დაკორტნიან,  
სანამ არ ნახავენ მზიურ ელვარებას;  
გზები არსებობის მინორთა აკორდია,  
სული, პოეტისა, უფალს ედარება.  
ან ვით შეაჩერებს ლექსის ოკეანეს  
რალაც უსუსური ყოფის ჯებირები...  
გულო, არასოდეს შენ არ იგვიანებ,  
როცა შეშლილ დოღში სიკვდილს ეჯიბრები.  
კლდეთა მდუმარება მუხლზე დავიმსხვრიე,  
სუფრას მივუჯექი ლექსის ტიტანებთან,  
ჩემს სულში ახლა ისეთი სიცოცხლეა,  
თავად სიცოცხლეს რომ მარად ინატრებდა.  
ვიცი, ინათებდა ალბათ უცხო დროში,  
მაგრამ სანთელივით ქრება მოლოდინი;  
მოველ სანუთროში, მივალ სანუთროში,  
როგორ განათდება, ნეტავ, ბოლო დილით...  
სისხლის ფრინველები ძარღვებს დაკორტნიან,  
ისე ესწრაფვიან ღვთიურ ელვარებას;  
ვიცი, დავარღვიე ყოფის ჰარმონია,  
სული, პოეტისა, უფალს ედარება!..  
ვინ არის იგი, ვინაც დაამსხვრევს  
შავ მარმარილოსგან შექმნილ  
ღამის ქანდაკებას...

## ლია ბეჟანიშვილი – ღვინერია



## ღეღას

არ მიმატოვა შენზე ფიქრებმა,  
 არ გამინელა სევდა,  
 ჩვენს ეზო-კარის ყველა კუნჭულში  
 დედა, შენს აჩრდილს ვხედავ.  
 ასე მგონია, კარს შემოაღებ,  
 მომიალერსებ: “შვილო“  
 შენი თვალების თბილი ღიმილი,  
 გსურს, ზღუდედ შემომივლო.  
 სულ მენატრება შენი ჩურჩული:  
 შეჭამე, შვილო, რამე,  
 თბილი პერანგი ჩაიცვი, გოგო,  
 არ გამიცვიდე ღამე...  
 სად დამეკარგე, დედის ხელებით  
 დამცხვარი პურის სუნო,  
 გამაზლებინე, მაღალო ღმერთო,  
 წელში არ გადამლუნო.  
 ამდენი ფიქრი, ამდენი სევდა,  
 გული გაუძლებს რამდენს.  
 გოგო, გამაგრდი, დედის ჩურჩული  
 ვგრძნობ, რომ სულ უკან დამდეგს.

\* \* \*

ვერ მივატოვე ჩემი ბავშვობა,  
 ჩემი მშობლების ნაშრომ-ნამაგი,  
 გულის ფანცქალით ეზოს მოვიარ,  
 თავს შევუძახებ: გულო, გამაგრდი.

ფიქრში რას აღარ ვესათუთები,  
 ქოჩორა ტყეებს, ვენახებს, კორდებს,  
 ყვავილებს ყურში ვეჩურჩულები,  
 დღეს რომ შევშინდი, ველებს ნუ მოსდებთ!

ამდენ ფიქრებით დაღლილ-დაქანცულს,  
 ნამიყვანს ძილი, ჩემი სიზმრებით,  
 მტერმა თუ მომკლა, მე მაინც აქვე,  
 ლურჯთვალა იად ამოვიზრდები.

\* \* \*

გომბორის მთებს ეფერება სიო,  
 კავკასიონს აექოჩრა თმები,

ბექის თავში ტანაშოლტილ მუხას,  
 დაჰლულუნებს საპატარძლო მტრედი.

მომნიფებულ ბებერ ბრონეულებს,  
 ლამის არის გახვევიათ ბაგე,  
 საპატარძლო მეფის მოლოდინში,  
 ოცნებებში ღამაზ კოშკებს აგებს.

ატკრეცილი ცელქი ყოჩივარდა,  
 შრიშანი და შუბლმეკრული კუნძი,  
 სადედოფლო გვირგვინს ამზადებენ,  
 აწყვეტილი გვირილების ფუნჯით.

## მონატრება

გადაჭრილი ბილიკი,  
 მინავლული ბუხარი,  
 ნიავექარო, ჩემს ეზოს,  
 გთხოვ, მოკითხვა უთხარი.  
 მენატრება წარსულში  
 ჩემი ძველი მოყვარე,  
 ჩემი ქსანი დიდგულა,  
 ამაყი და მშფოთვარე.  
 გული დარდით სავსეა,  
 არ მასვენებს ფიქრები,  
 რაღად მინდა სიცოცხლე  
 თქვენთან თუ არ ვიქნები?!

\* \* \*

*ვუძღვნი ჩემს ყველა  
 გაუთხოვარ მეგობარს*

წლებმა უმატა სტუმრობას,  
 თმას მოემატა სურნელიც,  
 შავტუხას შევხვდი შარაზე,  
 ხომ გახსოვთ – ზემოუბნელი?

გული ტოტივით შეტოკდა,  
 მუხლში წამერთვა ძალაო.  
 თავს შევუძახე: ჩამისკდი,  
 რა გემართება, ქალაუ?!

წლებმა უმატა სტუმრობას,  
 თმაში განელდა სურნელი,  
 ველარსად ვნახე უღვაშა,  
 ის ბიჭი – ზემოუბნელი.

თვალში გამიქრნენ ვარსკვლავნი,  
 ღანვზეც ნინიჭკნა ყაყაჩო,  
 ისევ იმ შავტუხას ველი,  
 მისმა სურვილმა დამახრჩო.

## საბავშვო ლექსები

### მამიდას საჩუქარი

რა კარგია, რა კარგი,  
მესტუმრება მამიდა,  
კარგად უნდა მოვიქცე,  
საჩუქრები თუ მინდა.

ლამაზ ქოლგას მომიტანს,  
ბაფთებს, კაბებს, მარაოს...  
და ლალიკომ თითებზე  
რა არ ჩამოთვალაო.

### მიზეზი

– ბავბავურას ვერ ცეკვავ,  
არ გრცხვენია ბატუსი?  
მუსიკას მოუსმინე,  
ფეხი კარგად გაუსვი.

– “გარმონუშკა” არ მომწონს,  
არც ეგ შენი დოლიო,  
ასფალტზეც ვერა ვცეკვავ,  
მინდა მწვანე მოლიო.

### ქმეზი

ბესო, დღეს გავუნმინდოთ,  
ნუშა ბებოს ბუხარი,  
რომ აღარ გავაბრაზებთ,  
კიჭა, ისიც უთხარი!

ხვალ შესაც მოვუტანოთ,  
ერთი დიდი ურემი,  
ზამთარში ცეცხლი ჰქონდეს,  
მუდამ გამოუღევი.

### გაინენა დალალი

ნინა ბებომ ქეთინოს  
მიაბარა მამალი,  
დილით ვერსად იპოვა,  
გაინენა დალალი.

### მაროს მამალი

მამლაცინნას ანგინა აქვს,  
შეუსივდა ყელი,  
ისევ როდის დაიცივლებს,  
გულის ძგერით ველით.

კობა ბიჭმა დაიჩემა,  
ამოვაჭრი გლანდებს,  
მაგრამ მე და მარიამმა  
ვერაფრით ვერ ვანდეთ.

გადავწყვიტეთ მე და მარომ,  
ჩავაყლაპოთ აბები,  
ბებო თუ არ გაგვიბრაზდა,  
მარში თუ არ გავებით.

### მსუნაბი

დავუმაღე ყველი  
კუდფუმფულა ფისოს,  
კარგად ვიცი ახლა  
გულში ძუნწად მთვლისო.

მაშ რა მექნა აბა?  
შეანუხა ბებო,  
გუშინ გადასანსლა  
ერთი ქილა ერბო.

### საყვედური

გამარჯობა, ჩემო კეკე,  
როგორა გყავს ბაია?  
მისი ჭამა, მისი ჩაცმა  
ერთი დიდი ვაია.

ვერაფრით ვერ გამოკეთდა,  
ავადა მყავს ვირუსით,  
ამ ექიმებს, გენაცვალე,  
დავუნერე მინუსი.

### ძილის ფაზა

მობუზულმა მთვარემ  
შეიყენა ჩრდილი,  
ეპარება ძილი,  
ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილი.

დანანაობს მთვარე,  
უდგას ძილის ფაზა,  
ვარსკვლავები სხივებს,  
აფარებენ ნაზად.

### ყორალი ნრუნუნები

დღეს წაიღეს თაგვებმა  
დასაფქვავად ხორბალი,  
სიჩქარეში ორთვალას  
გამოუძვრა ბორბალი.

სიმშილისგან ნრუნუნებს  
რომ ასტკივდათ კუჭი,  
წისქვილამდე საფქვავე  
ზიდეს მუჭა-მუჭით.

**გაგიკ დავითიანი**თარგმნა: **მაყვალა გონაშვილმა**

მწერალთა კავშირის თავჯდომარემ

**ტკივილის თავწყარო**

მე შენ მიგყავარ  
 მოგონების უშორეს გზებით,  
 სადაც ტკივილის თავწყაროა,  
 სევდის სათავე...  
 გახსოვს, ის ჩვენი შეხვედრები?  
 სიცრუის სიტკბო?!  
 ის არშემდგარი შეხვედრები  
 ნეტავ, თუ გახსოვს?  
 ნუ მიპასუხებ,  
 გვედრები,  
 ნუ მიპასუხებ!  
 ჩემი სიტყვები  
 ლოცვებად იქცნენ  
 და ბაგეებზე  
 შემაშრა ლოცვა.  
 ნავიდეთ ერთად,  
 მოგონების გზებით ნავიდეთ.  
 ჩემი ტკივილის თავწყაროსთან,  
 რომელიც მერე  
 აღიდებულ მდინარედ იქცა,  
 ყოვლისნამლეკავ, ყოვლისმშანთქავ  
 სევდის მდინარედ.

28 29

გახსოვს, როგორი სუფთა იყო  
 მისი სათავე?  
 თუ გახსოვს მისი  
 სიანკარე,  
 მისი ჩურჩული?

...

სათავეს მაინც ნუ ამიმღვრევ,  
 დარჩეს ტკივილად,  
 უშრეტ ტკივილად დაე, დარჩეს,  
 გთხოვ, შემობრალე!

**ნუ იხვეჭ მაგდენს**

წინაპართაგან გამიგია  
 ერთი ანდაზა: –  
 „ფული ცუდი ბატონია  
 და მორჩილი მსახურიო“.

და ვაი იმას,  
 ვისაც მსახური გაუბატონდება.  
 ნუ იხვეჭ მაგდენს,  
 ბევრ ფულს ბევრი ზიანი მოაქვს.  
 შენ გეჩვენება,  
 თითქოს საქმე სულ ცუდად მიგდის,  
 რომ სადაცაა დაგიჭერენ,  
 გელის სასჯელი.  
 რომ შენი უკვე  
 აღარავის აღარა სჯერა.  
 რომ ყოფა გექცა ჯოჯოხეთად,  
 ქვიშის უდაბნოდ...  
 რომ თვით ჰაერი აღიმართა  
 გაუვალ ზღუდედ.  
 რომ ყველაფერი, ყველაფერი  
 გაგიუცხოვდა.  
 გაგიფრთხა ძილი,  
 დაგავინყდა სახლი, სახელი...  
 ვინ იყავ გუშინ,  
 რა გინდოდა,  
 ან რას ნატრობდი?!  
 კარგავ ღირსებას, ქედმაღალი,  
 გულგრილი ხდები...  
 ვერაფერს ხედავ,  
 დაგაბრმავა ოქროს ციალმა.  
 კბილები გექცა ეშვებად და  
 ყოფა-კომმარად.  
 გეზრდება მადა,  
 გიმოკლდება ცხოვრების ძაფი,  
 ყურებში როგორც ზარი,  
 ისე რეკავს სიტყვები:  
 ცოტაა,  
 ცოტა,  
 ცოტა არის,  
 ჰო, ძლიერ ცოტა!!!  
 ძნელია, როცა ფული ხდება შენი ბატონი,  
 შენ კი პატრონი შენი მონის  
 მონად იქცევი.

**ბახსოვს?**

ოდეს გაქრება  
 ეს სიზმარი არსაცნაური  
 და შეერწყმება  
 დავინწყების ფერგამკრთალ ბურუსს,  
 იღუმალებით მოსილ წყვლიადში  
 გაიხლართება  
 როს უსიამო ღამის ზმანება,  
 უიმედობის ცრემლი როცა  
 აგივსებს თვალებს,  
 შენს სისხლში როცა  
 ტკივილის ხე გაიფოთლება,  
 მკერდთან ქვას იგრძნობ,  
 მე ხელს ჩაგჭიდებ უკანასკნელად  
 და გაგიძღვები წარსულისკენ  
 იქ, სადაც ერთ დროს

შევხვდით ერთმანეთს,  
 მე გაგიტაცებ  
 ჩვენი ყრმობის განთიადისკენ,  
 მივინყებულ ნავსაყუდელში,  
 იქ მზეს იალქანს გამოვაბამთ,  
 ჩვენი ხომალდი  
 გადასერავს სხინაფერ ტალღებს.  
 ჰო, გაიხსენე შენს სხეულში  
 ტალღა სინათლის,  
 ჰო, გაიხსენე,  
 როგორ დაცდა ბაგეებს კვნესა,  
 ჰო, გაიხსენე, თეთრ მინდორზე  
 ყაყაჩოს სისხლი...  
 მე გკითხავ,  
 გახსოვს, ის ტკივილი,  
 ის სიხარული,  
 მე გკითხავ, გახსოვს?  
 ჩვენი ტრფობის ნავსაყუდელი?  
 პასუხს ნუ მეტყვი,  
 სასურველო,  
 ნუ მეტყვი პასუხს,  
 მხოლოდ თვალეებში ჩამხედე და  
 მიცქირე ასე,  
 ჩემს მხედანურულ  
 თვალეებში დარჩი.

### წვერი – ნილაბი

შავს თეთრისაგან თუკი არჩევ,  
 მამლისგან დედალს,  
 თუ ისიც იცი,  
 ორი მხარე რომა აქვს მედალს,  
 შენ, წვეროსანო ახალგაზრდავ,  
 მორჩი მტკიცებას,  
 თითქოს სიბრძნით თავი გისკდება.  
 რას ვერჩი მაგ წვერს,  
 დაე, თეთრად შევერცხლოს წლებმა,  
 მაგრამ გულს მირევს,  
 როცა წვერი ნილაბი ხდება.

### უთავო მხედარი

ღმერთი ერთს თავის ქალას აძლევს,  
 მეორეს ჭკუას,  
 ხოლო მესამეს,  
 არც ერთი აქვს და არც მეორე,  
 და მაინც, რასაც კაცთა მოდგმას  
 უბოძებს ღმერთი,  
 ყველა ღებულობს  
 მორჩილებით და უდრტვინველად.  
 და აი ასე,  
 გასაკვირი რა უნდა იყოს,  
 რაც ხდება ქვეყნად,  
 ყველაფერი ნებაა უფლის.

ღმერთო, გვიშველე,  
 დაგვაფარე მოწყალე კალთა,  
 ბრძოლის ქარ-ცეცხლში,  
 სად სიცოცხლე ბენზე კიდა,  
 მამაც მხედრონს დღეს  
 უთავო მხედარი სარდლობს.

\*\*\*

ერთის პოვნისთვის  
 ათასობით დავკარგე რამე,  
 გზები გავცვითე გაუვალი,  
 მუხლი დავღალე.  
 სულში ჩამინვა გიშრისფერი  
 მარადი ღამე,  
 თავს ვეკითხები,  
 თვალი ცრემლით რატომ დანამე?  
 იპოვე რამე?

### ბანსპინაპული ხეიბი

შემოვა ქალი,  
 გალაკულ ავეჯს  
 მშრალი ტილოთი გააპრიალებს  
 და არც კი იცის,  
 მწვანე ხის სული  
 ფიცრებში როგორ  
 წვალობს, წრიალებს.  
 როგორ სწყურია  
 ტყე და ცის ნამი,  
 ფრინველთა ხმები  
 ყურებში უდგას,  
 შემოპარული სხივი ოთახში  
 აათროლოებს და  
 გაუხსნის სუნთქვას.  
 რა იცის ქალმა  
 იმ ტყის ზღაპარი,  
 იმ ხის სიმაღლე  
 რა იცის ქალმა,  
 არ გაუგია  
 რტოთა ჩურჩული,  
 არ უნახია  
 ფოთოლთა ქარვა.  
 მისთვის ავეჯი  
 არის უსულო,  
 მტვერს გადააცლის,  
 გააპრიალებს  
 და ვერც კი ხვდება,  
 მწვანე ხის სული  
 ფიცრებში როგორ  
 შფოთავს, წრიალებს.

**ეთერ გვარამიძე****მეუღლეს**

მეშინია, არ მასვენებს სევდიანი ფიქრები  
ერთ დღეს ნახვალ და დამტოვებ  
ქვეყნად მარტოდ ვიქნები  
მე დაგასწრო და წავიდე?  
უფრო ცოდვა იქნები  
მოდი ერთად წავიდეთ და  
ისევ ერთად ვიქნებით...

**გულს**

ჩამოაფარეთ მზეს თალხი ფარდა  
და გადარაზეთ ყველა კარები  
დედამინაზედ სიკვდილი ბორგავს  
გულო ველარსად დაემალეხი.  
თუმცა თმებზედ უკვე თეთრად დამათოვა,  
თუმც ნაოჭებიც განწვინ თვალებთან  
თუმც ნახევარზედ მეტი გავლიე  
და უკვე ვდგავარ ღმერთის კარებთან  
თუმც სიყმანვილემ და სიყვარულმა  
დიდი ხანია გზები გალია  
თუმც ჩაიარა თითქოს ცხოვრებამ  
და მოხდილიც მაქვს ყველა ვალია  
მე მაინც შენი იმედით დავალ  
როს შენს ძგერას ვგრძნობ გადაღლილ მკერდში  
შენ გლოცავ ჩუმად, გეაღერებ  
არ შემომაკვდე პანიაჟ ხელში  
ათეულ წლებით გაუძელ ძგერას  
ათეულ წლებით მკერდით გატარე  
ნუ მიღალატებ, ჯერ არ შეჩერდე  
ამ ქვეყნად ყოფნა კიდევ მაცადე,  
გულო დაღლილო ჯერ არ გაჩერდე  
ჯერ კიდევ სისხლი მიჩქეფს ძარღვებში  
მერე რაა რომ თეთრად დამთოვა  
ჯერ ისევ სხივი მიდგას თვალებში.  
გულო, იმედო, როცა შენ გისმენ  
ისევ სიცოცხლის შუქი მადგება  
გთხოვ, მოციქულად დამიდგე ღმერთთან  
ჯერ წასაყვანად ნუ მომადგება  
იქნებ ვერ გივლი როგორც წესია  
ან იქნებ ბევრი რამეც გწყენია,  
მაგრამ სხეული რომელშიც ფეთქავ,  
იცოდე, მხოლოდ მე და შენია  
ერთად მივიდეთ სამარის კართან  
გთხოვ, მემსახურე მანამ ერთგულად  
გულო, პატარავ, არ გამიჩერდე,  
არ მიღალატო აქ ვერაგულად.  
ნუ, ჩემო გულო, ნუ, მიღალატებ  
დე სულ ბოლომდე ერთად ვიაროთ  
თუ ყმანვილობით დაგაკელ რამე  
ამ სიბერეში მსურს მოგიარო  
იქ დავისვენთ ერთავემ ერთად  
იქ ჩაგხუტებ მკერდში დაღლილი

იქ საუკუნეს მივებარებით  
დაგვრჩება სიტყვა „ან გარდაცვლილი“...

**მეუღლეს**

შენ ჩემში ჩარჩენილი ტკივილი ხარ  
ჩემში ჩამარხული სევდა  
ვიცი ვერასდროს ვერ დაგივინწყებ  
გვერდით მეყოლები ყველგან  
უშენოდ ჩემს ცხოვრებას ფასი აღარა აქვს  
ჩემთვის უშენოდ ბნელა  
ვიცი რომ ვერავინ ვერ დამეხმარება  
ჩემთვის არ არსებობს შეველა.  
ზოგი მარიგებს, ზოგი მიჯავრდება  
ზოგიც დამცინის გულში  
ვერავინ ვერ ხვდება ჩემ თავზე რა ხდება  
რა ქარიშხალი მაქვს სულში.  
მეუბნებიან მოხუცი იყოვო, უკუბრუნებელი სენით  
წასვლის დრო დაუდგაო და კიდევ წავიდაო  
ვერაფერს უშველიო ცრემლით.  
შენს ასაკს ჩემთვის რა მნიშველობა აქვს  
რამდენი წლისა იყავ  
მთავარი ის არის გვერდით აღარ მყავხარ  
და ვერაფრისგან მიცავ  
ამ მარტოობას როგორ გავუძლო  
შევყირებ ცალიერ კედლებს  
ყველგან მელანდები, ყველგან შენ გხედავ  
ვერაფერი მიმშვიდება ნერვებს..  
ვიცი, რომ აღარ ხარ და მაინც გელოდები  
ისევ ჩემ გვერდით გეძებ.  
მჯერა, რომ შენც გიჭირს უჩემოდ მანდ ყოფნა  
აღბათ ჩემსავით მეძებ  
დრო მიდის ეს წლებიც ნელ-ნელა ჩაილია  
დრო შემომადნა ხელში  
ვგრძნობ, რომ თანდთან გიახლოვდები  
შენ გხედავ ყველაფერში  
იმქვეყნად ცხოვრებით დაღლილი მივდივარ  
წასვლაზე გული არ მწყდება,  
რადგან ნამდვილი გულშემატკივარი  
შენ შემდეგ არავინ მრჩება  
მტკივა სიკვდილი და მტკივა მონატრება  
მტკივა მარტოობა სულის  
ვზივარ ოთხ კედელში და ველოდები  
როდის გაჩერდება გული...

**შემოდგომის ქარი**

ერთხელ კიდევ დაუბერა შემოდგომის ქარმა  
ყვითელ ფოთლებს შემოავლო სუსხიანი რკალი  
და მოსწყვიტა ტოტებს კვნესით, გააშიშვლა ალვა  
და მინაზედ მიმოფანტა როგორც  
სისხლგამშრალი.  
გაძარცვული დგას ალვის ხე და ცახცახებს  
თითქოს  
განა მწვანედ გადაშლილი ახლახანს არ იყო?  
მის ტოტებზედ ჩიტბატონა ჭიკჭიკებდა ტკბილად



და ზაფხულის გრილ ღამეში იხუტებდა თბილად.  
უცებ გაჰქრა ყოველივე, ვით სიზმარი ავი  
შიშველ ტოტებს დასტრიალებს შემოდგომის ქარი  
სიბნელეში ისმის მოთქმა გაძარცვული ხეთა  
დასტირინ ყვითელ ფოთლებს  
როგორც შვილებს დედა.

მეც ხომ ასე ჟამთა სრბოლამ შემომძარცვა  
ნლები

გამიმრავლა ნაოჭები, გამითეთრა თმები  
ჩემს სულშიაც დაუბერა შემოდგომის ქარმა  
გულში ბზარი გამიჩინა სუსხიანმა დარმა  
ვგრძნობ ჩამოჰქრა სადაცაა ბედისწერის ზარმა  
თითქოს ძვლებში გაატარა შემოდგომის წვიმამ  
იქნებ მალეც დამიუფლოს საუკუნო ძილმა  
იქნებ ამ წლის შემოდგომა ჩემთვის ბოლო არის  
ვინ იცის სად გამეხსნება უკუნეთის კარი  
ვინ იცის თუ სად შეწყდება ჩემი გულს ძგერა  
არ დამინდობს ჟამთა სვლა და არც ქარი ზენა  
გაზაფხული ალვის ტოტებს კვლავ შემოსავს  
მწვანით

და ყვავილებს პეპლებივით ჩამობარდნის გარეთ  
ჩემს სულში კი კვლავ ნალველი და სიცივე დგება  
გაფრენილი წლების მხოლოდ მოგონება მრჩება.

-----

ფრთხილად, გულზე ნუ მახვილებ  
შორიახლოს ჩამომიფეც  
შენს სიმძიმეს ვერ გაუძლებს  
კუბოს ფიცარს ჩამომინგრევ.  
ნალვლიანი რომ დამცქერი,  
ხომ არ ფიქრობ ზევით რჩები?  
ერთ დღეს შენი დროც მოვა და  
აქვე ახლოს დასახლდები..

-----

თვლებში შიში ჩამდგარა  
სულში - სევდა და ნალველი  
იმ ქვეყნად ისე მივდივართ  
ბევრი რამ გვრჩება სათქმელი  
განა დაგაცდის სანუთრო  
სიცოცხლით გულის ჯერებას  
დღესა ხარ, ხვალ არ იქნები  
ძნელია დასაჯერებლად  
ამიტომ უნდა გიყვარდეს  
მზე, ვარსკვლავების ციალი  
თორემ ვინ იცის სად მოგსპობს  
სიკვდილი ოხერტიალი...

**აღამიანს**

იხარე სანამ ცოცხლობ, სანამ მიწაზედ დახვალ,  
სანამ დადგება ჟამი, სანამ მიწაში ჩახვალ  
როცა შემოჰკავს ზარი ვერ გიხსნის ვერაფერი  
გახსოვდეს უკან გრჩება ყველა და ყველაფერი,

ნუ გინდა ოქრო-ვერცხლი, ნურც ბრილიანტის  
ასხმა

ქვეყნად რომ სტუმრად მოდის რად ავინყდება  
კაცსა?!

თვალებს ამოგჭამს მინა, ძვლებს გამოგიხრავს  
გველი

როცა შემოჰკავს ზარი ვერ გიხსნის ვერაფერი  
გახსოვდეს უკან გრჩება ყველა და ყველაფერი,  
ნუგეში მხოლოდ ცოცხლის თავშესაფარი არის  
ეცადე დღეს გაიხარო, ცოტა გჯეროდეს ხვალის...

-----  
ნუ ეტანები ქონებას, ნურც თვალს დაატან  
სხვისას

ნუ გავინყდება იმ ქვეყნად ოთხი ფიცარი მიგაქვს..

-----

ეს ცხოვრება რისკია და დაუნდობელი  
ყოველ ნაბიჯზედ გვიდარაჯებს ბედი მუხთალი  
სცადეთ ერთმანეთს მძიმე ყოფა შეუმსუბუქოთ  
და თბილი სიტყვა დღეში ერთხელ მაინც  
უთხარიით...

გიყვარდეთ მზე და გიყვარდეთ ვარსკვლავები  
სანამ შეჰყურებთ თვალით

წუთისოფელში მხოლოდ მგზავრები ვართ  
დედამინაზედ გავლით...

ჩემზედ ამბობენ, მეგობრებო, სულ იცინისო,  
მხიარულია და იუმორით გვახალისებსო,  
როგორც იტყვიან: მხიარულ კაცს მეტი დარდი  
აქვს

და ყველას ტკივილს თვის ტკივილთან  
ათავისებსო

რამდენჯერ უთქვამთ - ჩვენი შეკრების ელექსირი  
ხარ

შენ გვერდით ყოფნით გვიკარგდებაო მძიმე  
ცხოვრება

მე მხოლოდ ღიმილს ვარიგებდი-ვჩუქნიდი ყველას  
მე არ გამაჩნდა სიმდიდრე და რამე ქონება..

არავინ იცის, სინამდვილეში მარტოსული ვარ  
მხიარულ ნილაბს ხშირად ვარგებ სევდიან  
თვალებს

და მარტოობის მოლოდინში გული ჩერდება,  
შიშით ველი რომ მათენდება შემდეგი ხვალე...

უშვილობა მარტოობისსანინდარია  
ვაი თუ იქნებ გამიგრძელდეს დიდხანს სიცოცხლე  
ღმერთს ვევედრები ნუ დამტოვებ ამ ქვეყნად  
მარტოდ

ჩემი ცხოვრების თანამგზავრი დიდხანს  
მიცოცხლე...

**ნუნუკა გურალია**



**საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს**

თქვენ ჩვენო სამწყსოს  
დიდო მამაო,  
ლოცვის ტაძარო  
ნმიდათ-ნმიდაო,  
სულის სალბუნო,  
სულის მკურნალო,  
ცაო ნათელო,  
დღეო მზიანო.

ვითარც ხატება ყველას  
გულეში,  
კელაპტარივით ჩუმად  
ანთიხართ,  
თქვენ საქართველოს უწმინდესი და  
უნეტარესი პატრიარქი ხართ!

**თეთრი სიჩუმი**

თეთრი სიჩუმე და თეთრი კლავიშები,  
თეთრი ოცნებების ჩუმი ნაბიჯები,  
კვლავაც დაუწროქებ წამთა აკვირტებას,  
რადგან დღეები დგას ლექსით გაგიჟებით.  
რადგან დღეები დგას ლექსით გაგიჟების,  
თეთრად დაფერილად სევდის ნაპირებიც,  
თეთრი სიჩუმე და თეთრი აისები,  
ჟღერენენ სიყვარულით თეთრი კლავიშები.

**ოცნებათი გავთამამდი**

ნეტავ ვიყო მუხასავით  
უდრეკი და ფესვმაგარი,  
რომ არასდროს მაშინებდეს  
ცოფიანი, გიჟი ქარი.  
პანანინა ბალახი ვარ,  
უმწეო და ერთობ ნაზი,  
მუხა ლამის მზეს შეწვდეს და  
მე კი მინას ძლივსლა ავსცდი.  
უფლის ნებას ვერვინ შეცვლის  
და რადა ვარ ასე ხარბი,  
მაგრამ ვატყობ ოცნებებით  
წამიერად გავთამამდი.

**სული დამელლება**

ჩუმი შემოდგომა, ჩუმი ფანტელთოვა,  
ჩუმი ზაფხული და ჩუმი გაზაფხული,  
ვიცი, სიჩუმეში შვება მეტია და  
დავალ ფეხაკრეფით ჩემთვის გასუსული.  
თორემ თუ აზვირთდნენ ფიქრთა გრიგალები,  
წამი დაბნეული კვლავაც ამხედრდება,  
მერე? მერე უკვე, რალა გავაგრძელო,  
სხეულს აღარ ვდარდობ, სული დამელლება.

**ღა მისტირიან**

დაფარვატებენ ქარვისფერი ფოთლები ჩუმად  
და მისტირიან ფოთოლცვენის უნაზეს დღეებს,  
ერთ დროს უბელო ოცნებებით დახუნძლულები,  
თვალს არიდებენ დამფრთხალი მზის უსუსურ  
ფერებს.

ვერ ელევინან ალვებთან და ძენებთან ჩურჩულს,  
ქარებს უფრთხიან სევდისაგან დამაშვრალევი.  
დაფარვატებენ ქარვისფერი ფოთლები ჩუმად  
ვით ფოთოლცვენის გარინდებულ დღეთა მაყრები.

**სიჩუმი მტკივა**

ჩუმი ფიქრებით დაღლილი უჩუმრად დავიარები,  
მტკივა ძალიან მამულის, სხეული ნაიარევი.  
მტკივა მე მისი მზის სევდა, ცრემლებით სავეს  
თვალები

და ცის თავანზე აშლილი ვარსკვლავნი წამტირაღევი.  
მტკივა ფერსავსე იები მტერმა ფეხით რომ გათელა,  
ლამაზი ყაყაჩოების და გვირილების ნათება.  
სიჩუმე მტკივა მამულის, მისი სიმღერა მწადია  
და შორით, შორით გავურბი, წამებს უჟმურს და  
დარდიანს.

ჩუმი ფიქრებით დაღლილი უჩუმრად დავიარები,  
ღმერთო განკურნე მამულის სხეული ნაიარევი.

**წარსული გამქრალა**

თვალეებს მჭრის აისთა ნატიფი ფერები,  
გიგონებ ძვირფასო! და ფიქრებს ვნებდი,  
რა სითბოს აკმევდნენ ის მშვიდი დღეები  
ლურჯთვალა გვირილებს ერთად რომ ვეძებდით.  
წარსული გამქრალა, ვით ლამის ზმანება  
სიჩუმით დაღლილან ჭაღარა ვერხვები,  
ეხლა მეც ჩუმად ვარ დაღლილი ცრემლებით,  
გიგონებ ძვირფასო! და ფიქრებს ვნებდები.

**მებრალვის იასამანი**

მზეს ნისლებიდან მომზირალს ბრაზი უელავს  
თვალებში,  
მებრალვის იასამანი, აატირებენ ქარები.  
სახეზე ფერი არ ადევს, შემომციცინებს თვალებში,  
მოფერებას მთხოვს უჩუმრად ზამთრისგან ნაიარევი.  
მონატრებია წარსულის დღეები სხივთა ნათელით  
და სიყვარულით ავსილი ულამაზესი წამები.  
მინდა აღერსით დავლალო და გავუქარვო დარდები,  
მებრალვის იასამანი, აატირებენ ქარები.

**ზაურ ნოზაძე****გადასახვევი**

დარდს უცებ მივათიბათევებ,  
შეგებას ვგრძნობ ვარდთან ჩახვევით,  
გომში რომ იათინათებს  
საჩხერის გადასახვევი...  
ხმას მთის ჰაერი დამარცვლავს  
ტელეფონიდან მომდინარს! –  
– სად ხარ გე-ნა-ცვა? – დამაცა,  
ჭერათხევე ვარ, მოვდივარ...  
ცა-ფირუზთან კი ვმალდები,  
გული სხვაგვარად ნათდება,  
ჩემი ფიქრიც და განცდებიც  
ლაჟვარდში გადასახლდება...  
სხვა ჟრუანტელით ვინთები,  
სიყვარულთან ვარ ალავერდს,  
სუნთქავენ ჩემი ფილტვები  
ამ დიად „სიპატარავეს“...  
ღმერთო, ატარე სიმშვიდით,  
ცრემლად ნუ უქცევ ფრიალოს,  
ახლა ამ გზაზე ვინც მიდის,  
და ვინაც შემდეგ იაროს...  
დარდს უცებ მივათიბათევებ,  
შეგებას ვგრძნობ ვარდთან ჩახვევით,  
გომში რომ იათინათებს  
საჩხერის გადასახვევი...

2011წ. 25 მარტი

**ოცდაათი აპრილი  
(იცის ვისაც ეძღვნება)**

ეგ ფეხი ხომ კალმახია  
არაგვიდან ამომხტარი,  
ტრფობამ თავბრუ დამახვია,  
ან მაცოცხლე, ან მომკალი...  
სანამ ხელით შეგეხები  
შეგიყვარო მანამ, მინდა,  
კალმახობენ ეგ ფეხი  
ამომხტარან არაგვიდან.  
არაგვიდან კალმახი რომ  
სათამაშოდ ამოხტება,  
შეხება რომ დავაპირო,  
არვინ იცის რა მოხდება.  
და თუ კარგო, ეგ ფეხები  
არაგვიდან ამომხტარან;  
მე ხომ ხელით ვერ ვეხები  
არაფერიც არ მომხდარა...  
წყალი ფიქრებს ნატვრით ივსებს  
თვალს სთავაზობს ახალ სახეს,  
ცივ არაგვი ჩახტი ისევ  
ფეხებიც იქ აკალმახე...  
...და თუ სიტყვა ვათამადე,  
მამ, მენყვილე რითმამ ნახოს,  
მეც არაგვი გადამაგდე  
ფეხებთან რომ ვიკალმახო.

2013წ.

**მიკვირს...**

მე ამ მთებში დავიბადე,  
კავკასიის მწვერვალებთან,  
ლებად მერგო მთვარის ბადე  
გაზაფხულის ელვარება.  
ჩემი გული მოისარკა,  
მრავალწინკლა კალმახებად,  
ერთ ბედდამწვარ მგოსნის ამბავს  
სული დღემდე არ ამხელდა.  
ამამხედრა ახლა დარდმა  
დავატარებ დანას გულით,  
ალარა ვარ ახალგაზრდა,  
ვერცხლითა ვარ დანამული.  
ობოლ ცრემლით ვავსებ ოდას,  
ეცრემლება ეზოს თვალი,  
მიკვირს, როგორ ვარსებობ და  
როგორა ვარ დღეს ცოცხალი.

**მადლობა ღმერთს**

ან მიყიდე, ან გამყიდე,  
როგორ გავძლო არ მიყვარდე,  
ოცნებების გადამკიდეს  
ლამის თვალში დამილამდეს,  
მე ყოველ წამს მენატრები  
ერთ წამს მაინც მომინატრე.  
ვიყინები, ველარ ვთბები,  
თვალთა შუქი მომინათე.  
როდის გაშლი ვარდის ფარდებს  
ალარ უჩანს დარდებს ბოლო,  
იქნებ გული ამიყვავდეს  
ლამეს ალარ დავემონო.  
შენ, შენ გიმხელ გულის დარდებს  
მინდა მაგ შენს თვალებს ვენდო,  
მადლობა ღმერთს, თუ მიმზადებ  
მომავლის გზას საედემოდ.

**ცოდვილი**

ავუარე გვერდი ვარდებს  
სულს მიკოცნის დილის ხედი,  
ახლა ვერვის ვერ ვიდარდებ  
ტყე მაცილებს დილილმეთი.  
შევამჩნიე ტყეში ია,  
საყვარელი, სანეტარო,  
რომ ვაკოცო მეშინია  
ცოდვაში არ ჩამეთვალოს.  
არა, ღვინით არ ვარ მთვრალი  
ფეხის შეშლას თავს არ ვატყობ,  
გზას ვაგრძელებ, მაგრამ თვალი  
უკან მრჩება რალაცატომ.  
თბილად გაშლის ფრონე ხელებს,  
თეთრმა ტალღამ გრძნობით მიტხრა: –  
ია მოგწონს?! – მოეფერე,  
ნახვალ? – მაინც ცოდვილი ხარ...

## გოგი დგებუაძე



\* \* \*

მოკლე სიტყვა, თან დროული,  
ნამალია კარგზე კარგი,  
ვინაც იცის, ვისაც ესმის  
ნათქვამი და მისი ფასი.  
შოთა გვყავდეს, სირცხვილია,  
არ ვიცოდეთ მისი ფასი,  
რადგან კაცი საქმით ფასობს,  
ქვეყანა კი – სამართალით.

\* \* \*

ლექსი არის ცის ქუხილი,  
არის მტრისთვის ლახვარია,  
ნემსის წვერზე დადებული  
ხმა სიმართლის ლაღადია.

ლექსი უნდა გვალვიძებდეს,  
რა დროა და რა ჟამია,  
მოკლე სიტყვით, სიბრძნის თესვა  
ერის მკურნალ-ნამალია.

მელექსეთა გამრავლება,  
მე ვფიქრობ, რომ არ ვარგია.  
ეს ხომ ცუდის ნიშანია,  
ჯარისკაცი თუ გვაკლია.

გაშლილ სუფრით თავს ვინონებთ,  
უთამადოდ არ ვვარგვივართ,  
საჭმელი თუ შემოგვაკლდა,  
ერთმანეთის ჭამაში ვართ.

პატივი ვცეთ, დოვლათს ვინც ქმნის,  
სიტყვას მარტო რა ფასი აქვს,  
მართალ სიტყვას თუ არ ვამბობთ,  
დავიხრჩობით ნაგავშია.

\* \* \*

ჩემში რაღაცა იფეთქებს,  
ველარ ვწყნარდები, ვაჟაო,  
არნივი კვლავ დაჭრილია  
და სისხლი დასდის ღვარადო.

ვაი დედასა, მინდია,  
ხმალი ვერ ჩავდე ქარქაშსო,  
სამშობლოს შველა სჭირდება,  
შენ კი რადა ყრი ფარ-ხმალსო.

დღეს ისე, როგორც არასდროს  
სამშობლოს უნდა დაცვაო,  
თუ არ ვივარგებთ, იცოდეთ,  
სამშობლოს კვლავ დავკარგავთო.

\* \* \*

მიქელანჯელო, „სიქსტის კაპელა“  
მარადიული სიმშვიდით ტკბება,  
შენ უკვდავებას სული შთაბერე,  
სამარადისო ცეცხლი გენთება.  
ყველა განცვიფრდა, ვინც კი იხილა  
შენი დიადი შემოქმედება,  
შენ უკვდავი ხარ, ხარ დიდოსტატი  
და ამიტომაც დრო ვერ გერევა.

**არა – ფანატიზმს!**

მე პატივსა ვცემ იმ საიდუმლოს,  
რომელიც ჩვენში აღვივებს გრძნობას,  
მე პატივსა ვცემ ყველა სინმინდეს,  
ყველას რწმენას და ყველას სალოცავს.

მე პატივსა ვცემ ყველას, ვინც შრომობს,  
თავის ნაშრომით ამრავლებს მოდემას,  
ვინაც აშენებს და აჯანსალებს  
ძმათა სიყვარულს და მეგობრობას.

მე პატივსა ვცემ ზომიერებას,  
მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს...  
ორმხრივ სიყვარულს და გულწრფელობას,  
ქალის და კაცის უღელში დგომას.

მე პატივს არ ვცემ სიბნელეს, ბრმობას,  
არა – ფანატიზმს, დაუნდობლობას!

\* \* \*

სამშობლოს სადღეგრძელოზე  
როცა სამშობლოს არ ამბობ,  
შენს მხარეს კუთხეს ეძახი  
მტრის საამებლად, საამოდ,  
ნუთუ ამასაც ვერ ხვდები,  
სამშობლოს უკვე ლალატობ.

სამშობლო კუთხე არ არის,  
არც სოფელია საამო,  
სამშობლო არ იზომება  
და ეს არ არის სადავო.  
სამშობლოს გულწრფელ სიყვარულს

და მის ღირსებას ვდარაჯობ,  
არ ჩაიდინოთ ეს ცოდვა –  
სამშობლოს არ უღალატოთ!

2000 წ.

\* \* \*

თეთრი, შავი, თეთრი, შავი,  
შეგვაჩვიეს ჩვენ ამ ფერებს,  
ხასიათიც ასეთი გვაქვს,  
მხოლოდ ვხედავთ შავს და თეთრებს.  
უკიდურეს ნაბიჯებს ვდგამთ,  
მერე ვიმკით ამით შედეგს,  
ყველგან დაგვდევს ეშმაკები,  
გამუდმებით მშველელს ვეძებთ.  
მინაზეც ხომ არ გვაკლია,  
ახლა ცაშიაც დაფრენენ.  
ამ შიშებით თუ ვიცხოვრეთ,  
კარგს ვერაფერს გავაკეთებთ.

2000 წ.

\* \* \*

ათ მცნებას ხომ თითქოს ვიცავთ,  
ვმარხულობთ და მუხლზე ვდგებით,  
იქნებ მითხრათ, რომ ვტყუივარ,  
იქნებ ვცრუობ, მწარედ ვცდები.  
ღმერთმა იცის, რაზე ვფირობთ,  
სულ გვიზიდავს ოქრო-ვერცხლი,  
იმედი გვაქვს, ღმერთი მოგვცემს  
პატიებას, გვაქვს იმედი.  
ჩვენ თუ არვის არ ვპატიობთ,  
პატიებას ვისგან ველით?!

2000 წ.

\* \* \*

სამშობლოვ, მინავ, მამულო,  
შენ, ჩემო გუთნისდედაო,  
მე შენ „ურმულსა“ რომ ვუსმენ,  
გულს სევდა მომანვებაო.  
ერთი ნატვრა მაქვს, მომასწარ  
სამშობლოს აყვავებასო,  
მას არვინ გვეცილებოდეს,  
მხოლოდ ამას ვთხოვ ღმერთსაო.

\* \* \*

ხელგამონვდილი საშველად მოსული,  
თურმე ტრადიციების არის შემბილწავი,  
თავისუფლება რყვნისო ადამიანს,  
დღესაც ვაი, რომ ეს არის საკითხავი.

რამდენი ნაცნობი, უცნობი მსტოვრები,  
მტრის სამსახურში ურცხვად მდგომარი,  
რამდენის სიცოცხლე, რამდენის ცრემლები,  
რამდენი უპოვარი, დანგრეული ოჯახი.

შიშში, ტყუილებში, ხალხის ცხოვრება,  
ვერაგ დამპყრობლისგან გვაქვს მონაპოვარი.

სად არის კირიონი, სად არის ლეონიდე,  
სად არის ამბროსი, ცოტნე დადიანი...  
დღეს ისე გვჭირდება გმირობის მაგალითი,  
რომ მოვინანიოთ ჩვენი ცოდვანი.

სამშობლო ჩვენი უკან არ დაბრუნდეს,  
რომ ჩვენ ქვეყანას ჰქონდეს მომავალი.  
მე ველოდები, იქნებ კვლავ გამოჩნდნენ  
ამბროსი, კირიონი, ცოტნე დადიანი.

\* \* \*

პატიოსნებას თუ არ აქვს ფასი,  
კუჭს ვერ აივსებ იმ ქვეყანაში,  
და ამიტომაც მშრომელი კაცი  
სარჩოზე გარბის სხვა ქვეყანაში.

## გაზაფხულა

ტყეში ია ამოსულა,  
თავს იწონებს იქ ენძელა,  
იასამნის სურნელებით  
შეიძლება დავტკბეთ ყველა.  
ტყემ ფოთოლი შეიმოსა,  
გაბმულია ჭიკჭიკ-სტვენა,  
შაშვი დილით ალიონზე  
მზეს გალობით ეგებება.  
ამ მშვენების მომზირალი  
მე ბუნების გავხდი მძველად,  
მე ამ გრძნობით მიმოვაფრქვევ  
იასამნის სურნელებას.

\* \* \*

ეხ, ივერია, ივერია, ჭირთამთმენია,  
რა ლამაზი გვაქვს მთა და ბარი,  
მინდორ-ველია.  
ისტორიით უძველესი გზა გითელია,  
რა გვაქვს ასეთი საიდუმლო, გასარკვევია.  
როდის გვითხრა დიდმა შოთამ, –  
ღმერთი ერთია,  
ვისაც სად უნდა, იქ ილოცოს, ეს სულ ერთია.  
ივერიას გაბრწყინება თუ უწერია,  
მხოლოდ ეს გზაა ერთადერთი გადამრჩენია.

**თინათინ სუხიშვილი**

**მ ვ ი ლ ე ბ ს**

ცხოვრება როცა თქვენს წიგნს გადაშლის,  
 ო, რამდენ ფიქრს და სურვილს წაიღებს,  
 ბუნებამ იცის თვისი კანონი  
 და მოწყალებას თვითვე გაიღებს.  
 ერთნაირ ზომით როდი არიგებს  
 ეს ზე ბუნება თავისა ძალას,  
 ზოგს მეტსა მისცემს და ზოგს კი ნაკლებს  
 თვითონვე არჩევს მტყუანს და მართალს.  
 მაგრამ ბევრჯერ კი ირღვევა ზომა,  
 რომელიც კაცის ხელიდან მოდის,  
 და რაშიც კაცის ხელი ერევა  
 მიკერძოება ჭარბობს ყოველთვის.  
 თუ ზე ბუნებამ გარგუნათ ცოტა,  
 რთველიც არ გქონდეთ ბარაქიანი,  
 გულს ნუ გაიტყვებთ, წინ გაიხედეთ,  
 იმედით ცოცხლობს ადამიანი.  
 კარგად გახსოვდეთ, სიცოცხლის არსი  
 და რასაც ჩვენში ადათი ჰქვია,  
 ნურც თქვენ მოითხოვთ ფიანდაზებს და  
 ნურც თქვენს მომავალს დაუფნთ იას.  
 თქვენით ეცადეთ, თქვენით შექმენით,  
 ზღვარს ნუ გადახვალთ ჩოხის მორგების,  
 ისე გალიეთ თქვენი სიცოცხლე,  
 არ შეგეშინდეთ უკან მოხედვის.  
 ცოტა რამ სხვას შეეკითხეთ,  
 ბევრი თქვენ თვითონ განსაჯეთ,  
 მატყუარა და ცბიერი,  
 მართალი სიტყვით დასაჯეთ.  
 დრო გავა,.... და როს თავისით  
 ჟამი დაღლილ თვალს მილულავს,  
 გმართებთ ლხინს შეხვდეთ ლხინურად  
 და თქვენს წილ ჭირს კი ჭირულად.  
 ო, რამდენის თქმა შეიძლება და  
 სიტყვა არ მყოფნის ყოვლის სათქმელად,  
 მხოლოდ ერთსა გთხოვთ, თქვენს სიცოცხლეში,  
 სული დატოვეთ თქვენს წილ სანთლებად.  
 როს მოვათავებ სიცოცხლეს ჩემსას,  
 სიკვდილ დამივლის ტანში თარეშით,  
 „სულ ცოტასა გთხოვთ, ძალიან ცოტას“,  
 მშვიდად ჩავიდე მე სამარეში.  
 ცხოვრება როცა თქვენს წიგნს გადაშლის,  
 ო, რამდენ ფიქრს და სურვილს გათელავს,  
 იმას მოიმკით ბარაქიანად,  
 თქვენს ცხოვრებაში რასაც დასთესავთ.

**თუ ჩემი ფიქრი**

ქართული სისხლი მიდულს ძარღვებში,  
 მკერდში ქართული გული მიღელავს,  
 თვალში გამოკრთის ქართული სხივი,  
 ყურში ქართული ზარი მირეკავს.  
 თუ ჩემი ფიქრი, გრძნობა, გონება,  
 ქართული სულით გავალამაზე,

მაშ, რაღა არის ჩემი სიცოცხლე,  
 თუ ქართულ მიწას არ ვანაცვალე.

.....

გულის ფიცარზე დაგიტევე,  
 ქართულო ჭირო, ლხინო,  
 ბრძოლაში ნანრთობო ხმალო,  
 ომში დალუპულო გმირო,  
 ბრძოლაში დაბადებულო,  
 ბრძოლითვე გამოზრდილო.

მომავლის დიდო იმედო,  
 ქართული მიწის შვილო,  
 ამრავლე ძე და ასულნი  
 ქართული გვარის შვილო.

გულის ფიცარზე დაგიტევე,  
 ქართულო ჭირო, ლხინო,  
 უფრო ღრმად გადგი ფესვები,  
 ქართული ვაზის ძირო.

**ღმერთო გვიკურთხე**

ცას წვდება მთების გუგუნი,  
 შუქი ემატა მზიანსა,  
 ღმერთო, შეჰმატე ჰანგები,  
 სიმღერას მრავალსხმიანსა.  
 ღმერთო, უშველე ქვეყანას  
 და გულს საგულეს დებულსა,  
 ღმერთო, შეჰმატე დიდება,  
 ქართულ სულს მირონცხებულსა.  
 ღმერთო, იმედი მიეცი,  
 დარდით გულს დაკვნესებულსა,  
 ღმერთო, შეჰმატე სიბასრე,  
 ქართულ ხმალს დაკვესებულსა.  
 ღმერთო, ძალ-ლონე მოგვეცი,  
 საქმეს არ ვიზამთ ავსაო,  
 გვიკურთხე შნო და ლაზათი,  
 რაც რომ ამშვენებს კაცსაო.

**იღუპალი კითხვა პასუხი**

ბრძენი ხარ?—არა, ბატონო,  
 და არც სულელი გახლავარ.  
 სუსტი ხარ?—არა, ბატონო,  
 ჯანღონით სავსეც არა ვარ.  
 ფული გაქვს?—არა, ბატონო,  
 და არც მსურველი არა ვარ.  
 მაშ, რა გსურს, რას ინებებდი?  
 ამ პასუხისთვის მზადა ვარ

მსურს მხოლოდ ჯანის სიმრთელე  
 და შვილისშვილთა ნამრავლი,  
 სტუმარმა არ მიმატოვოს  
 და სიტყვა მქონდეს მართალი.

**დროის ხალხნი**

ღამენათევი ფიქრები,  
 გადახვენილან სადღაცას,  
 გაღმა-გამოღმა ივლიან  
 და მომიტანენ ამბავსა.  
 და მომიტანენ ამბავსა,  
 გაგონილსა და ნანახსა,  
 გზა და გზა წამოკრეფილსა,  
 ნათქვამს ძველსა და ახალსა.  
 ვის რა არგუნა ცხოვრებამ,  
 ვის ძველს ახსენებს, ვის ახალს,  
 ვის შხამი ასვა ხელმწიფემ,  
 ან ვის შეერგო წამლადა.  
 ვისთვის გათენდა ადრიან,  
 და ვისთვის ადრე დაღამდა  
 ვის გულზე ვარდად ეფინა,  
 და ვის დაეტყო დამლადა.  
 ისევ თავს ვუყრი ჩემს ფიქრებს,  
 გაფანტულს აღმა-დაღმასა,  
 ჩემს სათქმელს ბოლოს მეც ვიტყვი,  
 თუ კი განგებამ მაცალა.

**პოეზიის ხეობაში**

ჰოი ბუნებავ! რამ მოგცა ძალა,  
 ან ვით შეგამკო მშვენიერებით  
 და კაცთა მოდგმას ძალასა ჰმატებ,  
 რომ ინავარდოს შენს ნალკოტში ბედნიერებით.  
 ფეხი დაადგას მთვარით ნახატს  
 და მზით მოქარგულს შენს მწვანე ველსა,  
 ნეტავი შემწევს ძალა იმისა,  
 შევასადაგო ჩემი გრძნობა  
 შენს ზღაპრულ ფერსა.  
 არა მგონია, რომ ამ გრძნობას სადმე გავეცე,  
 ან გაქცევას როგორ გავზებდავ.  
 პირქვე დავეცე, თუ ბუნებავ, მე არ ვილოცოშენს  
 ქმნილ ხატზე..  
 თუ არ ვილოცო შენს ბედ-იღბალზე,  
 შენს მშვენიერებაზე,  
 ჩამავალ მზეზე,  
 შენს მთვარეზე,  
 შენს სიყვარულზე  
 თუ არ ვილოცო, პირქვე დავეცე.

**ჯუმბერ ტიკარაძე****მეფობა**

აქვს გრძელი ცოცხი და ფართო ულაშები,  
 ნელში მოხრილია ოდნავად ის,  
 და, ის მეეზოვე, დინჯი მეეზოვე,  
 დადის და ჰგვის... დადის და ჰგვის...  
 დადის და ჰგვის, დღეები მიქრიან,  
 ქურჩა ხან მშვიდია, ხან ქარი ჰქრის,  
 და ის მეეზოვე, დინჯი მეეზოვე,  
 დადის და ჰგვის... დადის და ჰგვის...

## ლამზირა შეყილაძე



### წმინდა სამოსი

სვეტიცხოველი... აბრწყინებს ნათელს  
და არე-მარე ნათლით ივსება.  
ღვთიურ წყალობას უფალი გვაფრქვევს,  
მნამს საქართველო გამობრწყინდება.  
ჟამთა სანუთროს მაღლი შემოსავს,  
დადგება ჟამი სანეტაროსი.  
ლურჯი ტარი ღვთაებასა ჰგავს,  
აცვია ოქროს ტანისამოსი.  
გვესაკმეველება ღვთისმშობლის კვართი,  
სულს განუტევებს შური, ქაოსი.  
დედაშვილს ველით, ვითარც სიცოცხლეს,  
აქ არის მათი ტანისამოსი.  
10. X. 2012წ.

### ბედო ტიალო

(ჯიბო ჯიბერს)

ზოგს საოცარი ბედი აქვს ქვეყნად  
და უსრულდება ყველა ნადილი.  
მე ტკივილები დამყვება ბედად  
და მოშხამული ბასრი მახვილი.  
რა უღმობელი თვალებით მიმზერ,  
ჩემი სიმართლე რატომ გემწარა.  
ამდენ ტკივილის ერთად დანერა,  
ბედის-მწერალი არ დაგეზარა?..  
რაც უფრო ფრთხილად ვზომავ ნაბიჯებს,  
მით უფრო მეტად მიმძიმებ სავალს.  
მე შენთან კამათს აღარ ვაპირებ,  
მიგატოვებ და ჩემი გზით ნავალ.  
20/IV 2013წ.

### პოეტს სიკვდილი ვერ მოკლავს,

პოეტი დარდში დნება.  
თუ ლექსი შეწყვეტს სიცოცხლეს,  
პოეტი მაშინ კვდება.

### წლები მიდინან

ახლა შორსა ხარ, გზებზე ნისლია,  
იდუმალ ალში იწვის სანთელი.  
უშენოდ სუნთქვა არ შემიძლია,  
დგას მონატრების კორიანტელი.  
ახლა შორსა ხარ, გულში ნისლია,  
ვინროა გზა და გულს მიღრღნის დარდი,  
მარტოსულობის წლები მიდიან  
და ჩემს სხეულში „ტკივილი დადის.“  
ახლა შორსა ხარ გულში ნისლია  
და შუალამისას რეკენ ზარები...  
რადგან უშენოდ არ შემიძლია,  
შენს გულცივობას შევეფარები...  
ახლა შორსა ხარ, მითრთის სხეული,  
აღარ მაბრუებს სურნელი ვარდის,  
ჩემს ცხოვრებაში გზაარეული,  
ჩამოძონძილი „ტკივილი დადის.“  
15/III 2013წ.

### მთვარას ვნახავდი

წუხელ სიზმარი ვნახე ამგვარი,  
მენამულ მთვარეს მკლავზე ვენვინე.  
არ ვიცი, შენ ხარ ჩემი რჩეული,  
თუ მთვარე არის ჩემი მენყვილე.  
ვფიქრობდი, შენზე აღარ მეფიქრა,  
კვლავ ჩემს სიზმრებში რატომ თენდება?  
შენი წყურვილი ბაგეს მეფინა,  
მე, შენ კი არა, მთვარეს ვნებდები.  
წუხელ სიზმარი ვნახე ამგვარი,  
მენამულ მთვარეს მკლავზე ვენვინე.  
არ ვიცი, შენ ხარ ჩემი რჩეული,  
თუ მთვარე არის ჩემი მენყვილე.  
27/X 2012წ.

\*\*\*

ვიცი, უამრავ ქალს უგებ მახეს  
და ცაში ფრენას ტყვილად სთავაზობ.  
ფუჭად ნუ ხარჯავ მაგ მცირედ საკენკს,  
შენ ყველა ქალი, უარს გთავაზობს.  
2013წ.

### მზეს აუწიეთ

ზამთრის ყინვაა, მეფობს სიცივე,  
გაბრუებულან არყით ლოთები.  
გათოშილი ვარ, მზეს ველოდები,  
მზეს აუწიეთ, თორემ მოვკვდები.  
8/I 2013წ.

### უშენოდ

გარეთ წვიმს და წყვდიადი გულს ივსებს,  
მე ვთავდები, უგონოდ ვარ თითქმის.  
თუ უშენოდ ყოფნა მიწვეს ისევ,



ეს ცხოვრება აღარაფრად მიღირს...  
 გარეთ წვიმს და შენზე ვფიქრობ ისევ,  
 ფიქრები მღლის და ოცნება მლაღავს.  
 უშენობით გულს ვერაფრით ვივსებ,  
 განა ღმერთი გაპატიებს ლაღატს?!  
 გარეთ წვიმს და წყვდიადი გულს ივსებს,  
 მე ვთავადები, უგონოდ ვარ თითქმის.  
 თუ უშენოდ ყოფნა მიწევს ისევ,  
 ეს ცხოვრება აღარაფრად მიღირს...  
 17/V 2013წ.

### შეგვრქან ყოფის უნეტარობა

მოგისაკლისებთ დიდ მონატრებით,  
 ამა ქვეყნიდან წასულს გარდაცვლილს,  
 ტკივილად გულში, რომ მემატებით,  
 დროს ავედევნე დარდით ქანცვაცვლილს.  
 დავბორიალებ საფლავებს შუა  
 და მახრჩობს ჩემი უსუსურობა.  
 ჩამესმის ვარდთა უცრემლო გლოვა,  
 შევიგრძენ ყოფის უნეტარობა.  
 ვათვალთვლებ გულდათუთქული,  
 სურათებიდან გარინდულ მზერას,  
 ასე მგონია მათი თვალები,  
 თითქოს ითხოვენ ჩემიდან შევლას.  
 წარმოვიდგინე მე, ჩემი თავი,  
 ვინე ქ საფლავში, ქვა გულზე მედო.  
 მაკრთობს, მაყრყოლებს სხეულში ცივად,  
 საფლავებიდან დუმილის ექო.  
 საღამოვდება მკრთალობს გარემო,  
 მძიმე ნაბიჯით ვტოვებ საფლავებს.  
 ათასი ფიქრი მირევს გონებას,  
 დარდები მახვევს მწუხრის მაქმანებს.  
 14/X 2011წ.

### გტანჯავს მამულის სიშორე

*ჩვენს მშვენიერ თანამემამულეს  
 ლეილა შუბითიძეს*

შორს მოგინია ცხოვრებამ,  
 შორს ცხოვრობ საზღვრებს იქით.  
 თვალებით დაგაქვს სამშობლო,  
 და ეფერები ფიქრით.  
 გტანჯავს მამულის სიშორე,  
 სიზმრად ქცეული ეზო.  
 მთებში თავქარა ნიავის  
 კლდიდან მომსკდარი ექო.  
 ლალი რაკ-რაკა მდინარე,  
 ყვავლთა ნაირფერობა  
 ვარსკვლავნი ღამით მცინარე,

ჩაფიქრებული ხეობა.  
 ღმერთმა მოგმადლოს სიცოცხლე,  
 მუდამ გწყალობდეს უფალი.  
 შენი სამშობლო გეხილოს,  
 მტრებისგან თავისუფალი.  
 5/V 2013წ.

### მამულის სადარაჯოზე

(საქართველოს სიამაყეს სულმშვენიერ ადამიანს  
 ბატონ ვანო გოშაძეს)  
 შენ საქართველოს სიცოცხლით სუნთქავ,  
 გიყვარს სამშობლო და შენი ერი.  
 დგებარ მამულის სადარაჯოზე,  
 ვით ღამის მთვარის ღამაში ფერი  
 გულდასმით იცავ იბერთა წესებს,  
 არასდროს მამულს არ მოწყინდება  
 რომ უფრთხილდები წინაპრის ფესებს,  
 მომავლის შუქად გამობრწყინდება.  
 ყვირილის პირას გავხედნი რითმებს,  
 დარდებს გავატან თავქვე დინებას.  
 ავხედავ ცაზე მოარულ ნისლებს,  
 აქ ლექსის წერაც არ მომწყინდება.  
 ღმერთმა მოგმადლოს უხვი წყალობა,  
 შენი სავალი იყვეს მზიანი.  
 მუდამ მხვდებოდეს ჩემს იმერეთში  
 შენებრ კეთილი ადამიანი.  
 20.VI.2013 წელი

### ღეღას

შენ ჩემი გულის მარგალიტი ხარ,  
 სული ნათელი ანგელოზისა.  
 მადლობა უფალს შენი ალერსი,  
 შენი შვილობა მე რომ მეღირსა.  
 შენი სხეულით გავჩნდი ამ ქვეყნად,  
 ძარღვები შენი სისხლით მაქვს სავსე.  
 ჩემში ანთიხარ სიცოცხლის ღმერთად,  
 სყვარულით და სიკეთით მავსებ.  
 ამ წუთისოფლის ეკლიან გზებზე,  
 „მე შენი გულის სითბო თან მახლავს,“  
 შენი სიცოცხლით ვივსები დღემდე,  
 შენებრ მადლი და ღირსება დამაქვს.  
 შენა ხარ ჩემი ცხოვრების სიბრძნე,  
 ხვალინდელი დღის დილა მზიანი.  
 რარიგად მინდა შენს მწვერვალს მივწვდე,  
 რომ სული მქონდეს შენებრ სვიანი.  
 25.06.2013

დიბადა 1949 წლის 10 იანვარს. საშუალო სკოლა დაამთავრა 1966 წელს. იგი სწავლობდა თბილისის მე-100 საშუალო სკოლაში. რომლის დირექტორი იყო, მიხეილ შაიშველასვილი, ხოლო ქართული ენის მასწავლებელი – ლოლა სვანიძე. საშუალო სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე მოვიდა თავისუფალი თემა: “რად მიყვარს ჩემი სამშობლო?” ქალბატონმა ლალიმ ორ წუთში გასცა პასუხი და გარეთ გამოვიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ უმაღლეს შეფასებას მიიღებდა და მართლაც... დღეს ამ ლექსს მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მისი ავტორი არის ლალი კახიძე.



**ლალი კახიძე**

**შენ... შენ... შენ...**

(ჩემს უფროს ქალიშვილს მაკას)

დარდიანია შენი თვალები,  
გულის ნაღველით ჩაფიქრებული...  
გადახდილი გაქვს ყველას ვალები,  
შენი ბედით ვარ გაკვირვებული.  
მარტო არა ხარ, ნუ გეშინია,  
მეც შენთანა ვარ... სიცოცხლე ჩემო  
შენი დარდები ყველა ჩემია,  
გულშიც ამიტომ მხოლოდ შენ გჩემობ.

**ყველა მფრინავს**

მიფრინავთ დედამინიდან,  
უახლოვდებით ცის კიდეს...  
ცეცხლი მედება ვინვი და...  
გავჩუმდი ხმას გავერინდე.  
ვკანკალობ, შიშით ვკანკალობ,  
თქვენი გამირობის ჭირიმეთ,  
შიშით გავლენე კალო და...  
ჩუმად ფიქრებით ვყვირი მე.  
მგზავრი ვარ, თვალს თქვენ გადავენებთ,  
თქვენზე ვარ შეყვარებული,  
ჩემი სიცოცხლე განდეთ და...  
თქვენთან ვარ შეფარებული.  
მახარებს თქვენი გამირობა,  
მახარებს თქვენი სერობა,  
ლექსიც ამ სიტყვებს ყვიროდა,  
ფრინაობაა გამირობა.

1966

**რად მიყვარს შენი სამშობლო  
(თავისუფალი თემა)**

ირემს რად უყვარს მთის წყარო,  
ვაჟკაცს რად უყვარს ხმალია,  
მე რატომ მიყვარს სამშობლო,  
განა ეს საკითხავია?!

**ყვავილების მეფე ხარ და...**

შენი ხიბლით ამეტყველდა ლოდიც.  
ვარდო, მომეც ეგ ფურცლები ფარდად,  
შორს ნუ დგახარ, ჩემთან ახლოს მოდი.  
შენ ჯობიხარ სილამაზით ყველას,  
გთხოვ, ეკლებით არ დამკანრო კარგო,  
თუ ჩემს გულსაც დაჭირდება შეველა,  
მაშინ იქნებ ეზოშიაც დაგროგო.

**გაზაფხული**

აასურნელე ტყე და მინდვრები,  
საოცრებაა ფერი ნუშების...  
შენ, სიკამკაშით ოქროს ედრები,  
ტანზე ჩაგიცვამს მზის ბაჩუჩები.  
ო, გაზაფხულით არის სერობა,  
ვარდს კი ეკლებო, რატომ ეკვრებით.  
დღეს ჩემს გულშია ტკბილი დღეობა,  
დღეს უსათუოდ ხიბლით დავთვრები.

**ღარღები**

ძალზე ძნელია. კაცს ვერ იტან და...  
გულში იხუტებ ღარდად...  
უფრო ძნელია... კაცი გიყვარს და  
ის სხვას უყურებს ხარბად.  
სულის ტანჯვაა... სხვა ქვეყანაში,  
სამშობლოს ნატვრა გქონდეს,  
იმას ხედავდე შენს პურ-ყანაში,  
ღოვლათი სხვას მიჰქონდეს.

**ჩუტყვავილა გატონავს**

ბატონები თუ გვესტუმრენ,  
უნდა შევხვდეთ ტკბილეულით.  
სათამაშოდ ვუხმობთ ურმებს,  
ეზო – ყურეს შემოვუვლით.  
ვუმღერებთ და დაუწყვავებთ,  
ვეფერებთ ხალხს და ქუჩებს...  
ჩვენ თუ თავებს შევიკავებთ,  
დაგვიკოცნის ნითელ ტუჩებს.

**ნუგზარიკოს (შვილიშვილს)**

შენ განაცვალე მთელ ჩემს სიცოცხლეს,  
მინდა ბავშვობა გქონდეს კაცური.  
მაშინ ბებიკო ას წელს ვიცოცხლებ.  
ამ სურვილისთვის ხომ არ მემდურნი.

მინდა შენ იყო ღმერთის მორჩილი,  
თავმდაბალი და ზრდილობიანი.  
მე თუ მოვკვდები იმას არ ვჩივი,  
შენს სულში იყოს ადამიანი.

**გიორგის (ჰვილიჰვილს)**

ბებოს უნდა... გაეზარდო,  
იყო თბილი, ჭკვიანი,  
მერე შვილთა შვილიც ზარდო,  
იყო ადამიანი.

**ჩამიჩურჩულე**

ბაბუანვერა რას ცახცახებ, რას ფიქრობ ნეტავ,  
ვინ გენატრება, ვისი გინდა ხელის შეხება...  
მითხარ, ვინ გიყვარს, ან ვის დარდობ ყველაზე მე-  
ტად,  
ჩემო ბრდღვიალავ, შენი ფიქრი ვის გულს ეხება.  
ბაბუანვერავ, ასე ნაზი ან როგორ გაჩნდი,  
იქნებ ციდან ხარ დახატული სიკეთის ფანქრით,  
მომენონე და მოგეფერე, ჩემს გულში ჩადნი.  
ბევრი ვიტირე, ნამებში, რომ ხელიდან გაქრი.



**ქეთევან ნათელაძე**

**ხუთი მაისია! . .**

*(გულნაზი ხარაიშვილს)*

სული ყოველგვარი ავის მომრიდევ.  
ფრენა არჩია და მიწას მოემდურა,  
და თქვენ ხელთ გიყპრიათ, როგორც ორქიდეა,  
დარდი – შერეული ლექსებს პოეტურად.  
ყველა თეთრად გავლილ ღამეს ამწყალობებს,  
ფიქრი გადაღლილი ამდენ ანათემით,  
და თქვენ სულ სხვას უმზერთ ღამაზ სამყაროებს,  
თავად უფალთან და ლექსთან თანაბრდებით.  
მაგრამ ბედისწერას უყვარს დარდით თრობა,  
ახლა თქვენი გზებიც დარდით გაისარკა,  
თქვენ არ დაეცემით, რადგან პოეტობა,  
მხოლოდ პოეტობა გიხსნით ავისაგან!..  
და თუ პოეტობაც არის განაჩენი,  
და თუ პოეტობაც არის სასჯელივით,  
უნდა დაამარცხოთ ხვედრი დანარჩენი,  
გზად რომ თარეშობდა ქრისტეს გამცემივით.  
ახლა სხვანაირი ფეთქავს გაზაფხული,  
ცაშიც ჭექა-ქუხილს სხვაფრად გაისვრიან,  
ზეცა აულიათ რითმებს იერიშით,  
ხუთი მაისია! . . ხუთი მაისია! . .

2012წ. (5 მაისი)

**ვირხვის ფოთოლი, ფოტო და ლოკა**

იმ დღით, ჰო იმ დღით მზით გაუვსები,  
ცა თეთრდებოდა ღრუბლების კვართით,  
იმ დღით მდუმარე ავტობუსები  
დაატარებდნენ სიცივეს ზამთრის.  
მე ვშლიდი ლოკას, ლექსებად ვწვიმდი,  
მზით ივსებოდა ოცნების სურა,  
ჩვენი ღიმილი ეხატა მშვიდი,  
წიგნში ოდესღაც ჩადებულ სურათს.  
იმ დღით მივხვდი, რომ ვერ შეცვლი ზენიტს,  
იმით, რაც ზენიტს უბრალოდ მოჰგავს,  
არ უხდებოდა სურათი ჩვენი,  
ლექსების კრებულს, მით უფრო ლოკას!  
ყინავდა გარეთ და სულში ხმები  
აღწევდნენ თოვლის, ასულნი ცამდე,  
ამოვაცალე სურათი კრებულს,  
და ნაცვლად ვერხვის ფოთოლი ჩავდე...  
მერე კი ქარებს, ფანჯრებთან მოსულთ,  
ვატანდი ფოტოს, ისე, ვით გზავნილს,  
თავი მოიკლა უსულო ფოტომ,  
და ყველაფერმა მოიკლა თავი  
ჩემს და შენს გარდა, რადგანაც ვლდიდით  
ერთმანეთს და მზეც სხვაგვარი გვსურდა,  
დღეს ვცხოვრობთ მშვიდად, რადგანაც მივხვდით,  
უერთმანეთოდ არა ვართ ცუდად.  
იმ დღით კი თითქოს მზით გაუვსები,  
ცა თეთრდებოდა ღრუბლების კვართით,  
იმ დღით მდუმარი ავტობუსები,  
დაატარებდნენ სიცივეს ზამთრის.  
...რა გითხრა, ხშირად მე ისევ ვუპკრავ  
ნოტებს სულში და ნოტებში მბორგავს,  
დღეს ყველაფერი რიგზეა უკვე,  
ჰო, ყველაფერი რიგზეა უკვე,  
ვერხვის ფოთოლიც უხდება ლოკას!..



## ელგუჯა სხირტლაძე

\* \* \*

ავსწევ ამ სასმისს, შენი დღეგრძელობის,  
და თითქოს, ისე ძალიან მთვრალი ვარ,  
შენი სიყვარულით, ჩემო ანგელოზო,  
ბახუსის ფრთებით, ზეცას დავფრინავ.  
ისე მომეპარე, როგორც ყოჩივარდი,  
ცისარტყელასავით, გაჰქერი წამიერად,  
სული ჩემი გაგყვა, უცხო სამყაროში,  
ოცნება დამრჩა, მრავალჟამიერად . . .  
ნუთუ, ვერ ვიხილავ ცისარტყელის ბოლოს?..  
ნუთუ, აყვავდება უჩვენოდ ვარდები?..  
ნუთუ, ვერ მოვითხოვ, ჩემს წილ სიყვარულს?..  
ნუთუ, ჩავინვები როგორც სანთელი?..

\* \* \*

როგორ მენატრები, ეს ღმერთმა იცის,  
როგორ მენატრება, შენს მკრდზე ტირილი,  
ნატრული გავხდი, შენი ჩახუტების, ნყეული  
ცხოვრება, ყოფილა ირიბი.  
წასულა ბავშვობა, მისდევენ დღეები, ვინ მოსთვ-  
ლის, რამდენჯერ აყვავდნენ ხეები,  
დავღალე ეგ გული, ლოდინით დავღალე,  
დავაჭკნე, ესოდენ ლამაზი ხელები.  
გასცქერი სარკმლიდან, დაღალულ თვალებით,  
ლოცულობ ყოველ დღე, ანთებულ სანთელით,  
რომ შვილთან შეხვედრას, დაადგეს საშველი,  
და, მოსულ გაზაფხულს, გაჰყურებ ნალველით.

\* \* \*

საითაც გაგინიე,  
შენც იქეთ დამენიე,  
რას მერჩი, არ მახსოვს,  
რა ჯინი გაგინიე ? . .  
რაც ჩემსკენ მოვინიე,  
სულ შენსკენ გაინიე,  
რაც მე მომენონა,  
ზენც ის აირჩიე.  
თუ რამ, მოვიპოვე,  
სულ შენ „დაითრიე“,  
მარტო სული დამრჩა,  
ქვესკნელს ჩაითრიე.  
საიდან მოხვედი და,  
ან რისთვის ამირჩიე ? . . .  
მანამ არ მომეშვი,  
სანამ არ მითრიე . . .  
ბოლოს გავბრაზდი და,  
თამაშში გაგინვიე . . .  
რომ ვერ მოგიცილე,  
ჩაყოლა ავირჩიე.  
თვალეები დავხუჭე და,



შენც თვალი აიხვიე,  
კლდიდან გადავეშვი და,  
უკან არ დაიხიე . . .  
რას მერჩი, არ მახსოვს,  
რა ჯინი გაგინიე ? . . .

\* \* \*

დაუთოვია შენზედ ჭალარას,  
თურმე, რა უცებ გასულა წლები,  
ვინ მოსთვლის რამდენ გაზაფხულს ითვლი,  
ჩემო ლამაზო, ჭალარა დედი.  
ბერმუხასავით ფესვებ მაგარო,  
შენც ბევრი ნახე, ავი და კარგი,  
მყინვარწვერივით გათეთრებულო,  
კაჟი კლდესავით ძლიერო მამი.  
თქვენი ჭალარის იმედით ვხარობ,  
თქვენ ჩემი სულის დიდო იმედო,  
მრავალჟამიერ ჯანმრთელად  
მყავდეთ, მრავალჟამიერ ჩემო ტკბილებო . . .

\* \* \*

ნეტავ სადა ხარ ბედნიერო,  
ჩემო ორეულო,  
ოდესღაც ძლიერო, კადნიერო,  
ცოდვას მორეულო,  
ღვთის მოშიშო, სიმართლისთვის,  
მახვილ მოღებულო,  
ჩემგან განსხვავებით, სიკეთეში,  
გზა-კვალ არეულო,  
კეთილშობილების, უანგარო,  
ტკბილო მზარეულო,  
როგორ მომენატრე, ჩემი ცოდვით,  
ფუჭად გაბნეულო,  
ჩემო ორეულო, მაგრამ ჩემგან,  
უკვე შორეულო . . .

## ანი უშიკიშვილი

## ჩვენ

მე და შენ, შენ და მე, რა მარტივად ჟღერს, თან რა უბრალოდ..  
 ამქვეყნად ხომ იმდენი მე და იმდენი შენ ვიყავით..  
 მე და შენ ვარსებობდით მეგობრებად, მეზობლებად,  
 მოყვარედ, უფრო კი მტრებად..  
 გვიყვარდა, გვძაგდა, ვიბრძოდით, ვცდილობდით..  
 ჩემში და შენში ცოცხლობენ ის მე და ის შენ..  
 მე რომ სიკვდილმისჯილი მერქვა,  
 შენ კი ჩემი ჯალათი იყავი.  
 ის მე, შენ სისხლს რომ ვღვრიდი და თქვენი მოდგმა მძაგდა,  
 ის შენ, ფეხქვეშ რომ მთელავდი და მე რომ  
 ფენიქსივით ვდგებოდი მტვრისაგან,  
 რომ არ გნებდებოდი, რომ გეურჩებოდი,  
 ჩემი სისხლით რომ მომირწყე ვენახი, ის მე ვარ მე!  
 მე ცოცხალი ვარ ათას წლის მერეც და გეუბნები  
 რომ ისევ ვფეთქავ.  
 შენ ახლა ისევ ახლოს ხარ ჩემთან, ისე ახლოს ხარ, როგორც მაშინ..  
 და ჩემს მეს სულაც არ სურს მისი რითმის ცვლილების  
 მიზეზი იყოს,  
 როგორც ამას ინატრებდა ათას წლის წინათ.  
 მინდა იფეთქო! მინდა სიცოცხლემ იჩქეფოს შენში,  
 შენი სახე, მშვიდი და მიმნდობი,  
 მომნუსხველი ღიმილით გამთბარი  
 ისეთია, როგორც ადრიაანი დილა ჩემს მეხსიერებაში,  
 როცა არ იყო ბოროტი ჩემში.  
 მე მძაგდი, გკლავდი და არ მებრალებოდი.  
 ვლამობდი განმედევენე, თავიდან მომეცილებინე,  
 ახლა კი შენკენ მომინევს გული, მე აღარ მძულხარ!  
 მართალია, ჩემს ხელებს ჯერ კიდევ ამჩნევია შენი სისხლი,  
 ისევე როგორც ჩემსას შენი  
 მაგრამ, ჩვენ აღარ ვართ მტრები!  
 ჩვენ მუდამ სხვადასხვა მხარეს ვიბრძოდით,  
 სხვები ვიყავით ერთმანეთისთვისაც.  
 მე და შენ, მართლაც რომ, არაფრით ვგავდით ერთმანეთს.  
 მე აღმოსავლეთით ვლოცულობ, შენ კი ზურგი გიქცევია ჩემთვის.  
 მე წინაპრების საფლავებზე ყვავილები მიმაქვს,  
 შენ კი გულით გიტარებია მათი ხსოვნა.  
 მე მასწავლიდნენ, რომ თქვენთან მეგობრობა შეუძლებელია.  
 შენ კი გეუბნებოდნენ, რომ ჩვენ მტრები ვართ,  
 დღეს კი მიჭირავს შენი ხელი და დობას გეფიცები  
 ისე, როგორც წესია მთისა.  
 სხვა რჯულისა და ტომის შემითვისებინარ,  
 შემეყვარებინარ და ჩემიანად მიწოდებინარ.  
 შენ აღარ ხარ სხვა, არამედ ძმა ხარ ჩემი.  
 ათას წლის შემდეგ, ძველ ნანგრევებზე,  
 წინაპართა აჩრდილებს შორის  
 მე და შენ, შენ და მე, პირისპირ ვდგავართ,  
 ჩვენ დავიჯერეთ, რომ შეგვწევდა ძალა ახლის შენების..  
 შენ და მე, სრულებით არ ვგავართ ერთმანეთს..  
 მაგრამ როცა შენი ხელი მიჭირავს  
 ვგრძნობ, რომ ისე ფეთქავ როგორც მე.  
 ...მე  
 და  
 შენ,  
 ჩვენ!

**დავით ტიგინაშვილი**



**წმინდა ნინოს თმით შეკრულ ჯვარო**

იანვარში, როცა მთებზე ჩამოთოვს,  
მცხეთის ჯვარზე გაბრწყინდება სამება,  
საქართველო სანთლის შუქზე ლოცულობს  
წმინდა ნინოს ქართლში შემობრძანებას.  
ნინონმინდის ღამევე ვარსკვლავიანო,  
ქარიშხალში წამოყრილო ჯვარო,  
ქრისტიანულ სამყაროთა ტაძარო,  
წმინდა ნინოს თმით შეკრულ ჯვარო,  
ქვითკირივით გაგვამაგრე, შეგვკარი,  
ავგამალლე ვარსკვლავების ხომლამდი,  
სამშვიდობოს გაიყვანე, გეთაყვა,  
საქართველო – როგორც ნოეს ხომალდი.

\*\*\*

*დიდ კომპოზიტორს, მარიკა კვალიაშვილს*

მთელი ბიბლია თვალწინ მეშლება  
წმინდა სანთელის ჩამოღვევითამდე,  
კვალიაშვილო, ჰანგის მშვენიებავე,  
ერთი გაფრენა რჩება ღმერთამდე.  
დიდი წინაპრის შთამომავალი  
სულში ბრიალებს ხობის ბუმბული.  
ვინ არ იცნობდა მარო თარხნიშვილს,  
ქალი – ლეგენდა! ქალი – ბულბული!  
გიყურებ, ვტკბები, მეამაყები,  
შენი ხატება გულს ცეცხლს მიკიდებს,  
ზეციურიდან მაღლი გადმოდის  
და სიმფონია სულში იღვიძებს.  
დილის საარზე გიმღერს მგოსანი,  
არ გამიფრინდე ლექსო მტრედაო,  
მე ერთხელ გნახეთ ღვთისმშობლის ხატთან,  
როგორ ქარგავდით ნოტებს დედაო.  
ღმერთმა დალოცოს მუზის საუფლო,  
ხნულში ჩამიდექ გოგლას კრებულო,  
ო, დედოფალო ჩვენი ბნკარების  
ასამღერებლად დაბადებულო.  
ისევ შრიალებს შენი ჭადრები,  
რა კამკამაა ფიქრის მდინარეც,  
დიდო მაესტრო, ძველ როიალთან  
ღვთისმშობელს ჰგავხართ მირონმდინარეს.  
დილას მოფრინდენ ანგელოზები,  
თვრებოდა მუზა ქართლით, წამიერ,  
შენს სიმღერებზე ზეცა გალობდა,

რალაც უტკბილეს მრავალჟამიერს.  
ვხედავ, ცის თავზე შავი ღრუბლები  
შენმა ჰანგებმა როგორ გარიყა,  
ქართული სულის მაცოცხლებლო,  
ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო მარიკა.  
მთელი ბიბლია თვალწინ მეშლება,  
წმინდა სანთელის ჩამოღვევითამდე,  
ო, საქართველოს დიდო მაესტროვ,  
ერთი გაფრენა რჩება ღმერთამდე.  
ფერისცვალება - 2012წ.

**მიყვარხარ, ქალავ, მიყვარხარ...**

მიყვარხარ, ქალავ, მიყვარხარ,  
ცრემლით მევესება თვალეზი.  
თუ დღესვე არ მოგიტაცე,  
ტანზე ჩამამხმეს მკლავები.  
წაგიყვან, მზეო საჯიხვეთს,  
ცისკარს მოგრთავენ ქალეზი.  
გადმოუფრინე ჭიუხებს,  
წარბ-წამწამ თმების ლალებით.  
მთებია ჩემი სამოთხე,  
და ჩემი ძვალთ შესალავი,  
გავაპატარძლოთ ხეობა,  
ჩავასიძეოთ არავგი.

**მთა-თუშეთო, საკვირველო**

საჯიხვევ და საარწივევ,  
მთა-თუშეთო, საკვირველო,  
ჩემო სისხლო, ჩემო ჯიშო,  
წინაპართა საძირკველო.  
გადაჭრილი კარაბინა  
ბერმა პაპამ ცაში ბეთქა,  
თქვენმა სისხლმა ჩემში, როგორც  
შადრევანმა ამოხეთქა...  
არწივივით დაჰყურებდით  
ქვეყნის საზღვრებს, კარს და ეზოს,  
თქვენი მაღლი გადაეფრქვა  
ალვანს, ქიზიყს, საგარეჯოს!  
ვეფერები მამა-პაპის  
ნასახლარს და მერცხლის ბუდეს,  
და ველური ჭინჭრის ბუღში  
ამოყვანილ ყველის გუდებს.  
რალა მოკლავს, ვინც იგემებს  
ამ ზედაშეს, საღიღინოს,  
შოთის პურებს, ნაღდ გუდის ყველს  
და ზედ კახურ ღვთიურ ღვინოს.  
ააკვივლეთ გარმონები,  
გადაფუფრენ რაშით სერებს,  
არა, სხვაგან ნუ დამმარხავთ,  
ამ სამოთხეს ჩამასვენეთ...  
დილის სარზე სულში ვიფრქვევ  
მარგალიტის ცვარ-წამს ალალს,  
ვაჟას გვირგვინს, დეკას ყლორტებს  
და შვილის ნუკრის ქორფა ბალახს.

ღმერთო, თუშეთს არ მოაკლო  
 ცხვრის ფარა და მთებში ნისლი,  
 მომავალი დაულოცე,  
 ააყივლე მათი სისხლი.  
 გაუმარჯოს დოღში მცნობარს,  
 ცხვარ-ბატკანს რომ ერთურთს აღრევს,  
 ჭედილების რქების მტკრევას  
 და თეოზე დაყრილ ძაღლებს...  
 ვენაცვალე თავჩობანის  
 მორიდებულ მზერას, ირიბს,  
 და ჭიუხში მთვარის შუქზე  
 ბერიკაცის ნასროლ ხირიმს.  
 ააკვნესეთ გარმონები,  
 გადავიყრით გულის დარდებს,  
 მაშ, დავლოცოთ ჩვენი მოდგმა,  
 ლომივით რომ აღრიადდეს.  
 ბნკარებსა და ბნკარებს შუა,  
 ვემსგავსები მშიერ ფოცხვერს,  
 მთა-თუშეთის სიყვარული  
 დამმარხავს და გამაცოცხლებს!!!

### ჰამლეტ გონაშვილს

გონაშვილი ღმერთმა შექმნა  
 საოცნებო ფიქრებად,  
 ვამე, რომ საქართველო,  
 დღესაც ცრემლად იღვრება.  
 მართლაც, შენი დაბადებით  
 მიწიერნი ხარობდნენ,  
 ვინ ჩაგკოცნა ყელში ტკბილად,  
 რომ ბუღბულნი გალობდნენ?!  
 ღმერთმა შენი ნაშიერი  
 ბედნიერად ამშობლოს,  
 ლომი იყავ, ლომი, ძმაო,  
 ბანს აძლევედი სამშობლოს,  
 ნინაპართა რაინდ ჰგავდი,  
 დგომა გქონდა ლომისა.  
 შეგენიოს ალავერდი  
 და ძლიერი ლომისა.  
 მთელ ქვეყანას ამშვენებდი,  
 ქართულ იერ-სახეთი,  
 შემოგველოს მაგ ტკბილ ყელში  
 მაჭრიანი კახეთი.  
 ბუღბულები აფრენილან  
 ქრისტიანთა რჯულიდან,  
 საქართველოს სატკივარი  
 ამოგქონდა გულიდან.  
 რაღაც ღვთიურ ხმებს აფრქვევდი,  
 რა გაუძლებს ამ ბგერებს...

რაც შენ ნახველ, შენს სიმღერებს,  
 ყველა გულში ვამღერებთ.  
 როგორც მტრედი ლულუნებდი  
 ურმულსა და ნინწყაროს...  
 ვინც შენი ხმით დაიმარხა,  
 უფალმა შეინყალოს.  
 მჯერა ღმერთთან დამშობილდი  
 დიდი ნიჭის განგებით,  
 ეხლა ციდან ჩამოგვატკბე  
 ზეციური ჰანგებით.  
 როგორ მინდა შენი ლოცვა,  
 სატანისგან განდგომა,  
 ვიცი, შენით დაინყება  
 ჩვენი მკვდრეთით აღდგომა.  
 დღესაც მთელი საქართველო  
 შენს ჰანგებზე სულდგმულობს,  
 ღმერთმა სულით გაგანათლოს  
 საქართველოს ბუღბულო!..

### მთვარეც კი შენს სუნთქვას და ღიმილს დაჰყვება

მთვარეც კი შენს სუნთქვას და ღიმილს დაჰყვება,  
 ხევსურეთს გადმოვივლი ქარივით.  
 ტანზე გახორხლილი მარგალიტი,  
 ვაიმე მაბლავლებს ხარივით.  
 ო, სანამ მზე ჩაღვრილ ბრონეულს ჭირიმე,  
 აპრილს ბრიალით დაუვლის ტკივილი,  
 მოდი, გვირილებში ნეკნები დამალენე,  
 მკერდზე დამარნიე ტივივით.  
 შენი სასწაული ღვთიური ვარსკვლავი  
 გულზე დამაჭედე გერბივით.  
 არაგვმა ნაილოს შენი შაკივლება,  
 ცისკარს მაღრიალე თერგივით.  
 ღვინო რქანიტელი და ვარდივით ტუჩები,  
 სამოთხე დალანდეს თვალებმა.  
 დროზე დამმარხეთ და ქვაზე დაანერეთ  
 გადაიყოლეს „ლამაზმა“ ქალებმა.

### ცხოვრების პრინცი

ერთხელ მეც ვიყავ  
 ღვინით და ქალით მთვრალი,  
 ღვთიური ეშხი ღმერთო  
 სულ გვერდით მდევდა,  
 ახალგაზრდობა არის  
 ცხოვრების პრინცი...  
 ო, დანარჩენი –  
 ამქვეყნიური სევდა...



## ლეილა შუბითიძე



\* \* \*

ჰე, ჰე, ჰე, ჰეი!  
 – გადავძახე უსიერ ტყეში  
 და ტყის სიღრმიდან,  
 ჩხიკვის ხმაზე,  
 – ჩემმა ბავშვობამ გამომაჯავრა.

\* \* \*

სახრის გარეშე,  
 მაგრამ მაინც ძალით  
 უღელში შეაბეს  
 გაუხედნავი ხარი...  
 ვერ გაძლო ერთი დღეც,  
 დანყვიტა, დაგლიჯა აპეური,  
 და, რაკი გაინთავისუფლა თავი,  
 – ეძებე ცაში ნაკვალევი ქარის.

\* \* \*

თამუნისა გეძახდი,  
 როცა ორი წლის იყავი მხოლოდ,  
 წამოიზარდე, მოიჩიტე –  
 გახდი თამრიკო.  
 ოხ, ნეტავ როდის მოვესწრო  
 იმ დროს,  
 როცა გახდები ჩემთვის – თამარი...

\* \* \*

კაციანების ნასახლარი,  
 ტატილას ქოხი,  
 ბერუკეების ნასახლარი,  
 მიწა, სადაც კაცს  
 დიდი ხანია არ დაუკრავს თოხი.  
 ნასახლარები, ნაეკლესიარი, –  
 ჰაერი გაჟღენთილია  
 თავისუფალი ჯინით,  
 როგორც ეტყობა, აქ კაცს  
 არ უნდა გაეველო წელში მოხრილს,

გადაჯიშებული პანტა მსხალი, ვაშლი,  
 გამწარებული ბალი,  
 გაკერკეტებული კაკალი.  
 ირგვლივ მარტოობა დადის ოხვრით...  
 მიტოვებული დიდი მთა სოფელი,  
 იცანით ალბათ, – კორტონი.

\* \* \*

წამონოლილი  
 ქვაზე ბაყაყი – ბიკინებით.  
 აქ კი ზაფხულშიც სიცივეა, – ვიყინები.  
 ჭიანჭველების ბუდე დავანგრეე,  
 გაერთდა ფუძე და ჭერი.  
 ერთბაშად შეინძრა  
 მთლად ჭიანჭველეთი,  
 ტკივილით, ზიზლით და წყენით.  
 გვიან გამახსენდა დედის შეგონება  
 რატომ არ დამატყდა მეხი.  
 – შვილო, უმიზეზოდ  
 თვით ჭიანჭველასაც,  
 – არა, არ დაადგა ფეხი.

\* \* \*

სიკვდილის შიში  
 ძლიერ მაქვს, მაგამ  
 სულაც არ მიყვარს  
 მინისქვეშა გადასასვლელი.

\* \* \*

შუა ქუჩაზე გადავდივარ,  
 ვარღვევ მოძრაობის წესებს,  
 ვხედავ სიკვდილი თვალს მიბნელებს,  
 შია, ო, ალბათ წაიხემსებს,  
 – მაგრამ გაჩერდა.

\* \* \*

იმერული სოფლის „ბირჟა“,  
 მშობლიური კაკლის ჩრდილი.  
 კაკლის ფესვზე ამოზრდილი  
 კაჭკაჭების ჭორცხოზილი.

\* \* \*

„უგემურია ეს ცხოვრება  
 ბატონო ჩემო“ –  
 ამბობ შენ, ვინაც სულ არ იცის  
 ცხოვრების გემო.

\* \* \*

მაშინ ვიპოვი უღრან ტყიდან  
 გასასვლელ ბილიკს,  
 როს სიხარულის განცდა  
 უკვე არც გამაჩნია.  
 რქებდალენილი ირემივით  
 გავრბივარ ტყისკენ,  
 ძლივს გადავურჩი ლომის ხახას,  
 – მიღრენს ფინია.



\* \* \*

თითქოს ნაქურდალზე წამასწარი,  
ისე გადავმაღავ ღიმილს.  
და ფეხაკრეფით ბაგეზე გადამივლის  
ღიმილის გაყინული ჩრდილი.

\* \* \*

ფიქრიანი მივლევ შარას  
ჩქარა-ჩქარა,  
გზად ვილაცამ გამიღიმა,  
მგონი რაღაც შეეშალა.

\* \* \*

კატის კნუტივით  
მოგდევ გვერდზე.  
შენ მეტი, –  
ორი თავით ხარ ჩემზე.  
და, მაინც მინდა  
გაგექცე სხვენზე.

\* \* \*

სოფლიდან რომ ვარ  
გამხელაც მიჭირს.  
ვინ ამბობს ამას?!  
– შავი კუნელით  
გაზრდილი ბიჭი.

\* \* \*

ალარასოდეს...  
ვჩურჩულებ და  
სულში ფათურობს  
სევდა და იჭვი...  
ალარასოდეს,  
თუმცა უშენოდ  
ო, როგორ მიჭირს.

\* \* \*

არა, ხელი აღარ ახლო,  
ჩემი სულის სამოსახლოს,  
არც სამანი გადასნო,  
არც საზღვარი გადმოლახო.  
იცოდე, რომ მე აქ ვსახლობ.

\* \* \*

შენი თვალეზი  
გაყინული გუბებია,  
შიგ თუ ჩავვარდი,  
მეც უცილოდ გავიყინები.

\* \* \*

სულაც არა ხარ  
შენ სიბრაღულის,  
შენ სიყვარულის ღირსი.  
ეს ყველაფერი ვიგრძენ, გავიგე,  
და მაინც ვინვი, ვინვი...  
ღირსი ვარ, ღირსი.

\* \* \*

მწიფობის თვეა,  
უმწიფართა  
მწიფობის თვეა.

\* \* \*

ო, ეს თვალთვალი,  
ასი ყური და ასი თვალი.  
იჭვი და ჭორი  
და უაზროდ ენის ჭარტალი...  
და ბოლოს მაინც, –  
ასი ტყუილი, ერთი მართალი.  
ქარმა დაჰქროლა  
და ფურცელ-ფურცელ  
მიმოფანტა შემოდგომის  
უნაზესი ჰერბარიუმი.

\* \* \*

ყველზე დიდი მეგობარი  
მტკიცე და გამძლე  
დროის და ცეცხლის,  
– მე ვარ ჩემს თავთან,  
ჩემი ფიც-ვერცხლით.

\* \* \*

მზისკენ მიმავალ ბილიკებს,  
გზას გადაუჭრის ხევი,  
აქ წელში წყდება ყველა გზა,  
გზა უკან დასახვეიც.

\* \* \*

თუნდ ბუზი იყოს,  
თუნდაც კოლო,  
თუნდაც კალია...  
– ობობას ქსელში გასაბმელად  
შესაბრაღია.

\* \* \*

მოუცლელობის უჩინმაჩინს  
თავზე მოვირგებ,  
სიშორის ნიღაბს  
განგებ ვიფარებ,  
მერე კი ჩემთვის ვფიქრობ და ვდარდობ,  
ნიღბის ტარება რატომ ვისწავლე.

\* \* \*

სამყურა ბალახს ავუნე ყური,  
თუმც გულს არ მღრღნიდა  
ბოღმა და შური...  
სათუთი იყო ყური მისი,  
თითქოს ეწყინა,  
ამიტირდა ციცქნა სამყურა,  
ყურს რომ მინევდნენ, სწორედ ისე,  
ისე ბავშვურად.

**მიმოზა ცანავა****სანამ...**

წვიმამ ყვავილები ააღერა,  
 ისევ ქორწილობენ ენძელები,  
 მე კი შენი თავი გამახსენა,  
 სულო, განშორება მეძნელება.  
 ია, ლურჯთვალემა, თვალეხს ნაბავს,  
 მორცხვი პატარძალი სატრფოს უხმობს,  
 თეთრი გვირილები ლამაზ კაბას  
 ერთურთს უსწორებენ ნაზად, უხმოდ.  
 ასე დასევდილი მწარე ხვედრით,  
 ხატთან ხელაპყრობით ჩავიმუხლე,  
 მერე ლოცვითა და მეტანიით  
 შენი სიყვარულის აჩრდილს ვუხმე.  
 მზე კი, კვლავ ღრუბლებმა გაიტყუეს,  
 ზათქმა გრიგალებმა ჯვარზე მაცვეს,  
 მწარე მწუხარება შემწუთხება,  
 ელდანაცემივით ველი მაცნეს.  
 ხეებს მოსასხამი ეცვარება,  
 ყვავილთ ესარჩლება მწვანე წიწვი,  
 სანამ ეგ წარსული მეყვარება,  
 გეტყვი გულახდილად – არა მიჭირს.

**მოვლენ მარტები**

ისევ ტირილით მოვლენ მარტები,  
 დამიმარტოვებს სევდის ორგია,  
 რა საჭიროა ან განმარტება,  
 თითქოს ცხოვრება ცივი მორგია.  
 თითქოს ცხოვრება სატუსალოა  
 და გაღიმებაც მზირი, ყალბია,  
 ვხედავ, სიკვდილი აქვე, ახლოა,  
 ახლა სიცოცხლე არა მწადა.  
 მზე გადაეშვა მზორგავ ტალღებში,  
 ნერვებაშლილი ნეტავ რას იჭვობს,  
 სული დალახვრა ძმის მახვილმა და  
 მინდა მზესავით თავი დავიხრჩო.  
 ფოთლები მთვარეს ჩამოასვენებს,  
 მონინებით და ხელატატებით,

მე მარტობა დამისაკუთრებს,  
 ისევ ტირილით მოვლენ მარტები.

**მარტობის ქალი**

უკვე მოვიმერცხალე,  
 გაზაფხულიც გაქრა,  
 აღარა მყავს მეცალე,  
 თვალშიც შუქი ჩაქრა.  
 გულზე ხელებს დავიკრეფ,  
 დაველოდო ბნელეთს?!  
 გზას კაკუნით გავიკვლევე,  
 დავეშვები ხმელეთს.  
 ნაზაფხულარ დღეების  
 ისევ მომდევს სითბო,  
 მძიმე უღელს შევები,  
 გავძლებ? როგორ ფიქრობ?!  
 ნელი სიო სალბუნით  
 ამომიშრობს თვალეხს,  
 ჩავაბარებ გამოცდებს  
 ამ ნამთვარევე ღამეს,  
 აბრეშუმის სამოსით  
 შევიმოსავ სხეულს,  
 ველარავინ მიშველის  
 მარტოსულს და ეულს.  
 უკვე მოვიმერცხალე,  
 სულშიც ჩადგა ქარი,  
 სევდამ დამისაკუთრა,  
 მარტობის ქალი.

**მელანქოლია**

სულში თოვლეთი და თოთქოლია,  
 ცრემლი რთვილივით წამწამზე ელავს,  
 დამისაკუთრა მელანქოლიამ,  
 დაუკორტნია სხეული ძერას.  
 თვალსანიერზე არავინ არ ჩანს,  
 თქორმა წამლეკა და ჯვარზე მაცვა,  
 ზე სიყვარული ვით იადგარი,  
 სად დამეკარგა, ვინ გამომტაცა.  
 დატუქსული ვარ ანცი ბავშვივით,  
 კუთხეში ვდგავარ თავჩაქინდრული,  
 გაძარცვულია ჩემი იახტა,  
 იაგუნდები კაზმულ-მდიდრული.  
 ჩემი ოცნებაც აღარ მიბრალებს,  
 წარსულ დღეების კვნესა ჩამესმის,  
 დაუნდობელი დედინაცვალი.  
 დანას მიმზადებს, დანას – ალესილს.  
 სულში თოვლეთი და თოთქოლია,  
 ცრემლი რთვილივით წამწამზე ელავს,  
 დამისაკუთრა მელანქოლიამ  
 და მარბევს, როგორც ტუსალს და მძეველს.

**ქალი**

ქალი – დედა და ქალი – მიჯნური,  
 მარადისობის ჰიმნი,  
 ქალი – ზაფხული და გაზაფხული,

ათრთოლებული სიმი.  
 ზემთაგონების ულევი წყარო,  
 მაცოცხლებელი სხივი.  
 ფიქრთა უსაზღვრო ოკეანე და  
 ვისთვის დაშლილი ტივი.  
 ქალი – სიმშვიდე, ქალი – ნაღველი,  
 მოულოდნელი სეტყვა,  
 ლამაზ სიზმართა ცხადად ახდენა,  
 გულის მთრთოლვარე ფეთქება.  
 ქალი – იმედი, უიმედობაც,  
 ქალი – რწმენა და ძალა,  
 ზოგჯერ გრძნობისგან დაცლილი ჭური,  
 ნაზიარევი ლალატს.  
 ქალი – ფიქრის და განცდის სათავე,  
 სიყვარულივით ტკბილი.  
 უსასრულობა, სულის ბუღბუღი.  
 ზოგჯერ დამფრთხალი ძილი.  
 ქალი – ვნებათა დღესასწაული  
 და ოკეანე განცდის,  
 ქალი – სინდისი, ქალი – ნამუსი  
 და სივაჟკაცე კაცის.  
 ქალი – ნაღველი, მელანქოლია,  
 ღამეულ მთვარის სევდა,  
 შემოძარცული ზამთრის მარტოხე  
 და გაზაფხულის ფეთქება,  
 ქალი – სინმინდე, და ხანაც უნდო,  
 ყვითელ ფოთოლთა ცვენა.  
 ქალი – ხატება, სულის მალამო,,  
 ხანაც ჭორი და წყენა.  
 ქალი – ამაყი მყინვარწვერივით,  
 ქალი – ჯადო და ნუსხვა.  
 და უწმინდესი პირველ თოვლივით,  
 სიმძიმეილიც და რისხვაც.  
 ღვთიური ჯილდო, ბედნიერება,  
 გახელებული ვეფხვიც,  
 ატმის ტოტებზე მბრწყინავი ცვარი.  
 ნაზი ფოთოლი ვერხვის.  
 იასამანთა ფეთქება, სურნელი,  
 ამოუცნობი ჟინი,  
 ვისთვის სიცოცხლის ელექსირი და  
 ვისთვის წყევლა და ჭირი.  
 ქალი – ზაფხულის საამო სიო,  
 ხან ქარიშხალი მკაცრი,  
 მიმტევებელი მრავალ ცოდვათა,  
 ქალი – დედაც და კაციც.  
 ქალი – ალერსი, სითბო, სიამე,  
 მზის მხურვალეობა მწველი,  
 ხან ფათერაკი, დამშრალი წყარო,  
 უერთგულესი ხელიც.  
 ქალი – ყინწვისის ანგელოზი და  
 მზე, ეკატანის ვარდი,  
 ქალი – ტყიური, ქალი – კეკლუცი,  
 ქალი – სევდა და დარდი.  
 ქალი – ეშმაკი, ქალი – სატანა,  
 ჯოჯოხეთის გზა, შფოთი,  
 ქალი – სამოთხე უსათნოესი  
 და სიყვარულის ლოთი.  
 ქალი – ღამეთა იდუმალება  
 და დღის ნათელი სახე,  
 მოულოდნელი რისხვა და მეხი,  
 უსასტიკესი მახე.

კაცობრიობის სუნთქვა, ნუგეში,  
 სიცოცხლის დიდი ფესვი,  
 ქალი – პოემა, ქალი – ლეგენდა,  
 ქალი – მუსიკა, ლექსი.  
 ქალი – ციხე და ქალი – საკანი,  
 თიხის ნათითხნი დოქი.  
 ქალი – ნატიფი ქანდაკება და  
 ხან ავსიტყვათა მორგევი.  
 ქალი – მაცდური, ყალბი სამიზნე,  
 ქალი – მძინარე ლომი,  
 ქალი – მშვიდობა, ქალი – ერთობა,  
 ქალი – ქაოსი, ომი.  
 ქალი – ბინული ამოუშრობი,  
 დამრწყულელებელი კაცთა,  
 ქალი – გრძნობა და ქალი მალამო  
 და ბობოქარი განცდა.  
 ქალი – ბროლივით უსათუთესი,  
 ქალი – გალიის ჩიტი,  
 ქალი – ქარიშხლის ბორგვა, ქომინი,  
 შეღამება და ბინდი!  
 ქალი – ხობობი, ნანადირევი,  
 ქალი – მორჩილი ბედის,  
 ქალი – შვლის ნუკრი  
 დანისლულ თვალთ,  
 და ყელყარყარა გედი!  
 ქალი – ბალახი გასათიბავი,  
 მაცდუნებელი სული,  
 ქალი – სიცოცხლის მომნიჭებელი  
 და მისი დასასრულიც!

### გვედრებ, უფალო!

გულნაზ ხარაიშვილს  
 მხრებზე მოისხი სევდის მანდილი,  
 ამორძალივით ებრძვი ნუხილს,  
 მე შენს ნაღვლიან თალხ გაზაფხულებს  
 თავს დაბლა ვუხრი.  
 ჩამქრალ თვალეებში დარდ-კაემნით  
 შეშლილა დარდი,  
 და მწუხარებაც გახელებულ  
 ხარავით ბლავის.  
 ასე დასეტყვილს, გაგიტაცებს  
 ცხოვრების ტალღა,  
 ილბლის მძიმე ჯვარს  
 ეზიდები დაღლილი ახლა.  
 მოლალურების ყივყივი ხომ  
 კვლავ ძალას გმატებს,  
 ცრემლებგამშრალი დააპურებ  
 პატარა ბარტყებს...  
 ყველა სატკივარს ააფარებ  
 უხილავ ფარდას,  
 ზურგს მოიკიდებ ამ ცხოვრებას  
 კაცივით დარდად...  
 გულში ჩამარხულ ტკივილებით  
 ნატყვიარი იმედით ივლი,  
 გვედრებ, უფალო, ხელაპყრობილი  
 ყველა დედას უცოცხლე შვილი!!!  
 უღრმესი პატივისცემით და თანაგრძნობით.  
 3.03.2013წ.

## კოტე ცინაძე



\* \* \*

მე ვარ შენი სალოცავი,  
მიგდებული ეკლესია.  
შემეშველე სულ ცოტათი,  
ემშაკები შემსევთან.  
მე მეგონა, ცხოვრებაში,  
გმირები არ ბერდებიან,  
ახლა ვხედავ, ოცნებაშიც  
არაფერი შემძლებია.  
კოშკი მქონდა უკარებო,  
სად ზეციდან ეშვებიან,  
სად ველოდი უკარებას,  
სატრფოს ჩემსას, თეთრფრთებიანს!  
რაც შემეძლო, ერთი დამრჩა,  
ლექსებს გინერ რითმებიანს,  
მაგრამ სულში რაღაც გატყდა  
და სიტყვებიც მიქრებიან.  
ოცნებამდე გატეხილი,  
ქილა ერბო მიძებნია,  
არაფერი ახდენილი...  
ისევ ბედის მიმდევი ვარ.  
გრძნობებს ისე ველარ ვმაღავ,  
ჩემი გრძნობა შიშველია,  
მომკლა ფიქრმა, მომკლა დარდმა,  
სულში მწარედ მიძვრებიან.  
მე არ მინდა სხვასთან ყოფნა,  
შენთან ყოფნა მირჩევნია,  
ნუთუ, ყველაფერი მორჩა?  
ნუთუ, ფუჭად მიწერია?  
გეტყვი, მე ვარ სალოცავი,  
მიგდებული ეკლესია,  
შემეშველე სულ ცოტათი,  
ემშაკები შემსევთან.

\* \* \*

ჩემთვის ლექსები ისეთ სახლსა ჰგავს,  
რომლისაც მხოლოდ კედლებია აშენებული.  
ყველა კედელი უკარებოა,  
კარი ერთია, მხოლოდ ზეციდან...  
და ვისაც ფრენა არ შეუძლია,  
მისთვის სახლი ჩანს მიუკარება.  
ამ სახლში მხოლოდ ციდან მოდიან  
და შემდეგ იცევი ცაში მიდიან.

## პასტანგ ჯაჰანაქის

ერთი კაცი მომელანდა,  
განა მარტო კაცი? – არა!  
ტილო ედო წინ სუფთა და  
ხელში ფუნჯი ეკავა.  
მუხნარს იჯდა და ფიქრობდა  
და მზე ამოდიოდა,  
სადღაც ჩიტი გალობდა და  
სადღაც წყალი დიოდა.  
მცხუნვარებამ რომ იმატა,  
გალომდა და გააფთრდა,  
ამ დროს სიომ დაუბერა,  
ფიქრი გაანიავა,  
გაიღიმა მაშინ კაცმა  
და სურათი დახატა;  
ბიჭი, მენახირე ბიჭი  
და გოგონა ცქრიალა,  
ნაღვლიანი მეეზოვე  
და წმინდანი მადონა,  
ყველა ერთად მოაქცია,  
ერთი მზის ქვეშ ამყოფა.  
მზის კანონი დაუნესა,  
ლამის აღარ აკმარა,  
შემდეგ უცებ მოიღუშა,  
თურმე ფიქრში ხატავდა,  
თურმე ფუნჯი არ ეხმარა,  
ტილო კვლავ სუფთა დარჩა.  
შემდეგ, შემდეგ გაახსენდა  
ოქროს სიტყვა – შემდეგში,  
ადგა კალმით დაგვინერა  
ლექსები და შემდეგი;  
ან ჯოკონდა უნდა ხატო,  
ანდა სუფთა დატოვო,  
სიო უნდა გახსოვდეს  
რომ გრიგალებთან იომო.  
რადგან კვლავაც ტრიალებს  
წუთისოფლის კორიდა,  
მოასწარი რაც კი ძაღვიძს,  
თორემ ერთი, ორი და. . .

\* \* \*

ძლივს შევიჩვიე მეზობლის ბავშვი,  
ლამაზი, თბილი, დამჯერეც, ანციც,  
ახლა ერთად ვართ, ვით მწყემსი ბიჭი,  
პატარა ქოხი, ერთგული ძაღლი.  
ახლა ერთად ვართ, და მე ვარ მისთვის;  
მწყემსი ბიჭუნაც, ქოხიც და ძაღლიც.  
მასთან ერთად ვარ, დღისით და ღამით  
და ვერ მიხილავთ ვერასდროს დაღლილს.  
ის მკვებავს თავის ნაზი ღიმლით,  
ლალი სიცილით, ცისფერ სიზმრებით. . .  
მასთან მე მუდამ ბედნიერი ვარ,  
მასთან მე მუდამ ბავშვი ვიქნები,  
ბავშვურ ფიქრებით ატაცებული,  
ბავშვურ ოცნებით გახარებული. . .  
ხან წიქარა ვარ, ხან ამირანი,  
მეგობრისათვის თავდადებული.

მეგობრები ვართ მე და თამრიკო,  
მე და მეზობლის პატარა ბავშვი.  
ძლივს შევიჩვიე კუდრაჭა გოგო,  
ლამაზი, თბილი, ლალი და კარგი.

\* \* \*

მათ ვისაც ვძულვართ,  
თავისებურად ვუყვარვართ კიდეც.  
მათ უყვართ ჩვენი სიმახინჯე,  
სულის სიბილწე,  
ძმათა ლალატი დიდი თუ მცირე,  
ჩვენი ცოდვების  
მათ ახარებთ მხოლოდ სიმდიდრე.  
მათ ვისაც ვძულვართ,  
თავისებურად ვუყვარვართ კიდეც.  
ღმერთო ძლიერო,  
მათ მიეც ჩვენი სიყვარული –  
მცირეზე მცირე.

\* \* \*

ჩემი ოცნების  
გამეჩხერებულ ტყეში  
ხშირად შემოდის ბრაკონიერი,  
ეს არის უაზრო ღიმილი შენი.

\* \* \*

ისე ნაღვლიანი თვალებით შემომხედე,  
რომ თავი,  
ნასახლარზე ამოსული მეგონა, ეკალი,  
ეკალი, რომელიც

ნასახლარზე ისევე საჭიროა,  
როგორც ოჯახში გადიდებული სურათი  
უდროოდ წასულის...  
ისევე საჭიროა...  
ისევე უსიამო და ისევე უცხო  
სხვა, რომლის სახელი არ იცი,  
გული კი, დაჟინებით  
გაჰკვივის – საჭიროა...  
ისე ნაღვლიანი თვალებით შემომხედე,  
რომ თავი,  
ნასახლარზე ამოსული მეგონა ეკალი  
და შემეშინდა.  
რადგან, თითქოს ცხადად ვხედავდი,  
როგორ ესვენა შენი ფიქრების  
მყუდრო ოჯახში  
გადიდებული სურათი ჩემი.

\* \* \*

მარტის თვესა ჰგავს მამა,  
მარტის თვესავით  
სულ, მუდამჟამს მოლუშულია.  
მარტის თვესავით თვითონ თვალებიც  
სხვადასხვა ფერის მომზირალი აქვს;  
ერთი ცისფერი, ცისაფერი, ოცნებისფერი,  
მეორე – შავი, დარდისფერი და მინისფერი.  
მხოლოდ ხანდახან გაიღიმებს და  
ამ ღიმილში ჩანს,  
თუ როგორი აპრილობის  
გავხდებით მონმე.  
მე ვარ აპრილი, თუმცა, ჯერჯერობით  
მარტის თვისაგან ნასესხები დღეებით  
ვცოცხლობ.

## ბელა ნავდარაშვილი

### ნიღაზი

მართალი განცდა, ტრაგიკული რთული ეპოქა,  
გმირული სული უდაბნოში კომიკურია;  
ამაღლებული მოთამაშის რთული ცხოვრება,  
არარსებული სამყარო... საოცარია...  
ჰუმანისტური პათოსი და ფსიქიკის დონე,  
არასახვითი კომპოზიცია და ჰარმონია...  
ჭეშმარიტი „მე“ იმალება,  
სადღაც შორს მიქრის...  
უცნობი ისევ გრძნობას ბაძავს და ირონიას,  
რეალურს გვაჩვენებს, გულს არ გვიტყვის,  
მაგიას ებრძვის...  
ჩასწვდება ნეტავ, დიდ იდეურ სიღრმეს თვალისას?!  
საოცარია, დადებითი ანგრევდეს შტამპებს,  
ხასიათების სიღრმეს ჩასწვდეს მელოდრამისას,  
გარდასახვითი გონება და სწორი ნაბიჯი,  
დიდებულია, უხილავი და... უჩინარი...

**ნარგიზ ტატიშვილი-მარგველაშვილი**



**ბასაუბრება დედასთან**

აპრილის თვემაც მოილოგინა,  
იფანს კვირტები დაასკდა მკერდის,  
ისევ წარსული მრჩება იარად,  
ნუგეშად დამდეგს აჩრდილი დედის.  
აბა რა გითხრა, რით გაგახარო,  
როგორ მოგიტხრო, რა გზით ვიარე,  
ყმანვილქალობის მზე – სხივფურცლობა,  
მხრიდან ლოდივით გადავიყარე.  
სული მაჭარი ძმარში ხსენია,  
გაღვინებულა, ვერვის ვთავაზობ,  
საცერში გაცრილ ტკივილებს ვმაღავ,  
მინდა სხვა სხივი შემოგთავაზო.  
შემომელერა ზამთრის სითეთრე,  
შენ ისევ სხივი გიდგას თვალებში,  
ჩემთვის, ვით გმირი, დარჩი სცენაზე  
და მე კი ფარდა, თალხად დავეშვი.

**მარჯნის ყვავილი**

მე პოეტი ვარ, სულის სილადით,  
მარგალიტების ძებნით დალილი,  
შემიპყრობს ზოგჯერ უიმედობა,  
და შემომიღრენს ბოლმა ძალღივით.  
ნიავეს მივანდობ ღამეს მენამურს,  
ალმასის სხივი გადმოგვალვაროს,  
ასე ნანატრი სულის სურნელით,  
ღმერთს შეგავედრებ ჩემო მთა-ბარო.  
ამ მარტოობამ დამალა ძლიერ  
და მენატრება უსურვარდები,  
მარჯნის ყვავილი ალუბლის სხივით,  
და ლიანების მწვანე ფარდები.  
ჩემი დობილი – აპრილის ღამეც,  
დილის რიჟრაჟთან აცეცებული,  
ცად მტვრადქცეული სიყვარულს ვუმზერ,  
ქურდულ ნაბიჯით ადევნებული.  
მე მოგონების ფარაჯა მხურავს,  
და სულით დამაქვს ლექსთა კრებული!

**ბორიჯვარზე**

გორში მივალ გორიჯვარზე  
სალოცავად უფლის წინა,  
უნდა ვთხოვო მოწყალება,  
თანადგომა პანანინა.  
საქართველო დამილოცოს,  
ბარაქით და ხილის ხვავით,

ბოშური და ბერშუეთი,  
ტანას ხიდზე ხიდისთავი,  
ნადარბაზევეს დარბაზები,  
თამარ მეფის თვალდადგმული,  
მხლებლებივით ღამაზები.  
დამილოცოს გორიჯვართ  
აჩრდილები წარსულების,  
ჩვენი ქვეყნის მომავალი,  
ვაჟები და ქალწულები.  
გათელილი აფხაზეთი,  
კახეთი და იმერეთი,  
სამაჩაბლოს ტკივილები,  
რომ არ გამყვეს სიბერემდის.  
დამილოცოს მთელი ქვეყნის  
კუთხეები, კუნჭულები,  
თავის სეფექალებით და  
თავის უჭულ-ბუჭულებით.

**ჩემი ზამთრულა**

თავი მომაბეზრა ჩემმა ზამთრულამ,  
ისევ გაზაფხული მენატრება.  
თითქოს ოცნებებში ფიქრი არეულა,  
წლები მოგონებით ფერადდება.  
ახლა ფეხშიშველი ეკალნემსისწვერზე  
წვიმებს დასისხლული წვივები აქვთ.  
ოი, საოცრებავ, უფლის ნაბოძვარო,  
რარიგ უსაშველოდ გვძინებია.  
ნედლი სურნელებით მუხლი მეკვეთება,  
თავზე გვირგვინს იდგამს ლურჯი დაფიონი,  
თეთრი ფიფქებით და ჩუმი ოცნებებით  
მთვარე ჩამოგვყურებს, როგორც ღამპიონი.  
უფალს შევავედრებ მთებს და  
ქართლის ველებს,  
სულით განანამებ ბუდეაშლილების,  
თუკი ვერ შევძელი და ვერ მოგეფერე,  
ჩემო დედისერთავ, ველარ დავმშვიდდები.  
სულით რწმენის ტაძარს  
საღმრთოდ შემოგწირავ,  
ჩემო გათვალულო, მშობლიურო კერავ,  
შენს თავს დამილოცავს ცაკამკამა დილა,  
ჩემო საქართველო, ჩემო გულის ძგერავ!

**გალაკტიონი**

მე არ ვჩემულობ ტიტულს მგოსნისას,  
მხოლოდ პოეტთა სული მწყურია.  
ახლად შობილი მთვარის მსურს ხილვა,  
აჭრელებულა მთებით გურია.  
მინდა, მოვქსოვო ობობას ქსელი,  
ჭერის კუთხიდან მთვარის უბემდე,  
მსურს, რომ დავიპყრო სიმაღლე მუზის,  
მარადისობა ზღაპრის ზღუდემდე –  
დრო მზადებლიდან დრო სიბერემდე.  
გზა ამევსება იისფერ თოვლით,  
მერის ჯვრისწერით ღონდება მთვარე.  
ლურჯა ცხენებით გადამიქროლებს  
ასე ჩუმი და მშფოთვარე ღამე.  
გალაკტიონი მეფეა ყოველის,  
ცრემლებს ვერ იტევს მისი როინი.  
სვამს სადღეგძელოს ხელების თრთოლვით

ჩვენი თეთრწვერა გალაკტიონი.  
ანრიალებულ ცეცხლსავსე სახით,  
ჩაიმუხლება ღვთისმშობლის ხატთან.  
ლოცვებითა და ვედრებით დალლილს  
საკუთარ ქვეყნის დარდი კლავს ხალხთა.  
მთანმინდა ტირის, ცრემლი სდის მთვარეს  
და უშფოთველად სძინავთ გვირილებს,  
გალაკტიონის ნათელი სული  
ცისკრის საკინძეს შეანყვეტს ლილებს.

**გომლას მუხა**

ვიცი, რომ არ გასვენებს  
ბუნებრივი მითები,  
შემოდგომის მნიფობა  
მსუყე ვაზის ზვირთებით.  
ზამთრის პეიზაჟები  
გარდაცვლილი ფითრებით,  
მკლავებგადაფსკენილები

ხის ტოტების ხიდები,  
თითქოს ჯვარდანერილან  
მიძინებულ ფიქრებით,  
გაზაფხული აპრილობს  
ლურჯად აგიზგიზებით.  
ყვავილებს სამაისო  
ახდენიათ მიზნები.  
ახანძრდება ყაყაჩო  
მინდვრის ყოჩი ხორხოშით,  
ტოროლებს და ნიბლიებს  
აუტეხავთ ხორხოცი.  
გნოლი მინდვრის სურნელით  
იგუნგლება ყანობში,  
ყაბარდოს გაფრინდება,  
დაეშვება მთა-გორში.  
ის ხომ ქართლის ჯიშია,  
ლექსად დანაზმანები,  
გოგლას სტრიქონებია  
ჭალის ლამაზმანებით.

*25 მაისი დაბადების დღე+სასწაულია ნარგიზ ტატიშვილი- მარგველაშვილისათვის. დაბადების დღე სასწაულადაც იმიტომ იქცა, რომ ლამაზი ქალბატონის დაბადების დღეს, მისი პირველი წიგნის დაბადებაც დაემთხვა*

*ამ წიგნში ბევრი ფიქრი და ტკივილი დაბუდებულია, ბევრი იმედი და სიყვარული, ბევრი სასონარკვეთა და წუხილი, ნოსტალგია – წაგლეჯილი მამულისა და ძალიან შორს დარჩენილი ლალი ბავშვობისა. მარტოობის გრძელი ღამეების ფორიაქი და უქომაგო ქალის, მარტოხელა დედის იჭვნარევი ფიქრები. მხოლოდ სიძულვილისათვის არ დარჩენილა წიგნში თუ გულში ადგილი. ეს სიფრიფანა ქალბატონი, არა მარტო კალმით, არამედ საკუთარი პიროვნებით ასხივებს სითბოს, სიყვარულს და მზრუნველობას. იქნებ, სწორედ ამიტომაც იწება უფალმა, მძიმე ავადმყოფობიდან სულიერად გაძლიერებული და შინაგანი სხივით განათებული რომ გამობრუნდა სიცოცხლისაკენ. გამობრუნდა, რათა ღმერთის ენით, პოეზიის ენით ეთქვა სამადლობელი და სადიდებელი.*



*ძვირფასო ნარგიზ! ერთად გილოცავთ შენი წიგნისა და შენი დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და შემოქმედებითი ენერჯის მოძლიერებას, რათა მრავალჯერ გეთქვას სამადლობელი და სადიდებელი ცისა და მიწის, ერისა და ბერის, კაცისა და ღვთისათვის – პოეზიისა და სიყვარულის ენით!*

*თამარ ჯაჭვაძე*

**მოვა სიყვარული**

*ნარგიზ ტატიშვილ-მარგველაშვილს*

მოდის სიყმანვილის ჩუმი მონატრება,  
დალლილ წამწამებზე სხივად იელვარებს,  
მერე მოგონების წამი ჩაგიქრება...  
და შურთ ის ნათელი სიფრიფანა ქარებს.  
რაა ეს ფერები, ეს შუქი საიდან?!  
დიდი პოეზიის გწვევია ნათელი!  
ადგები, სიცოცხლეს დაიწყებ თავიდან,  
და გზას გაგინათებს იმედის სანთელი.  
მერე, ტკივილები ლექსად აფეთქდება,  
და გაინიგნება ფიქრი მომთაბარე,  
არ ღირს იჭვისფერით სულის დაფეთება,  
გულს მოეფერე და ფრთები მოაფარე.  
გწამდეს, პოეტისთვის შვებაა წამება,  
ჩაინვა ყველა, ვინც დარდს არ იკარებდა,  
მრავალი სიცოცხლე წალეკეს წამებმა...

ლექსები მიგიყვანს შენ ტაძრის კარებთან.  
მოვა სიყვარული, ვით ალიარება,  
ლიმილად იქცევა ქალი - გამჭვირვალე...  
დღეს პირი შეიკრეს ყველა იარებმა  
და წიგნი გიკოცნის ღამენათევ თვალებს

**მინდა მოგეფარო**

*ნარგიზა ტატიშვილს*

ტკივილთან მინდა მოგეფერო,  
გული მოგიჭედო ვარსკვლავებით...  
ნაზი ყვავილივით ნაირფერობ,  
არა ვწერ ამ სიტყვებს დავალებით.  
ჩვენო სილამაზის დედოფალო,  
სულში შემოგაფრქვევ ერთგულებას.  
ლექსი?... ო, ეს ლექსიც სეფექალობს,  
შენთან სიკეთე რომ ეგულება.

**გულნაზ ხარაიშვილი**

## თამარ ჯაჭვასძე

### სველი თვალები

გულნაზი ხარაიშვილს  
ცხოვრება გაჩვენებს ცრემლსა და დუმბილს,  
თავს არ იკლავენ მგლოვიარენი,  
გული ღრიალებს, შენ რჩები ჩუმი  
და ცოცხალ-მკვდარი დაიარები.

იცინი, რადგან ხარობენ სხვები,  
თუმცა შენი დარდი გიდევის უბეში,  
რალაცას იტყვი, რალაცას ჰყვები,  
თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში.

ვერავინ გეტყვის საამოს რამეს,  
ლხინის სუფრიდან გაიპარები...  
და ფანჯარასთან მოარულ ღამეს  
შეეფეთება სველი თვალები.

მერე შემოვა სიმშვიდე, როცა  
გენვევა მუზა ცრემლმონანური,  
გზად მოგენვევა მეუფის ლოცვა,  
გაილექსება სულის ნაჟური.

და სიყვარულით ძლიერი ქალი  
დაიმორჩილებს ცრემლებს თავნებას,  
გაიპარება დარდი შემკრთალი,  
ღამემ ღამობას თავი ანება.

- აგითრთოდება კალამი ხელში,  
ნერე დაიკო! - ძმა გევედრება,  
არ ჩამკვდომია სიმღერა ყელში,  
ჩემი სიმღერა შენში გრძელდება.

შენშია ახლა ყველა იმედი,  
და შენყვეტილი გზა და სავალი,  
უშენოდ ისევ გვიმუხთლებს ბედი,  
გაიცრიცება ცის აღსავალი.

ნერე და ნერე, ყველა ნუხილი  
გადმოიწერე გულის ბუდიდან,  
განა მარტოდენ რითმის ქუხილი,  
ლექსი - უსაზღვრო ტკივილს უდრიდა.

ძლიერი ქალი გახედავს ღამეს,  
და ჩერდებიან თვალში ცრემლები...  
ითვლის საათი სიცოცხლის წამებს  
და იშლებიან თმაში ტყემლები.

წამოვა ლექსი ვით ნიაღვარი,  
და იმოსება ძაძით ფურცელი,  
გალიმებული, წამლევა მთვარე  
გათენებასთან დგას ფერუცვლელი.

გაივლის ღამე, გაივლის დილა,  
და წლები ასე იტანტალებენ...  
და სავედრებლად ცამდე აწვდილა,  
ლექსადქცეული, სველი თვალები.

### ფიცო

მინას, რომელიც საკუთარი სისხლით აწებე,  
აუკვდავებდა რუსთაველი, ვაჟა, ილია...  
გლეჯენ და ხევენ ნაწილ-ნაწილ და იტაცებენ,  
სულ ამოა, საქართველო ვერ დაილია.  
გეჭიდავება ამღვრეული ქორონიკონი,  
და უნებურად, უკვდავებას შენსას ქადაგებს,  
შენ დაგენამლოს გაცრეცილი ყველა სტრიქონი,



საიდუმლოდ რომ შეუნახავთ ქვაში ქარაგმებს.  
არ დამელევა ლექსის ჟინი აღზევანამდე,  
დამდუღებია სიყვარულის ძველი მარაგი,  
დედაო ღვთისავ, უცხო ცისგან დამიფარავდე,  
ქართულ მინაში მინდა მერგოს ძვალთშესალაგი.

### მარადი მგზავრი

#### ჯუმბერ ლეჟავას

დაუბრუნდები მშობლიურ ზეცას,  
შორი გზებიდან – მუხლმოუღლეელი,  
მამულის მთები ტანთ უნდა გეცვას  
და მხრებზე გედგას მისი უღელი.

გდევდეს გზა – ჟინი დაუსაბამო,  
(გაზაფხულივით მოდის მარადის)  
რომ უსასრულო და უსამანო  
გზას გაატანო დარდი მარაბდის.

რომ დაივინყო წუთისოფელი –  
ამაობის აურზაური,  
რადგან ამქვეყნად შფოთვად მოხვედი,  
ვით მეომარი და მოგზაური.

წახვალ, დაეძებ დედამინაზე  
მონატრებული ხილვის აჩრდილებს...  
უდაბნოს მკლავზე სადღაც მიწვა მზე,  
ქარებმა ქროლვა გაგიადვილეს.

მერე მოხვალ და მონატრებული  
გადაეხვევი მამულის ქედებს,  
რომ ერთხელ კიდევ დაცალო გული...  
და... მერე ისევ გზა გაიმედებს.

მიეალერსე მტირალა ვაზებს,  
მათ სიყვარულში ნუ დაეჭვდები...  
ისევ მიდიხარ შორეულ გზაზე  
და საქართველო მიგაქვს ბეჭებით.

### წმინდა წიგნი

ტაო-კლარჯეთის მინაზე მომხდარი  
წამდვილი ამბავი, ნაამბობი დონარი  
ადეიშვილის მიერ.

ჟამი იყო ძნელი, ბნელზე ბნელი,  
ძარღვს ეძებდა დაკარგული სისხლი...  
ხელს ელოდა გამოწვდილი ხელი,  
წაგაზივით დარაჯობდა ნისლი.

მიდიოდა სხვათა ქვეყნის გზაზე  
მოქართულე, ეშხიანი ვაჟი,  
მზეს ეძებდა უცხო ქვეყნის ცაზე,  
კახი, კოლხი თუ გულმკვდარი ლაზი.



ვერ გაუძეველ ქართულ სისხლის ძახილს,  
ჩვენებურებს სად ეძებდი ბიჭო?!  
უცხო ზეცას როცა გულმკერდს ახლის,  
შენ იმ ჩიტის დაბრუნებას იჭვობ.

ვერ იპოვე დაკარგული ძმები?  
ვინ არ შეგხვდა ნაქართველარ გზაზე...

და უზომოდ დაქანცული ძებნით  
სამშობლოში ბრუნდებოდი ასე.

სადღაც წვიმა დაგენია გზაში,  
შორს თურქული დასახლება ჩანდა...

ღმერთს შეხედა ბედისწერამ მაშინ  
შეგაფარა ქვაბულების ჩარდახს.

იმ ქვაბულში სალოცავი ნახე,  
უცხო ჯიშის სალოცავი უცხო,  
მყინვარივით მოგედრებულა სახე,  
და ტუჩები ჩაიკვნიტე უხმოდ.

შემოიჭრნენ ჩადროსნები სველი,  
“წმინდა წიგნი!” შეუძახეს მოლას,

რახანია შენს ტაძარშიც ელი  
ამისთანა მლოცველების ყოლას.

“წმინდა წიგნი!” “წმინდა წიგნი!” ხმაში  
არ ისმოდა შეკრთომა და მოცდა...

დაიჩოქეს დიაცებმა მაშინ  
და დაიწყეს გულმხურვალე ლოცვა.

უცებ შეწყდა მერეხი და სეტყვა,  
მზე აღმოხდა, გადიკარა ზეცა...

და თქვი: ეს რა წიგნი იყო ნეტა,  
ოქროსფერი სამოსი რომ ეცვა?!

როცა გარეთ გაიკრიფა გუნდი,  
მზეს მადლობა და დიდება ჰკადრეს,  
მიიპარე, ბიჭო, როგორც ქურდი,  
წიგნს აფცქენიდი ხელით ნაქარგ ჩადრებს.

ცრემლი წასკდა ხახულს, ოშკს და ხერთვისს,  
ტყვედგაყიდულ მთა-ბარსა და მინდორს...

ჭრელ-ჭრულ ჩადრში, ძველქართული ხელრთვით,  
შოთას “ვეფხისტყაოსანი” იდო!

## ღამინუნა

გზებზე დავფანტე სილამაზე, რწმენა, იმედი,  
დამრჩა ერთგული მეგობარი, დარდი ბებერი,  
ლექსი დავმალე, ვერავისთვის ვერ გავიმეტე,  
არავინ იყო რადგან ლექსთა შემფასებელი.

გარდაცვლილ დღეებს,  
დედასავით, ახლა მივტირი,  
არ მიცხოვრია არასოდეს დედამინურად...  
ლამაზი ბიჭი იყო სიკვდილი,  
შემთხვევით შემხვდა და ... ღამინუნა.

\*\*\*

მთვარეს დაავინყდა ჩასვლა,  
ჰკიდა შუადღის ცაზე...

ნეტავ დამემდურე რადა,  
ნეტავ გამინყერი რაზე?!

უშენო დღეები მკლავენ  
ფიქრებით სადამდე გდიო...

ხეები მიშლიან მკლავებს

და ტუჩებს მიკოცნის სიო.  
მისდევს ხნულის მრუდე ხაზებს  
ვაზის ჩრდილი... თუ მე ვარ ეს?...  
ქარი აქანავებს ცაზე  
ჩასვლადავინყებულ მთვარეს.

\*\*\*

ვერ ვეგუები უჩუმრად,  
უქმად, უსაგნოდ გდებასა.  
გოდერძი ჩოხელი

სულ მეშინია დიდზამთრის,  
ზვავის ჩამოყრის მთიდანა...  
სულ სიკვდილს ვუახლოვდები  
ჩემი გაჩენის დღიდანა.  
ვაი, თუ უქმად გავლიო  
ტიალი წუთისოფელი,  
ვერავინ ვერ ავატირო  
ამ სააქაოს მყოფელი.  
ვაი, თუ სიჭაბუკეში  
წამომენია სიბერე,  
თუ გატეხილი ვერცერთი  
გული ვერ ვალექს-სიმღერე.  
თუ ასე სუსტი ვიყავი  
რად ვბედავ ლექსთან რკინებას,  
მუდამ სიყვარულს ვეძებდი,  
ბედმა კი... სულ სხვა ინება.  
დავდივარ დაღონებული,  
რქამოტეხილი ნიქარა,  
ცამ ბევრი მეხი მესროლა,  
ნაღველი ვერ გაიქარვა.  
სიყვარულმონყურებულთა  
გულში თუ სიტყვამ იდანა,  
არ დაგავინყდეს ბერდები  
თვალის ახელის დღიდანა.  
ნუ შეგაშინებს სიბერე,  
ნუ ეფარები კერიას...  
ერთ დღესაც აბღავლდებიან  
თუ რამე დაგინერია.  
დაიძვრებიალ ლოდები,  
ბარად ჩამოვლენ მთიდანა...  
შენც სიკვდილს უახლოვდები  
შენი გაჩენის დღიდანა.

## პერიკაცი

დიკის.

მზეს რა ცეცხლი წაეკიდა?!  
ვარვარებდა ნასამხრები,  
ბერიკაცი ყანას მკიდა,  
გადახუნებოდა მხრები.  
ბეჭებს წლები ედო ლოდად,  
თმა-წვერს სიჭაბუკის ნავლი,  
თვალი გზისკენ გაურბოდა,  
ქალს ელოდა უკვე ჩავლილს.  
გულს კიცხავდა ბერიკაცი:  
– ეს რა ცეცხლი გადამკიდა?!  
ვერა და ვერ გამოვდივარ  
სიყვარულის ასაკიდან!

## ციური ხეთერელი



## მხატვარ – ბრაზიკოს ემირ ბურჯანაძეს

ცა მალალია, მთაც მალალია  
და კაციც უნდა იყოს მალალი.  
ტიციან ტაბიძე.

1. მე აქ სიამის გრძნობით ვიჯექი:  
რაოდენ კდემით, რაოდენ გზნებით  
აქედან განვვლე ოცნების გზები...  
მე აქ გავერთე ფიქრით ბუხართან:  
ხელში მეჭირა პატარა ბიჭი  
ჰაერბურთებით, სოფელ მუხრანთან.
2. სანუთროების ლაბირინთები,  
ზოგი სიამით, ზოგი კირთებით,  
დაუსრულებელ კითხვა – კითხვებით,  
დახლართულ გზებით შემოვიარე,  
თითქოს ვასხამდი ჯადოსნურ ძაფზე  
დაუვიწყარი ხსოვნის იარებს...
3. ამ გაფიცებულ განწყობილებით  
შევესახლები ახლა სხვა ნახატს...  
სხვა ალტაცებით, სხვა გაკვირვებით  
აქ საოცრებას მრავალს მოვნახავ...
4. განწირულია აქ ჯოჯოხეთი, –  
“დამცირებულთა შავი სადგური”,  
აქ ყველაფერი გაზაფხულს ეტრფის  
და ოქროთია გადანამქრული.
5. აქ “სვეტიცხოველს”, “ვეფხის – ტყაოსანს”  
აუღელვებლად გვერდს ვერ ჩაუვლი:  
აქ ნათობს დიდი ილიას შუბლი,  
აქ ბრწყინავს შოთას თავსამკაული.
6. აქ სხვანაირი სუფევს ცხოვრება,  
მე სხვა სიზმარიც ვიხილე ნუხელ,  
და სამუდამოდ მემახსოვრება,  
რადგან იმ ხოხბის ბედი მანუხებს.
7. მე აქ ვიხილე მალალი კაცი, –  
სხვაგვარ ღიმილით წარსულ მამათა:

ქართული დროშის დარაჯი მკაცრი,  
ახალ დროების დგას გალავანთან.

8. ის აქ წერს დღისით,  
ის აქ წერს ღამით,  
(ო, სული ბორგავს  
აქ რამდენ რამით !..),  
აქ ბრწყინავს “ან” – ი,  
აქ ზეობს “ჰაე” –  
საუნჯე ჩვენი და გასაგისი!  
სამოსელს სხვაგვარს  
ამ სახლში ჰპოვებს  
სიტყვა ქართული, – დიდების ღირსი.
9. მე აქ შემოვხვდი ვეფხის – ტყაოსანს,  
დაბინდულ გულით ნესტანს რომ ელის...  
იქნებ ატირებს ახლაც ტაოსთან  
ჰანგი – ქართული საგალობელის.
10. მე აქ ვიგრძენი სხვაგვარი განცდით,  
ვით ინასკვება კავშირი დროთა...  
ვიხილე კაცი, ანთებულ სახით  
როგორ ხატავდა თბილისის დროშას.
11. წასვლის ჟამია, თუმც კარგად ვუნყი,  
კვლავ ხარბად ვუსმენ ჯადოსნურ არაკს...  
და მე მგონია, რომ შოთას უნინ  
ის სდარაჯობდა სატახტო ქალაქს.
12. მე აქ ვიხილე გონების თვალთ,  
დრო ვით აგებდა წარსულის ხიდებს...  
სხვაგვარად მესმა აქ მტკვრის დინება,  
მე აქ სხვაგვარი განცდით ვიხილე  
წმინდა ლაზარეს ცად აღდგინდება!
13. სალამოვდება. მალე ცხრათვალა  
დასალიერზე ჩაკეცავს სხივებს...  
აქ, გალავანში, მალალი კაცი  
კვლავ სასიმღეროდ აანყობს სიმებს.

1998 წელი.

## ბავშვზე – დაცემულ იაზე

ილია ჭავჭავაძეს

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავშვი  
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით...

## ბალაკტიონი

1. ასე უნოდე შენ იმ სალამოს, –  
ლურჯთვალა ბიჭის ღამეულ სიზმარს:  
მანანალეების “მდიდარ სალაროს”,  
ქუჩებში დაყრილს ბილწებად, სიძვად...
2. აგდია მტვერში პატარა ბიჭი,  
ფილაქანია მისი ლოგინი.

ეგაა მისი ცხოვრების ნიჭი,  
მას არც ჰქონია სხვა მოლოდინი.

თუკი რამ შერჩა,  
სახიერებას შევავედრო  
უფალო, შენსას.

3. ათოვს ფიქრები გაყინულ ღამეს,  
თუმც, მერამდენედ იგანთიიდა....  
მე სანუგემოს ვერ გეტყვი რამეს,  
თენდება დილა დამჭკნარ იადა.

2012 წელი.

4. ყვავილობს მარტი კვლავინდებურად,  
აპრილიც ღამაზს იკერავს კაბას,  
ვინ გაუღიმებს ყმანვილს დედურად,  
ან თვით რას ეტყვის  
ცხოვრებას – კაპასს.

**ქართულ ანბანს**

“შენ სიძველის გამოსავს წელი ხავსი,  
ქვაზე ჭრილი, ხარ ჩუქურთმის მსგავსი”.

გალაკტიონი

5. ვწევარ და, ბავშვზე ფიქრები მწარე  
მოსწვიმს აპრილის აბლაბუდაში,  
ავი ფიქრები თუ როგორ კლავენ  
ბავშვობას, ბიჭის “ნავსაყუდარში”.

“ჰიმნი ქართულ ანბანს”

ვუძღვნი გიორგი – ლაშა ხურციძეს

6. რა მოასვენებს ფიქრებს, დასეტყვილს,  
ვაგზლის იმ შავ – ბნელ ფანტაზიაზე...  
ან ეს მზიანი დილა რას გვეტყვის  
ლურჯთვალა ბიჭზე – ჩამქრალ იაზე.

1. ასეთი გრძნობით ვით მოგეფერა,  
ვით გაგითალა ყელი – აღმასი,  
საიდან დაგყვა ასეთი მზერა!  
გულისგამტანი! ასე ღამაზი!

2004 წელი, მაისი.

2. მაოცებს თქვენი ნაირგვარობა:

ცას მიპყრობილი  
“ჰაე” – ს თვალები!  
თითქოს ტაძარში ვუსმენ გალობას,  
წმინდანთ ჩვენებას დაედარებით.

**ვედრება**

აღილე ჭური და ფარი და  
აღდეგ მწედ ჩემდა.  
(ფსლ. 34)

3. ეგ შენი “ფარ” – ი,  
ეგ შენი “ჯან” – ი,  
გულს მობჯენილი ჯავარდენია!  
არს მრისხანება ურიცხვი მტერის,  
რომელთა ხსოვნა, რაოდენია!...

1. აღარ მეხსნება ფიქრი ჩემი  
ამპარტავანი.  
მინდა შენს ფერხთით გავუმართო  
ჩემს სულს დავანი...  
გონს დავივანო  
სიტყვა შენი, შეუფასები,  
შემოვაძარცვო მწუხარებას  
ძველი ფლასები.

4. ეგ სინარნარე  
“რაე” – ს, თუ “ნარ” – ის,  
რაც თავი მახსოვს,  
გულს გაფენია,  
მე საოცრებაც ვიცი ბაღნარის,  
ეს, – უდიდესი, შენ ხარ გენია!

2. მომეცი ღმერთო,  
მოთმინების, მომეც უნარი,  
მიმომბახნიე იმედები, გაუხუნარი,  
აღმიხვნას კარნი აღსავალის  
რწმენამ, საღვრთომან,  
სული ზეობას ზეიმობდეს,  
როგორც აღდგომას.

5. მაოცებ ტანით, ნაქანდაკარით,  
სწორუპოვარი გინოდე მოყმე,  
ჩვენი ღირსების დიდი დავთარი,  
ქართლის დიდების შენა ხარ მოწმე.

3. ეგებ შენს ჭერქვეშ  
დავიამო გულის ჭრილობა,  
ო, მომიტევე, ეგოდენი გულახდილობა,  
დაუფარავად რომ გაგანდე  
სული ვნებანი...  
გულიდან სრულად ამოვხაპე  
აღსარებანი...  
რაც ვერ გითხარი,  
სულის ხაროს

6. შენდა სახობობდ გული ამენტო,  
შენი მშვენება მე ვით აღვწუსხო!..  
სულის და გონის მჭრელო საკვეთოვ!  
ჩვენი არსობის სითბოვ და სუსხო!

7. ნეტავი ასე ვით მოგეფერა,  
ვით გაგითალა ყელი – აღმასი!  
საიდან დაგყვა ამგვარი მზერა,  
გულის გამტანი ასე ღამაზი!  
1996 წელი.

**ბეჟან ხარაიშვილი**

\* \* \*

ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური  
 ორივე წყალში ორჯერ ჩახედა;  
 – შენ მამა-პაპის სისხლი მიგაქვის, –  
 შემოდუდუნეს წყლებმა მკვახედა,  
 ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური...  
 ქარი ხმელ წიფლის ტოტებს არხევდა...  
 – ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო...  
 თქვა და ჩანისლულ ხეებს გახედა.

**ნატვრა**

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან  
 ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,  
 ისე ვინატრებ შორენა გერქვას,  
 ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.  
 და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,  
 ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,  
 რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში  
 თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,  
 ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,  
 ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,  
 ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,  
 ცერზე წითელი მიმინო მესვას!

\* \* \*

ლუხუმმ კი არა –  
 ზეცამ იშიშვლა ხმალი ცისარტყელის,  
 კრავისფერ ღრუბლებს გაფატრა ყელი და  
 არაგვს აღმოხდა ოხვრა ნისლების.  
 კვირია კი არა –  
 ქარი ამოიჭრა ხოშარას მთას,  
 მიჭორ-მოჭორა ამბავი ბარის და  
 გულსუსტი გვირილა ღობეს მიესვენა.

ბახტრიონს კი არა –

ჟინვალს ითხოვდნენ ზვირთები შველას.  
 კალმახი მოექარგათ მრავალნერტილებით და  
 ლაშქარს ვერ მიელო გადანყვეტილება...  
 თათრებს კი არა –  
 მამულს ჩაუგდიაო არაგვი ტყვედ.

\* \* \*

ცოლად შეგირთავო იანვარში,  
 მზეს შეუთვალა თოვლმა და  
 კრამიტებიდან წამომცდარ ცრემლებს  
 ქარმა მიაფარა ყინულის თითები.

**ფერაიდნელის ნათქვამი**

("გათენებულა, გამიშვი...")

– ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო!  
 თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს,  
 სხვისმა მინამ ამომთუთქა ფეხისგული,  
 დარდი ღმუის ჩემნაირთა, განა ვმღერი?!  
 – ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო!  
 მზე შინა და მზე გარეთა სად ვიხილო,  
 დავიშლები დარდებად და ერთგულებად,  
 თბილისმა რომ ერთხელ გულში ჩამიხუტოს.  
 ცოლი ტირის, ბავშვმა ენას მოუკიდა,  
 სხვა რა გივდა, რანაირი საპყრობილე,  
 – ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო,  
 მე შენს დედას, ჩემს დედასაც გაპოვნინებ!

\* \* \*

ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ და  
 ბინდს გამოუკრთა მთანმინდის სანთელი, –  
 ანძა,  
 რომელიც ეკრანებზე აჩვენებდა  
 სასწაულს კი არა,  
 ყველაფერ იმას,  
 რასაც ფიქრობდა კაცი წინამურთან,  
 ცხრაასხუთი რომ ესროლეს გულში.

**ჰალი**

როგორც დედინაცვალი სხვის შვილებს,  
 ისე ვიშიშვლებ დარდებას,  
 უძილო ღამეები დამიბრუნე,  
 უღრუბლო დღეები გმართებს.

\* \* \*

ნება-ნება  
 ადის ნისლი შუაფხოდან,  
 ლამარ-გორას  
 ველარ აღწევს ბერი ბიჭურ.  
 უხმო ზართა  
 ენებს ლოკავს ნიავექარი,  
 ფშავის არაგვს  
 ძველებურად სუნთქვა უჭირს...  
 ზის ბიჭური  
 მოჭარბებულ ფიქრთა წრეში

და ბავშვობა  
 კარატეს მთას გადაუქროლებს.  
 რა ლამეა!  
 იმ ფხოველ ბიჭს შებედავს და  
 ბუხრის კაცი  
 რაღა გულით გაუტოლდეს...  
 ხრჩოლავს ლამპა  
 და თუთუნის ცისფერ ბოლზე  
 მოგონებებს გააქროლებს მოლოდინი,  
 ხან დაჰკვივლებს  
 თავის ქურანს ხატობაში  
 და ხან სატროფო  
 ფხოვის წყალთან ელოდება.  
 ხან საჯიხვე ცის ღიაში ინაბება,  
 ხან მთათა თმებს  
 გადაჭორფავს თოფის ბათქი,  
 ხან მწვეარი აყეფდება გამეტებით.  
 და ხან ფიც-ვერცხლს სავსე ყანწებს გადაათლის.

**შური**

შენს ორლობეში ალუბლების თოვა მიწყნარდა  
 და პატარა ძაღლს წასთვლიმა წამით  
 და სწორედ ამ დროს შეიპარა სარკმელში მთვარე...  
 .....

ბაგაბუგით სკდებოდა გული  
 და მე ვესროლე კენჭი სიჩუმეს –  
 ეზოს დარაჯს დავუფრთხე ძილი,  
 რადგან შემშურდა  
 მთვარის, რომელიც  
 თვალგაუტეხელი ჩასცქეროდა მკერდის სიმწიფეს,  
 რომელსაც ოდნავ გადახდოდა თხელი ზენარი!

\*\*\*

გულზე არ ვჩივი –  
 სულზე – არ ვდარდობ,  
 ძილი?  
 ძილი კი რატომ წამართვი,  
 იქნებ სიზმრებმა მაინც გამართონ,  
 თორემ ეს ლამე ნიშნის მოგებით  
 ტყემლის მკლავებში შავად შეცურდა,  
 ცაცხვის ჩრდილებში დუმილი მოთოვს  
 დაგაღონებს და მოლოდინს გატკენს  
 მოსწყდება ვაშლი ადრე მნიფობის...  
 შენ ოღონდ ისევ ღიმილით მოდი  
 და ჩემში სევდა ველარ გიპოვის.  
 უკვე მესამედ ყივის მამალი...  
 საათის, ალბათ, ხუთი შესრულდა.  
 ქრისტე გაყიდეს, მე ვინ, მაგრამ  
 საკუთარ თავთან მაინც ვკამათობ,  
 ძილი? –  
 სულ ცოტა, ცოტა მაჩუქე,  
 იქნებ სიზმრებმა მაინც გამართონ.

**ძაღლის ბედი**

სამფეხა ძაღლი,  
 მონანწალე სიცოცხლის ლანდით  
 გაშორდა ღობეს და შემობრუნდა...  
 ჩამჭკნარ ფერდებში სიშორე და  
 შიმშილი თვლემდა,  
 ძაღლს ძაღლის ბედი მაინც არ სძულდა.  
 რამეთუ გული უტევდა ლამეს.  
 მხოლოდ ღობესთან,  
 უხეირო სტვენით და ფანდით  
 იმარაგებდა პატრონი რიყეს,  
 იგინებოდა, ხელს იქნევდა და ტუჩებს ფცქენიდა,  
 ძაღლი კი არსად გამქცევი იყო  
 და ფეხს, მეოთხეს, მანძილი ღრღნიდა...  
 გამთენიისას, როცა ღობე მზის სხივებს ცრიდა,  
 კაი გულივით ღია ფანჯარას,  
 კეტავდა იგივე პატრონი და  
 თვალებით თხრიდა  
 დასაფლავ მინას...  
 .....  
 ჯაჭვის მახლობლად  
 ძაღლის სიცოცხლეს  
 ერთგულებაზე დაეხრჩო თავი!

\*\*\*

დინჯად ალოკეს ძირულას ტალღები  
 რუხმა კამეჩებმა, –  
 ნისლებმა  
 და ორ მთას შუა, როგორც ნაცნობ დევის ხახაში  
 ინამცობრებენ ჩემს სიჭაბუკეს  
 ჩაკარგულს კენტი ბილიკივით ცვრიან ბალახში.  
 რა დრო გასულა!  
 ჩაშრობიათ ხახა ღელეებს  
 და მიჭიხვინებს ჯოხის ცხენი  
 გარდასულ დღეთა!  
 რა დრო გასულა...  
 მაგრამ ქარმა თვალთა მიმინო  
 კვლავ შენს სახლისკენ გადმოაფეთა.

\*\*\*

მთვარით მონამგლურ სიმინდებში  
 შენი მტევნების თვე მკერდზე მივიწურე,  
 ჩიტები დავაღვიძეთ ხეზე ჩურჩულით,  
 ჭიშკართან დიდი გზა იწყებოდა...  
 ხობისფერს ჩასთვლემდა თავთუხთა თვალეში  
 ფოთლის ცრემლს ტყის ლოცვა დაჰქროდა მი-  
 წამდე...  
 ჩუმჩუმად მივსდევდი მაგ თვალთა მიმინოს  
 და მაშინ სიყვარული ვინამე!  
 მთვარით მონამგლურა სიმინდები,  
 მოდი, მოგეხვიო ისევ სასოებით;  
 თვალთა საჭრეთლით ამომჭრა გულზე  
 შენი სახელის ცოცხალი ასოები.

## გულნაზ ხარაიშვილი

### ერს ვხედავ სიახლით...

ვიცი, რომ ჩემს იმედს დრო ველარ გათიბავს, ამ დილას ყვირილას ჩამოვესაუბრე...  
 ნაქარგო ზაფხულო, ნაზო და ქათიბავ,  
 ოდითგან გეტრფი და სულ შენთან ვსაუბრობ.  
 გამოზაფხულება რა რიგად გიხდება,  
 ორთქლი რომ მისწვდება ყვავილებს ფაქიზად.  
 შენეულ სიეშხით ფიქრები დიდდება,  
 ამ ნუთშიც ეს გული თქვენ მოგეფაქიზათ.  
 ძირულის ტალღავ და ძირულის ყინვებო,  
 ენძელავ, ძმერხლო და... პეპლების ფარფატო,  
 საჩხერის მოდგმავ და... საჩხერის სიმებო,  
 იმედით გჩემობთ და... გულშიდაც დაგხატავთ.  
 მოვედი სითბოთი და ღია ბარათით,  
 ერს ვხედავ სიახლით, სინორჩის ასაკით.  
 რარიგად მხიბლავს მე წინაპრის ადათი,  
 უ ფალთან რომ სახლობს მგოსანი აკაკი.  
 ლოცულობს ზეციდან, მუხრანიც იქ არის,  
 იქ არის ბეჟანი, ლექსებად ჩართული...  
 გულლია მგოსნებით გაიხსნა ცისკარი,  
 უფალთან სახლობენ ღმერთების ნათლულნი.  
 ლოყაზე ლურჯ ზეცას მზე ჩამოეკიდა,  
 უელავს სხივები მგოსნებით საჩხერეს.  
 ხვანი და ჭალვანიც ჰყოლია მემკვიდრედ,  
 ველ-მინდვრის ეკლები ლექსებით აჩეხეს.  
 ო, ახლა უნდა ვთქვა ამ ლექსით სიმართლე,  
 ბოდიშსაც მოვიხდი თუკი სტროფს დასჭირდა.  
 იმედი ოცნების საჩხერეს უმართლებს,  
 საჩხერე მე თვითონ ბევრ რამეს დამპირდა...  
 ამავე სიკეთით, ბუნების სამყაროვ,  
 თბილ სიტყვებს ღრუბლები არ უნდა ფარავდეს.  
 ვეცდები ლექსებით დარდები გავყარო...  
 იმედო, მომყევი სამარის კარამდე.  
 საჩხერის მთებო და საჩხერის ყვირილავ,  
 ბალახის ცვარო და მდინარე ძირულავ...  
 მინდვრების ყაყაჩოვ, ლამაზო გვირილავ,  
 ლექსების რითმები აქ გამოპირულა.

### გხედავ

გხედავ ტკივილის მხსნელად უფალო,  
 სულ ოდნავ, მწირი შეება მომეცი...  
 გთხოვ, სულის წვიმებს შორს გამაცალო,  
 გულის ჩურჩულის ხმები მომესმის.  
 შემოდგომაზე შევსვამ ტკბილ მაჭარს,  
 ყურძნის დაკრეფა უნდა მოვასწრო...  
 არ ვურიგდები ბოროტს და ვაჭარს,  
 თუ გამიმეტა, უნდა დავასწრო.  
 არ მიმატოვო, უფალო ჩემო,  
 შენი იმედით ვათენ-ვალამებ...  
 შენ ჩემნაირად არავინ გჩემობს,  
 მაპატიე, რომ თხოვნით დაგლაღე.

### დამჭირდა

დამჭირდა ისევ ზაფხულის მოცდა,  
 რწმენა ხომ ჩემი სულის მწყემსია...



მე მინდა ხატთან პირჯვარით ლოცვა,  
 ლოცვა წმინდანის ადათ-წესია...  
 ო, როგორ მინდა წვლილი გავიღო,  
 ვზრდიდე თაობებს, სულამაღლებულს...  
 ზეცას რომ წავალ, სული წავიღო,  
 და ჩემზე ქმნიდნენ ლექსების კრებულს.  
 არც ერთმა დედამ აღარ იტიროს,  
 გლოვის სუფრაზე ნულარ მოვხვდები,  
 ბედო, ო, აღარ გამინაპირო,  
 ვდარდობ და... მალე ისეც მოვკვდები.

### დარდის პირამიდები

ცრემლის ტბა მიდგას ახლაც თვალებში,  
 და ტკივილები ყურთან ფაჩუნობს...  
 ბედო, არა ვარ მზისფერ დარებში,  
 მინდა, სიმშვიდე შევიწარჩუნო.  
 მოვდივარ ასე დარდის ცხოვრებით,  
 როგორ ოხრავენ... ხედავ? ლექსები,  
 მე ისევ მოვალ განმეორებით...  
 ლექსია ჩემი სულის ფესვები.  
 როცა რითმას ვქმნი მაშინ ვისვენებ,  
 ეს ისე მოდის, აღარც ვფიქრდები...  
 თუმცა ტკივილი თავს კვლავ მახსენებს.  
 აშენდა დარდის პირამიდები.

### მწვერვალებისკენ გზა დამილოცეთ

კლავიშებს მოჰგავს ძირულას ტალღა,  
 მთების ხმაური – ამ გულის ხმაურს...  
 მთები მიიწვევს მალლა და მალლა,  
 ღელეები კი უვლიან დავლურს.  
 ზღაპარეთია: წმანი, ჭალვანი,  
 ლიჩი, ლოდორა, ულუმბა, ხვანი...  
 აქ სხვანაირად მწიფობს მტევანი,  
 აქ მადლია და... სიკეთის ხვავი.  
 ამ მთებს, ამ ტყეთა ჰაერს ვანაცვლებ,  
 ლექსთა ქარავანს, მთელ ჩემს სიცოცხლეს,  
 მათ სიყვარულში უნდა დაენაცრდე...  
 მწვერვალებისკენ გზა დამილოცეთ.

**მოველი**

მივედი, თეთრი თმებით ჭალვანში,  
გასულა წლები აუ რამდენი,  
არ მინდა კოცნა, ხვევნა, განგაში,  
დღეს ჩემს ტკივილებს წუთით განვდეენი.  
სკოლა შემომხვდა გულის სირმებით,  
ჩემი ბავშობის ბილიკიც ვტკეპნე...  
გადავიკარგე, ღამის სიზმრებში,  
სიყვარული კი ჩიტივით ვკენკე...

**გამოქარნა**

მწვანე ფერის კაბა ეცვა სოფლის ხედს და...  
საქორნილო მაყრებს ჰგავდნენ ბალახები,  
სიმაღლიდან ცა მიწვდიდა თავის ხელს და...  
გადამაკრა სიყვარულის არტახები...  
მოვეფერე ბორბალას და ტყის ენძელას,  
ბავშვობა კი ეზო-ეზო, გზებზე ვძებნე,  
ველარ ვნახე, მისი პოვნა გამიძნელდა...  
და წარსული მაინც გულში გამოვძერწე.

**გულს ვისაუბრა**

მიჩუმათებულ გულს ვესაუბრე,  
ალარ გავზრახდეთ, ჩემო კეთილო...  
სული ცოდვაა, გზას ნუ აუბნევთ,  
ამაყია და ცრემლებს თაკილობს...  
სხვაზე არასდროს ცუდი არა ვთქვათ...  
სიკეთის ღერძი დავატრიალოთ,  
მოდო, ჩვენ სახელს, გრძნობა დავარქვათ,  
დარდიც ვარდისფრად გავალიავოთ...  
გავშალოთ მხრები... ზღვას შევერკინოთ,  
გავცდეთ ზენიტს და ნაპირებს მივწვდეთ,  
უცხო სამყარო მიმოვირბინოთ,  
დავისვენოთ და... მზის მკლავზე მივწვეთ.

**მსურს**

მსურს ავაშენო მაღლის კოშკები,  
უფლის რჩეულებს იქ მოგცეთ ბინა...  
მერე? დაგკიდოთ ლექსის "ბროშკები"  
და თქვენთან ერთად მეც მიმადინა.

**ალბათ გაზაფხული მიტოვ ფეთქავს**

(მოხუცთა თავშესაფრის დირექტორს მალხაზ კვინიკაძეს)

ეს დილა სიხარულს დამპირდა,  
ფიქრი მოჯარდა და მომესია...  
ტირილი აქ უკვე არ ღირდა,  
თვალის სიხარულის მორევეშია.  
ლექსიც ექსპრომტად გამოვლანდე,  
მოხუცებს ღვთის მაღლი მოეფრქვია.  
იმედით თვით ბედსაც გაუმკლავდნენ,  
სიყვარულს ერთად გამოფრქვნიან.  
ვკითხე ისტორიის ძირ-ძველ „ქალდეს“,  
სად არის ერთგულების გარანტია.

მითხრა: ღვთის მაღლს თუ ქვაზე დადებ,  
მაშინ ხარ ცის ღმერთის პოეტია.  
წუთი სხვანაირად აფაქიზდა,  
სურვილი გულში აღარ ჩამეტიდა.  
მერე ააღდა და აგიზგიზდა,  
გვმასპინძლობს გულუხვი პოეტია.  
ამ დიდმა სითბომ გამაოცა,  
მალხაზის მოხუცნი დანატრიან...  
საბაბიც ლექსის წერის, იმან მომცა,  
მალხაზიც შვილმკვდარი პოეტია.  
ორი წლის პატარა ზეცაშია,  
იქ მღერის, ატარებს კომედიას.  
არც ცივა, ანგელოზს და არცა შია,  
მოხუცებს უფლის, პოეტია.  
ვილოცოთ უფლისთვის ყველამ ერთად,  
ახლა გვაქვს, ღვთის მაღლით, მომენტიან.  
ალბათ გაზაფხული მიტომ ფეთქავს,  
თვითონ გაზაფხული პოეტია.

**სათნოების გული**

*ნათელა ხარაიშვილს*

შენს გვერდში ვარ, ტკივილებით დარდმოსხმული,  
მკერდში რომ გაქვს სათნოების გული.  
ლექსებით გაქვს სიყვარული გამოხნული,  
უშურველად ხალხში დაფანტული.  
შენ ვერავინ, ვერასოდეს შეგედრებით,  
ცაზე დიდი რომ გქონია გული.  
ერზე ჯავრობ, უფალს ლოცვით ევედრები,  
მინები რომ არის დაკარგული.  
როგორ მინდა, ამ წუთშიაც მოგეფერო,  
სიკეთისთვის რომ საზრდოობს გული.  
პოეტი ხარ, სახეებით ნაირფერობ,  
რიტმი, რითმში არის გადარგული.  
ვიცი, ღმერთი უკვდავებას შენ დაგპირდა,  
ეროვნულ, სულძლიერო ქალო.  
შენი მოსვლა ქვეყანაზე ასეც ღირდა,  
იმერეთის ნამის წვეთ – მარცვალ.

**მანანა კვატანიას ხმა...**

მ – ანანობენ, თიქთიკობენ, ტემბრი ხმათა,  
ა – ბრწყინებ და შენში ზეობს „ანი, ჰაე“...  
ნ – არნარობენ, სეირნობენ, თითქოს ზღვასთან,  
ა – მ სიმშვიდით, ჩემთან გზავნი გულის ჰაერს,  
ნ – ატვრის თვალს და... ბრილიანტს ჰგავს, ჰარ-  
მონიულს,  
ა – სე ნაზი ჰანგი ჯერაც არ მსმენია.  
კ – ვირტია თუ ყურძნის წვენი მირონია,  
ვ – არდს და ბულბულს, ხმები შენთან დარჩენიათ.  
ა – ლბათ ეშხით ამოსულა ორქიდეა,  
ტ – იტები კი, თავს გიხარიან ქართვლის შვილო.  
ა – მიტომაც ვისურვილე მე იდეით,  
ი – ფაფუკოს ამ ლექსმაც და არ იკივლოს.  
ს – ისადავით მოსხლეტილი სიტყვა გვშვენის,  
ხ – ოხობი ხარ, კოლხურ ფრთებით შემოსილი.  
მ – ანანა ხარ, დილის ცვარის სხივის მფენი,  
ა – ბრეშუმის მანტია ხარ... ტანმოსხმული.

## ნათელა ხარაიშვილი

### აღდგომა

ქრისტე აღდგა, მოეფინა ზეცას მადლი,  
 მზე დაჰნათის ქართველების საცხოვრისს,  
 დაებედა ამ ქვეყანას გოლგოთის გზა,  
 უკვდავება ჯვარზე გაკრულ მაცხოვრის.  
 იესოს კვართს გულში იკრავს მცხეთის მინა,  
 იცრემლევა ისევ სვეტი ცხოველი,  
 და აღდგომას ღვთისმშობლის ნილხვდომილი  
 საქართველოს ყველა შვილი მოელის.  
 მარიამის ხელთუქმნელი ხატით მოდის,  
 ანდრია და კანანელი სიმონი,  
 ქართულ მინას კვლავ მეფურად გადმოჰყურებს  
 შვევერცხლილი მთები კავკასიონის.  
 წმინდანების ძვლებით არის შემოსილი,  
 ქართველებო, ჩვენი ტკბილი ქვეყანა,  
 დიდ ომებში დასაცავად ჩვენს სამშობლოს  
 წამებულთა მადლი გადაეფარა.  
 ნინომ ქართლი ქადაგებით მოიარა,  
 ღმერთის ძალით სასწაულებს ახდენდა,  
 მეფეთა და მდაბიოთა სახლ-კარებში  
 ღვთის წყალობას მარგალიტებრ აბნევდა.  
 მოდიოდა, მოდიოდა ამ მინაზე,  
 და არ ჰქონდა ღვთის წყალობას სამანი,  
 აშენებდნენ და ახდენდნენ სასწაულებს  
 ასურელნი ათცამეტნი მამანი.  
 ასიათას წამებულთა სული კივის,  
 გავუფრთხილდეთ ჩვენი ერის საგანძურს,  
 ვერ იპოვით სხვა ქვეყანას უფრი მდიდარს,  
 მოიძიეთ, მოიარეთ სადაც გსურთ.  
 უძველესი ქვეყანაა ჩვენი მხარე,  
 ერთი ძარღვიც არ ატყვია სიბერის,  
 ცას და მინას კვლავ აოცებს სიდიადით  
 ხმა მონაზონ დიდი პეტრე იბერის.  
 ათონის მთა ისევ უხმობს მთაწმინდელებს,  
 იოანეს, ექვთიმეს და გიორგის,  
 ღმერთო, მიეც ჩვენს ქვეყანას გამძლეობა,  
 მშვიდობა და მოთმინება იოზის.

### ქარიშხალი გადაივლის

შუა გზაზე მწოლიარე სნეული ვარ,  
 საქართველოვ, შველას ვითხოვ შენგან,  
 ქარიშხალი მაბრმავებს და ნერვებს მიწენს,  
 საქართველოვ, ჩემს სატკივარს ხედავ?  
 ვილუპები, მომეშველე, მეც შენი ვარ,  
 შენი მზის და შენი მინის მოტრფიალე,  
 სნეული ვარ, ბედისწერამ გამიმეტა,  
 გეხვეწები, მიმკურნალე! მომიარე!  
 და არ ცხრება ქარიშხალი, სეტყვა უშენს,  
 შუა გზაზე ვწევარ განანამები,  
 საქართველოვ, ახლა ჩემთვის მოიცალე,  
 სიცოცხლისთვის დამრჩა მხოლოდ წამები.  
 უკუნიდან მოსული ვარ, მეშინია  
 სიბნელის და აუტანელ სიცივის,  
 სნეული ვარ, დაკორტნილი, ნანამები,  
 მომავლისთვის სული მაინც მიყივის.  
 დრო იქნება-ქარიშხალი გადაივლის,

შენს კაშკაშა მზეს მეც მივესალმები,  
 მტკივა, მაგრამ მოთმინებას არ დავკარგავ,  
 მომავლისთვის მიმიპყრია თვალები.

### შენი ლექსებით ხიბლში ვარ

(ედღვნება დავით ტიგინაშვილს)

შენი ლექსებით ხიბლში ვარ  
 ღვინოს ვუმაღლი ყველაფერს,  
 სადიდებელი ღვინისა  
 ვთქვათ სადღეგრძელოდ მე და შენ.  
 შემოდგომაზე, როდესაც  
 დაინურება მტევნები,  
 რქანითელ-ცოლიკაურით  
 აივსებიან ქვევრები.  
 აფერადდება ცის თაღზე  
 მზე, ქვეყნის მანათობელი,  
 გამოგიგზავნის წერილებს  
 გული-ელვათა მკრთომელი.  
 ვიგრძნოთ სიუხვით სიმშვიდე  
 ქვეყნის ერთ ამოსუნთქვაზე  
 და საჩხერეში მოგინვევ  
 ძველ მამაპაპურ სუფრაზე.  
 ღვინოს რა მადლი ჰქონია,  
 იგი ახარებს კაცის გულს,  
 გადმოგანოდებ ალავერდს  
 ჭიქას, პირამდე ავსებულს.  
 სუფრა ხელდახელ გავიწყობთ,  
 ღმერთის დიდებით დავიწყობთ,  
 სამშობლოს დიდი გმირების  
 სადიდებელიც გავიწყობთ.  
 და სათითაოდ დავლოცოთ  
 მამულის მცველი გმირები,  
 რომ გავაგრძელოთ ჩვენ მათი  
 ანდერძი, დანაპირები.  
 შემოგვალამდეს სუფრაზე,  
 ღვინოს ავუნთოთ სანთელი,  
 მხოლოდ მთვრალ ქართველს აქვს მადლი  
 ლამაზად რომ თქვას სათქმელი.  
 ქება ქართული ანბანის  
 დიდ სადღეგრძელოდ ვაქციოთ,  
 ზოსიმეს ქადაგებაზე  
 ცხელი ცრემლები ვაფრქვიოთ.  
 ბრწყინავს ცის თაღზე ქართული  
 ცისა და მინის მშვენიება,  
 ჭიქა ავწიოთ, დავლოცოთ  
 ახალი ქვეყნის შენება.  
 ლამაზ რითმების სიუხვით  
 ენამზიანობ მგოსანო,  
 ვსხედვართ სუფრასთან და გისმენთ  
 თამადავ, გვირგვინოსანო.  
 იხარე ჩემო ქვეყანავ,  
 დღეები გიდგას მზიანი,  
 გეზრდება ლომის ბოკვრები  
 ვეფხვის ტყავხმალბასრიანი.  
 დღეგრძელი იყავ მარადჟამს,  
 იდიდოს შენი სახელი,  
 დრო დგება, რასაც ნატრობდა  
 ჩუმის ნატვრითა ქართველი.



## სერგი ლომაძე


**მეორე ტრილოგიის დასასრული**  
 ლურჯი

პირველი იყო, (ამ რკალიდან),  
 “მკვდარი მეფეების ბაღი,”  
 მეორე იყო  
 “ქალაქი მთებში”  
 (თუმცა ზოგნი  
 მას მიიჩნევენ, უფრო, სანყისად)...  
 აი, მესამე პოემაც და,  
 რკალი სრულდება.  
 სრულდება ჩემი  
 კიდევ ერთი ტრილოგია,  
 და ვფიქრობ ისევ,  
 თუ რა დავწერო, –  
 თუ რა დავწერო მომავალში,  
 უდროობაში...  
 მაგრამ ჯერ აქ ვართ,  
 ამ სამანზე, რომელიღაც მითიურ ქვეყნის,  
 შიმშილისა და შიშის სამყაროს  
 ამ დამსხვრეულ გზაჯვარედინზე,  
 ოცდამეერთე საუკუნის  
 ამ საგიჟეთში...  
 მოკლედ...  
 მოკლედ ჯერ კიდევ აქ ვართ.  
 და ეს ქვეყანა სულ აქ არის,  
 სულ ამ წრეშია,  
 ქვეყანა ესე, –  
 სამშობლო მკვდართა, –  
 დიდი წარსულის  
 და უაზრო ანმყოს მქონე  
 მკვდარი ქვეყანა,  
 მომავალზე რომ  
 გაფიქრებაც კი ეზარება;  
 მის გაღვიძებას ელოდება  
 დრო – გაყინული;  
 პატარა და ღარიბი ერი,  
 მსოფლიო რკალს  
 ასე რომ ასცდა,  
 ერი – იმედთა დასამარება,  
 ჩაძინებულა.  
 თუ გაიგებს, ნეტა, ზარის ხმას?!  
 ზარი კი რეკავს,

ზარი რეკავს, –  
 ბოლო იმედი, გადარჩენილი...  
 მზე არის ცაზე, –  
 ყვითელი ერბო,  
 დამდნარი ერბო,  
 დიდ ლურჯ ტაფაზე.  
 ერბო შეირევს წითელ ფერსაც,  
 ვარდისფერ ფერსაც...  
 ნელა თენდება...  
 და ზარი რეკავს,  
 მარადიული ზარი რეკავს  
 მთის მონასტერში,  
 და იღვიძებენ,  
 და ერთ ადგილას გროვდებიან,  
 მოზრდილ ეზოში გროვდებიან  
 შავი ბერები.  
 მამა ბართლომე აღავლენს ლოცვას,  
 ეპასუხება, მას, ბერების  
 შავანაფორიანი გუნდი, –  
 “ამინ! ამინ! დიდება  
 მამასა, ძესა, და სულსა წმინდას!  
 ვადიდოთ ერთი ღმერთი  
 ზეცათა შინა!..”  
 და უეცრად  
 ლალადისი მოკვდა მათი, –  
 ხედავენ:  
 მოდის რამდენიმე კაცი ამათკენ,  
 თან მოჰყავთ ერთი, –  
 შებოჭილი, თავჩაქინდრული,  
 სახეზე რომ აქვს  
 გაუსაძლის დარდის ღრუბელი,  
 შავი ღრუბელი,  
 ფერით – შავი მელანქოლიის.  
 – “ბერებო, იქნებ, აეს კაცი  
 კელიაში დაიტოვოთო,” –  
 სთხოვეს მოსულთა.  
 გაიკვირვა მამა ბართლომემ, –  
 “ეს ვინ არისო,  
 რა მოსვლიაო,  
 რა ხდებაო, საერთოდ, ქვევით?!  
 თუმცა, სტუმარი ღვთისააო,  
 და მივიღებთო,  
 ცოცხალთაგან  
 აქ – მკვდრებთან მოსულს  
 (თუმც, –  
 პირიქითაც იყოსო ეგებ)...”  
 – “ჰქვია გარრიტი,  
 მოქანდაკე არისო,” – უთხრეს, –  
 “შეირყა, ვგონებ, ჭკუაზეო,  
 თავს იკლავდაო უბედური,  
 შევკარით და აქ მოგვგვარეთო, –  
 ეგების ღმერთის სახლმა მაინც  
 დაამშვიდოსო ამისი სული!”  
 – “თავს რად იკლავდი?” –  
 ჰკითხა გარრიტს მამა ბართლომემ.

– “ეჰ, მამაო,  
მიზეზთ რა დაღვეს...  
თუნდაც, აი, ჩვენს სამშობლოში, –  
ხელოვნების ქვეყანაში,  
ხელოვანის ადგილი აღარა არს,  
ღირსო მამაო!..  
მე კი...  
მე კი ოსტატი ვარ,  
და სხვანაირად ცხოვრება, მე,  
არ შემიძლია...  
ხელოვნება გულია ჩემი...”  
– “სხვა ქვეყანაში რად არ წახვედი?” –  
იკითხა ბერმა.  
– “წავალ ალბათ...  
წავალ ოდესმე, თუ ვიცოცხლე...  
თუმცა აი, ამ მზის გარეშე,  
ამ ცისა და მთების გარეშე,  
არა მგონია,  
რომ ცხოვრება ადვილი იყოს...”  
თავი დახარა, მძიმედ, გარრიტმა.  
– “შრომა უშველის მაგას,  
მამაო,” –  
თქვა ერთმა ბერმა. –  
“დავტოვოთ აქა, თან ვაშრომოთ,  
რომ დაიქანცოს.  
დახარჯავს ზედმეტ ენერგიას,  
და უსასრულო ფიქრებისთვის,  
გაგიჟებისთვის ვიღას ეცლება!”  
– “ყველაზე მეტად, მე,  
სწორედ რომ  
აქ ვფიქრობდი და  
აქა ვფიქრობო,” –  
უთხრა, იმას, მამა ბართლომემ,  
მერე კი ბერებს, ყველას ერთად,  
ეუბნა ასე:  
– “ეს კაცო  
ერთ-ერთ კელიაში დააბინავეთ.  
სულ არაფერი დაავალოთ.  
თუ გუნებაზე მოვა, მაშინ  
საქმეებში, ალბათ,  
ისედაც შეგვეშველება.  
და იყოს აქა,  
რამდენ ხანსაც თვითონ ისურვებს...”  
კვლავ რომ გათენდა (თითქმის გათენდა)  
და გარრიტმა გახედა სივრცეს  
სამონასტრო გორიდან, იხილა  
სოფლები და შორი ქალაქი,  
და მთები, მთები, –  
ქედთა ზოლები, წყვილიდან  
სულ ახლახანს დაბადებულნი;  
დიდ წყვილიდან,  
სიღიადიდან უყურებდნენ ქვეყანას  
მთები,  
ახალ ნათელში,  
მქრქალ ვარდისფერში  
ცურავდნენ და  
ბრჭყვიალებდნენ მქრქალ ფერადებად  
დილის ნამისგან... და იყო ჟამი –

ჟამი – წყვილიდან აღსასრულისა...  
– “მშვენიერია!..” –  
წამოიძახა, ეს, გარრიტმა,  
(დაიბადა ახალი დილა),  
და თავის მოკვლა აღარც უფიქრია,  
მხოლოდ ეგ იყო, –  
გალიმება მაინც ვერ შეძლო...  
ის, იმ დღის მერე,  
მუშაობდა და ლოცულობდა  
ბერების გვერდით,  
ოღონდაც წარბს  
არასდროს ხსნიდა;  
მხოლოდღა ლოცვა  
აბოდებდა და აცოცხლებდა,  
და კელიის კედლებზე სულ  
ჯვრები, ხატები ამოკანრა;  
არც საუბრობდა არასოდეს,  
არც საუბრობდა!  
მხოლოდღა ლოცვა,  
მხოლოდ ლოცვა, –  
მხურვალე და ყოვლისმიერი,  
სულის მალამო,  
თან – ქვითინი იგივე სულისა, –  
ცხელი ცრემლები,  
ჭრილობებს რომ ესალბუნება;  
მაგრამ სახეზე  
არც ცრემლები ისახებოდა, –  
გარრიტი იყო  
მუდამ კუმტი და შეუვალი,  
იგი კლდეს ჰგავდა,  
სალ კლდეს, რომელიც  
მარადიული დუმილით სუფევს,  
და ამ დუმილით უსწორებს თვალს  
თვით არწივთა ფრენასაც კი;  
ერთადერთ ფრაზას ამბობდა გარრიტ  
(ლოცვათა გარდა):  
“რა არისო ცხოვრების აზრი?” –  
ეკითხებოდა იგი, ბერებს,  
ხანდახან, ამას.  
პასუხი იყო სხვადასხვა და  
არაფრისმთქმელი.  
ბანალურობას დაეპყრო გონნი.  
მაგრამ, აი, ორი პასუხი,  
დამაფიქრველი,  
მაინც ეღირსა  
წამებულ გარრიტს:  
მამა ბართლომემ დუმილი უთხრა,  
ეს – მეტყველი დუმილი იყო;  
ხოლო ექვთიმემ,  
(ეფთვიმესაც ეძახდნენ ხოლმე),  
მამა ექვთიმემ, –  
ახალგაზრდა და სათნო ბერმა,  
უთხრა:  
– “გარრიტო,  
გვრიტივით რომ გინდა გაფრინდე,  
მაგრამ გალია რომა გაქვს ბინად,  
სიცოცხლის აზრი იგი არის,  
როს ერთ ვილაცას,

ერთ ვილაცას მაინც სჭირდები,  
და ეს რომ იცი,  
და რომ გრძნობ ამას  
მთელი არსებით!..”  
– “მამა ექვთიმე,  
ასე წონი შენს ცხოვრებასაც?” –  
გარრიტიმა თითქოს მოისურვა  
ზღვის ფსკერის ხილვა.  
– “ასე ვწონიდი.  
რომ არავის არ ვჭირდებოდი,  
ამიტომაც ვარ მონასტერში.  
მე ძალზე მალე ამოვწურე  
ჩემივე თავი,  
ან, უბრალოდ...  
უბრალოდ, ვერსად ვერ ვიპოვე  
ჩემი ადგილი,  
და აი, აქ ვარ.”  
– “აქ ყოფნა მოგწონს?”  
– “აქ, მე, ძმებში ვარ,  
სულიერ ძმებში, –  
ჩემნაირად განწირულ ხალხში,  
უფლის შეცნობას რომ ელტვიან...  
მოკლედ, აქ არის ჩემი ადგილი.”  
ბერს გაელიმა,  
გაუნათა ღიმილმა სახე,  
მაგრამ თვალებში  
ჩამდგარ ცრემლებს  
რომ ვერაფერი მოუხერხა,  
გახედა სარკმელს,  
მიაჩერდა, იქ, იასამანს,  
და ეს წარმოთქვა  
ჩუმად, ლოცვასავით: –  
“იასამანი სულმთლად ლურჯია,  
ყვავილებიან-ტოტებიანად,  
და ტკივილები გაუყურია,  
და ლურჯ სიზმარს ჰგავს,  
სიზმარს – მთლიანად.  
იასამანი სულმთლად ლურჯია,  
ყვავილებიან-ტოტებიანად...”  
– “ეს სილამაზე ვინ დაწერა?” –  
ეტყვის გარრიტი,  
კაცი, რომელიც  
თითქმის აღარ ლაპარაკობდა,  
ახლა აენტო,  
ინტერესში შევიდა უცებ.  
– “თაბორ გილგამეშს  
ეკუთვნის ესა,” –  
უთხრა ექვთიმემ, –  
“იმას იგრესსაც უწოდებდნენ,  
გენიალური კაცი იყო,  
თან პოეტი და თან კი – ბერი;  
ჩვენთან იყო ორი კვირა.  
მერე...  
მერე სადღაც წავიდა.”  
– “გენიალური?” – იკითხავს გარრიტი.  
– “უცნაური და გენიალური.  
მაღალი კაცი არის იგი;  
დიდი, ნათელი შუბლი აქვს და,

ლურჯი თვალები, რომლებშიაც  
ლურჯი ცეცხლი ღვივის ხანდახან;  
თაბორს, თმა-წვერი, დროის დინებამ,  
სპეტაკ თოვლივით გაუთეთრა...  
მასზე ამბობენ, მეგობარო,  
რომ თითქოს იმან  
სიკვდილიც ნახა.  
ზოგნი ჰყვებიან...  
ზოგნი ჰყვებიან თვითმკვლევლობაზეც...  
მერე, როგორღაც,  
საიქიოდან დაბრუნდაო,  
ყოვლისშემძლე კაცად ქცეული.”  
– “და შენ ეგ გჯერავს?!”  
– “აბა რა გითხრა, ჩემო ძმაო...  
მე ვიცი ის, რომ  
მოხეტიალე ბერი არის,  
ბევრი რამ იცის...  
თვითმკვლევლობა –  
ეს – ცოდვაა და...  
თან, იმქვეყნიდან დაბრუნება  
როგორ იქნება!..  
მაგრამ, როდესაც შეგიძლია, რომ  
შენი ლექსებით  
კლდეც აატირო, –  
ასეთ კაცზე მსჯელობა ძალმიძს?!..  
არ ვიცი, არა...  
ის სხვაგან არის,  
გასულია ჩვენი დროიდან,  
მისი გონება  
სხვა სივრცეებს ეთამაშება.”  
– “მამავ და ძმაო,” –  
ეტყვის გარრიტი აღელვებით, –  
“სად შეიძლება  
მაგ კაცის ნახვა?  
ეგებ გავიგო ის პასუხი,  
რაც ვერავისგან ვერ გავიგე, –  
ეგებ გავიგო, თაბორისაგან,  
თუ რა არის აზრი ცხოვრების!..  
აი, შენ მითხარ, –  
ერთს ვისმეს მაინც  
თუ სჭირდებიო...  
ვით ვჭირდებოდე,  
ვით ვუყვარდე,  
როცა ჩემი მთავარი საქმე, –  
როს ხელოვნება,  
ხელოვნება არვის სჭირდება!  
მე, ჩემი საქმით,  
პურის ფულსაც ვეღარ ვშოულობ,  
მე, ამ საქმით, –  
მხატვრობითა და სკულპტორობით,  
საკუთარი თავიც ვერ გამაქვს,  
და საჭირო, სხვისთვის,  
ვით ვიყო?!..  
ვიცი,  
ამაზე პასუხია ასიათასი;  
ვიცი,  
ჩემს თავში უნდა  
მოვკლა, მე, ხელოვნება,

ან, პარალელურ რეჟიმებში,  
 სხვა საქმენი უნდა ვაკეთო;  
 ამ რეჟიმებში,  
 თუ რაღაცა სხვა რეჟიმებში  
 უნდა ვიცხოვროთ  
 მთელი ცხოვრება...  
 მაგრამ მორჩა!  
 მორჩა! ნერტილი!..  
 მე ჩემი თავი უნდა უარვყო,  
 რათა გადავრჩე,  
 მაგრამ გიჟი ვარ,  
 შეშლილი ვარ,  
 და ჩემი თავის უარყოფას მე  
 არ ვაპირებ!..  
 ხოლო რადგანაც  
 ყველასათვის ზედმეტად ვიქეც,  
 ნავალ, მოვნახავ  
 მაგ უცნაურ ბერს, –  
 ეგებ ამიხსნას, იმან მაინც,  
 დიდ ფიქრთა წყობით,  
 ჭეშმარიტი აზრი სიცოცხლის...”  
 ეტყვის ექვთიმე, –  
 “ეჰ, ჩემო გარრიტ,  
 შენ, მგონია,  
 გამოუცნობ არსზე საუბრობ,  
 თან – მარტივზე,  
 და თან – რა რთულზე!  
 მე ბევრს ვიცნობდი,  
 მაგ საგანზე ჩაფიქრებულსა,  
 მაგრამ არცერთს, –  
 ვინც, კითხვებზე,  
 უმართლესნი პასუხნი ნახა,  
 ვინაც მიაგნო მთავარ აზრსა...  
 თუმც  
 გილგამეშის ზოგ მონაფეს  
 მაინც ვიხსენებ: ვთქვათ, –  
 გაბრიელი ერქვა ერთსა,  
 მეორეს – ოლირ  
 (მასზე იმასაც ამბობენ, რომ  
 არისო იგი  
 მარადი მაძიებელი ჭეშმარიტების,  
 იქნება რომ –  
 აბსოლუტურ ჭეშმარიტების)...  
 ორივე წერდა ლექსებსა და  
 ორივე მისდევდა  
 გზას ამ ფრაზისას –  
 “პირველად იყო პოეზია.”  
 დიახ, ასედაც იქნებოდა, –  
 ორივე უსმენდა, ადრე, გილგამეშს,  
 და უმთავრეს მეგობრებს მისას...  
 ორივე ეძებდა ცხოვრების აზრს.  
 დღემდეც ეძებენ.  
 მათი შედეგი  
 უსასრულო ხეტიალია ჯერ-ჯერობით,  
 სხვა – არაფერი, ალბათ... ალბათ...  
 არა, – ვინ იცის...  
 ამბობს გაბრიელ:  
 ერთხელ, მგონი,

საიქიოშიც შევეხეტეო,  
 ლამის მიქელ-გაბრიელიც ვნახეო,  
 ამბობს.  
 აქ როს ამოდის მონასტერში,  
 ამბებს ყველა,  
 თეთრ ქვეყანაზე ყველა ხანდახან,  
 (საიქიოზე?),  
 და პოეზიის  
 გასაოცარ ტალღებში გვახვევს...  
 აი, ოლირი...  
 ის სხვა კაცია.  
 იგი არის მეფე, რადგან  
 თვით ბერ თაბორს შეუთანაბრდა  
 ლექსის წერის ოსტატობითა.  
 ოლირის ლექსებს და პოემებს  
 გრძნობა ქმნის,  
 გრძნობა უდიდესი და  
 პოეტური.  
 აქ, მეტყველება სახეების,  
 და აზრთა სიღრმე,  
 აჭარბებს თვითონ  
 მეათე ზღვარს პოეზიისას...  
 ოლირი ეძებს და პოულობს  
 მისი სულის მონათესავე  
 ადამიანებს,  
 უწოდებს მათ, ხან,  
 “სალვთო არმიას,”  
 ხანაც –  
 “მარტოსულ რაინდთა ორდენს,”  
 (ერთობაა და,  
 მარტოსულებად რჩებიან მაინც),  
 ხოლო მიზანი,  
 მიზანი კაცი-პოეზიისა,  
 ჯერ ვერავინ ვერა გაიგო...  
 იდეა რჩება გამოუცნობი...”  
 – “ეგ ოლირი  
 ახლა სად არის?!” –  
 სულძლეულად იკითხავს გარრიტ, –  
 “ვფიქრობ,  
 პასუხი მას ექნება  
 აიმ კითხვებზე,  
 რაც ოდესღაც  
 თვით აწუხებდა...  
 თაბორი?.. არა, ოლირს ვნახავ...  
 არა, ეგ კაცი უნდა ვნახო,  
 მამა ექვთიმე!”  
 – “ო, მისი ნახვა  
 ახლა არის ძალიან ძნელი.  
 არ ვიცი სად არს.  
 მის მონაფეთაც  
 ვერ უპოვნიათ.  
 ამბობენ, სადღაც განმარტოვდაო,  
 და ოლირის დაბრუნებას  
 კრძალვით ელიან...  
 თუმცაღა, აი,  
 თუ მის დას ნახავ,  
 (უმცროსი და ჰყავს,  
 ქალაქში ცხოვრობს,

ნია ჰქვია,  
ხელოვნებას აღმერთებს ისიც),  
ის მიგასწავლის,  
მე მგონია,  
ოლირის სამყოფელს...”  
დადუმდა ბერი.  
აღარ დაძრა სიტყვა გარრიტმაც...  
მეორე დღეს კი  
გაიღვიძა ძალიან ადრე  
მამა ექვთიმემ.  
მზე, ის-ის იყო, ამოდიოდა,  
როცა ექვთიმემ  
მონასტრის მთიდან  
გახედა სივრცეს,  
და ძალზედ შეკრთა,  
მოჩვენება თულა ეზმანა:  
უცებ გალურჯდა  
ახლადმობილ მზისა სხივები,  
უზარმაზარმა ლურჯმა სივრცემ  
შეისუნთქა მთელი სამყარო,  
და ამოსუნთქვა  
იასამნის ყვავილთა წვიმად  
გადაიქცა, გადაიფერფლა;  
ლურჯი იყო, იასავით,  
იასამანი,  
ლურჯი, ლურჯი,  
და პოეზიის ფერსა ეპყრა  
სამყარო სრულად;  
თუ გაბრიელმა  
იხილა თეთრი,  
თუკი ოლირმა:  
ვარდისფერი,  
ნითელი და შავი იხილა,  
მამა ექვთიმე  
ხედავდა ლურჯ ფერს, –  
ფერს ზეცისა,  
იისა და პოეზიისა,  
და ამ ლურჯ ფერში,  
მზის გულიდან წამოსული  
იასამანთა ყვავილების  
ამ ლურჯ გრიგალში,  
რექვიემის მუსიკით სავსე  
უსასრულო ოკეანეში,  
ბერმა იხილა –  
მთის მარჯვნივ მდგარი  
მთელი კლდე რომ  
ერთ ლამეში გამოეკვეთა  
ქანდაკებად  
საოცარ გარრიტს!  
უზარმაზარი ჯვარცმა იდგა  
მთის (თუ – გორის)  
ერთ-ერთ მხარეს,  
და ამ ჯვარცმას, –  
მთა-კლდეს, ქცეულს ქანდაკებად,  
მთელს პლანეტაზე  
ყველაზე დიდ ქანდაკებად,  
გაოგნებული შეჰყურებდა  
მთრთოლვარე ბერი;


ჯვარზე კი იყო  
ხელოვანის – თვითონ გარრიტის  
ქვის ფიგურა...  
და ხელოვნება, მილურსმული  
ამ კლდოვან ჯვარზე,  
წარმოადგენდა  
გულსაკლავად შემზარავ სურათს...  
მერე გაისმა ციდან გოდება,  
იასამანთა ყვავილები  
გარდაისახა გრანდიოზულ  
კოსმიურ წვიმად, მოლურჯო წვიმად,  
დაიკლაკნა ცაში ელვები,  
და აფეთქდა  
ნითელსა და შავში  
მთელი კლდე,  
ურჩხულები კი,  
უზარმაზარ შავი კვამლისა,  
ცის ზენიტს მისწვდა...  
დაიმსხვრა მთელი ქანდაკება,  
ხოლო სიშავე,  
ავარდნილი მუქ ფარდასავით,  
ებრძოდა ფერთა ტრილოგიას –  
თეთრს, ფერადს და ლურჯს...  
ნეტა რომელი წელი იყო?  
ორიათასათი? თერთმეტი?  
თორმეტი? თუ...  
თუ უდროობა,  
ანდა დროთა მარადისობა?..  
არ ვიცი, არა...  
ბერი კი...  
ბერი ლოცულობდა,  
პირქვე დამხობილს,  
აღარ შეეძლო, რომ ეხილა  
აპოკალიფსი,  
აპოკალიფსი ხელოვნებისა, –  
დასასრული  
მთელს სამყაროსი!..  
ის, დამხობილი, ლოცულობდა,  
ლოცვებს მაღიმალ ბუტბუტებდა  
ათრთოლებული,  
აღარ უმზერდა  
იმ სიგიჟეს,  
გონის იმ ბოდვას,  
რაიც იხილა, –  
აღარა სურდა  
რეალობის თუ ირეალობის  
ამ მძიმე ჯვარის  
კვლავაც განცდა,  
კვლავაც შეგრძნება...  
როს გამოფხიზლდა,  
ერთ-ერთ უბრალო კელიაში  
ინვა ექვთიმე.  
ბერები თავს დასტრიალებდნენ.  
–“როგორა ხარო,” –  
ჩაჰკითხა, ჩუმად,  
მამა ბართლომემ. –  
“დიდი მინისძვრა იყო და,  
ალბათ, ამან,

შენზე ცუდად იმოქმედაო.”  
 – “ხომ ყველაფერი კარგადაა?” –  
 შეუბრუნა კითხვა ექვთიმემ.  
 – “კი, კი, ყველა და ყველაფერი...  
 ერთი ეგაა, –  
 უზარმაზარი კლდე ჩაიქცა  
 გორის ერთ მხარეს,  
 და კიდევ, – მინა დაიბზარა  
 რამდენიმე ადგილასაო.”  
 – “გარრიტი?  
 გარრიტი სადღა არის?!” –  
 ჰკითხავს ექვთიმე.  
 – “იგი წავიდა.  
 ალბათ

თავის გზებს თუ ეძიებს...  
 რად იკითხე?  
 რატომ იკითხე?”  
 – “არა, ისეო,” –  
 უთხრა ექვთიმემ,  
 და მილულა თვალნი  
 დაღლილმა,  
 თან გაიფიქრა, –  
 ალბათ ოლირის მოსაძებნად  
 თუ წავიდაო...  
 ბერს ჩაეძინა,  
 სიზმარში კი  
 სრულად ლურჯადქმნილ იასამნებს, –  
 სილურჯის მთელს ბალს  
 უყურებდა გაოგნებული...

(დასასრულის დასასრული)

თბილისი.  
 2012 წლის გაზაფხული.



# წერილები

## ტიტე მოსია

### ბო ძიუ-ის გაზაფხულის სიცილი



ბო ძიუ-ი ტანის ეპოქის იმ ჩინელ დიდ პოეტთა შორისაა, როგორებიც იყვნენ: ვან ვეი, დუ ფუ, ლი ბო, იან ცზუნი, ლო ბინ ვანი, ხე ჯი ჯანი. მენ ჰაო ჟანი, მენ ცზაო, იუან ჩუენი, ლი სიან უნი და სხვ. ბო ძიუ-ის ქართულად თარგმნილი ლექსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებად შეინიშნება ე.წ. „ბუდაური ლირიკის“ ნიშნები. საერთოდ არ გვხვდება სიტყვებიც კი – ტაძარი“, „განდგილი“, ტანის ეპოქის სხვა ჩინელი პოეტებისგან განსხვავებით. მართალია, პოეტის ლექსებში ჩქეფს ბუნების სიმწვანე და სილამაზე, მაგრამ იგი არ აღიქმება წუთისოფლიდან გაქცეული მწირის ნავსაყუდელად, სავანედ – სულიერი შვების მოპოვებისათვის. უფრო მეტიც – ბო ძიუ-ის ლირიკაში ბუნებისმოყვარეობა გაიგივებულია სიცოცხლისმოყვარეობასთან, ცხოვრებიდან სიკეთის მიღებასთან. გაზაფხული, ამწვანებული ველი მზიანი, ტვერებში მოლაღურის გადაფრენა, ქათქათა მთვარით მთა-ბარის დამშვენება, თეთრი ლოტოსი, ტირიფის მწვანე შტონი, ავარდისფერებული ატმის ხეები. მზე და კვირტები, წყარო, მთები, ჩერო, ხეები, ყვავილები, ალუჩები, მდინარენი... წვიმა, თოვლი, ქარი... ეს ის ბუნების საგნები და მოვლენებია, რომლებიც ემსახურებიან ადამიანის სიცოცხლით დატკობას, ნატიფ ესთეტიზმს: ნატვრას იმისას, რომ დიდხანს შერჩეს ფიზიკურად ამ ბუნების წიაღს.

შემთხვევითობით არც ის ფაქტი აიხსნება, რომ ბო ძიუ-ის ლირიკაში მეტწილად გაზაფხული იციინის, როგორც სიცოცხლის განახლების, აღორძინების სიმბოლო:

„ჩანჯოუს ბაღნარს გაზაფხული მოადგა ისევ, გადაამწვანა ველი მზიანი...  
 „ლოიანის გზებზე და მინდორ-ველებზე წარუდინებელი გაზაფხული ფშვინავს“;  
 „ჯაო-ცუნის მშვიდი ატმის ხეები, გამოზაფხულზე რომ ვარდისფრად ყვაოდნენ“;  
 „ალბათ არასოდეს გამახარებს მეტად

მზე და გაზაფხულის სიცილი“.  
 მინდა სრულად დავიმონწმო „ყვავილები მებრალება“:

„ბრალია, რომ მშვენთა და უნაზესთათვის სწორედ ახლა მოდგა ყვავილობის ჟამი. სულ ცოტა ხნის წინათ ბობოქარმა ქარმა შტოებს მოაძარცვა ყვავილები ღამით. ანცმა მოლაღურმა დღევანდელი დღით – როცა ნახა ძველი სანახების ფარჩა – მან, ენამრავალმა, რაც იქ იგალობა, შიშველ ხეთა შორის უპასუხოდ დარჩა“.

თითქოს ბო ძიუ-ის პოეტური სულის ძახილი მოისმის გალაკტიონის „ატმის ყვავილების“ ციკლში: „იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ... იმგვარადვე მდევი, იმგვარადვე მკლავ“.  
 „მაგრამ ენვია ატმის ხეს ქარი და ფრთამედგარი შემოახვია, ახლაც ატყვია ხეს განაბზარი, ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია. როგორც მართებულად მიუთითებენ აკ. ხინთიბიძე და ლ. სორდია, ყველაზე მეტი სიახლე ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა მაინც ატმის ყვავილების ციკლით შემოიტანა. ატმის ყვავილების სიმბოლიკაში გამოხატულება ჰპოვა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა პრობლემამ, მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატებამ.

ამ მხრივ სანიმუშო ლექსია „ტირიფის ბუსუსები“. სულთამხუთავი დროის „წყალობით“ თმაშვერცხლილი მგოსანი განიცდის სიბერის მომძლავრებას, უმძიმს გაყრა-განშორება „ამ გაზაფხულთანა“. ასეთი მიმზიდველი სურვილით ამთავრებს დასახელებულ ლექსს:

„გოგმანა მოლაღურს მინდა დავაბარო – ჩემს ლამაზ ტირიფს უთხრას, არა უშავს: შტოებით აღუდგეს მიმავალ გაზაფხულს, დააკავოს და შინ აღარ გაუშვას“.

რა ძალა გვადგას – გაზაფხული და სიცოცხლე გავასინონიმოთ. ეს ლექსი თავად ასინონიმებს მათ. კერძოდ, სიცოცხლე და გაზაფხული ძალდაუტანებლად აღეგორიულად აღიქმება – გაზაფხულში აღეგორიულად სიცოცხლისადმი სიყვარული მოიაზრება. ჯაო-ცუნში აყვავებულ ხეთა შორის მოსეირნე ბო ძიუ-ი სევდას შეუპყრია. თურმე მთელი ათი წლის მანძილზე ხალისს მატებდნენ და შვებას ანიჭებდნენ გაზაფხულზე ვარდისფრად აყვავებული ჯაო-ცუნის მშვიდი ატმის ხეები. მაგრამ ყველაფერი წარმავლობის მორჩილია. მის მწარე შეგრძნებას სიბერე ამძაფრებს, „წლები არ გინდობენ“. ამიტომაც ლექსი – „ჯაო-ცუნში აყვავებულ ხეთა შორის ვსეირნობ“ – მელანქოლიურად სრულდება:

„ბერიკაცისთვის ხელახლა აქ მოსვლა ძნელია მეტად – წლები არ გინდობენ. ნელსაც თუ მოვედი, მოველ გაზაფხულს და ატმის ყვავილებს რომ გამოვემშვიდობო“.

გაზაფხულის შემდეგ ბო ძიუ-ის პოეზიაში აქტიურდება ტირიფის სახე. ტირიფი ხან ძალადა-

კარგულია, ხან მტირალი, ხან ქარების მიერ ტოტემომტვრეული, ხან მწვანით მოსილი: „ცინის კარიბჭეთა ტირიფის შტონი დახრილან, არ აქვთ ძალი. აღმოსავლის ქარმა ოქროდ გადაუქცია ამ ტირიფს ფოთლები მკრთალი“. აქ პოეტი უბრალოდ ფოთლებმკრთალი ტირიფის აღწერით კი არ არის დაინტერესებული, არამედ მასში აქსოვს სევდას გაზაფხულზე ამწვანებული ტირიფის ტოტემის ქარით იავარქმისა, რაშიც ალგორიულად უნდა დავინახოთ წუხილი სიკვდილის მიერ სიცოცხლის ნაადრევად ხელყოფის გამო. ტირიფი ადამიანის სევდის გამზიარებელიცაა, „განშორების სიმწარის“ განმცდელი („განშორების სიმწარე“). ტირიფი ადამიანის მეგობარია, რომელსაც არასოდეს ღალატობს. ეს უჩვეულო მაგალითია ადამიანის ბუნებასთან შერწყმისა, მათ შორის რაიმე ბარიერის არარსებობისა. აქ ისევ მოგვიწევს ნ. ბარათაშვილის აზრდობის გამოხატვა: „მწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულოთ შორის“. ლექსი „ტირიფის შტოებს ვეთხოვები“ თვითონვე მთხოვს მთლიანად დამონებებს. აბა, უარი როგორღა ეთქმის:

„მტირალი ტირიფის ორი შტო რომ იყო  
ამ სახლში, ჩემს გვერდით ხარობდნენ,  
ნასმურევი კაცის მეგობრები იყვნენ,  
არცაა ღალატობდნენ აროდეს.  
შინ უნდა წავიდნენ ხვალ და მარტოხელს  
მას შემდეგ, რაც წავლენ ისინი –  
აღბათ არასოდეს გამახარებს მეტად  
მზე და გაზაფხულის სიცილი“.

გაპიროვნების მხატვრული ხერხის მოხმობით ბო ძიუ-ი იტყვის: „ვეის თავადის ჯებირებთან მტირალა ტირიფს ტოტემში ღონე არა აქვს და მოხრილა გზაზე“. პოეტი ბუნების წიაღში მზამზარეულად მოხეირე ტირიფით კი არ ხარობს მხოლოდ, არამედ მდინარისპირას თვითონაც რგავს ამ მისთვის საყვარელ მცენარეს: „ოდესღაც სამხრეთის ნაპირზე ტირიფი დავრგე და თითქოს რამ ვპოვე“. მისი სიმწვანით იხიბლებოდა. მისი მიტოვება ისე უმძიმს, როგორც ძალზე ახლობლისა, ან მეგობრისა. ორი გაზაფხულის მანძილზე ვერ ხედავს ტირიფის სიმწვანეს. სევდას ამძიმებს ამის გაფიქრებაც: „მაგრამ აღარ ვიცი, ვინ ამტვრევს ახლა იმ ჩემი ტირიფის რტოებს“. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ლექსი „თეთრი ლოტოსი“:

„სუჯოუს თეთრი ლოტოსი ლოანში  
დავრგე და ლოდინი დავუნყე ზამთარს“.  
„მაგრამ შენ რად ჭმუნავ ძიანანისათვის.  
ყვავილს რატომა შლი ზანტად.  
გზები გადავლახე, გზიდე ლოანამდე –  
შენ რა, არ იცოდი განა?  
არც ბანანები და არც წითელი ძინი  
არ წამომიღია თანა“.

აქ საუბარია მშობლიურ მინას მონყვეტილი ლოტოსის ჭმუნვაზე, რომელიც სხვაგან გადანერგვისას ზანტად შლის ყვავილს. ერთი სიტყვით, მშობლიური მინა ისევე თბილია და მნიშვნელოვანი მცენარისათვისაც, როგორც ადამიანისათვის. ლექსში „გზაზე ძველი ბჭეების მიღმა“. ვკითხულობთ: „ძნელია, მძიმე დაეთხოვო მშობლიურ მხარეს“...

ასევე გაჭირვებია ბო ძიუ-ის ხანჯოუს მიდამოსთან გამოთხოვება, ისე იტაცებდა ციანტანის წყარო, მთები და ჩერო. განწყობის გაფუჭების გამო იშვიათად ეტანება ღვინოს და არც ლექსების თხზვაზე მიუწევს გული. მისი სურვილია თავისი სატკივარი დააბაროს უკუშებრუნებულ ნიჩბებს, რათა ნაფიქრალი გადასცეს სიხუს მთვარეს, მთებსა და ველობს, ამ ლექსში გამოსჭვივის დიდი მონივნება და ნატიფი სიყვარული ბუნების საგნების მიმართ:

„რაც კი დავეთხოვე ხანჯოუს მიდამოს,  
ციანტანის წყაროს, მთებსა და ჩეროს,  
მას შემდეგ იშვიათ ვეძალეები ღვინოს,  
და გული არა მაქვს, ლექსები ვწერო“...

„ხანგრძლივი სიხარულის“ ბორცვთან მდგარ პოეტს გული წყდება, რომ ჟამი ამ სიამოვნებას არ შეარჩენს, გაყრის მასთან. გაბრაზებული ამ ბორცვისთვის სახელის გადარქმევას ლამობს: „ო, ცრუო სახელო – „ხანგრძლივი სიხარულსა“ ჯობდა დაგრქმეოდა – „ხანგრძლივი ჭმუნვა!“ ბო ძიუ-ი ძე ჯი-სადმი მიმართვისას მისტირის მასთან გატარებულ ათ წელს, ღამის სიზმრად და მოჩვენებად ესახება:

„სად დაგვეკარგა სიყვარულის, ხალისის ჟამი!  
ცრემლები, ჭმუნვა წასულან, თვალს მოგვფარებინ.  
ან იგი ჩვენთვის  
ჩრდილია და სიზმარი ღამის –  
ის ათი წელი, ჩვენ რომ ერთად გვიტარებია“.

პოეტი ოცი წლის შემდეგ ლოიანის მინდორ-ველს დაუბრუნდა მამინ, როცა აქ „წარუდინებელი გაზაფხული ფშვინავს“. ყველაფერი უცვლელად დახვდა, ოღონდ დანალვლიანდა იმის გამო, რომ თავის სიჭაბუკის დღეებს ვერ გადაეყარა: „მხოლოდ ჩემი ტკბილი სიჭაბუკის დღეებს, ვერსად შევეყარე, ვერსით გამიბრწყინა“. შანშინის გზაზე მიმავალს („ჩემი განცდები შანშინის გზაზე“) უსიამოვნო განცდები აღედრა – ექვსი წლის შემდეგ დაბრუნებულს: „წინ დიდი გზაა, მწუხარებით და სიმარტოვით. მე ჩაფუარე ამ შარაზე უამრავ დუქანს და თითქმის ვერსად ვეღარ ვნახე ძველი პატრონი“. ამ ლექსში ავტორს დუქანი და მისი მეპატრონე კი არ აინტერესებდა, არამედ გულდასაწყვეტი აღმოჩნდა ნაცნობის უნახაობა, იმ ადამიანთან ურთიერთობის ჩაშლა, ვისაც ასე პატივს სცემდა.

ბო ძიუ-ის ლირიკაში არც თუ იშვიათად შეხვდებით შეხვედრებით აღძრულ სიხარულს და განშორებით გათანგულ მჭმუნვარებას, ასევე დაბრუნების მოტივს. მგოსანმა შორეულ მხარეს მიმავალნი გააცილა, ეტლი მიბრუნდა, ცხენები გაჭენდნენ და მტვერმა დაფარა იქაურობა:

„აღარ შემინიშნავს გამოთხოვებისას,  
სრულად მომწურვოდა ცრემლები მწარე –  
სახლში დავბრუნდი და ცრემლი არა მქონდა,  
რომ გადმოცვენოდათ ნალვლიან თვალებს“.

ვან-ი ტაის „სნეულებაში“ მომავლნა ბო ძიუ-ის ლექსის გაცნობისას („სნეულმა ბარათი მივიღე ფანისგან“). ორივე პოეტის ლექსებში საერთოა ერთი რამ – სნეულება ქვეყნის საზრუნავს მოსწყვეტს ადამიანს, საერთოდ, მთელ ქვეყანასთან აწყვეტინებს ურთიერთობას. ბო ძიუ-ის ლექსის მიხედვით, მისი ლირიკული გმირი ერთი წელია ავადმყოფი წევს უდაბური სოფლის მივარდნილ სენაკში. უჩი-



ვის არა მხოლოდ იმას, რომ ქვეყანას მოწყდა ამით, არამედ ყველასგან მიტოვებასაც ჯავრობს. ამაში ნათლად ირეკლება ის აზრი, რომ თუ ჯანმრთელი ხარ, ყველას სჭირდება, ყველა გამოგიყენებს, ჯანგატეხილი და ავადმყოფი არავის უნდა, არავინ ეკარება მას. ეს უკვე უსულგულო საზოგადოების ხვედრია. ადამიანისათვის „ვაჭრის თვალით“ ყურება ყოველგვარი ეთიკის ფარგლებს სცილდება. ადამიანის ზნემაღლობა სწორედ სწეულისთვის დახმარების განწევში ვლინდება. თუმცა ბო ძიუ-ის აღნიშნული ლექსის ლირიკული გმირი მთლად უიმედოდაც არ არის. ერთ ძველ მეგობარს გახსენებია იგი, ბარათებსაც უგზავნის და ამითაც კმაყოფილება, მთლად განწირულად არ გამოიყურება:

„მოწყდი მთელ ქვეყანას, ყველამ მიმატოვა და შავმა ნაღველმა დამიწყო ძლევა.  
მხოლოდ აღმოსავლის სატახტო ქალაქის დიდი კარისკაცი, სახელად ფანი – მიგზავნის ბარათებს, ძველ მეგობრისადმი კვლავაც სიყვარულით შეძრული არის“.

„მეგობრისადმი სიყვარულით შეძრულობა“ გადაარჩენს არა მხოლოდ ავადმყოფს, არამედ ზნედაცემულ საზოგადოებასაც. სადაც ჰუმანიზმია, იქ სიცოცხლეა, სიკეთეა, სიყვარულია, მშვენიერება და ჭეშმარიტებაა. ეს ადამიანური ღირსებები კი მთელი კაცობრიობის მხსნელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ამაოებაა და უფსკრულში ჩაპირქვევაა. სხვათა შორის, ამაოების, წარმავლობის განცდას ვერც ბო ძიუ-ი აცდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ლექსი „ჩანჯოუს სასახლის ბაღნარი“. რაც იყო, აღარ არის, რაც ნათობდა – დაბნელდა. სი შის სასახლის მშვენიერება ჟამთა სიავეს გადაურეცხავს, უდაბურება დასადგურებულა. აქ იშვიათად იპოვით გამვლელ ადამიანს, მოლაღურიც კი ტევრში ზოგჯერ თუ გადაფრინდება, იქაურობას გაზაფხულიც კი არ უხდება, რაც არ უნდა გადაამწვანოს მზიანი ველი. ყველაფერი უსახურობაში ჩაძირულა, მთვარეც ამაოდ დაჰნათის ჩანჯოუში გუსუს ქონგურებს. ამ ლექსში სასახლის გაქრობა კი არ აღარდება ავტორს, არამედ იმ მჩქეფარე სიცოცხლის დაშრეტა, რაც იქ ჩუხჩუხებდა. ეს ლექსი თვითონვე გვეპატიჟება სრულად გასაცნობად:

„ჩანჯოუს ბაღნარს გაზაფხული მოადგა ისევ, გადაამწვანა ველი მზიანი.  
ტყეში ხანდახან მოლაღური გადაფრინდება და იშვიათად თუ გაივლის ადამიანი.  
უსახურია – გამოიცილო ჟამთა სიღრმეში სად იყო სი შის მშვენიერი სასახლის არე.  
და ყოველ ღამით ჩანჯოუში გუსუს ქონგურებს ახლა ამაოდ დაჰნათის მთვარე“.

დაბოლოს: შეუძლებელია არ შევეხოთ ბო ძიუ-

ის, როგორც პოეტის, პიროვნებას. აქ ხაზი გაესმის მის პოეტურ თავმდაბლობას. ეს დიდი პოეტი თავის თხზულებებს მდარე ლექსებად ნათლავს (აქ უნებლიედ გვახსენდება ჩვენი დიდი პოეტის დავით გურამიშვილის თავმდაბლობაც: „მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა“), რომელსაც თითქოსდა შთამომავლობისათვის არ ჰქონდეს რაიმე ღირებულება (მის ლექსებთან ერთად ამ თავმდაბლობამაც გაუძლო საუკუნეებს და სამაგალითოდ იქცა დღემდე). თითქოს მას ჟამთასვლა მოუღებდნენ ბოლოს და ისე დაედება მტვერი, რომ ვერავინ წაიკითხავს. პოეტში იმედის ნაპერწკალს აღვივებს იმის შეგნება, რომ ლექსის გადარჩენისთვის თურმე ერთი მკითხველიც კი საკმარისია, რომელსაც ესმის პოეზიის ფასი და მტვერს გადააცლის ასე მივიწყებულს. ბო ძიუ-ი ამ ერთ კაცს ამავე ლექსში („ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემს მიერ დიდი ხნის წინათ მიწერილი ლექსები“) ასახელებს კიდევ – „იუანი – ხელმწიფის კაცი“. ეს იუანი უეჭველად ასევე დიდი ჩინელი პოეტი იუან ჩუენი უნდა იყოს. თუმცა სხვა ლექსში ავტორი იუან მერვეს („წვიმაში... მსაჯულს იუან მერვეს ვენვიე“) და იუან მეცხრესაც („ლანცაოში საფოსტო სადგურის კედელზე იუან მეცხრის ლექსები დავინახე“) ასახელებს. გავეცნოთ ჩვენთვის მნიშვნელოვან ლექსს ბო ძიუ-ისა:

„კედელზე მიწერილ ჩემს მდარე ლექსებს კაცთა მოდგმისათვის არა აქვს ფასი.  
ნიშანთა მწკრივი დაფარა მტვერმა და ჟამთასვლისაგან მოედო ხავსი.  
მხოლოდ იუანი – ხელმწიფის კაცი სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს, არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს, ამოიღებს მტვერს და კითხულობს ლექსებს“.

ასევე თვითონ ბო ძიუ-ი ლანცაოში საფოსტო სადგურის კედელზე მიწერილ იუან მეცხრის ლექსებს დაეძებს. შინდაბრუნებისას

„გზაზე სადგურების ზღუდე რომ შემხვდება, ჩამოვქვეითდები უმაღ.  
სვეტებს გარს ვუვლი და ვაკვირდები კედლებს – შენს ლექსებს დავეძებ ჩუმად“.

საუბარს დავასრულებთ ბო ძიუ-ის მიერ იუან ძუნ-ციანის თხზულებათა კრებულზე მიწერილი სიტყვამარცვლედთ: „ყვითელი წყარო... ვით აგიხსნათ რა არის ჩემს თავს. თეთრი ვარ თვითონ და ამაოდ თქვენ მოგიგონეთ. ესეღა დამრჩა – ბერიკაცულს ვაფრქვევდე ცრემლთა, რომ დავანვიმო ამხანაგის ძვირფას სტრიქონებს“. ჩვენც ისღა დავგვრჩენია, ბო ძიუ-ის მარგალიტ-ლექსებს აღტაცების ცრემლები დავანვიმთ.

ლუარა სორდია

**მკრთალნი რაინდნი მწუხარა სახის**

**(ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა)**



1921 წლის 25 თებერვალი რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაციის, ჩვენი დამოუკიდებლობის მუხანათური ხელყოფის თარიღია.

ს ა ტ ა ნ ი ს ტ უ რ - ათეისტური საუკუნე, "საუკუნე მეფისტო-

ფელის", ამავე დროს, იყო ხალხის გამოღვიძების, თავისუფლების იდეის აქარიშხლების პერიოდი.

ერს სიტყვით ნათლისმცემლებად ევლინებოდნენ, სულიერად დიადი მიზნებისთვის წვრთნიდნენ ჩვენი კლასიკოსები, რომლებიც მხატვრულ სიტყვას რელიგიის ფუნქციით მუხტავდნენ და მინავლებული ქრისტიანული რწმენის ხანძარს ანთებდნენ, ახლებურად გაიაზრებდნენ პიროვნების, ერის მისიას და მონობის უღლის გადაგდებისთვის ამზადებდნენ თვისტომთ, მსოფლიოში, საკაცობრიო არენაზე ჩვენი ქვეყნის ადგილს ეძებდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ კოლხურ კოშკში ახანძარდა ერის გენეტიკურ კოდებში შემონახული უმაღლესი იდეალების ნაპერწკლები, რადგან სწორედ დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია იყო აპოკალიფსურ ტირანებთან დაუცხრომელი მეზრძოლი, როგორც მხატვრული სიტყვით, ისე საქმით.

უპირველესად, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხვდათ წილად სამშობლოს უდიადესი იდეალების, რწმენის განუხრელი მსახურება, რაშიც განუზომელი იყო დიდი კონსტანტინეს პიროვნების და შემოქმედების როლი. სწორედ მისგან მოინათლნენ დამოუკიდებლობის ემბაზში, სწორედ დიდი მოგვისგან მიეცათ სიბრძნე და ძალა, რათა შერკინებოდნენ საბჭოთა ურჩხულს, რომელიც მთელ მსოფლიოს აფრთხოდა.

ზვიადისა და მერაბის არალეგალურმა წრემ, მათმა თვითგამოცემის ჟურნალებმა "საქართველოს მოამბე" და "ოქროს სანმისი" დამუხტა სხვა მოყმენიც გიგანტურ მონსტრთან საომრად.

მოყვრად მოსული მტრისადმი მოურევნელი პროტესტის გრძნობის მასაზრდოებელი იყო 1956 წლის 9 მარტის შემზარავი ტრაგედია, სისასტიკით შეუდარებელი 1989 წლის 9 აპრილი.

ამ ეროვნული მოძრაობის დაუცხრომელი ალამდარები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ამ რაინდებისა და მრავალ მათ თანამებრძოლთა მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია. საქართველომ მართლაც გადაიგდო რუსეთის იმპერიის მონობის უღელი, ზვიადის თაოსნობით დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

*უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული, სასუფეველში შეხვალ, იცოდე (ზვიად გამსახურდია)*

*გადაიჭრები გზებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითივით (მერაბ კოსტავა)*

საბოლოოდ, მაინც დაუგო უკეთურმა ძალამ ორივეს მახე, მერაბი საქვო ვითარებაში დაიღუპა 1989 წელს. მაღლიერმა ხალხმა მუხლზე დაუწოქა უშიშარ რაინდს, ერის სინდისსა და პატიოსნების სიმბოლოს და დამსახურებულად მიაკუთვნა მას სამუდამო განსასვენებელი უკვდავთა სავანეში – მთაწმინდის პანთეონში.

მრავალ კითხვას აღძრავს, ასევე, სამშობლოდან განდევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნასვლა ამ ქვეყნიდან, მისი საფლავების ცვლა, გროზნოში გადასვენება და საბოლოოდ ისევ მშობლიურ მინაზე დაბრუნება საქართველოს თანამდევრი, მარადიული სულის სახით და მთაწმინდის პანთეონში დავანება.

"ქრისტეს საფლავის" – "სიცოცხლის წყაროს" ნაფიცი რაინდები ალბათ წინასწარ ჭვრეტდნენ თავინთ ტრაგიკულ აღსასრულს და ამიტომ ახლობელი იყო მათთვის ჯვარცმის მისტერია, მარტვილობა და წმინდა მსხვერპლის სიდიადე, მაგრამ გაუცხოება ხომ რჩეულთა, თავგანწირულთა ხვედრია უკეთურთა მძლავრობის ჟამს.

ილია და აკაკი, გალაკტიონი და გრანელი, ზვიადი და მერაბი – ეს სახელები უერთმანეთოდ ვერ წარმოიდგინება.

ავციათ ბევრჯერ უცდიათ მათი გათიშვა ჭორის, ცილისწამების საშუალებით, მაგრამ საბოლოოდ ყოველთვის ჭეშმარიტი აზრი ზეიმობს ხოლმე და უკეთურთა მცდელობას მხოლოდ გაცუდება უწერია.

ზვიადი და მერაბი კ. გამსახურდიას სულიერი შვილები იყვნენ, მათ ერთნაირად სრულად ჰქონდათ ნაწოვი ქართული კლასიკური კულტურის მარადიული სიბრძნე, იყვნენ "პიროვნული ეგოს შემცნობი", ერის სამერმისო მისიაში გათვითცნობიერებული და უყოყმანოდ შეეძლოთ თვითგალება უმაღლესი ეროვნულ-საკაცობრიო იდეალებისთვის.

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს მათი ერთმანეთისადმი მიძღვნილი ლექსები, ის დიდი სათქმელი და საქმეები, რასაც შესწირეს სიცოცხლე და რაც ჩვენთვის საინტერესო ნაწერებში გამოვლინდა.

ზვიადი იგონებდა: "ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ I ვაჟთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდგომ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული სპეციალისტი იყო. მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა, ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა, ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი. თუმც მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლა-

ვრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში (1,3).

ამასთან, ერის წყლული წყლულად გვარნდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს, გვათვითცნობიერებდა, თვალს გვიხეღდა სინამდვილეზე, დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა, რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესსეში კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ” (გამოსათხოვარი) (2).

იმჟამინდელი განწყობილებების ამრეკლავად მიაჩნია ზვიად გამსახურდიას 15 წლის ასაკში დაწერილი ლექსი, რომელშიც საუბარია სამშობლოს აღდგომაზე, თავისუფლებისა და აღმადგენის სილამაზეზე, “დიადი დღის” მოლოდინზე, გამოფხიზლებაზე, ერისთვის “ჩრდილოეთის ნითელ ჯალათთა კრებულის” მიერ დადებული ბოროტების შესხნაზე...

ლექსის ლირიკული გმირი მორწმუნეა, ხახულის ღვთისმშობლის წყალობისა და თეთრი გიორგის მფარველობის მოიმედე.

ზვიად გამსახურდია საუბრობს მერაბ კოსტავასთან ერთად არჩეულ რელიგიური და თეოლოგიური შემეცნების გზაზე, 60-იან წლებში საიდუმლო ღვთისმეტყველებითა და მისტიკით გატაცებაზე, მერაბის ლექსების მისტიურ სიღრმეზე და რელიგიურ აღმადგენაზე, რომლის ნიმუშად მიაჩნია ლექსი “მეგობარ ზვიადს” (1,5).

ლექსში ვლინდება ქრისტიანული მრწამსი, მიწიერ სრა-სასახლესთან დაპირისპირებულია სულეთის სამშობლო, ისეთი ღვანლი, რომელიც არა ბრბოსთან, არამედ ჩვენს ზეციურ მამასთან წარმოაჩენს ღირსეულად: “შენი სამშობლო არის სულეთი, სხვა სრა-სასახლე, ძმაო ნუ გინდა, დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი, მამის წინაშე იყავი წმინდა”.

მამა – იგივე მამალმერთია, “მარადი მამა”, “დიდების მამა” (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 1,16), “მონყალების მამა” || კორინთელთა, 1,3), “მარადისობის მამა” (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5), “ნათელთა მამა” (იაკობ მოციქული, 1,17), “მოხუცი მამა” (დანტეს ღვთაებრივ კომედიაში), გოეთეს “უკანასკნელ საზღვარში”, გალაკტიონის “მამულში”).

მერაბ კოსტავა ვარსკვლავს (ღმერთის სიმბოლოა), იოანეს გამოცხადების ვეშაპის მმუსერელ მიქაელს ავედრებს მეგობარს და უწინასწარმეტყველებს რა “წმინდა ზვარაკად” ქცევას, ეს მსხვერპლი ბედნიერებად მიაჩნია: “დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული და მიქაელის ცეცხლის მახვილი, დაე, “ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით”.

უსურვებს რა მარადიულ სინმინდეს, სულიწმიდის სადგურად ყოფნას, ურჩევს მესიისკენ სავალი გზა განიმზადოს, ანუ ჯვარცმით ენიოს უკვდავებას: “არ მიიკარო მნიკული ზადის, შენი ტანია თვით ეკლესია. სცან ღალადისი, გზა განიმზადე, დედამინაზე დადის მესია”.

ახალი აღთქმა გვასწავლის: “ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3,16) (3,360).

მერაბ კოსტავას ლექსი “პაემანი” მიძღვნილია ზვიად გამსახურდიასადმი. ნაწარმოების ადრესატი წერს, რომ ავტორმა “საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ ნუთისოფელს

და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდე მგობრის აჩრდილს! აკი ამიხდა კიდეც!” (1,5).

“პაემანი” მრავალმხრივ საყურადღებო ლექსია.

ცნობილია, ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ადამიანის სულს ადარებენ ზღვას, ოკეანეს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური აზრით.

“ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ტალახსა და ლაფს (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (4,216).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ზღვა ცხოვრების სიმბოლოა და ამ ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ანუ რწმენა (აღსარება) (5,453).

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ გადალახა მენამული ზღვა ღმერთის შემწეობით, რადგან იგი დიდი მისიისთვის იყო მოვლენილი.

ქრისტე აწყნარებდა ქარს და ზღვას, თავისუფლად დადიოდა წყალზე (მარკოზი, 4,39) (3,70), ხოლო მცირედმორწმუნე პეტრემ ვერ შესძლო იგივე (მათე, 15,28,29,30,31) (3,32).

გალაკტიონ ტაბიძეს ზღვის ბობოქარ ტალღებთან შერკინების ძალას აძლევდა “დამხსნელი ჯვარი”, “რალაც სპეტაკი, უცხო შევენება” (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (6,385).

პოეტების მეფე თავის არსებაში გენიის ყოვლისშემძლეობას ზღვას ადარებდა: “ჩემში ზღვა ახმაურდა” (ზღვა ახმაურდა).

ზღვის, ოკეანის სახის გააზრებაში მერაბ კოსტავა ძალზე ორიგინალურია: “იდეების ოკეანე უკიდევანოა და თავად ინდივიდუალობა უნდა გახდეს მესაჭე მის ტალღებზე მოცურავე ხომალდისა” (მერაბ კოსტავა) (7,130).

ლექსში “პაემანი” (1,121) მერაბ კოსტავამ აბობოქრებული ოკეანის სახე გამოიყენა მეგობრის სულის უსაზღვროების მახასიათებლად: “შენ ხარ ოკეანე აბობოქრებული, ამასთანავე, შენ ხარ ჯებირი შლევგი ტალღების შემკეტველი რვალის კლიტულში”.

ამ სტრიქონებში მართლაც ჩანს ლექსის პერსონაჟის ოკეანესავით ვრცელი იდეები და მისი დაურევების უნარიც.

ზვიადის უღრმესი და ურთულესი სული, ლექსის ავტორის აზრით, დიონისური და აპოლონური საწყისების საუფლოა: “შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს”.

დიონისო არის თრობისა და შვების ღმერთი, მსოფლიო გონება, მსოფლიო სული, ქვეცნობიერის, დისჰარმონიის სიმბოლო.

განსხავებულია აპოლონი, მუზის ღმერთი, კოსმიური ჰარმონიის, სინათლის, მუსიკის პრიმატიტ გამორჩეული.

ამ ორი საპირისპირო საწყისის მორიგების მაგალითია მერაბ კოსტავასთვის ზვიად გამსახურდიას აზროვნება.

ლექსის ლირიკული პერსონაჟი შემდეგ ჩამოღამებულ საფლავებთან ჩნდება, ობლის სამარხზე საროს კენესა ამგლოვიარებს და, თალხით მოსილი, მეგობრის აჩრდილს ელის, როგორც ლაერტის ძის მომლოდინე აქილევსი.

უდროოდ დაღუპული შვილის აჩრდილის გამოძახება, გილგამეშის მიერ ენქიდუს სულის გამოხმობა გვხვდება აგრეთვე მერაბ კოსტავას ლექსში “ირაკლის” (1,126-131).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, “პაემანს” წინასწარ-მეტყველური სამართლიანად უწოდა ზვიად გამ-სახურდიამ.

ისევ თავის მეგობარს უძღვნა მერაბ კოსტავამ “ძმას ქრისტესმიერს” (1,11-16), რომელშიაც დიდი მოაზროვნის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაუფინყარი სულიერი პორტრეტი შექმნა, ერთობლიობაში გაიზიარა მისი ღვანლი ერის წინაშე და უკვდავება უწინასწარმეტყველა (ცნობილია, ამ ეროვნულ მოძრაობას და იდეალებს “პროვინციულ ფაშიზმად” ნათლავდნენ ზვიადის და მერაბის დაუძინებელი მტრები, იანიჩრები, ურჩხულის აგენტები).

ლექსის სათაურიც მრავლისმეტყველია.

მერაბ კოსტავას მოღვაწეობას, პოეზიას, აზროვნებას წარმართავდა უფლის სული, სულიწმინდა. სულიერი ძვრების, სულიერი წრთობის დიდი ოსტატი მუდმივად საუბრობდა სულიერ ძმობაზე. შვილს დაუწერა: “მამაშვილობა გვიჩანს ავბედითად, თუ სულიერი არ გავხდით ძმები” და სულიერი ნათესაობა სისხლით ნათესაობაზე მაღლა დააყენა.

მერაბისთვის ზვიადი მართლაც ქრისტესმიერი ძმა იყო, ზეცით დანიშნული ძმა. ქრისტე ნამდვილ ძმად, დად და დედად ჩვენი ზეციური მამის ნება-სურვილის შემცნობს აღიარებდა: “ვინც ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს შეასრულებს, ის არ არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც” (მათე, 13,50) (2,127).

ლექსში იმთავითვე იქმნება წმინდა ალაგეში, ტაძრებში მოარული, წარსულის სუნთქვის შემგრძნობი გმირი, რომელიც პარსიფალის (გრაალის მცველი იყო) ნახევარძმას (ფაირეფიცს), დიდგორს მოსულ ტაძრელს (ტაძრელი რაინდები გრაალის იდეალის მსახურები იყვნენ), გრაალის მცველს, ათონის მთიდან საიდუმლოდ მობრუნებულ თორნიკეს მოგვაცხადებს. იგი ფერს უცვლის ირგვლივ ყველაფერს...

უპირველესად, ვაჭრული სულის აღზევების, ჩვენში შემოხიზნული დუშმანის მეუფების ჟამს დაშრეტილი რწმენის ჭირისუფლის მისიას იტვირთებს, რადგან ქვეყნის ყოველგვარი უბედურება საწმუნოების უგულვებლყოფიდან იწყება: “...ვინც განგვიახლებ ნათლობის მადლი, კურთხევის ძალა შორს გამიზნული, როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით დუშმანი ჩვენში შემოხიზნული, ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი და მიეფარა ღრუბლებს უფალი, შენ აღემართე, ვითა პირველი, დაშრეტილი რწმენის ჭირისუფალი”.

ის იყო ზეცის რჩეული, დუშმანის წინააღმდეგ მახვილშემართული, კლდის სიმტკიცის, ჭეშმარიტების მაძიებელი: “გჩვეოდა მტერთან არდარიდება, შეწყვილებული სიმტკიცით კლდესთან და ეძიებდი ჭეშმარიტებას, ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს”.

ჭეშმარიტება ღმერთის სახელია: “სულიწმინდა ეთქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა” (8,341).

კლდე არის საღვთო სახელი: “უფალო, კლდეც და სიმაგრეც ჩემო, ...ჩემი კლდე ხარ, თავშესაფარი” (ფს. 17,3) (3,536).

ქრისტე არის სულიერი კლდე: “და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10,4) (3,370).

სამშობლოს სატრფოს სახეში წარმოდგენა არახა-

ლია, აკაკის “ჭალარაში” ტყვე ნესტან-დარეჯანი საქართველოს სახეა, ტარიელი – ქვეყნისთვის თავგანწირული მიჯნური.

მშობელი ხალხის რწმენის გზაზე დაყენებას, მისი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მისთვის სწორი გეზის ჩვენებას, მაღალი იდეალებისკენ წარმართვას დიდი “ოსტატის სიბრძნე” სჭირდებოდა: “დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულმან, ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა, როს განაახლებ მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა. ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე, აზრთა განწყობას უცვალებ ფერი, ხელწერა შენი გულს დაამჩნიე, ახალ ხარისხზე ასწიე ერი”.

მეხვიით ცათა მკვეთელი სიტყვით შემოიკრიბა ზვიადმა ვეფხვთან საბრძოლველად განწყობილი ძმები: “შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა, ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი..., შემოიმტკიცე ფიც-ვერცხლით ძმანი... შლეგებს მოგვავდით მოყმენი ცხრანი, ვეფხვთან სარკენად ველად გასულებს”.

ჭაბუკები გაერთიანდნენ დიდი ილია ჭავჭავაძის იდეით: “ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს”. ქაჯთაგან გამომწყვდეული გულისწორის – ნესტანის ციხიდან განთავისუფლება გახდა მათი ცხოვრების უპირველესი მიზანი.

“ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს”, ჰგოდებდა აკაკი წერეთელი.

ქაჯი და ვეფხვი ჰქვია ჩვენი მონობის ხუნდების გამომჭედელს გალაკტიონ ტაბიძის პოემაში “მშვიდობის წიგნი”.

საქვეყნოდ ელავდა ზვიად გამსახურდიას “სიმართლის ფარი”, “რწმენის აბჯარი”.

პავლე მოციქული შეგვაგონებდა: “იდექით ჭეშმარიტებით ნელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები” (ეფესელთა, 6,14) (3,422).

“...აიღეთ რწმენის ფარი...”

აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა” (ეფესელთა, 6,17) (3,422).

“ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით” (I თესალონიკელთა, 5,8) (3,442).

იმ დროს, როცა შინაურთაგან ძალიან ცოტას ესმოდა ამ დიდი ქართველის ეროვნული და საწმუნოებრივი იდეალების სიდიადე და “პროვინციული ფაშიზმის” სუნი სცემდათ შადიმან ბართაშვილის შთამომავლებს, მერაბ კოსტავა მომავლის სამშობლოში ხედავდა თავისი ქრისტესმიერი ძმის გამითებას და მიქელანჯელოს დავითის სიდიადით ზეაღმართულ ძეგლს, რაც უტყუარი წინასწარმეტყველების მაგალითია: “გადაიჭრები გზებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითივით, ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში მიქელანჯელოს კუმტ დავითივით...”

მართლაც, ლეგენდების, მითების საბურველი ჰბურავს დიდ ქართველს.

რწმენის ძალით, დემონთა ხროვასთან დაუცხრომელი მებრძოლის სახე იქმნება ლექსში: “დაუცხრომელო სულიერ ცდაში, დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდევანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელო”.

სიტყვა, დაუსაბამო სიტყვა ღმერთის სახელია: “თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი” (იოანეს სახარება, 1,1) (3,176).

ტარიელის მარადში თანამდგომი მეგობარი ავთადილობის ერთობ ძნელ საქმეს არასოდეს ღალატობდა...

“სვებედის სანყისთა” (ღმერთის) მძებნელ პოეტს უკვირს “ედემის ხმის” მსმენელი, სხვებზე მეტად დამაშვრალი “უკვდავთა დიადემის ღირსი” რაინდი მოყვასისგან რომ გაიწიროს, მაგრამ ამას უფლის გამოცდად მიიჩნევს: “ალბათ გამოცდა ენება უფალს, როს გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს, რადგან განგებას რომელი უყვარს, მასვე მოუფლენს სასტიკ განსაცდელს”.

ღვთისმეტყველი გვასწავლის: “ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნეობაში დაფარული სათნოება” (9,91).

“ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი” (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6) (3,485).

“ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ” (იაკობ მოციქული, 1,12) (3,295).

ლექსში ზვიად გამსახურდია წარმოჩნდება, როგორც ქრისტეს ბედის გამზიარებელი, ჭორის ღვართქაფით, ცილისწამებით განანებული, რომელსაც ქრისტესავით ძმრით აუფსეს ფიალა, მაგრამ არ აიცდინა, რადგან მაცდურის მავნებლობა აქ ბუნებრივი იყო, იმ სოფელში კი მის ამქვეყნიურ სიამაყეს მათხოვრობა შეენაცვლებოდა: “ჭორის ღვართქაფმა გადავიარა და როს აღვივსეს ძმარით ფიალა, არ აიცდინე

სასმელი ესე, რადგან იცოდი, როგორ მავნებლობს, როცა მაცდური გიდგას საქესთან, რომ სიამაყე აქ რომ მბრძანებლობს, მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან”.

ჭეშმარიტებას განშორებული, ძმის აღსარების გამთქმელი, ზიარებამდე სინანულისგან შორს მყოფი ზეცაში ვერ იპოვის თავშესაფარს...

“ძმას ქრისტესმიერს” დაიწერა 1978 წ. 12 აგვისტოს.

ათ წელზე მეტი ხნით ადრე განჭვრიტა მერაბ კოსტავამ ზვიად გამსახურდიას მომავალი სულიერი გმირობა, ტრაგიკული, ჯვარცმის ტოლფასი აღსასრული და იწინასწარმეტყველა მისი უკვდავებაც.

**ლიტერატურა**

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. “ოქროს სანმისი”, 1977, №4
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, თ. I, თბ. 1991
7. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
8. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2002
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991

**ჯიბო ჯიშერი**

**ჰვალასგან გამორჩეული**



ჩვენში უეცრად შემოჭრილმა კომერციულმა ტალღამ, მართალია გამოაცოცხლა ცხოვრების დონე მსვლელობა, მაგრამ ცუდი სამსახური გაუწია ადამიანთა ცხოვრების სულიერ შემცენებას. ფული გახდა გამოუვალი მდგომარეობი-

დან უტყუარ გამომყვანი საბუთი, დაბოქლომებული ციხეთა კარიბჭის ყოვლის მძლე ჯადოსნური გასაღები, ამიტომ აღარავინ არავის და არაფერს ერიდება ფულის ხელში ჩასაგდებად. ყოველივე ამას ეწირება ადამიანის როგორც პირადი ღირსება, ისე ეროვნულ სახელმწიფოებრივი ღირებულებები.

ყოველივე ეს არ არის მართო უეცრად შემოჭრილი კომერციული ტალღის ბრალი. ჩვენ ამ მოვლენას გონივრულ-ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შევხვდით ორას წელზე მეტია წელ-წელა ვკარგავთ იმას, რითაც ორასი წლის იქით, დასაბამიდან გამოვიჩიო-

დეთ სხვებისაგან. მივეჩვიეთ და შევეგუეთ სხვათა ზეგავლენას. ჩაგვიქრა ელვარება და სითბო, დავიწყეთ იოლი გზების ძებნა, ურთიერთშორის მამებლობა და ფარისევლობა: „არ ვიცი“, „არ დამინახავს“ და „არ გამიგონია“-ს მომარჯვებული ხმარება თავის დასაცავად. ყოველივე ამან ჩვენი ხალხის შემოქმედებით უნარზე სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა ძალით დააჩნია თავისი საჩოთირო კვალი.

წურავის მოეჩვენება ასეთი ექსკურსი უადგილო ან ზედმეტი იყოს. სწორედ ასეთმა ვითარებამ, როგორც თავს გადაგვხვდა წარსულში ისტორიული კატაკლიზმების სხვადასხვა ფორმით, გამოიწვია ჩვენი სულიერი გაღარიბება, ამ მხრივ დამყარდა განუკითხაობა. იყო თუ არ იყო საქები – აქებდა, იყო თუ არ იყო დასაგმობი – გმობდა და კიცხავდა სხვისი კარნახით, ფიქრობდა და სწამდა ასე, ლაპარაკობდა და წერდა ისე, სხვის საამებლად, თანაც თუ თანამდებობის პირი იყო სიტყვასაც ვერ შეებდავდი.

ჩვენი ხალხის კულტურისა და ხელოვნების ვერც ერთი დარგი ვერ უძლებს ობიექტურ კრიტიკას მაღალი ხელოვნების გადმოსახედიდან. შედარებით უფრო გამძლე და ამტანი აღმოჩნდა ხალხური სიმღერისა და ცეკვის მიმდინარე შტო თუმცა იქაც შეინიშნება უგე-

მოვნო გადაკეთება – გადმოკეთების ცდები, ვიდრე მაღალი ნიმუშების შექმნა და წინსვლა განვითარების გზით.

ეს ზოგადი განცხადებაა. აქ საუბარი არ გვექნება ამ მიმართულებით, რადგან ამ წერილში მხოლოდ პოეზიაზე გვექნება მსჯელობა და ისიც ერთი პოეტის შემოქმედებაში ერთი თვალსაზრისის გამჟღავნებისათვის.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა გაჯერებულია უადგილო, უმართებულო შეფასებებით, ძმაბიჭური მიაბეზობით. მკითხველთა უმრავლესობა დაბნეულია და ვერ გაურკვევია, (საბოლოოდ ხალხს არაფერი გამოეპარება) რა არის ნამდვილი და რა ფსევდო ნამოღვაწარი.

პოეზია რთული და ფაქიზი ფენომენია, სადაც უმაღლეს რეგისტრშია გაცხადებული ყველაფერი, რისი წარმოდგენა-წარმოსახვა-ათვისებაც შეუძლია ადამიანს.

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. ამისმა მთქმელმა პოეზიაში „მეორე“ და „მესამე“ ლექსის ფორმაც კარგად იცოდა და ფასიც, მაგრამ სიტყვა „პირველადვე“ განსაკუთრებულ მეტ რალაცას მიგვანიშნებს.

ასეთი ფაქიზი და იდუმალი ძალის განცდებით მეტყველ „დარგს“, რომ შეეხები, არ შეიძლება ერთის შეხედულებას ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდეს. ამის შესახებ ააქვს მუხრანს ნათქვამი:

„არამც თუ ლექსი  
სიტყვაც კი ერთი  
ერთნაირად არ ესმის ორ კაცს.“

ვის არ გამოუთქვამს თავისი აზრი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე, ვის არ დაუნერია მასზე გულწრფელი მოწონების წერილი თუ გამოკვლევა: – რომ ის საკუთარი ხმის პოეტია, რომ „მისი ლექსი დღესავით ნათელია და შორს დგას უსაგნო ლირიკისაგან“. რომ იგი თავისი ნოვატორული „უჩვეულო ქართული ლექსით მოგვევლინა“, რომ იგი „თავისი ლექსით დიდი ქართველი კლასიკოსების ეროვნულ-მოქალაქეობრივ ტრადიციებს აგრძელებს“.

ეს ყველაფერი ზოგადია და არავის ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში არ უთქვამს, არ განუმარტავს რაში გამოიხატება მისი „საკუთარი ხმა“, ან რით არის მისი ლექსი „დღესავით ნათელი“, ან რით არის მისი ლექსი „უჩვეულო ქართული ლექსი“, რომ იგი თავისი ნოვატორობით აგრძელებს „კლასიკოსების ეროვნულ მოქალაქეობრივ ტრადიციებს“.

„მუხრან მაჭავარიანი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, ახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს“, – ვკითხულობთ მუხრანის წიგნზე დართულ მურმან ლებანიძის წინასიტყვაობაში, მაგრამ არც მურმან ლებანიძეს და არც სხვა ვინმეს არ აღუნიშნავს, რომელი ძველი რიტმული კონსტრუქციები დაანგრია და რომელი ახალი რიტმული კონსტრუქციები შემოიღო? ამ ზოგადად თქმულისათვის არავის გაუღია სარკმელი, რათა შუქი მოჰფენოდა ნათქვამში ნაგულისხმებ შეხედულებას, რათა თვალნათლივ დაგვენახა ავტორის დედააზრი.

ერთ ლექსში მუხრანი თვითონ მიგვანიშნებს:

„მეც ვამჩნევ ჩემსას  
დედა ენას რამ თუ ორნატს,

ჩემი ქართველთათვის უცნობი სუნთქვით.“

რა არის ეს „ორნატი“, რომელიც თავის დედა ენას დააჩნია, ან რაში გამოიხატება მის ლექსში მუხრანამდე „ქართველთათვის უცნობი სუნთქვა“? არადა მართალია პოეტი, დიდა მუხრანი თავისი „ორნატი“ და თავისი მანამდე, ჩვენთვის – „ქართველთათვის უცნობი სუნთქვით“, მაგრამ ყოველივე ეს რაში გამოიხატება, არავის არ უთქვამს.

მუხრანი დიდი პოეტია, ქართულ პოეზიაში განუმეორებელი სიახლე, მკვეთრად გამორჩეული ხმა. თუ ეცდები და მიბაძავ შენს სახესაც დაკარგავ, იქამდე კი ვერ ამაღლდები. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა: – ტალანტებს ბაძვენ და იმეორებენ კიდევ, გენიოსებს ვერც ბაძვენ, ვერც იმეორებენ, მოუსმინოთ მუხრანს:

„სიახლე სჭეკო, თავი რომ შერგო  
არის იგივე ლომის ხახაში,  
კაცი, სიახლეს რომელიც ბედავს  
ვეებერთელა არის ვაჟკაცი.  
სიახლე (თუნდაც ერცახე) შექმნა  
ხორცი უარყო არის იგივე,  
კაცი, სიახლეს რომელიც ბედავ  
უსუსურია მასთან სიკვდილიც.“

მაგრამ მუხრანმა ისიც იცის: – სიახლეს და ნოვატორობა ყოველთვის მალე, ვერ აღიქმება ხოლმე საზოგადოებაში.

„ისკუპოს უნდა დრომ საკმარისმა,  
ნადაგი შენი, რომ იგრძნოს, ვით ხამს  
კაცმა რიგითმა.“

მაშ, რა არის ის სიახლე, რის გამოც ქართულ პოეზიაში, ასე გამოკვეთილ, ყველასაგან განსხვავებულ პოეტურ ფიგურად დარჩა მუხრანი?

ეს არის მისი „უჩვეულო, ახალი პოეტური სინტაქსი“. მუხრანის არცერთი ახალი სალექსო მეტრული საზომი, არც მკაცრად ჩამოყალიბებული რიტმული სტრუქტურა შეუქმნია, მაგრამ პოეტური სინტაქსი ისე თავისებურად მომართა, რომ მალევე აიყოლია, მიაჩვია მკითხველის თვალს და ყურს. დღეს უკვე მკითხველს ვერ წარმოუდგენია მუხრანის ლექსი, მისი პოეტური სინტაქსის გარეშე.

მუხრანის პოეზიიდან ზემოთ მოტანილი სტრიქონებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, – როგორ განასხვავებს მისი პოეტური სინტაქსი, მის ავტორს სხვებისაგან, მაგრამ ჩვენ შევეცდებით უფრო დამაჯერებლად ვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი, იმის შესახებ, თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, ვინც მუხრანის ინდივიდუალობის შესწავლას, მისი პოეზიის მრავალმხრივ და უფრო ღრმად შესწავლას მოინდომებს.

ამონერეთ მისი წიგნიდან ორი პატარა ლექსი:

1. „ვარ წოდგელის მოლოდინში, ??????????“

ნამგლისაში ჯეჯილია!..

მეშინია მხოლოდ მისი

ვისაც ჩემი ეშინია“.

2. „თეზვივით უხმოდ ამომდის სული,

ამხოვს ცრუთანი ქვეყანას ფიცი,

შური მშურს, შური!

შური მშურს, შური!

შური მშურს

ვისაც ჩემი შურს

მისი“.

პირველ ნიმუშად მოტანილი ლექსი რუსთველური ერთსტროფიანი ლექსია, მაღალ შაირად წოდებული, რომელიც სქემატურად ასე გამოისახება:

4•4=8  
4•4=8  
4•4=8  
4•4=8

როგორადაც უნდა დატეხოთ ამ ლექსის სტრიქონები, – ოთხ მარცვლიან მუხლს (სეგმენტს) ვერ გადაასხვავებთ, რაც შეეხება სინტაქსს „ნამგლისაში ჯეჯილია“–ო, ამას ჰქვია მუხრანის პოეტური სინტაქსი.

უნდა ითქვას ისიც, რომ სინტაქსთან ასეთი დამოკიდებულება შემოქმედების პირველივე წლებიდან გზადაგზა, თანდათან ძლიერდება და იხვეწება.

მეორე ნიმუშად მოტანილი ლექსი საყოველთაოდ ცნობილი, 10–მარცვლიანი საზომით დაწერილია, რომლის სქემატური სახე ასეთია:

3•2+3•2=10  
3•2+3•2=10  
3•2+3•2=10  
3•2+3•2=10

ეს არის ჩაბრუნებული ათ–მარცვლიანი, სილაბური ლექსი და როგორადაც უნდა დატეხო იგი, მისი რიტმი არ შეიძლება დაირღვეს, არც დაირღვევა რადგან რიტმს ჰქმნის მარცვალთა რაოდენობით შექმნილი მუხლების კანონზომიერი მონაცვლეობა. რაც შეეხება ამ ლექსის თავისთავადობას ქმნის არა სტრიქონების დატეხვით დალაგება, არამედ პოეტური სინტაქსი.

„ამბობს ცრუთანი ქვეყანას ფიცი.“  
და „შური მშურს, ვისაც ჩემი შურს მისი“.

ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე შეუძლია დატეხოს სტრიქონები, მაგრამ მუხლებით შექმნილ რიტმს ვერ გადაასხვავებთ.

1986 წელს ჟურნალ „კრიტიკაში“ (№1) დაიბეჭდა მწერლებისადმი დასმულ კითხვებზე პასუხები. მუხრანმა ერთ-ერთ პასუხში ასეთი რამ თქვა: – ჩემთვის მთავარია არა რითმა, არამედ რიტმი“–ო. აქ მხოლოდ შეიძლება გაურკვევლობას ჰქონდეს ადგილი. შეიძლება მუხრანს ლექსის თავისებურად დეკლამირებული წაკითხვა მიაჩნდა რიტმად, ან საკუთარ ინდივიდუალობის გაცნობიერებას არ ახდენს, რაც შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას გაგებული.

მოვიტანოთ ერთი სამაგალითო ნიმუშიც:  
„ორი რამე  
მე გულს მიჭამს  
ახლა  
ერთი:  
ცეტებრ  
გამინზილდა  
„ჰოპლა“.

და  
მეორე: პირველს ჩემმა ხალხმა  
რუსის მონად  
ამჯობინა  
ყოფნა“.

ერთი შეხედვით მოგჩვენებათ თითქოს ის დატეხვით განწყობა ლექსს სიახლეს მატებს. სინამდვილეში ამ ლექსის რიტმი გურამიშვილიდან შემდეგ გალაკტიონიდან მოდის, მისი სქემატური გამოსახულება ასეთია:

4 : 4 : 2 = 10  
4 : 4 : 2 = 10

4 : 4 : 2 = 10  
4 : 4 : 2 = 10

თუ ამ ლექსს ჩვეულებრივი ფორმით გადმოვწერთ იგი ასეთ სახეს მიიღებს:

„ორი რამე მე გულს მიჭამს ახლა  
ერთი: ცეტებრ გამინზილდა „ჰოპლა“.  
და მეორე: პირველს ჩემმა ხალხმა  
რუსის მონად ამჯობინა ყოფნა.

როგორადაც უნდა დატეხოთ სტრიქონები, ვერ გადაასხვავებთ მის რიტმს რომელსაც ქმნის მუხლების კანონზომიერი განმეორებითი თანმიმდევრობა, მარცვლების უცვლელი სიდიდებით. დეკლამირებული წაკითხვით, ვისაც როგორ უნდა ისე წაკითხავს, იმის მიხედვით როგორი არტისტული უნარიც აქვს. მაგ. მუხრანი თავისებურად წაკითხავდა, გურამ სალარაძე სხვანაირად, გოგი ხარაბაძე სხვანაირად, და ა.შ. დეკლამირებული წაკითხვით ლექსის რიტმულობა არ შეიძლება გაირკვეს. ნიმუშად მოტანილ ასეთ ლექსში არ შეიძლება ხუთმარცვლიანი სიტყვა მოხვდეს. თუ კანონი დაირღვა და მოხვდა, დაირღვა მოცემული რიტმი ამას დიდი პოეტური სმენადობა არ სჭირდება, პოეზიის მოყვარული მაშინვე მიხვდება, რომ სადღაც რაღაც დაირღვა. შეიძლება ყველამ ვერ გააცნობიეროს სად რა დაირღვა, მაგრამ უხერხულობას კი იგრძნობს.

უპრიანი იქნება გავისხენოთ ცნობილი თვალსაჩინო პოეტი ალ. აბაშელი, რომელიც თავის დროზე საყვედურობდა პოეტებს:

„...მაგამ სტრიქონებს ნუ აკუნავთ ჰონორარისთვის,  
ყოველი სიტყვა ცალკე გარბის დამფრთხალ ჯოგით.“

„რად გინდათ მკითხველს აუბნიოთ განგებ გზაკვალვი

და ყასაბივით კეპოთ ლექსი გულსასარევად.“

ალ. აბაშელს იმიტომ არ ვისხენებ, და იმიტომ არ მომაქვს სტრიქონები მაგალითისათვის, რომ მუხრანის პოეზია – მისი ლექსები ჩვენ ჩვენებურად დავალაგოთ, არა და არა. მაგრამ ვინც მისი პოეზიის ღრმა საფუძვლიან, ყოველმხრივ გამოკვლევას და შეფასებას განიზრახავს – მივანიშნებთ, რომ მუხრანის საკუთარი ხმა და ინდივიდუალობა არის მისი ახალი უჩვეულო პოეტური სინტაქსი.

რამდენიმე პოეტის შემოქმედებაში გაისმა მუხრანული დიალოგისა და სინტაქსის ექო, მაგრამ ამაოდ, იქ ყველგან მუხრანი აგონდება მკითხელს.

„არა გიორგი,  
ჯერ კიდევ არი  
ისეთი კაცი, ჯერ კიდევ არი,  
რასაც ის დაწერს, –  
ვერ დაწერს, –  
თუ გინდ მოიკლას თავი.

ეს 7-სტრიქონიანი ლექსი სინამდვილეში ოთხ სტრიქონიანია ასეთი – სქემით:

2•3+3•2=10  
2•3+3•2=10  
2•3+3•2=10  
2•3+3•2=10

ჩვეულებრივად დაინერება ასე:  
„არა გიორგი, ჯერ კიდევ არი,

ისეთი კაცი ჯერ კიდევ არი,  
რასაც ის დაწერს, ვერ დაწერს სხვაი,  
ვერ დაწერს, – თუგინდ მოიკლას თავი.“

რა ფორმითაც უნდა დატეხოთ, დაანანევროთ ეს ტექსტი, გინდა 7, – გინდა 9 – სტრიქონიანად, ვერაფრით ვერ გადაასხვავებოთ მისი რიტმის ხმიანობას. იგი სილაბური ათ-მარცვლიანი ლექსია, მკაცრად მოწესრიგებული მუხლების კანონზომიერი მონაცვლეობით.

არ იქნება ზედმეტი, თუ ჩემს დაკვირვებას გაგიმყლავნებთ მაიაკოვსკისთან მიმართებაში. გავიხსენოთ მისი ლექსების დატეხილი სტრიქონების წყობა და ამ ფორმით მისი განმარტება ლიტერატურულ საზოგადოებაში. ამჟამად, რუსულ კრიტიკულ ლიტერატურაში გარკვევით აღინიშნა, რომ მაიაკოვსკი ვერ გასცდა პუშკინის ვერც მეტრულ საზომებს და ვერც მისი რიტმული წყობის ვარიაციებს. მაიაკოვსკის პოეზია ძლიერია და რუსული პოეზიის კლასიკურ ნორმებს ემორჩილება.

განსხვავებით მუხრანმა ქართულ პოეზიაში შექმნა მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელი პოეტური სინტაქსი. აქედან გამომდინარე, იქნებ მიზანშეწონილი და აუტლებელიც კი იყოს მუხრანული ლექსის სტრიქონების მისეული დალაგება. ეს უფრო ღრმა მეცნიერული კვლევის საგანია, რომელიც ამ წერილში მიზნად არც დაგვისახავს. ჩვენ კიდევ და მერამდენედ ვიმეორებთ რომ მუხრანის პოეზიის მფეთქავი ძარღვი არის მისი „ახალი უჩვეულო პოეტური სინტაქსი“, რაც ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში არ განმარტებულა. მუხრანს აქვს მრავალნაირი, თავისუფალი, თავისუფალი ლექსის კანონზომიერად ჩამოყალიბებული სტროფული არქიტექტონიკა, სადაც, ხან ზედმეტი მარცვალია, ხანაც ნაკლები, რაც არღვევს ლექსის ჩვეულ სილაბურობას. გასათვალისწინებელია მისი დიალოგები. აქვს სამ სტრიქონიანი და ორ სტრიქონიანი ლექსებიც, რაც უმნიშვნელოა და მხედველობაში არაა მისაღები პოეტის ამა თუ იმ მახასიათებელი ნიშნის დასადასტურებლად.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ნიმუშად მოვიტანო ერთი საყურადღებო ლექსი – „მაგონდება“.

ეს ლექსი განეკუთვნება ქართული კლასიკური ლექსის – ეგრეთ წოდებული მაღალი შაირის კატეგორიას, მასში ვერც ნახავთ და არც შეიძლება მოხვედრილიყო ხუთმარცვლიანი სიტყვა, რადგან იგი დაარღვევდა მუხლებს შორის გამიჯვნის კანონს. ეს ლექსი სხვანაირადაც შეიძლება დააღაგოთ, ვისაც როგორ მოესურვება, მაგრამ რიტმული მოქმედების მუსიკას ვერ შეუცვლით. ჩვეულებრივი ფორმით ეს ლექსი ასეთ სახეს მიიღებს:

„მაგონდება: ჭალაში ვარ ირგვლივ მწვანე ზაფხულია

გზაზე მიდის ცხენოსანი მღერის: ღვინოვ კახუროო!

მაგონდება წრიპა მთვარე, – აზნაურის უღვაშივით,

შემოდგომა სანახელში დგას გრიგოლა კუპრაშვილი.“

და ასე შემდეგ.

ამ ლექსს განსაკუთრებულობას დატეხილი სტრიქონები კი არ აძლევს, არამედ ის პოეტური სინტაქსი და დიალოგის მუხრანისეული ფორმა, რომე-

ლიც მხოლოდ მუხრანს ეკუთვნის. დეკლამირებულად კი ვისაც როგორ შეუძლია, ან ვისაც როგორი არტისტიზმის უნარი აქვს ისე წაიკითხავს. არ გამოვირიცხავ იმას რომ ამ ლექსის ტეხილი ფორმით დალაგებაში პოეტი ხედავდეს ლექსისთვის განსაკუთრებულობის მინიჭების რაიმე ფაქტორს, რადგან:

„არამც თუ ლექსი,  
სიტყვაც კი ერთი  
ერთნაირად არ ესმის ორ კაცს.“

კდევ ერთი ნიმუში:

„თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად ვერვინ!  
ვერანაირი სიკვდილმისჯილს ვერ იხსნის ცრემლი.  
თავს ჩემს ადგილზე წარმოიდგენს როს ჩემი მტერი  
ყველაზე დიდი დამცირება ესაა ჩემი.“

ეს ლექსი ამ ფორმითაა დაბეჭდილი წიგნში, მაგრამ მიუხედავად ამისა კარგად გაისმის მუხრანული ხმა და პოეტური სინტაქსის ძალა.

და ბოლოს სანიმუშოდ მოვიტან ორ პატარა ლექსს, რომელთა სათაურებია „მიკვირს“ და „ნუთუ“.

1. „ძარცვას იმდენი არამზადა ეწევა ჩემსას!  
მიკვირს

ვით შემრჩა,  
რაიმელა

თუ კიდევ შემრჩა!“

2. „ვით არ იკითხავს

კაცი  
სრულზე  
თუა

ჭკუაზე:

ნუთი მოსვლის და  
სამუდამოდ წასვლის  
შუაში,  
ვარ ახლა როგორც,  
ვიყო  
უნდა

ნუთუ

სულ

ასე?!“

ამ ორი ლექსის, ამ ფორმით დალაგება – განწყობა, ნუთუ ქმნის იმის ილუზიას რომ აქ ახალი ან სალექსო მეტრული სიახლეა, ან ახალი ტირმული სტრუქტურები? სრულებითაც არა. ორივე ლექსი წარმოადგენს წმინდა კლასიკური მეტრული და რიტმული განზომილებებით დაწერილს, რასაც ქვია (14) თოთხხმეტმარცვლიანი „ბესიკური ლექსი.“

გადმოვნეროთ პირველი ბესიკური ფორმით „ძარცვას იმდენი არამზადა ეწევა ჩემსას მიკვირს, ვით შემრჩა, რაიმელა თუ კიდევ შემრჩა.“ ანალოგიურად იქნება მეორეც.

„ვით არ იკითხავს, კაცი, სრულზე თუა ჭკუაზე: ნუთით მოსვლის და სამუდამოდ წასვლის შუაში, ვარ ახლა როგორც, ვიყო უნდა, ნუთუ სულ ასე?“ ორივე ლექსის სქემატური გამოსახულება ასეთია:

5•4•5=14

5•4•5=14

5•4•5=14

მკაცრად მოწესრიგებული მუხლები (სეგმენტები) ქმნიან თავისებურ რიტმულ სიმფონიას. მუხლებში მარცვალთა რაოდენობის ცვლილება დაუშვებელია და არც იცვლება. პირველი ლექსი ორ-სტრიქონიანია, მეორე სამ-სტრიქონიანი სილაბურ ბესიკური.



ამ ლექსებს მუხრანულობას ანიჭებს მხოლოდ პოეტური სინტაქსი და არა დატეხილი სტრიქონები. მიიწინააღმდეგებოდა ჩემი სუბიექტური თვალსაზრისი მუხრანის ვაჟასთან მიმართებაში.

პოეზიის მოყვარულებმა ყველამ კარგად ვიცით ვაჟა-ფშაველას პოეზიის ის მცირე ნაწილი, (სულ რამდენიმე ლექსი) რომელიც დაწერილია ისე, როგორც მისი თანამედროვენი წერდნენ. იმ ლექსებს ხელს აწერს ვაჟა, მაგრამ ვაჟას „ორნატი“ სულ არ ეტყობათ, იქ ვაჟას პოეტური სტიქია არ ჩანს. გაზეთ „ივერიაში“ დიმიტრი მაჩხაანელი (კაპანაძე) უფრო ხშირად ბეჭდავდა ლექსებს და ერთი შეხედვით მისი ლექსები ვაჟას

იმ რამდენიმე ლექსთან შედარებით უკეთესადაც მოგეჩვენებათ. მაგრამ ვაჟა-ფშაველა როცა თავის „ამპლუაში“ ზის, როცა მიმართავს ფშაურ-ხევსურულს, იქ არის მიუწვდომელი – გენიოსი, გამორჩეული არა მარტო თანამედროვეთა შორის, არამედ ყველა დროის ბუმბერაზთა შორის.

ასევე შემძლია ვთქვა მუხრანზეც, რომ იგი არ დაუფლებოდა ქართველთათვის უცნობი პოეტური სინტაქსის სუნთქვას, ვერ დაიმკვიდრებდა იმ განსაკუთრებულ, სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული პოეტური ფიგურის მონუმენტურობას, როგორადაც დარჩა ქართულ პოეზიაში.

**ლიანა წურნუშია**

**ნიკო ნიკოლაძე  
(1843-1928 წწ.).**



ნიკო ნიკოლაძე თავისი ღრმა ენციკლოპედიური განათლებითა და პრაქტიკულ-ორგანიზაციული ნიჭით, უზარმაზარი სულიერი ენერჯითა და დაულალავი შრომით გვერდში ედგა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, როგორც ეროვნულ-გამათავის-

სუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი და მათთან ერთად იბრძოდა ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის.

ვეროსპულად განათლებული, რუსეთისა და საზღვარგარეთულ პრესაში პოლემიკაგამოვლილი ნიკო ნიკოლაძე 70-იანი წლებიდან ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი მახვილი პუბლიცისტური სიტყვით ახალი შემოქმედებითი ენერჯით დატვირთა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ სივრცე. ნიკოლაძეს არ შეუქმნია სპეციალური ფილოსოფიურ-ესთეტიკური ტრაქტატები, საკუთარ შეხედულებებს ცხოვრების მიერ ყოველდღიურად წამოჭრილი საკითხების განხილვისას ამჟღავნებდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამისდა მიუხედავად, მისი თეორიული ნააზრევები სისტემატურობითა და მთლიანობით ხასიათდება, რასაც განსაზღვრავდა ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატისა და განმანათლებლის მწყობრი მსოფლმხედველობრივი პოზიცია.

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევისა და საერთოდ, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია XIX ს.-ის 60-იანი წლების ევროპული და რუსული აზროვნების პროგრესულმა მონაპოვარმა, მაგრამ ქართველი მოაზროვნის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური საკითხების გადაწყვეტისას მას ყოველთვის არჩეული ჰქონდა საკუთარი ნიკოლაძისეული გზა. ეს იმით აიხსნება, რომ პუბლიცისტი ნიკოლაძე კოსმოპოლიტი მოაზროვნე კი არ იყო, არამედ, პირველ ყოვლისა, დიდი ქართველი მოღვაწე, რომლის თეორიული ნააზრევი, ერთის მხრივ, საქართველოს იმდროინდელი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად ეროვნულ

ნიადაგზე იყო აღმოცენებული, მეორე მხრივ კი, ქართული აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ნიკო ნიკოლაძე ქართველ მოაზროვნეთა იმ თაობის ტიპური წარმომადგენელია, რომელმაც ხელოვნებას მოსთხოვა „ნამდვილი ცხოვრების“ ცოდნა, ყოველდღიური ბრძოლა მისი გაუმჯობესებისთვის, „სასარგებლო მოქმედება“ საზოგადოებრივ საჭიროებათა შესაბამისად, განმანათლებლურ-დემოკრატიული პრაქტიციზმის პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული გამტარებელია. დიდი სამოციანელი თავისი შეხედულებებს ხელოვნების არსისა და მისი დანიშნულების შესახებ სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე აყალიბებდა.

ნიკოლაძესთან ხელოვნების არსის გარკვევისას წინა პლანზე დგას ხელოვნების უშუალო კავშირი ცხოვრებასთან. მისი თქმით, ხელოვნება „კაცის გულის მცნობი მეცნიერებაა“ და საქმე აქვს ადამიანის სულიერი სამყაროს – მისი მისწრაფებების, განცდების, მთელი სულიერი მოძრაობის ღრმად შესწავლასა და ამაღლებულ პოეტურ წარმოსახვასთან. პუბლიცისტი ხელოვნებას მიიჩნევს სინამდვილის ასახვად, ამავე დროს მიუთითებს იმ თავისებურებებზე, რითაც მხატვრული ასახვა განსხვავდება ასახვის სხვა ფორმებისაგან. ეს თავისებურება, მისი აზრით, სინამდვილის „ხატოვან-სურათოვანი“ გამოსახვაა. მხატვრული სახე ცნების მსგავსად სინამდვილის განზოგადებული ასახვაა, მაგრამ ინდივიდუალიზებული, გრძნობად-კონკრეტული ფორმით. ნიკოლაძის მიხედვით, სწორედ ზოგადის გრძნობად-კონკრეტული გამოსახვა არის ხელოვნების სპეციფიკა. მხატვრული გამოსახვის ფორმაა „პოეტური ფერი“, „პოეტური სურათი“, რითაც ხელოვნება ადამიანზე ესთეტიკურ ზემოქმედებას იწვევს. „ბელეტრისტი სურათებით უნდა სჯიდეს ცხოვრებას და არა სიტყვებით. ის მხატვარი უნდა იყოს და არა რეზონერი“.

როგორც ვხედავთ, ნიკოლაძე ხელოვნებას სინამდვილის შემეცნების მხატვრულ ფორმად მიიჩნევს. მისი აზრით, სინამდვილის მხატვრული ათვისების ბუნება ხელოვნების შემეცნებითი და ესთეტიკური მხარეების ერთიანობით ვლინდება. იგი, სავსებით მართებულად, თვლის, რომ მხატვრულ სახეში მოცემული სინამდ-

ვილე ხელოვანის აზროვნებისა და განცდების პრიზმაში გადამტყდარი ობიექტური სინამდვილის სუბიექტური სურათია. შემოქმედი მოაზროვნე სუბიექტია და არა სარკე, „რომელიც ყოველთვის სწორედ წარმოადგენს ყველაფერს, რაც მის წინ გაივლის ან გაჩერდება“.

ნიკოლაძის შეხედულებით, ადამიანის სულიერი სამყარო, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების მეშვეობით ყალიბდება, ხელოვნების გარეშე ადამიანი დაკარგავდა ადამიანურ სახეს. ხელოვნება აუცილებელია საზოგადოებისათვის, როგორც მისი „ზნეობრივი ერთობის“ მტკიცე საფუძველი. საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, - შენიშნავს ნიკოლაძე, - რომ საზოგადოებაზე ხელოვნების „გავლენის გაქრობას დედამიწის ყველა ქვეყანაში ყოველთვის თან მოჰყვებოდა საზოგადოების ზნეობრივი ხასიათის დაცემა, ანგარებიანი ინტერესების სიჭარბე. ადამიანურობის დავინწყება და ზნეობრივი გრძნობების საერთო შესუსტება“. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მას ხელოვნების მეშვეობით ხალხის ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, მისი შეგნებისა და განათლების დონის ამაღლება მიაჩნია.

ნიკოლაძე არ კმაყოფილდება განმანათლებლური იდეით – ხელოვნებას დააკისროს მხოლოდ ზნეობრივი და განმანათლებლური ფუნქცია, - და ხელოვნების დანიშნულების ცნებას რევოლუციური შინაარსით ავსებს: ხალხში რევოლუციური შეგნების შეტანა, არსებულის გარდაქმნის აუცილებლობის დამტკიცება და „უკეთესი ცხოვრებისაკენ“ მონოდება. ამ თვალსაზრისით განიხილავს ნიკოლაძე კონკრეტულ ლიტერატურულ მოვლენებს. ასე, მაგალითად, 80-იან წლებში ჟურნალ „ოტქრესტვენნიე ზაპისკის“ ფურცლებზე ქართველი მოაზროვნე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს გრაფ ვალუევის რომანს „ლორინი“, რომელიც „საკუთარი ნებისა და აზრის უქონლობას“, ცხოვრების მოვლენებისადმი პასიურ დამოკიდებულებას, „დაუმსახურებელ დამცირებისადმი“ მონურ მორჩილებას, „მოთმინებას და მხოლოდ მოთმინებას“ ქადაგებდა. მისი აზრით, ჭეშმარიტმა ხელოვნებამ საზოგადოებრივი ძალებისა და ვითარების გაცნობასთან ერთად ხალხის „უკეთესი ცხოვრებისა და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი“ უნდა უჩვენოს.

ნიკოლაძის ხელოვნების ღირებულების მთავარ განმსაზღვრელად თანადროულობის წინაშე მისი დამსახურება მიაჩნია. დროის ფეხდაფეხ სვლა, ეპოქის კონკრეტულ საჭიროებათა სწორი გაგება ხელოვნების პირდაპირი მოვალეობაა, - თვლის იგი, - ხელოვნება „სამშობლოს პროგრესის სამსახურში ჩაყენებული იარაღია“, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, თანადროულობის წინსვლასა და განვითარებას უნდა მოხმარდეს. ამ პოზიციებიდან აფასებს ქართველი სამოციანელი დ.გურამიშვილისა და ნ.ბარათაშვილის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ილია ჭავჭავაძის როლს 60-იანი წლების დასაწყისში. „ის (ილია - ლ.წ.) სწორედ ისეთ კაცად აღმოჩნდა, როგორც ქართულ ლიტერატურას სჭირდებოდა: მისი ტალანტი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელი დროის მოთხოვნილებებს“.

ამრიგად, ნიკოლაძე, სავსებით მართებულად, ხე-

ლოვნებას საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანულ ნაწილად მიიჩნევს. მისი აზრით, განვითარების არცერთ ეტაპზე არ არსებობს თავისთავადი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ხელოვნება, რადგან ამ უკანასკნელის სასიცოცხლო საფუძველია სინამდვილესთან მჭიდრო კავშირი. ხელოვნება სოციალური მოვლენაა. ამის გამო ხელოვნებას დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს: ცხოვრების გაუმჯობესება, ხალხის ინტერესების სამსახური.

ნიკო ნიკოლაძის თეორიულ-ესთეტიკურ მემკვიდრეობაში ხელოვნების ბუნებისა და სოციალური ფუნქციების კვლევის დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხელოვნების ისტორიული განვითარების შესახებ მის ზოგადთეორიულ მოსაზრებებს. იგი საყურადღებო დასკვნამდე მიდის მხატვრული და საზოგადოებრივი განვითარების პროცესთა ურთიერთკავშირის შესახებ მსჯელობისას.

ნიკოლაძე საზოგადოების აღზრდისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს ანიჭებს ხელოვნებას, მაგრამ არ ვარდება უკიდურესობაში და, ზოგიერთი თანამოაზრისგან განსხვავებით, არ ახდენს ცხოვრებაზე ხელოვნების ზემოქმედებითი ძალის აბსოლუტიზაციას. იგი ამ ძალის მეტნაკლებად გამოვლენის შესაძლებლობებს ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობებით ხსნის: ხელოვნებას (ლიტერატურას) ყოველთვის არ შეუძლია იყოს ასახვა თანამედროვე საზოგადოებისა და რომ „ასახვის“ დიდი თუ მცირე სიზუსტე დამოკიდებულია საზოგადოებრივ პირობებზე“.

მართებულია ნიკოლაძის აზრი, რომ ხელოვნებაში რეალიზებულ საზოგადოებრივ ტენდენციებსა და მისწრაფებებს ცხოვრებისეული მოვლენები წარმოშობენ, რაც არ არის სინამდვილეში, ან რისი არსებობაც მომზადებული არ არის საზოგადოებრივი განვითარებით, ის არც ხელოვნებაშია შესაძლებელი, მაგრამ, როცა საქმე სოციალურ-ეროვნული წინააღმდეგობების შედეგად საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოშობილ ტენდენციებს ეხება, აქ ხელოვნება სრულად ავლენს თავის შესაძლებლობებს: ეპოქის მისწრაფებების სწორი ან მცდარი ანალიზის საფუძველზე აჩქარებს ან ანელებს მათს განვითარებას.

ხელოვნების განვითარებას ობიექტური საფუძველი აქვს – საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებები. ამის დასტურად ნიკოლაძეს მოჰყავს ის ფაქტი, რომ „ერთი და იგივე მდგომარეობა და ერთი და იგივე მოთხოვნილებანი ორ ხალხში, რომელთაც სრულიად არავითარი ურთიერთობა არ მოეპოვებათ, წარმოშობენ ერთგვარ ცნებებს, პოეტურ სახეებს, აზრებს, ლეგენდებს, ბგერებსა და სიტყვებს.“ ხელოვნება ადამიანის სულის გამოხატულებაა. ადამიანებს კი ყველა გვარისა და ყველა დროისა, კერძოდ, სურვილების გარდა, საერთო ისტორიული მიზნები ამოძრავებთ. „ეჭვიც არ არის, - შენიშნავს ნ.ნიკოლაძე, - კაცობრიობის კულტურის ისტორიის ძირითად მოთხოვნილებათა არსებობაში, რაც განაპირობებს იმას, რომ განურჩევლად ეროვნული თავისებურებისა, ცივილიზაციის ისტორიაში შეინიშნება მხატვრული მოღვაწეობის შინაარსობრივი მხარის განვითარების ერთიანი ხაზი“.

რას გულისხმობს ნიკოლაძე ხელოვნების განვითარებაში?

ხელოვნება ცხოვრების ნაწილია, ამდენად ემორჩილება კიდევ მისი განვითარების კანონებს. ცხოვრების წინსვლა, განვითარების უფრო მაღლა საფეხურზე მისი ასვლა განსაზღვრავს ხელოვნების პროგრესს. ნიკოლაძის აზრით, „ლიტერატურის (ხელოვნების – ლ.წ.) ყოველი ნაბიჯი და განვითარება დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიაც იგია ჩაყენებული“. ხელოვნება, როგორც ადამიანთა მატერიალური ურთიერთობის შედეგი, უაღრესად ცვალებადი მოვლენაა და ობიექტური საფუძველი, რომელიც ხელოვნების განვითარების ისტორიულ ხასიათს განაპირობებს, საზოგადოებრივ-ისტორიული გარემოს თავისებურებას.

ნიკო ნიკოლაძის ესთეტიკურ-თეორიულ ნააზრევში ხელოვნების განვითარების განმსაზღვრელ მთელ რიგ ობიექტურ ფაქტორებზეა ყურადღება გამახვილებული: ა) საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა; ბ) დემოკრატიული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა – ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, გ) საზოგადოების კულტურისა და განათლების დონე, დ) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა, ე) ხალხთა შორის კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობა, ვ) მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ზ) საგარეო-პოლიტიკური ვითარება.

**სერგი ლომაძე**

**ლეილა შუბითიძის პოეზიის განვითარების საქართველოში**

წელს გამოიცა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პოეტის – ლეილა შუბითიძის პირველი წიგნი – „ფიქრის მრავალწერტილი“. ესაა წარმატებული დებიუტი უდავოდ ნიჭიერი შემოქმედისა, ამიტომაც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ხელოვნებათა და მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემია გამოეხმაურა ამ ფაქტს ორი პოეტური ღონისძიებით: ერთ-ერთი ამათვანი – თბილისში, ხოლო მეორე – იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში, რომელშიაც სწავლობდა ქალბატონი ლეილა. სხვათა შორის, იმავე სკოლამ აღზარდა ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიც – აკადემიის პირველი და დღემდე მოქმედი პრეზიდენტი, ორივე ზემოხსენებული შემოქმედებითი ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი.

იენისის ის ერთი დღე, როცა მე და კახა ბაციკაძე, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ ყველაზე უფრო აქტიური წევრები, გავყევით გულნაზ ხარაიშვილსა და მის მეგობრებს საჩხერის რაიონის სოფლებს სახილველად, შემდეგ კი ერთ-ერთ მათგანში ჩატარებულ შემოქმედებით საღამოში მონაწილეების მისაღებად, არასოდეს დამავიწყდება. ეს იყო ერთდღიანი ზღაპარი, ფერადი სიზმარი, რომლიდანაც არ გასურს გამოფხიზლება. მას შემდეგ, რაც ქალბატონი გულნაზის ინიციატივითა და უშუალო ჩარევით, მე და კახას რამოდენიმე აკადემიამ პოეტი-აკადემიკოსის წოდება მოგვანიჭა, ჩვენ ძალზე ხშირად ვართ გულნაზისეული პოეტური შეკრება-საღამოების მონაწილენი, მაგრამ საჩხერეში ჩატარებული ის დღე მაინც ყველასაგან განსაკუთრებით თბილად და გულისხმიერად ხვდებიან ამ რაიონში.

თუმცა მანამდე სამაისო საღამო იყო, საღამო თბილისისა, საჯარო ბიბლიოთეკის (დიდი ბიბლიოთეკის)

აღსანიშნავია, რომ აქ დასახელებულ ფაქტორთაგან არც ერთს არ ეძლევა ცალსახა შეფასება, როგორც ერთადერთ და საბოლოოდ განმსაზღვრელს ხელოვნების განვითარების ისტორიულ გზაზე. ავტორს კარგად ესმის, რომ ხელოვნებას თავისი შინაგანი, იმანენტური კანონები მოეპოვება, რაც მის შედარებით დამოუკიდებელ განვითარებას განაპირობებს.

ნიკო ნიკოლაძე, საცხებით მართებულად, თვლის, რომ ხელოვნების, ისევე როგორც ყოველი ისტორიულ-კულტურული მოვლენის, განვითარებას არ შეიძლება მოეპოვებოდეს ერთი წყარო – ობიექტური სინამდვილე. ხელოვნების წინსვლის ხელშემწყობ ერთადერთ ფაქტორად საზოგადოებრივი ცხოვრების მიჩნევა სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების საკითხის მხოლოდ გნოსეოლოგიური გადაჭრისათვის იქნებოდა საკმარისი. ნიკოლაძე შორის დგას ამ ცალმხრივობისაგან. იგი ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ხელოვნის ინდივიდუალობას (სულიერ-ინტელექტუალურ თვისებებს), რაც, მისი აზრით, უპირველესად ტალანტის სიძლიერეში ვლინდება. ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მაგრამ „ასახვის დიდი თუ მცირე სიზუსტე დამოკიდებულია (საზოგადოებრივ) პირობებზე, ამასთან, თვით ლიტერატურის ძალაზეც, ე.ი. ტალანტებზე“ - წერს იგი.

გაგრძელება იქნება

ერთ-ერთ დარბაზში გამართული, რომელსაც ესწრებოდნენ: მეუფე თადეოზი, ჯუმბერ ლეჟავა, მაცყალა გონაშვილი (მწერალთა კავშირის თავჯდომარე), რამაზ ნოზაძე, თამარ ჯაჭვაძე, ლამზირა შეყილაძე და სხვანი, ხელოვნ-მეცნიერნი ჩვენი ქვეყნისა. „ზღვარიდან“ წარმოდგენილნი ვიყავით მე, კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია, რომელიც ასევე არჩეულია აკადემიაში (რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ლეჟავა-ხარაიშვილის ცნობილი გვარების ირგვლივ შეკრებილ ადამიანთა საინტერესო გაერთიანებაზე). მაშ, ჯგუფ „ზღვარის“ ძირითად წევრთაგან ღონისძიებას მხოლოდ ჩემი ძმა-ვასო ლომაძე დააკლდა. მიუხედავად ამისა, სწორედ იმ დღეს ქალბატონმა გულნაზიმ ისიც მიიღო აკადემიაში. ვასოს მაგივრად, აპლოდისმენტების ფონზე, საპატიო დიპლომი მე გადმომეცა, როგორც ახალადარჩეულის ძმას. მაშ, „ზღვარმა“ თავისი რეკორდების რიცხვი ამჯერად იმით გაზარდა, რომ გახდა იგი პირველი შემოქმედებითი ჯგუფი, რომლის ყველა წევრს აქვს მინიჭებული მაღალი აკადემიური წოდება, თუნდაც რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის ეგიდით.

თვითონ საღამოს რაც შეეხება, მას გულნაზ ხარაიშვილი წარმართავდა ჩვეული სიდინჯითა და საქმის ცოდნით. ამ ფონზე კარგად გამოიკვეთა ლეილა შუბითიძის პოეტური ოსტატობა, რომელიც ჩანსულ-ჩანურულია მის რითმიან და ურითმო ლექსებში. ამ ლექსთაგან ზოგი სულ ერთიციდაა, მაგრამ მაინც კი გაუზუნარ სახისმეტყველებად არის ნაქანდაკები. მაგალითად:

„იდგა სიმინდი  
ვაჟკაცივით ეცინებოდა.“

ან:

„ამ იმერულმა, ციციქნა ჭინჭილამ  
შეხე რამდენი ააჭრიჭინა.“

გამომსვლელებმა ისაუბრეს პოეტისა და მისი პოეზიის შესახებ. ნაკითხულ იქნა ქალბატონ ლეილას მრავალი ლექსი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მონაწილეთა შორის, ამ საღამოზე, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „ნორჩი ათინათელები“, – ჩვენი თაობების საიმედო ცვლა.

საღამო წარმატებული გამოვიდა, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში, „საღამო შედგა“. ამიტომაც ბევრს სურდა პირადად გაეცნო ნამდვილი პოეტი, ნამდვილი, და არა ყალბი; დიახ, უნდოდათ გაცნობა სიტყვათა ხელოვნების ოსტატისა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეულ პრობლემათა გამო, ლეილა შუბითიძემ ვერ მოახერხა რუსეთის ქალაქ ტულიდან თბილისში ჩამოსვლა და მისი ლექსები უავტოროდ, ოღლად წარსდგა მსმენელთა წინაშე. ტულიდან მაინც გვყავდა სტუმარი – პოეტის მეუღლე თამაზ ნოზაძე, რომელმაც არც საჩხერის საღამო გამოტოვა და, ვაჭიშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღო იმ დაუვინყარ, თუმცა ერთდღიან იმერულ ექსპედიციაში დიახ, ის მართლაც გასაოცარი დღე იყო!

დღით ადრე შევიკრიბეთ აკადემიის წინ და ორი სავესე „ჯიპით“ გავემართეთ საჩხერისაკენ.

გავცდით თბილისს. ნელ-ნელა ბუნება უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. ათასფრად ანთებული ველები, გახშირებული ტყეები, მთები... სული სრულიად ივსება სივრცეთა განცდით... დრომ სწრაფად გაიზინა. აი, უკვე დასავლეთში ვართ. მივუყვებით ერთ-ერთი მდინარის ტყიან ხეობას, რომელიც ალაგ-ალაგ იხსნება და კვლავ ვხედავთ სივრცეებს. ხეობაში ჩაფენილია როგორც დიდი თუ პატარა სოფლები, ასევე საქეიფო ადგილები. (ერთ-ერთი ასეთი ადგილის მაღლი კარგად შევიცანით პოეზიის საღამოს შემდგომ). მე შავ ჯიპში ვზივარ, მძღოლის გვერდით. ჩვენს მანქანაში ზის კახა ბაციკაძეც და რამაზ ნოზაძეც, სხვებიც – კიდევ ორი მგზავრი. საჭესთან მჯდომი როლანდ კილაძე საოცარი ადამიანი აღმოჩნდა. სად არ ყოფილა, რა აღარ უნახავს, ვის აღარ იცნობს თურმე! თან ამბების კარგი მოყოლაც იცის და, რამაზის მსგავსად. დიდებული იუმორიც აქვს. ეს ადამიანები უაღრესად საინტერესო ამბებს ყვებოდნენ, ოლონდაც ისინი იუმორით აფერადებდნენ ამ ისტორიებს. ისე გავერთეთ, ისე ჩავედით ჭალვანში, რომ დიდმა მანძილმა საერთოდ ვერ დაგვალა: შუადღეზე დანიშნულ პოეტურ საღამოს ჩინებულ „ფორმაში“ შევხვდით.

პირდაპირ მდინარის პირას აგებული სკოლის შენობა კარგად გამოიყურება: ახლებურია, მიმზიდველი. იქვეა მოსწავლეთათვის მოწყობილი სტადიონიც, სადაც, როცა მივედით, ბავშვები გაცხარებით თამაშობდნენ ფეხბურთს.

სკოლის დარბაზი სავესე იყო როგორც მონაფეებით, ასევე უფროსებითაც... საღამოს ესწრებოდა გამგებელიც: ბატონი ვანო სიტყვითაც გამოვიდა. პრეზიდენტში ვისხედით – კახა ბაციკაძე, რამაზ ნოზაძე (იგი საჩხერე-ჭიათურის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა), მე, გულნაზ ხარაიშვილი (საღამო მე და ქალბატონ გულნაზს მიგვყავდა, რალა თქმა უნდა, მისი უპირატესობით), ნაილი ხარაიშვილი და ლამზირა შეყილაძე. ჩვენ, ძირითადად, სწორედ ლეილა შუბითი-

ძის პოეზიის შესახებ ვსაუბრობდით. ვკითხულობდით მის ლექსებს. მაგალითად, მე წავიკითხე ის პატარა ქმნილება, საკუთარ ქალიშვილს რომ უძღვნა პოეტმა და უზამაზარი სიტბოთი გადმოსცა დედა-შვილობის გაუხუნარი გრძნობა:

„თამუნას  
შენ რომ არ იყო ახლა ჩემს გვერდით,  
გავგიჟდებოდი, ვიცი, ნამდვილად.  
გულს რომ რალაცა არ მიკანრავდეს,  
განა ვიტყოდი ამას ადვილად.  
შენ დარდს მიქარწყლებ, ფიქრებს მიქარვებ,  
შენით ლამეს ცვლის ნახტომით დილა,  
შენ რომ არ იყო, შენ რომ არ მყავდე,  
გავგიჟდებოდი, ვიცი, ნამდვილად.“

დარბაზში ხშირი იყო მხურვალე აპლოდისმენტები; პირადად მე, მეგობრებთან ერთად, ქართლ-კახეთისა და იმერეთის მრავალ ქალაქში ჩამიტარებია პოეზიის საღამოები დიდი წარმატებით, მაგრამ ჭალვანმა მაინც დამარწმუნა, რომ საქართველოს სოფლებში არანაკლებ ეტრფიან ხელოვნებას, ვიდრე-ჩვენსავე ქალაქებში. ჩანს, რომ აქ, ჩვენში, ხელოვნება უყვარს ყველგან, თანაც-ყველა ასაკის ადამიანებს.

გულნაზ ხარაიშვილმა იმის საშუალებაც გვიბოძა, რომ საკუთარი პოეზია-მუსიკაც შეგვეთავაზებინა მსენელთათვის. მონაფეები განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ კახას გამოსვლებს, რომელმაც ალაგ-ალაგ სიმღერებით გაალამაზა პოეზიის საღამო. მან სულ ოთხი სიმღერა შესარულა, იმ დღეს, თავის ცნობილ აკუსტიკურ გიტარაზე – შავ გიტარაზე. ოთხივე ეს გამოსვლა წარმატებული იყო, ხოლო როცა სიმღერა „გოლგოთას“ ასრულებდა, დარბაზი ლამის დაინგრა აპლოდისმენტებით, ზოგი მსმენელთაგანი ფეხზეც წამოიჭრა. ორი სხვა სიმღერის სათაური იყო „ჩემი ლირიკა“ და „ნაპირთან“. შესრულდა „ზღვარის“ კიდევ ერთი სიმღერა, რომლისთვის სათაური ჯერაც არ დაგვირქმევია. ეს პატარა, მაგრამ ლამაზი მუსიკალური ნაწარმოები ქალბატონი გულნაზის ტექსტით არის (მუსიკა ჩვენია, ტექსტი კი – მისი). ახალი ქმნილებაა. და რადგანაც, სრულიად მოულოდნელად, დარბაზში აღმოჩნდა ის მასწავლებელიც, რომელიც თვით გულნაზისა და ლეილასაც კი ასწავლიდა სხვადასხვა დროს, გულნაზ ხარაიშვილმა კახას სთხოვა, რომ უპირველესად ყოვლისა, სწორედ ამ მასწავლებლისათვის (ქალბატონი რუსუდანისთვის) შეესრულებინა ეს სიმღერა.

დიდი წარმატება ხვდა ნილად ჩემს ლექსსაც „მწვერვალი“ (სტრიქონი-სისხლი“), და რა სამწუხაროა, რომ აკადემიის პრეზიდენტს ეს ქმნილება არ გაუგონია, – ჟურნალისტებმა მაინცდამაინც იმ შუალედში გაიყვანეს იგი დარბაზიდან ინტერვიუთა ჩასანერად.

თავიანთი შემოქმედება იქაურებს გააცნეს როგორც რამაზ ნოზაძე, ასევე ლამზირა შეყილაძემ, და არც მათ დაკლებიათ აპლოდისმენტები.

გამოირკვა, რომ ქალბატონ ლეილას ქმარ-შვილის (თამაზ და სერგი ნოზაძეები) გარდა დარბაზში იმყოფებოდა პოეტის დაც, ასევე – შვილთან ერთად. გამიხარდა, რომ პოეტის დამ უსიტყვოდ არ დატოვა დარბაზი. გამოსვლისას იგი ცოტათი ლელავდა, თუმცა ძალიან ბედნიერი იყო. თამაზ ნოზაძის შემდეგ ლეილას შეიძლება არც ჰყავდეს სხვა ასეთი ერთგული გვერდშიმდგომი და გულშემატკივარი. თუმცა დებს

უამრავი კილომეტრი აშორებთ ერთმანეთისგან, როგორც ჩანს, სულიერად ისინი მაინც ერთად არიან.

დამამახსოვრდა ერთ-ერთი ადგილობრივი სკოლის დირექტორის გამოსვლა, რომელმაც განსაკუთრებით ბევრი ისაუბრა უკვე ლეგენდად ქცეული ადრენასული პოეტის-ბეჟან ხარაიშვილის შესახებ.

უნდა ვაღიარო, რომ საჩხერისეულმა სალამომ, თავისი ემოციებით, გადააჭარბა კიდევ თბილისურ სალამოს. როგორც ჩანს, დასავლეთში უფრო ცხელი, უფრო ემოციური ხალხი ცხოვრობს.

რალა თქმა უნდა, მაის-ივნისის იმ პოეტური დღეების სრულ აღწერას ერთ სტატიაში ვერ შევძლებ და რალაც-რალაცები უსათუოდ გამომრჩება, მაგრამ საჩხერულ ქეიფს მართლაც რომ ვერაფერი დამავინყებს! სუფრა გაიშალა ერთ-ერთ ხიდთან ახლოს, ხეობაში, მდინარის პირას. უნდა ითქვას, – მაგიდას ჩიტის რძეც არ აკლდა. თამადაობდა ბატონი როლანდი, რომელზედაც მითხრეს, რომ მას ოც ლიტრზე მეტი ღვინის დაღვევა შეუძლიაო! მე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვარ ნამყოფი, და თუ ის მართალია, რაც როლანდ კილადის შესახებ მითხრეს, მაშინ უნდა ვაღიარო, რომ სმამი მას მხოლოდ ქართლ-კახელი თა-

მადები თულა გაუწევნ კონკურენციას, თან, ეს მათაც გაუჭრდებათ, რადგანაც ღვინის მეფის – გულბაათ ჭავჭავაძის დრო უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.

გვარიანი ღამე იყო, მაშინ, როცა თბილისისაკენ გამოვეშურეთ. ავტომობილის საჭესთან ისევ როლანდ კილადე იჯდა და ვერაფრით შეატყობდით, თუ ცოტა ხნის წინ მიატოვა მის მიერვე ნათამადარი სუფრა, ისე მხნედ მართავდა მანქანას...

ოცი წლის განმავლობაში ათასზე მეტ პოეტურ სალამოში მიმიღია მონაწილეობა და იშვიათად მიწახავს ისეთი თბილი მიღება, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში რომ ვნახე. მე კიდევ ერთხელ გამოაცხადე სტუმარ-მასპინძლობის იმერულმა, ზოგადქართულმა კულტურამ, რომელმაც უფრო მაღალმთიან კუთხეებში ვაჟა-ფშაველას პოემაში ჰპოვა გასიმბოლოება, იქ კი, იმერეთში, აკაკის თბილად მომიღმარ სახეში განვივთა.

დღეს უკვე აღარ მიკვირს, რომ ჭავჭავაძის სკოლამ ისეთი პოეტები აღზარდა, როგორებიცაა გულნაზ ხარაიშვილი და ლეილა შუბითიძე, ამავე სკოლის აღზრდილი იყო ბეჟან ხარაიშვილიც, რომელმაც როგორც ჩანს, უკვდავებაში ჰპოვა ადგილი...

## ჯულიეტა ალავიძე

### სულიერი სიყვარული

ირგვლივ ყველა ღალადებს „უდიდეს“ ჭეშმარიტებას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. ტკბილ სიტყვებსა და უდიდეს ჭეშმარიტებებს მაშინ აქვს ფასი, როდესაც მათ მართალი ბაგეები გამოთქვამენ. ისინი მხოლოდ კეთილი ნებისა და წმინდა გონების მქონე ადამიანებში ჰპოვებენ ნიადაგს.

ჭეშმარიტებაა, როდესაც თუ ჭეშმარიტებას განუსჯელად იტყვი, ის უკვე ჭეშმარიტება აღარ იქნება. მაგალითად, ესა-თუ ის ადამიანი მთლად საღ ჭკუაზე რომ არ არის, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუკი შენ ამ ჭეშმარიტების თქმას ესწრაფვი, ეს კარგს არაფერს მოიტანს. ვილაც იმასაც იტყვის: – „იმისათვის, რომ გულწრფელი ვიყო, ნავალ მოედანზე და მთელი ხალხის წინაშე შევცოდა.“ – ეს გულწრფელობა არ არის. ვისაც საკმაო განსჯის უნარი აქვს, ის დიდსულოვან სიყვარულს, მსხვერპლშენიერვის უნარსა და სიმდაბლეს ფლობს. თვით მწარე სიმართლესაც კი ეს ადამიანი უდიდესი უბრალოებით ამბობს და თავისი სიკეთით შეალამაზებს მას. შედეგად – ტკბილი სიტყვით მას მეტი სარგებლობა მოაქვს, ისევე, როგორც მწარე ნამალს მოაქვს უმეტესი სარგებლობა, თუ მას ტკბილ ნაყენთან ერთად მისცემენ.

განუსჯელად გამოყენებული ჭეშმარიტება შესაძლოა, ბოროტმოქმედების მიზეზად იქცეს. ზოგიერთი ჭეშმარიტების სახელით ბოროტებას აღასრულებს. გულწრფელად, მაგრამ განუსჯელად მოქმედმა შესაძლოა, ორმაგი ბოროტება ჩაიდინოს: ჯერ – საკუთარი თავის და მერე – სხვათა წინაშე. იმიტომ, რომ ასეთ გულწრფელობაში თანაგრძნობა არ არის. ვისაც სურს, ნამდვილად გულწრფელი იყოს, იქიდან დაიწყოს, რომ პირველ რიგში – საკუთარი თავის წინ-

ნაშე იყოს გულწრფელი, იმიტომ რომ სულიერი სინაწრფელე აქედან იწყება. თუკი ვინმე საკუთარი თავის წინაშე გულწრფელი არ არის, ის მხოლოდ საკუთარ თავს ჩაგრავს და იგდებს აბუჩად. მაგრამ ვინც სხვებთან დამოკიდებულებაში არ არის გულწრფელი, ის სასკვდილოდ სცოდავს, იმიტომ, რომ სხვებს დასცინის.

თუ ადამიანი წმინდანია, მას ასევე ექნება უბრალოება, მაგრამ, თუკი ამგვარად იქცევა მოზრდილი ადამიანი, რომელიც არც გონებრივადაა ჩამორჩენილი – აქ უკვე ეშმაკია!

პირდაპირობა იმ სახით, როგორც ესმით და იყენებენ მას ზოგიერთები, სჯულისმდებლური სულით არის აღსავსე – „მე პირდაპირი ადამიანი ვარ, – ამბობენ ადამიანები, – „ერდოთა ზედა“ ვქადაგებ!“ და სხვების დაცინვას იწყებენ, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, დასაცინი თვითონვე ხდებიან.

ერთი მწერალი, ძალიან ღვთისმოსავი ადამიანი იყო, მაგრამ ერის ადამიანებთან ლაპარაკობდა უხეში სიტყვებით. ნუ ჩავქოლავთ ადამიანებს „ქრისტიანულად.“ ვინც სხვათა წინაშე ამხილებს მცოდველს, ან ვნებით ლაპარაკობს ვინმეზე, ის საღმრთო კი არა, არამედ – სულ სხვა სულით არის აღძრული. ეკლესია სიყვარულის მეშვეობით მოქმედებს, ისე კი არა, როგორც – სჯულისმდებლები. ეკლესია ყოველივეს მრავალის მოთმინებით უცქერის და ესწრაფვის დაეხმაროს ყველა ადამიანს, როგორც ცოდვილიც არ უნდა იყოს იგი.

ვხედავ, რომ ზოგს უცნაური ლოგიკა აქვს. მათი ღვთისმოსაობა კარგია, მათი კეთილგანწყობა სიკეთისადმი! – ესეც კარგია, მაგრამ სულიერი განსჯა და თვალთახედვის ვრცელი არეც აუცილებელია, რათა


ცდომილებით ღვთისმოსაობა ვინროშუბლიანობად არ იქცეს და, რომ თავი ისეთი ჯიუტი და მაგარი არ გახდეს, რომ მარგილის ცემაც ვეღარ იგრძნოს. მთელი საფუძველი იმაშია, რომ სულიერი მდგომარეობა ვიქონიოთ, რომ ადამიანში სულიერი განსჯის უნარი არსებობდეს, სხვაგვარად ის განუსჯელად მისდევს სჯულს, ხოლო „სიტყვა სჯულისა მოაკვდინებს.“ ვისაც სიმატე აქვს, საკუთარი თავისაგან მასწავლებელს არასოდეს შექმნის, ის სხვებს უსმენს, ხოლო, როდესაც რაიმეს ეკითხებიან, არასოდეს ამბობს – „მე“, არამედ – „გონება ასე მკარნახობს“, ან „მამებმა თქვეს“, ანუ ის ლაპარაკობს, როგორც მოწაფე. ვისაც ჰგონია, რომ სხვების გამოსწორება შეუძლია, მასში დიდი ეგოიზმია.

ასეთი ადამიანი ვერ ხვდება, რომ საკუთარ თავს არ იცნობს და ამიტომ ვარდება უკიდურესობაში. ხშირად ზოგიერთი ღვთისმოსაობით იწყებს და, სადამდე დადიან ისინი შემდეგ! მაგალითად: როგორც ხატმალმერთებლები და ხატმებრძოლები! ერთიც უკიდურესობაა და – მეორეც. პირველები იქამდე მივიდნენ, რომ ქრისტეს ხატი ჩამოფხიკეს და ეს მტვერი წმიდა ბარძიმში ჩაუშვეს – საღმრთო ზიარების „გასაუმჯობესებლად.“ სხვებმა კი დაწვეს და გათელეს წმიდა ხატები. სწორედ ამიტომ გახდა ეკლესია იძულებული, წმიდა ხატები მალა აენია, ხოლო, როდესაც განხეთქილება ჩაქრა, ხატები ისევ ძირს დაუშვეს, რათა მიახლოება და მათზე გამოსახულთა თაყვანისცემა შესაძლებელი გამხდარიყო.

აუცილებელია სიფხიზლე. რასაც უნდა აკეთებდეს ადამიანი, იგი ამას ღვთისათვის უნდა აკეთებდეს. ჩვენ ვივინყებთ ღმერთს და შემდეგ ჩაერთვება აზრი, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვაკეთებთ, ჩაერთვება კაცთმოთნეობა და ვცდილობთ, თვალში არ მოვხვდეთ ადამიანებს. თუკი ვინმე იმ აზრით მოქმედებს, რომ ღმერთი ხედავს მას, აკვირდება მის ნამოქმედარს, იგი რასაც უნდა აკეთებდეს, ყველაფერი გამოუვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც რაღაცას იმისთვის აკეთებს, რომ ადამიანების წინაშე გამოჩნდეს კარგად, ის ყველაფერს კარგავს და ყოველივეს ამაოდ ფლანგავს. ვიდრე რაიმეს გააკეთებდეს, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხო: – „კარგი, ვთქვათ, მე მომწონს, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ღმერთს თუ მოეწონება?“ და კარგად დააკვირდეს, სათნოა თუ არა ის ღვთისთვის. თუ მას ამის გაკეთება ავიწყდება, მაშინ მას ღმერთი დაავიწყდება. ამიტომ ამბობენ

უნინ: – „ღვთის გულისათვის!“ ან – „ამ უღმერთოს ღვთისა არ ეშინია?!“ ანდა ამბობენ: – „თუ ღმერთს სურს.“ „თუ ღმერთი მოგცემს.“ ძველად ადამიანები ყველგან გრძნობდნენ ღვთის მყოფობას: მათ ღმერთი ყოველთვის თვალწინ ედგათ და ამიტომ ყურადღებით იყვნენ. ისინი იმ მდგომარეობას განიცდიდნენ, რომლის შესახებაც ფსალმუნში ნათქვამია: – „წინასწარ ვხედავ უფალსა, რათა არა შევეძრა.“ სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი ესოდენ შეუძვრელად. ეხლა კი ვხედავთ, როგორ ნელ-ნელა შემოდის ევროპული ტიპიკონი და ძალიან ბევრი მხოლოდ ევროპული აღზრდის გამო იქცევა კარგად. რასაც არ უნდა აკეთებდეს ადამიანი, იგი ამას მხოლოდ ქრისტესთვის უნდა აკეთებდეს, აცნობიერებდეს, რომ ქრისტე ხედავს მას, თვალყურს ადევნებს მას. შინაგანად ამას ადამიანური სანყისი არ უნდა ჰქონდეს. ადამიანის ყოველი მოქმედების გულისგული ქრისტე უნდა იყოს. თუ რაღაცას იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ ადამიანებს მოვწონოთ, ეს სარგებლობას არ მოგვიტანს. დიდი ყურადღებაა საჭირო. აუცილებელია, გამუდმებით ვიკვლევდეთ, რა მიზეზები უდევს საფუძვლად ჩვენს ქმედებას. როგორც კი გავაცნობიერებ, რომ რაღაც საკითხში კაცთმოთნეობით ვარ აღძრული, დაუყოვნებლივ უნდა უკუვაგდო იგი. იმიტომ რომ, თუ რაიმე სიკეთის გაკეთება მსურს და ამაში კაცთმოთნეობა ერთვება, აი, სწორედ მაშინ ვცდილობ ჭიდან წყლის ამოღებას ნახვრეტებიანი სანთლით.

საცდურთა უმრავლესობა ხშირად ქმნის ჩვენს „მეს“ როდესაც სხვა ადამიანებთან დაპირისპირებისას შინაგანი თვითნეობა გვაქვს ანუ, როდესაც პირადი ანგარიშით ვართ აღძრული; როდესაც გვსურს, საკუთარ თავს გადავაჭარბოთ და საკუთარი, პირადი დავიკმაყოფილოთ, ზეცის აღმართებით კი არა, არამედ – სულიერი დამდაბლებით ადიან. ვინც დაბლა ჩადის, ის იმედიანად მიდის და არასოდეს ეცემა. ამიტომ, მოდით, რამდენადაც შევძლებთ, ამოვშანთოთ საკუთარი თავიდან ყოყორობა და წარმატებულობა, იმიტომ, რომ სწორედ ესაა სულიერი წარუმატებლობა. ჩავახშოთ ფარული თუ აშკარა ეგოიზმი და კაცთმოთნეობა, რათა მხურვალედ შევიყვაროთ ქრისტე. ჩვენი ეპოქა გამოირჩევა არა სინყნარით, არამედ – სენსაციურობით, ცარიელი ხმაურით. ხოლო სულიერი ცხო-



ვრება უხმაუროა. კარგი იქნება, თუ მთელი ძალებით – რაც შეგვიძლია, იმის გაკეთებას დავინწყებთ – უხმაუროდ და იმ საშუალებების ძებნას არ მოვყვებით, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში დავაზიანებთ საკუთარ სულსა და სხეულს და შესაძლოა – ეკლესიასაც.

მოყვასის ჭეშმარიტი სათნოოფის სურვილში მდგომარეობს სათნოოფა ქრისტესი. აი, რას უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას: როგორ განვნიშნოთ სათნოოფა მოყვასისა, ანუ, როგორ განვაშოროთ მას კაცთმოთნეობა იმისათვის, რომ ეს ადამიანური შესანიერი (ანუ – სათნოოფამოყვასისა) ქრისტესთან მივიდეს. თუკი ვინმე, ვითომდა, მართლმადიდებლურად ცდილობს, ეკლესიის პრობლემები მოაწესრიგოს, მისი ჭეშმარიტი მიზანი კი საკუთარი თავის „მოწესრიგება“, ანუ – პირადი გამორჩენა, ასეთი ადამიანი არანაირად იქნება ღვთისაგან კურთხეული?! საჭიროა, რამდენადაც შესაძლებელია, საკუთარი ცხოვრება

ისეთი გახადო, რომ ღმერთს დაუახლოვდე. გამუდმებით უნდა ამხილებდე საკუთარ თავს და ღვთის ნების შესრულებას ცდილობდე. ღვთის ნების აღსრულებით ადამიანი ღმერთს უნათესავდება და მაშინ მუდამ ღვთის წყაროდან იღებს წყალს.

ამ რწმენით დავინწყე მშენებლობა სადაც უნდა დამეარსებინა მოსამზადებელი ცენტრი. ეზოს შესასვლელში ავაშენე პატარა ეკლესია, რომლის მფარველობის ქვეშ უნდა ესწავლათ მოზარდებს.

ჩანაფიქრი საკუთარი ხელითა და დიდი ფიზიკური დატვირთვით განვახორციელებ. სურათებიდან ჩანს ამაღლებულზე პატარა ეკლესიის გუმბათი ლამაზი ეზოთი და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი – გინვეთ მოსამზადებელ ცენტრში, სადაც თქვენ ზღაპრული პირობები დაგხვდებათ და მაღალკვალიფიციური ლექტორებით მოისმენთ ლექციებს.

## Lali Ratiani

Assoziierte Professorin an der Suchumer Staatlichen Universität

### ANTONYMISCHE RELATIONEN IM RAHMEN DER LEXIKALISCH-GRAMMATISCHEN KLASSEN DER SUBSTANTIVE



Das Ziel dieses Artikels besteht in der Charakterisierung der Eigentümlichkeiten und Spezifik der antonymischen Relationen im Rahmen der lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive im System der modernen deutschen Sprache; ausserdem wird beabsichtigt unter Berücksichtigung I auf der paradigmatischen-syntagmatischen Ebenen ausgesonderten Eigenartig-

keit lexikalisch-semantischer Verbindungen, strukturell-semantische Spezifik einzelner lexikalischer Einheiten zu bestimmen, die Richtigkeit oppositioneller Paare zu präzisieren, Abarten und Qualität der Gegensätzlichkeit lexikalischer Einheiten zu konkretisieren.

Es sei erwähnt, daß die Reihenfolge der Untersuchungsetappen auch in der lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive wie bei der anderen Redeteile und nämlich in der lexikalisch-grammatischen Klassen der Adjektiv und Verben identisch, in allen Fällen erhalten geblieben ist; Wir verwenden identische Forschungsmethodik und den begrifflichen Apparat. Vorallerdings haben wir die Möglichkeit der Absonderung der semantischen Gruppen der antonymischen Wortpaare festgestellt, die lexikalische Erweiterung dieser Gruppen bestimmt; die semantische Struktur der gegenübergestellten Einheiten belehrt, die Fälle der Übereinstimmung und der Differenzierung einzelner semantischen Varianten für die Präzisierung der Antonymiequalität behandelt; antonymische Arten, das

Wesen der Bildungsmittel dieser Einheiten, ihre Quantität/ Anzahl festgestellt; die Qualität strukturell-semantischer Gegenüberstellung der antonymischen Einheiten, ihr Verbreitungsradius beschrieben; die Erweiterung der semantischen Strukturen der Antonymie präzisiert; den Grad aller Varianten, strukturelle Parametre der Untersuchungseinheit und die Produktivitätsqualität der antonymischen derivativen Elementen. konkretisiert.

Aufgrund des geforschten Materials wurde in den lexikographischen Quellen mit Hilfe des statistischen Methodes die Anzahl der antonymischen Wortpaare im Rahmen einzelner Redeteile konkretisiert: die Zahl bei Substantiven liegt auf 1706-22%, für Adjektive beträgt sie auf 2921-37%, bei Verben – auf 2289-29%, bei allen anderen Redeteile auf 971-12%.<sup>(1)</sup>

Die absolute Objektivität der Aussonderung antonymischer Wortpaare in den lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive wurde dadurch garantiert, dass die bestimmende Faktoren der antonymischen Relationen in den lexikalischen Einheiten auf paradigmatischer Ebene abgeteilt und die Abarten der Antonyme in den Klassen der Substantiven festgesetzt sind, eine skrupulöse Untersuchung des semischen Bestandes einzelner semantischen Varianten und Strukturen antonymischer Paare in den auf Grund der Analyse des soliden sprachlichen Stoffes, im Rahmen der lexikalisch-semantischen Gruppen ausgesonderten antonymischen Wortpaaren durchgeführt wurde.

--- Erforscht wurden: die semantischen Strukturen der gegenüberzustellenden Einheiten und der semische Bestand jeder semantischen Varianten. Die Untersuchung ermöglicht lexikalische Einheiten mit der Gegenbedeutung

in solcher Reihenfolge für jede semantische Varianten korrekt festzustellen und die Abarten der oppositionellen Relationen zu präzisieren.

Als wahre Kontrollierungsmittel der im Rahmen der semantischen Varianten erzeugten Gegenüberstellung wird in der Arbeit die Analyse des Semembestandes der gegensätzlichen Einheiten betrachtet. Eine unvermeidliche Bedingung für die Bildung des oppositionellen Wortpaares ist die Existenz des gemeinsamen Archisemems für die gegenübergestellten Einheiten, das in einzelnen Gliedern des Wortpaares konkretisierungsweise realisiert wird.

Um die entgültigen /definitiven Ergebnisse zu ermöglichen, wurde es zweckmässiger die Untersuchung neben der paradigmatischen Ebene mit den Angaben der syntagmatischen Ebene zu erweitern. Die Einschaltung der syntagmatischen Ebene in der Forshung ist für die Realisation der Wortbedeutung durch die Relevanzität ihrer Distribution, durch sowohl einen engen und als auch einen breiten Kontext bedingt.

Wir haben zugleich als richtig betrachtet, die in den lexikographischen Arbeiten fixierten solche derivativen Elementen) zu präzisieren, wodurch ein Stammwort eine rückbezügliche Bedeutung gewinnt. Die Untersuchungsergebnisse der semantischen Struktur des Semembestandes antonymischer Wortpaare wurden im Rahmen der lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive zur Aussonderung folgender Abarten und zu ihrer Klassifizierung zugrunde gelegt:

nach den paradigmatischen und syntagmatischen Eigentümlichkeiten der antonymischen Wortpaare wurden lexikonische oder usuelle, primäre und kontextuelle oder okkasionelle, abermalige Antonymie, nach der Relevanzität und der Ordnung semantischer Varianten in der Struktur der antonymischen Wortpaare-primäre und sekundäre Antonymie, nach der Übereinstimmung der semantischen Struktur des antonymischen Wortpaares –absolute und relative Antonymie, nach der Dimension der semantischen Strukturen der antonymischen Wortpaare-eindimensionale, mehrdimensionale Antonymie und nach dem formellen Kennzeichen der antonymischen Wortpaare-abgeleitete und unabgeleitete./einfache Antonymie abgeteilt.

Die Berücksichtigung einzelner Abarten der vorgelegten Klassifikationen ist ohne Zweifel zweckdienlich bei der Antonymieforschung im Rahmen der beliebigen Redeteile durchzuführen. In der vorliegenden Arbeit haben wir uns von den lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive auf die Analyse des einzelnen Modells der gegenübergestellten Einheiten beschränkt.

Durch die eifrige Analyse des Stoffes unter Berücksichtigung semantischer Eigentümlichkeiten der als antonymische Wortpaare vereinte Einheiten, wurden im Rahmen der Substantive 15 semantische Gruppen abgeteilt. Die Grundlage der Formierung der Gruppe ist darin eingesetzte verallgemeinerte Bedeutung der lexikalischen Einheiten. Ihr Bestand wurde im Grunde genommen durch die derivativen zeitwörtliche oder adjektivische Substantive komplettiert. Einfache Substantive werden seltener miteinander in antonymischen Relationen gesetzt.

In der Klasse der Nomina sind die antonymischen Gegenüberstellungen vorwiegend abgeleitet-die oppositio-

nellen Relationen werden hauptsächlich auf den Stamm durch das Hinzufügen des antonymischen, gegensätzlichen derivativen Elementen oder durch die Conversion und Nominalisierung des Zeitwortes, des Adjektivs hergestellt.z.B. Gewinn-Verlust; Alte-Junge; Die lexikalischen Einheiten, die keinen konkretwertenden Charakter haben, können keine antonymischen Paare bilden. Diese Behauptung ist mit der allgemein-kategorialen Bedeutung des Nomens im Einklang- das Nomen bezeichnet den Gegenstand im weitesten Sinne dieses Wortes. Die Ausnahme bilden nur die durch den Gegenstand dargestellte Wörter, die Merkmal-Qualität oder Handlung bezeichnen. Eben diese Letzten haben die Fähigkeit die antonymischen Wortpaare zu erzeugen.

Die Spezifik der antonymischen Relationen der Substantive wurde in der Arbeit durch die Belehrung ihrer Semembestandes und ihrer semantischen Struktur festgestellt. Die Untersuchung wurde in Analogie mit den Adjektiven und Verben durch die Behandlung der semischen Struktur der oppositionellen Einheiten durchgeführt. Analysiert wurde das antonymische Wortpaar "Ruhe-Bewegung". Zuzolge der Analyse wurde festgestellt, dass die Struktur des linken Gliedes drei semantischen Varianten enthält, während die Struktur ihrer oppositionellen Einheit aus zwei semantischen Varianten besteht.Im gegebenen Fall betrachten wir diese Abart der Antonymie als absolut, was für jede einzelne Bedeutungen charakteristische Identität der Distribution befestigt wurde.

Als Muster der einfachen und zugleich der absoluten Antonymie wird die Gegensätzlichkeit der Substantive : "Länge-Kürze, "Weite -Enge getaucht." Ihre Absolutheit wird durch ihre sowohl semantische Strukturen als auch durch die distributionellen Eigentümlichkeiten bestätigt z.B. die Kürze /die Länge des Weges; die Stimme schien aus der Weite /Enge zu kommen;

Die antonymischen Relationen werden unter den einfachen Substantiven im Unterschied zu solchen Paaren seltener realisiert, wo eines der Glieder durch das Hinzufügen dre negierenden wortbildenden Elementen auf den Stamm des zweiten Gliedes dargestellt wird. z.B. Geduld-Ungeduld; Stimmung-Misstimmung) Der Semembestand solcher Glieder des antonymischen Wortpaares ist identisch , der Unterschied gibt nur das Wortbildende Mittel.z.B. im antonymischen Wortpaar-"Druck-Gegendruck"-deutet das Präffix "gegen" auf die durch "Druck" geäußerte rückbezügliche Bedeutung.

Die Substantive, die in antonymischen Relationen stehen, haben auf der paradigmatischen Ebene einen identischen Semembestand. Der Unterschied bildet nur der im semischen Bestand eines der Glieder eingetragener negierendes Semem. Bei ihrer wechselseitigen Distribution wird in der Syntagmatik das Hauptwesen der Aussage radikal gewechselt.d.h. die Möglichkeit der gleichzeitigen Verwendung der Glieder des antonymischen Wortpaares absolut ausgeschlossen ist. Im ersten Fall wird eine Tatsache konstatiert, im zweiten aber sie völlig negiert. Die Negation eines Gliedes durch die Andere soll als Kriterium der Feststellung der wahren Antonymie betrachtet werden:"Torheit-Weisheit;" "Bekannte-Unbekannte."

Ein unterschiedliches Bild gibt die antonymische Gegensätzlichkeit solcher Substantive, in denen der Semem-



bestand der gegenübergestellten Mitglieder einander nur teilweise decken. z.B. In den antonymischen Substantiven—“Erinnerung-Vergessenheit”; “Fleiss-Faulheit “Frieden-Krieg ”wird die Übereinstimmung der semantischen Strukturen nur in einer Variante bezeichnet: “in Erinnerung behalten /aus dem Gedächtnis verlieren;”“seine Faulheit/ sein Fleiss ist unbeschreiblich”.

Die primäre Antonymie wird in der Klasse der Substantive vorwiegend bei solchen Paaren bezeichnet, wo antonymische Relationen abgeleitet sind: “Recht-Unrecht,” “Achtung-Missachtung, soweit für sie in vielen Fällen identische Distribution charakteristisch ist: das Recht/das Unrecht ist auf seine Seite;

In der lexikalisch-grammatischen Klasse der Substantive wurde es auch möglich, den Dimensioncharakter der konkreten antonymischen Einheiten festzustellen. Als Beispiel nehmen wir das antonymische Wortpaar “Gütigkeit-Schlechtigkeit .Nach der Zahl der semantischen Varianten dieses Wortpaares zeigt jedes Mitglied dreidimensionale Antonymie zB. Den semantischen Varianten des Substantivs –die Gütigkeit-entsprechen folgende Antonyme: 1. die Güte, das Gütigsein, gute Eigenschaft; # 1. die Bosheit, die Schlechtigkeit, schlechte Eigenschaft; 2. das Gutsein, die Waarenbeschaffenheit, die Waarenwertigkeit, die Gütigkeit # 2. das Schlechtsein, die Waarenlosigkeit, die Minderwertigkeit; 3. das Gütchen, „Reichlichkeit, der Übermass. # die Spärlichkeit, die Ungefälligkeit. Folgenderweise sehen die semantischen Varianten und Antonyme der semantischen Varianten des Substantivs –die Schlechtigkeit –aus: 1. die Bosheit, die Schlechtigkeit, schlechte Eigenschaft # 1. die Güte , die Gutmütigkeit, gute Eigenschaft. 2. das Schlechtsein, die Waarenlosigkeit, die Minderwertigkeit # das Gutsein, die Waarenbeschaffenheit.;

3. die Spärlichkeit, die Geringkeit, die Gefälligkeit # 3. das Gütchen, die Reichlichkeit, der Übermass, die Gefälligkeit.

Durch die illustrierten Beispiele wird es bewiesen, dass in den semantischen Varianten, wo die Antonymität der einzelner Mitglieder des antonymischen Wortpaares realisiert wird, gibt es auch identische distributionelle Markere. Auf Grund der Analyse der beliebigen semantischen Strukturen ist es möglich, für jede semantische Variante die Einheiten der antonymischen Relationen genau festzustellen und den Charakter der Antonymität jeder konkreten Einheit zu präzisieren. und ausserdem im Rahmen verschiedener lexikalisch-grammatischen Klassen zwischen den identischen Stämmen der sprachlichen Einheiten Unterschiede oder Ähnlichkeit antonymischer Relationen in jeden einzelnen Fällen und die Spezifik im Rahmen der lexikalisch-grammatischen Klassen der Substantive zu zeigen und objektive Schlussfolgerungen zu ziehen.

In der mehrdimensionalen Struktur der Substantive fallen die semantischen Varianten mit den Antonymen seltener zusammen. Als Beispiel wird hier das Substantiv “Zusatz” angeführt, wo in der dreidimensionalen Struktur dieses Substantivs alle drei Varianten ihre Gegenwörter haben. z.B. 1. das Hinzufügen, die Zugabe, Beigabe #1, das Wegnehmen, Abstreichen, Kürzen; 2. das Hinzugefügte, das Beigegebene #2. das Weggenommene, das Gestrich-

ene; 3. die Ergänzung, , der Nachtrag #3. die Abnahme, die Verringerung, die Verminderung. Nach der Dimensionanalyse der Substantive wurde mehrmals festgestellt, dass es erschwerlich ist, für jede konkrete Substantive antonymische Wortpaare auszusuchen.

#### Literaturverzeichnis

1. Klappenbach R.
2. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag . Berlin. !970-1977.
3. Görner H.
4. Synonym-Wörtetrbuch. Leipzig.VEB.Sinnverwandte Ausdrücke der deutschen Sprache. Bibliographisches Institut. 1980.
5. Agricola Chr.
6. Wörter und Gegenwörter. Antonyme der deutschen Sprache. VEB. Bibliographischers Institut. 1979.
7. Bnding K. D.
8. Deutsches Wörtetrbuch. 1990.
9. Duden-Deutsches Universal Wörtetrbuch. A-Z. Dudenverlag. Mannheim/Wien/Zürich. 1983
10. Wahrig G. Deutsches Wörtetrbuch. Mosaik V erlag. Lexikothek.1980.

#### რეზიუმე

#### ოპოზიციურ მიმართებათა კვლევა არსებითი სახელების ლექსიკურ-გრამატიკული კლასიდან დაპირისპირებულ ერთეულთა ცალკეული ნიმუშების ანალიზით.

ნინამდებარე სტატიაში ჩვენ შემოვიფარგლეთ არსებითი სახელების ლექსიკურ-გრამატიკული კლასიდან დაპირისპირებულ ერთეულთა ცალკეული ნიმუშების ანალიზით.

მასალის შესწავლა განხორციელებულია როგორც პარადიგმატიკურ, ისე სინტაგმატიკურ დონეზე. პარადიგმატიკურ დონეზე კვლევის ჩატარების პარალელურად ანალიზის გავრცობა სინტაგმატიკური დონის მონაცემებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საბოლოოდ შედეგების ობიექტურობას უზრუნველყოფს. სინტაგმატიკური დონის კვლევაში ჩართვა განაპირობა არსებითად სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის მისი დისტრიბუციის , ვინრო თუ ფართო კონტექსტის რელევანტურობამ. გამოკვლეულ იქნა დაპირისპირებულ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურები და ყოველი ცალკეული სემანტიკური ვარიანტის სემური შემადგენლობა.

კვლევის ამგვარი თანმიმდევრობით შესაძლებელი ხდება თითოეული სემანტიკური ვარიანტისათვის შესაბამისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულების მართებულად დადგენა და ოპოზიციურ მიმართებათა სახეობების დაზუსტება.

სემანტიკური ვარიანტების ფარგლებში შექმნილ დაპირისპირებულობის ობიექტურობის შემომების უტყუარ საშუალებად ოპოზიციურ ერთეულთა სემური შემადგენლობის ანალიზი გვევლინება.

ოპოზიციური ნყვილის შექმნის გარდაუვალ პირობად განიხილება დაპირისპირებულ ერთეულები-

სათვის საერთო არქისემის არსებობა, რომელიც წყვილის თითოეულ წევრში დაკონკრეტებული სახით განიცდის რეალიზაციას.

ამავდროულად მართებულად მივიჩნით ლექსიკოგრაფიულ შრომებში დაფიქსირებულ ყველა იმ დერივატიული ელემენტების დაზუსტება, რომლებიც ძირეულ სიტყვას უკუმნიშვნელობას შესძენს. ანტონიმიურ წყვილთა სემური შემადგენლობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო არსებითი სახელების ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ფარგლებში ანტონიმთა სხვადასხვა სახეობების გამოკვეთას და კლასიფიკაციას.

## SUMMARY

### The Antonymic Relations within a Lexical and Grammatical Class of Nouns

In this paper we try to analyse of separate samples of opposed units from a lexical and grammatical class of nouns.

Studying of a language material has been made both on paradigmatic and at syntagmatic level. At paradigmatic level in parallel carried out research analysis, the distribution with data of syntagmatic level is considered as

## მანანა კვატაია

### ინტელექტუალურ სივრცეთა წარმტაცი უსაზღვროება

#### (გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემის გამო)

1962 წლის აპრილითა დათარიღებული ჟენევაში, გერმანულ ენაზე დაწერილი გრიგოლ რობაქიძის “როდომო სუა”, რომელიც ავტორს გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მომავალი თაობებისათვის დაუწერია. “არ უნდა იცოდნენ, ვინ ვარ?”, - სწერდა იგი თავის რჩეულს, გიტა ფონ შტრახვიტცს.

ამ თხზულების დასაწყისში მწერალი მიუთითებს: “ჩემს სამშობლოში, საქართველოში, ჩემი სახელი განსაკუთრებულად დიდი იყო. ოც წელზე მეტხანს (1908-1930) მე იქ ლიტერატურის სფეროში ვმუშაობდი. მონიშნულმდეგეები ჩემი მდგომარეობის გამო მეზრდოდნენ, მაშინ, როდესაც მე ერთხელაც არ დამჭირვებია მათთან შეხება”. უცხოეთში ემიგრირებული რობაქიძის ევროპულ იმიჯს კი “როდომო სუა”-ს სხვა ფრაგმენტები ახასიათებს. ესადა ბეის (ლევ ნუსიმაზუმი, იგივე ყურბან საიდი) 1933 წელს დაუწერია: “უჩვეულო რამაა, რომ მწერალი, რომლის მხოლოდ ორი თხზულებაა (იგულისხმება “გველის პერანგი” და “მეგი”) – ცნობილი გერმანელი პუბლიკისათვის, უმაღლეს გენიოსად გამოვაცხადოთ! რობაქიძის შემთხვევაში კი გამოწვევის უნდა დაფუძვალთ”.. “რაბინდრანათ თავორი გახლდათ პირველი, ვინც აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ საუკუნეების ხანგრძლივობის დუმილი დაარღვია.. მას ახლა გ.რ. მოსდევს., თუმცა რობაქიძე უფრო პირველადია და მიწასთან დაკავშირებული, ვიდრე ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი” (სტატია “ცჰო დერ ძეიტ”-ში, რვეული 2,

reasonable that at last will provide objectivity of results. Inclusion of syntagmatic level in research was caused essentially by relevance of distribution of a narrow or wide context for word meaning realization.

We have investigated semantic structures of opposed units and seme structure of each separate semantic option.

The sequence of such research for each semantic option gives the chance of true formation of the corresponding lexical units by the opposed values and specification of versions of the oppositional relations. Formed within semantic options it is necessary to consider as exact way of define of objectivity of formed opposed variants it should be considered the analysis of seme structure of oppositional units. The main condition of formation of oppositional pairs is considered the presence of the general arch-seme opposed units which are realized in each members of antonymic pairs in the form of a specification.

Specification of all derivational elements was rightly considered which are fixed in lexicographic works and give return value to the main word.

Results of research of semantic structure of a seme structure of antonymic pairs formed a basis of allocation of different types antonyms within a lexical and grammatical class of nouns and their classification.

ბერლინი, 1933).

შესაძლოა, ზემოთ მოტანილი სტრიქონები დღეს ვინმემ გადაჭარბებდა, რობაქიძის მიერ საკუთარი თავის განდიდების მცდელობად ჩათვალოს. ამ მოსაზრების მცდარობას გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა ხუთტომეულის საარქივო გამოცემა ცხადყოფს, რომელიც კომპანია “მაგთის” სპონსორობით დაიბეჭდა. ამ ვრცელ ტომეულებში წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძე, როგორც მრავალმხრივი შემოქმედი – პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, დრამატურგი, დიდად განათლებული მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ლიტერატურის, თეატრის, კინოს თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ქართული მწერლობის რეფორმატორი, მოდერნიზმის ფუძემდებელი და ევროპეიზმის შემომტანი საქართველოში, ქართული ინტელექტუალური აზრის ლიდერი და საჭეთმპყრობელი, აღიარებული მეტრი, ნობელის პრემიის ნომინანტი.

ეს სოლიდური გამოცემა, რომელიც ერთად პირველად გვთავაზობს გრიგოლ რობაქიძის სამეცნიერო (ქართულ, რუსულ, გერმანულენოვან) ნაწერებს, ქართული ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელის, ლალი ცომაიას 10 წელზე მეტი ხნის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. მკვლევარს შეუკრებია და გამოსაცემად მოუმზადებია 1910-1920-იანი წლების ქართულ და რუსულ პრე-

საში დაბეჭდილი დიდძალი მასალა, საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში გამოვლენილი ახალი ტექსტები, დაუდგენია მრავალი თარიღი, ყოველი ტექსტისათვის სათანადო პასპორტები და კომენტარები დაურთავს, რაც მკითხველს მნიშვნელოვან სამეცნიერო ინფორმაციას აწვდის. სათანადოა დაშუქებული ყოველი ტომის ბოლოს დართული სახელთა ანოტირებული საძიებლები.

პირველი ტომის წინასიტყვაობაში “რობაქიდის დაბრუნება” მისი ავტორი პაატა ნაცვლიშვილი მართებულად შენიშნავს: “ნახევარი საუკუნის განმავლობაში მისი სახელი ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან”. მრავლისმეტყველია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქართული სათვისტომოს თავკაცის, ნიკო ნაკაშიძის სიტყვები: “საქართველოში ვერ მოიხსენიება იმ ქართველის სახელი, რომელიც მეთაურია საქართველოს მოდერნულ კულტურულ განვითარებისა, იმისი სახელი, ვინც დავინწყებული ქართული ფილოსოფიური ენა ისევ აამეტყველა და ქართული ლიტერატურა ისევ ევროპისაკენ მიაბრუნა.”

გამოცემის პირველი ტომი გრიგოლ რობაქიდის პოეზიას, პროზას – ნოველებს, მინიატურებს, რომანებს წარმოადგენს, მეორე, მესამე და, ნაწილობრივ, მეოთხე ტომები პუბლიცისტიკას ეძღვნება. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ღირებულია მეოთხე ტომში შეტანილი რობაქიდის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომლის დიდი ნაწილი პირველად იბეჭდება. მეხუთე ტომი სხვადასხვა ხასიათის ნაწერებსა და მწერლის გერმანულენოვანი თხზულებების რუსულ ტექსტებს მოიცავს (მათი მთარგმნელი სერგო ოქროპირიძეა).

1923 წელს რუსულ ენაზე დაწერილ თავის სხვა “როდომო სუა”-ში გრიგოლ რობაქიძე მიუთითებდა: “ძენელია, წერო საკუთარ თავზე. ან მეტისმეტად თავმდაბალი იქნები, ან მეტისმეტად კადნიერი. სიმართლე ორივე შემთხვევაში არ იქნება”. არადა, ამ ხასიათის ავტორისეული ტექსტები მწერლის შემოქმედებითი და მსოფლმხედველობითი კრედოს დასადგენად მკითხველს ფასდაუდებელ დახმარებას უწევს. მეტიც, გრიგოლ რობაქიდის ცხოვრების გზა და შემოქმედება ჯერ კიდევ არაა სრულად შესწავლილი და გაანალიზებული. ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა ამ მხრივაც უნიკალური ღირებულებისაა. პუბლიცისტური თუ ეპისტოლური ტექსტები მრავალ დეტალს გვაზუსტებინებს.

წინამდებარე ვრცელი ხუთტომეული ნათელყოფს, რომ გრიგოლ რობაქიდის შემოქმედებითი თემატიკა ძალზე მრავალმხრივი და მრავალნახნაგოვანია. სამეწიროვანი მწერალი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, თავისი დროის მოუსყიდველი მემბტიანეცაა. შეუძლებელია ბოლშევიზმის, როგორც მოვლენის, თუ მისი ცალკეული ცნობილი წარმომადგენლის ქმედებათა არსს ჩასწვდეს რობაქიდის ნაწერების გათვალისწინების გარეშე. ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს ლეოპოლდ ციგლერს, რომელსაც მწერლის “ჩაკლული სული” და “მცველნი გრალისა” წაუკითხავს, ამ რომანებისათვის უწოდებია “პირველი პოლემიკა რევოლუციისათვის”. ციგლერის აზრით, ამ ტექსტებით “თანდათან შეიქმნა აპოთეოზი საქართველოსი”, და, რადგან “გველის პერანგი” ამ ორი თხზულების პრელუდიაა, მომავალში სამივე ერთად უნდა გამოიცეს, ვითარცა “ქართული

ტრილოგია”. ეს ტრილოგია, ამავე დროს, იქნებოდა საოცარი ძლევა რევოლუციისა, ესე იგი, ბოლშევიზმისა”. ცალკე საუბრის თემაა მწერლის თანამედროვე თუ ისტორიულ პირთა შეუდარებელი რობაქიდისეული პორტრეტები, რომლებსაც წინამდებარე გამოცემა უხვად გვთავაზობს.


გრიგოლ რობაქიძე არა მხოლოდ უნიკალური ნიჭის, ორიგინალური ხედვისა და მსოფლალქმის შემოქმედია, არამედ იგი მეოცე საუკუნის დასაწყისის და, საერთოდ, თანამედროვე ქართული აზროვნების სათავეებთანაც დგას. არსებობს მოსაზრება, რომ “გადასახედია ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში მყარად ფესვგადგმული აზრი, რომლის თანახმად, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების დამწყებად მიჩნეულნი არიან: შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, დიმიტრი უზნაძე და ა.შ.” (თენგიზ ირემიძე). გრიგოლ რობაქიდის წერილები არა მარტო თეორიული და ისტორიული ფილოსოფიის პრობლემებს, არამედ სოციოლოგიის საგანს, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების ასპექტებს, ოჯახის სოციოლოგიისა და კულტურის მეცნიერებათა აქტუალურ კონცეპტებს ეძღვნება. ერთად თავმოყრილ ამ ტექსტებს სწორედ წინამდებარე ხუთტომეული გვთავაზობს.

გრიგოლ რობაქიდის მთელი რიგი კონცეპტუალური თხზულებები ცნობილ გარემოებათა გამო ქართველი მკითხველისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია. მათი გამოვლენა და პუბლიკაცია მომავლის საქმეა. გერმანელი მკვლევარი მარგრეტ შუხარდი, რომელიც მწერლის არქივის ბედს ეხება, თავის გამოკვლევაში ჩამოთვლის რობაქიდის იმ გამოუქვეყნებელ თხზულებათა სათაურებს, რომლებიც არმან ზიგრისტს აღუწერია: 1. “ფრიდრიხ ნიცშე”, მეტაფიზიკური პორტრეტი (1948, 21 გვერდი); 2. “მოსე” (1946, 125 გვერდი), იქვე, “ისრაელი, ვითარცა საიდუმლო და ბედისწერა”; 3. “ნესუსის პერანგი”, “ავალონ კარდუელის” ფსევდონიმით (81 გვერდი, სტალინზე 9 გვერდამდე); 4. “იზისის ენგადი” (20-და 57 გვერდამდე); 5. “ატლანტური ზმანება” (67+5 გვერდი); 6. “წერილები მსოფლიოს” (“ავალონ კარდუელის” ფსევდონიმით); 7. “რასპუტინი, რუსი ენქიდიუ” (20 გვერდი); 8. “საქართველო მის მსოფლხატში” (იქვე მისი ფრანგული თარგმანი); 9. “შეხვედრები” (ციგლერთან, კაიზერლინგთან, ბლიუერთან).

გრიგოლ რობაქიძეს, ნიცშესა და სხვა ცნობილ მოაზროვნეთა მსგავსად, მარადიული დაბრუნების იდეა იტაცებდა, რომლის თანახმად, არა ადამიანი ბრუნდება მარადიულად, არამედ ცალკეულ ადამიანში მარადისობა უბრუნდება საკუთარ თავს. ხუთტომეულის მრავალი ტექსტი სწორედ მარადისობის კონცეპტის მწერლისეული ძიების დადასტურებაა. ეს იდეა სიმბოლური გახდა თავად რობაქიდისათვის. დიას, მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობაც ბრუნდება, ბრუნდება, მაგრამ ეტაპობრივად. მკითხველის შეხვედრა მწერლის თხზულებებათა ყოველ ახალ გამოცემასთან თავისუფალი აზრის დიდი დღესასწაულია. ეს შესანიშნავი ტომეულები ერთხელ კიდევ ცხადყოფს გრიგოლ რობაქიდის აზროვნებისა და მსოფლალქმის ფართო დიაპაზონს, ამასთან, დაინტერესებულ მკითხველს უშურველად აზიარებს ინტელექტუალურ სივრცეთა წარმტაც უსაზღვროებას.

ნიკო ხერკელაძე

(ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატი)



\* \* \*

1578 წელს, შემოდგომაზე სიმონ მეფე უკვე საკმაოდ ჯანმრთელობა მომაგრებული და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი, დაბრუნდა ირანიდან საქართველოში. (გავიხსენოთ პირველად შაჰ-ისმაილ II-ის მიერ იქნა გამოყვანილი ალამუთის ციხიდან და წელიწადზე

მეტი კარგ პირობებში იმყოფებოდა). ჩამოსვლისთანავე შეუდგა ქართლში ოსმალთაგან დაკავებული ციხეებიდან მათ განდევნას. მან წლის ბოლომდის მოახერხა გორის ციხიდან და ლორეს ციხიდან ოსმალთა განდევნა. იმავე წელს სიმონ მეფემ თბილისში გამაგრებულ ოსმალთა გარნიზონს ალყა შემოარტყა, გადაკეტა დედაქალაქთან დამაკავშირებელი ყველა გზა. თბილისში ოსმალურმა გარნიზონმა შიმშილი დაიწყო, იქამდისაც მისულა საქმე, რომ ერთი ქილა პურის ხორბალი „ათასი ახჩა“ ღირებულა. მტრისათვის ძნელი საშოვარი გამხდარა კატისა და ძაღლის ხორციც კი. ეს მოვლენა ძალზე შემამფოთებელი შეიქნა ოსმალთა სასულთანოსათვის. მაშინდელ თბილისის ბეგლარ-ბეგს მეჰმედ-ფაშას როგორღაც მოუხერხებია ოსმალეთში შიკრიკის გაგზავნა. ეს შიკრიკი არზრუმში მდგარ ლალა-ფაშასთან მისულა და მეჰმედ-ფაშას დანაბარები, თბილისში მდგარი ოსმალთა უკიდურესი მდგომარეობა შეუჩივლია, სასწრაფოდ ჯარი და სურსათი მიეშველებინათ. ლალა-ფაშამ მანუჩარ-მუსტაფა გამოგზავნა ჯარითა და სურსათით მომზადებული. ეს ამბავი მანუჩარ-მუსტაფას მონინააღმდეგე მესხებმა სიმონ მეფეს შეატყობინეს. ოსმალურ ჯარს თბილისამდის რომ ვერ ჩამოეღწია, სიმონ მეფემ გადაწყვიტა მათი გზაშივე განადგურება. თბილისის ალყის ხელმძღვანელობა, მოკავშირე ყიზილბაშთა სარდალს ალი-ყული-ხანს ჩააბარა და თვითონ მანუჩარ-მუსტაფას დასახვედრად გაემართა. ბორჯომის ხეობის მიდამოებში, ვინრო სავალი გზა შეარჩიეს, ჩაუსაფრდნენ საშიშროება არ მომლოდინე ოსმალებს. მტრის გამოჩენისთანავე ქართველებმა შეუტიეს და მალე უპირატესობაც მოიპოვეს. მტრის ჯარი დაფრთხა და ელდა-დაცემულნი უკან გაბრუნდნენ. ქართველებმა მათ დევნას თავი ანებეს. სიმონ მეფის ბრძანებით თბილისში დაბრუნდნენ. ოსმალური გარნიზონი უსურსათოდ დარჩა. მათი დაახლოვებით, ოთხიათასკაციანი დაშიშნული ჯარიდან ცოცხალი შვიდას კაცამდის დარჩენილან. ოთხთვიან ალყას ოსმალთა ციხიონი ძლიერ დაუზარალებია.

ლალა-ფაშამ ხელმეორედ 12 ათასიანი ოსმალური ჯარი გამოყო, სურსათ-სანოვავით შეამზადა, სარდალად მუსტაფა-ფაშა დაუნიშნა და თბილისისაკენ გამოისტუმრა. მუსტაფა-ფაშამ ხერხი გამოიყენა, მანუჩარ-მუსტაფას ჯარის ნაწილი გამოუყო და უბრძანა, სიმონ მეფის თვალის ასახვევად, შიდა ქართლის სოფლებს შესეოდა. მუსტაფა-ფაშას ძირითად

ჯარს ამ ხერხით თბილისამდის გზა ეხსნებოდა. სიმონ მეფემ თბილისის ალყის მეთვალყურეობა ისევ ალი-ყული-ხანს ჩააბარა და თვითონ მანუჩარ-მუსტაფას დასახვედრად გაეჩქარა. ამასობაში ოსმალური ჯარის ძირითადი ნაწილი დმანისის გზით თბილისს მოადგა, მათ ალი-ყული-ხანის ალყა გაარღვიეს და თბილისის კარიბჭეში შეაღწიეს. თავიანთ თანამოძმეებს დიდძალი სურსათი და ახალი ჯარის შევსება დაუტოვეს ჩერქეზი კასიმ-ბეის მეთაურობით. ეს მოვლენა სიმონ მეფეს თავისმა ხალხმა სასწრაფოდ აცნობა, მეფე მიხვდა მტრის მიზანს, მანუჩარ-მუსტაფასთან ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. სიმონ მეფემ გადაწყვიტა, ძვირად დაესვა ამდენი ხნის გულმოდგინე ალყის მერე თბილისის კარიბჭეში ოსმალთა შესვლა. თბილისიდან მობრუნებულ მუსტაფა-ფაშას ჯარს ისევ დმანისის ხეობით უნდა ევლო. სიმონ მეფემ ისევ ამ ხეობაზე აიღო ორიენტაცია. ხეობაში გასასვლელი გზა მოჭრილი ხეებით გადაკეტეს და ქვის საგორავებით აავსეს. ხეობაში შესული მტრისათვის ქართველებს ზურგის მხრიდან უნდა მიეტანათ იერიში. ამით უკან გასაქცევ საშუალებას მოუსპობდნენ. ამაზეა ნათქვამი „წინ – წყალი და უკან – მენყერი“. როგორც კი მტრის ჯარი მთლიანად შევიდა ხეობაში, სიმონ მეფემ იერიში ბრძანა, ყიჟინა დასცეს ქართველებმა. მტერს წინ გზა ხერგებით გადაეკეტათ. ხეობის ორივე მხრიდან ჩასაფრებული ქართველები ისრებით უტევდნენ. უკან გაქცევის ცდაც მოესპოთ. დაღამების ხანს მტრის გვამებით აივსო ხეობა. 12 ათასიანი ჯარიდან რამოდენიმე ასეულმა ძლივს გაასწრო სასაკლაოს. მუსტაფა-ფაშას ჯარს ძვირად დაუჯდა თბილისის კარიბჭეში შეღწევა. გამარჯვებული სიმონ მეფე თბილისში დაბრუნდა, ისევ მტკიცედ შეკრა თბილისის ალყა. უნიათო მოკავშირე, ალი-ყული-ხანი, მხოლოდ ხელებსა და ასავსავებდა თავისი უმწეო მდგომარეობის გამოსახატავად.

ისევ განგაშმა მოიცვა სასულთნოს კარი. ლალა-ფაშამ მუსტაფა-ფაშა სარდლობიდან სასწრაფოდ გადააყენა, თავი მოუყარა ოცი ათასიან ოსმალურ ჯარს, სარდალად ჰასან-ფაშა დანიშნა და ისევ საქართველოსაკენ დასძრა. (დავაკვირდეთ, სასულთნოს კარი, სარდალად დანიშნულ პირებს, სიმონ მეფესთან უშედეგო ბრძოლებში, ხშირად ცვლის).

სიმონ მეფის მოკავშირე ყიზილბაშმა სარდალმა, ალი-ყული-ხანმა თბილისის ალყის ხელმძღვანელობა ვერ გაუმართლა, ამ ეტაპზე თბილისის პატრონობა ქართველებს ჩააბარა, თავისი ჯარი დასძრა და ჰასან-ფაშას შესახვედრად დმანისის ხეობას მიაშურა. იმ გზას, რომელი ცნობითაც მტრის ჯარი თბილისისაკენ მოემართებოდა, სიმონმა ხეობის ორივე მხარეს ყიზილბაში ალი-ყული-ხანის ჯარები ჩაასაფრა, მთავარი ქართული ჯარით ხეობის სიღრმეში შევიდა და ორივე მხარეს ქართული ჯარი ნაწილ-ნაწილ განაღვა. სიმონ მეფისაგან ქართული ჯარის ნაწილს დაევალა უჩინარად შემოვლითი გზით ხეობის ბოლოში ჩასაფრებულებიყვნენ. აქაც, საომარი განგაშის დროს, მტრისათვის უკან გაქცევის გზა შეეკრათ. სიმონ მეფის მიზანი იყო, როცა ჰასან-ფაშას ჯარები ხეობაში სიგრძივ გველმეპივით გაიჭიმებოდა, აი მაშინ უნდა

ემოქმედათ ქართველებს და ალი-ყული-ხანის ჯართან ერთად ეს გაჭიმული ჯარი დაენანვერებინათ უფრო მოსახერხებელი განადგურებისათვის. როცა მტრის ჯარის ბოლო მეომრები შევიდნენ ხეობაში, ანთო ცეცხლის ნიშნები, ქართველებმა ახსნეს ქვის საგორავები და მერე უკვე ხმალი-შუბით მიესივნენ ოსმალებს. მტრის ჯარი ნაწილ-ნაწილ დაიჩეხა, აგორებულმა ქვებმა ცალკე მტრის ცხენები, ცალკე მათი მეომრები იმსხვერპლეს. მეორეს მხრივ ჩახერგეს სავალი გზა, მტერს მოძრაობის საშუალება მოუსპეს. „სულ დანით-ლდა გზის პირნი და კლდის კაპანი“, ზოგმა ოსმალომ ხმლის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე ცვიოდნენ ცხენ-კაციანად უფსკრულებში.

არ შეიძლება ამ ომმა მკითხველს „ქსნის ომი“ არ გაახსენოს, სადაც გ. სააკაძის თაოსნობით მტრის 12 ათასამდის ჯარი განადგურდა.

ჰასან-ფაშამ, მიუხედავად ასეთი ომისა, მაინც მოახერხა ქართველთა სასაკლაოს გარღვევა. მათ ტყვედ იხელთეს ალი-ყული-ხანი და თბილისის კარიბჭეს მიაშურეს.

დმანისის ხეობაში ბევრი ოსმალო გაიჟლიტა. ოცი ათასიდან რვა ათასი ქართული ხმლების ანანერა გახდა, მაგრამ მაინც ბევრნი იყვნენ ეს წყეულები. მტერმა მოახერხა თბილისში შესვლა, სასომიხილო ოსმალებს ჰასან-ფაშამ ახალი შევსება, სამი ათასი მეომრის სახით და სურსათით, დაუტოვა, თან ახალი ბეგლარ-ბეგი, აჰმედ-ფაშა ჰაჯი-ბეგი-ზადე დაუნიშნა, თვითონ მალე უკან გამობრუნდა. ალი-ყული-ხანის ნასწავლი გზით ენადა ოსმალეთში დაბრუნება. „ფრთხილად ვიდოდნენ ურუმნი“, მაგრამ ჰასან-ფაშაზე ფრთხილი და უფრო თადარიგაინი თავის მიწაზე მდგომი სიმონ-მეფე იყო.

დმანის-მარნეულს შუა ერთ შერჩეულ ადგილას სიმონ მეფის ქართველობა იყო ჩასაფრებული. როგორც კი ალი-ყული-ხანის ვითომ ნასწავლი გზით მტერი მოხერხებულად მიუახლოვდა ქართველთა სამალავებს, რასაც არ ელოდნენ, სიმონ მეფის ჯარი გრიგალივით თავს დაესხა ოსმალებს. „ქართველთა გააპეს რაზმები ურუმთანი, ცხენიდან გადმოჰყარეს მრავალნი და გაიარეს შიგან“. ქართველებმა ისე ამოსწყვიტეს ჯარი ურუმთანი, რომ ცხენზედა მჯდომნი კაცნი თითო-ოროლადა დარჩაო – გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“.

ამ ბრძოლაში თბილისიდან ოსმალების მიერ ნამოღებული განძი ქართველებმა უკლებლივ უკან დაიბრუნეს. ჰასან-ფაშამ ძლივს მოუყარა თავი თავის ნაფლეთებად ქცეულ ჯარს, სული მოითქვეს და ძლივს ჩააღწიეს ყარსს სადაც ლალა-ფაშა იდგა.

რაკი ორი წლის მანძილზე უშედეგოდ იღვრებოდა ოსმალთა სისხლი, ქართლის დამორჩილება და სიმონ მეფის, მისი დაუღლეი ქართველების დამარცხება შეუძლებელი ხდებოდა, ოსმალეთი შეეცადა ქართველ მეფესთან მოლაპარაკება გაემართა. ოსმალეთიდან მალე წერილიც გამოიგზავნა მურად სულთანის დავალებით სიმონ მეფის სახელზე, სადაც იტყობინებოდა: ქართლი შენ უნდა გეკუთვნოდეს, სხვა გვარად არ ეგების, ჩვენ ოსმალეთს მხოლოდ თბილისი გვჭირდება, შენი გურჯისტანი ფადიშაჰის მფარველობაში მოისვენებს და ჩვენც სასურველი მოკავშირეები შევიქმნებით.

სიმონ მეფისთვის ოსმალეთის ულტიმატუმი მიუღებელი იყო. თუ საქართველოს გულს, თბილისს, ოსმალები დაეპატრონებოდნენ, ეს იმას ნიშნავდა,

რომ შემდგომში მთლიანი ქართლის დაპატრონებას შეეცდებოდნენ.

ოსმალეთის მხარემ სიმონ მეფისაგან ცივი უარი მიიღო.

ბოლმე-მორეულმა სულთან-მურად III-მ ლალა-ფაშა მთავარსარდლობიდან გადააყენა, მის ადგილას უფრო საიმედო სინან-ფაშა დანიშნა. 1580 წელს სინან-ფაშა ოსმალური ჯარით საქართველოსაკენ დაიძრა. დმანისთან მოვიდნენ და იქ დაიბანაკეს. თბილისში ჩაღწევა ენადათ, შიში დიდი ჰქონდათ. უფრო დიდი შიში ისევ ოსმალეთიდან ელოდა სინან-ფაშას, თუ თბილისში ოსმალურ გარნიზონს ჯართა და სურსათით ვერ უზრუნველყოფდა, მას მთავარსარდლობიდან გადაყენება ელოდა. დმანისიდან თბილისამდის ჩამოსვლას სინან-ფაშას ჯარებს ორი თვე დასჭირვებიათ, იმდენად ავინროვებდნენ სიმონ მეფის მფრინავი რაზმები. მტერმა თავისი სიმრავლის გამო მაინც მოახერხა თბილისში შესვლა და თავიანთი თანამოძმეების სურსათით უზრუნველყოფა. უკან მობრუნებული სინან-ფაშას ჯარები, სანამ საქართველო-ოსმალეთის საზღვარს გადაკვეთდნენ, (ეს დრო ცალკე და მანძილი) სიმონ მეფის ხელში იყო. დღე-დღეზე თხელდებოდა ოსმალთა რიგები. მართალია, ოსმალებმა, დიდი ხარკის გალებით, ორჯერ მოახერხეს თბილისში შეღწევა და ოსმალების სურსათითა და ჯარით მომარაგება, მაგრამ თბილისში მდგომი სამი ათასიდან ხუთი ათასამდის ოსმალოს გამოკვებას და ხელახლა ჯართი შევსებას ათი ათასამდის და მეტი ოსმალო ეწირებოდა. ამიტომ ოსმალეთს ყიზილბაშურ ირანთან და საქართველოსთან მოლაპარაკება ჰქაერივით სჭირდებოდა. ირანიც, თავის მხრივ, ცდილობდა ქართველებთან მოკავშირეობა და ოსმალეთთან მოლაპარაკება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

საქართველო-ოსმალეთის მოკავშირეობა თითქოს შედგა, მაგრამ ორივე მხარემ მშვენივრად იცოდა ეს მოკავშირეობა ფორმალურ ხასიათს რომ ატარებდა. სიმონ მეფის მიზანი იყო ოსმალებს თბილისიდან თავიანთი ციხიონი გაეყვანათ, ოსმალეთი კი წელს ითრევადა.

1582 წელს სიმონ მეფემ, მოკავშირე ყიზილბაშებთან ერთად, ოსმალეთთან ომი ისევ განაახლა. ისევ თბილისში მყოფ ოსმალურ გარნიზონს მიაღდგნენ და ალყა შემოარტყეს. ოსმალურ ციხიონს ავი დღეები დაუდგათ. ისინი თავიანთ თანამოძმეებისაგან სასწრაფო დახმარებას ელოდნენ. სულთანმა ამ საქმის შესრულება დიარბეჭირის ბეგლარ-ბეგს, მეჰმედ-ფაშა ხადიმს დაავალა. იგი წარმოშობით ქართველი იყო. ის თხუთმეტი ათასი ოსმალო მეომრით სწრაფად გამოეშურა თბილისისაკენ. ოსმალთა მისამველებლად გზაში მანუჩარ-მუსტაფაც შეუერთდა მესხეთის ჯარით, რომელიც ახალციხე ჩილდირის ბეგლარ-ბეგი იყო. დმანისის გზას თავი აარიდეს, ამ გზაზე ოსმალებს ბედი არ წყალობდათ. ცენტრალური ქართლის გზით მოვიდნენ და მუხრანთან ახლოს დაიბანაკეს ორივემ, ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარმა ქართველებმა – მეჰმედ-ხადიმმა და მანუჩარ-მუსტაფამ.

სიმონ მეფისათვის ეს მოვლენა ცნობილი შეიქმნა. გათენების ხანს, როცა მტერს ისევ არხეინად ეძინა, სიმონის ჯარი მტრის ბანაკს გარს შემოერტყა, შეიქმნა ფხიზელ ქართველთა და ძილ-ბურანში მყოფ ოსმალთა სისხლის მღვრელი ომი, იძლივა მტერი, მრავალი ოსმალო განადგურდა, ნაწილი ტყვედ ჩაბარდა ქართველებს, მათთან ერთად ორმოცი საპალნე აქლემი.

მეჰმედ-ფაშა ხადიმს მაინც მოუხერხებია გაქცევა, სამცხეში მივიდა და „ოქროს ციხეში“ დაბანაკდა.

მეჰმედ-ფაშა საგონებელში ჩავარდა მუხრანთან დიდი მარცხის გამო. ამოდენა ზარალს სულთანი არ აპატიებდა. მან მოიფიქრა, ვინმესთვის დაებრალებინა ეს მუხრანული მარცხი. თავისი მდგომარეობის გამოსასწორებლად მან სულთანს აუწყა, რომ მანუჩარ-მუსტაფა გადაგვიდგა, სიმონ მეფეს მალულად აცნობა მუხრანში ჩვენი დაბანაკება; გურჯები ისე დაგვესხნენ თავს, ჩვენ ცხენებზე ამხედრებაც ვეღარ მოვასწარიტო. სულთანმა მანუჩარ-მუსტაფას ლიკვიდაცია ბრძანა. (შესაძლოა, მანუჩარის სულის წიაღში სამშობლოს სიყვარულმაც გაიღვიძა და ოსმალების მიზანი, მუხრანში დაბანაკება, სიმონ მეფეს წინასწარ მართლაც მან შეატყობინა).

მეჰმედ-ფაშამ მანუჩარი სათათბიროდ იხმო, მან სამი ათეული მესხით მეჰმედ-ფაშას კარისაკენ გასწია, სიტყვა-უძრავად შეხვდა მანუჩარს მეჰმედ-ფაშა, დათქმულ ნიშანზე ხმალი ამოანივლა თურქმა, მანუჩარმა აიცილა, მეორეჯერ ხმლის მოქნევა აღარ აცალა, გამოსტაცა თავის ხმალი და ისეთი დაუშვა თურქის მხარ-კისერზე, რომ შუა გააპო. იმ წამსვე მეჰმედ-ფაშასაკენ გასწია, წინ ისევე თურქი სარდლები გადაელობნენ, მათგან ერთ-ერთს ისეთი ძალით შემოჰკრა თურქული ხმალი, რომ მისი თავი მეჰმედ-ფაშას ჩაუვარდა ხელებში. ერთ მოწინავე სარდალსაც მან უმალ მზე დაუბნელა. მალე თავისი მესხებიც მიეშველნენ მანუჩარს, ყველა დაფანტეს. იმ დღესვე მანუჩარ-მუსტაფა თავისი მესხებით სიმონ მეფისაკენ მიჰქროდა ცხენებით.

1583 წელს მანუჩარ-მუსტაფა სიმონ მეფეს დაუმოყვრდა და ცოლად შეირთო მისი და ელენე. ქართული და სამცხე ამ შემთხვევამ ოსმალების წინააღმდეგ გააერთიანა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო საქართველოსთვისაც და ირანისთვისაც. ირანის კარს ეს მოვლენა ისე გახარებია, უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ზარ-ზეიმით საჩუქრები გამოუგზავნეს მანუჩარს. შესაძლოა, მანუჩართან დამოყვრების ინიციატივა სი-

მონ მეფემ უფრო გამოიჩინა, რადგან საქართველოს ბედი სიმონ მეფეს უფრო ანუხებდა, ვიდრე მანუჩარს. ამ მოვლენებში მკითხველი დაინახავს მსგავსებას შემდგომში გ. სააკაძესთან, როდესაც ის, მსგავსი ხერხებით ცდილობდა იმერეთის სამეფოსთან დამოყვრებას, იმ ხანად ირანის წინააღმდეგ გაერთიანებისათვის.

იმავე 1583 წელს სიმონ მეფემ, სიძის, მანუჩარის, მეშვეობით, რომელსაც ოსმალთა არმიასი მრავალი ნაცნობი ჰყავდა, ხაფანგის დასაგებად ხმა გაავრცელებინა: სიმონ მეფე ავად გამხდარა, იგი ტაბახმელაში ლოგინსაა მიჯაჭვული და სიკვდილს ებრძვისო. ეს ამბავი თბილისის მაშინდელ ბეგლარ-ბეგს ჰასან-ფაშას აუწყეს. ისიც ტაბახმელასკენ წამოვიდა ოსმალური ჯარით. რადგან ავად არის, კარგი დრო დაგვიდგა, ბოლო მოვუღოთ ამ დაუდგრომელ გურჯსო. სიმონ მეფესაც სწორედ რომ ასე ესურვებოდა. სიმონ მეფეს თბილისთან ახლოს ქართველ მეომართა რაზმები ჰყავდა ჩასაფრებული. როცა ტაბახმელაში მისული ოსმალური და ქართული ჯარი ურთიერთბრძოლაში ჩაებმებოდა, ვინც გადარჩებოდა ცოცხალი, ამ შემთხვევაში ყველა ოსმალს არ დახოცავდნენ. როცა გადარჩენილები ისევე თბილისს მიაშურებდნენ, აი მაშინ უნდა ემარჯვებოდა თბილისთან ახლოს ჩასაფრებულ ქართულ რაზმებს და გამოქცეულ ოსმალებთან ერთად, თბილისის კარიბჭეში შეჰყოლოდნენ. ტაბახმელაში ასულ ოსმალოებს სიმონ მეფე სალ-სალამათი დახვდათ. შეიქმნა ბრძოლა, მტერი რკალში მოექცა და „მისცა გამარჯვება ქართველთა“. სამ ასეულამდის გადარჩენილმა ოსმალებმა თბილისისაკენ იბრუნეს პირი. ქართველებიც გაჰყვნენ. თბილისისაკენ მიმქროლავმა ოსმალებმა ვერ შენიშნეს ჩასაფრებული ქართველობა, რომელნიც მათთან ერთად თბილისის კარიბჭის შიდა სივრცეში აღმოჩნდნენ. მწარე დღე გასთენებოდათ თბილისში მდგარ ოსმალურ ციხიონს. არც ერთი ოსმალს ვერ გადარჩენილა ცოცხალი. გამარჯვებას ზეიმობდა თბილისი, მის ძღვევამოსილ სიმონ I-თან და ქართულ ჯართან ერთად.

## ყუყუნა ნიჟარაძე

### ამ წერილის დაწერა განაპირობა ერლომ ახვლედიანის გახსენებამ.



ერლომ ახვლედიანს XX საუკუნის ახალგაზრდობა იცნობდა. იგი იყო ცნობილი პედაგოგის სერგო ახვლედიანისა და ვასინკა დადიანის ვაჟი.

ცნობილი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის ძმიშვილი.

მის საძინებელ ოთახში, კარადის კუთხეში, ნახშირით ეწერა ოჯახის წევრთა გვარი და სახელი. დედა ვარინკა დიასახლისი იყო, მადონა – არქიტექტორი, ერლომი – სცენარისტი. ანნა – შვილი (ჩვილი).

იგი იყო ცნობილი წიგნების „ვანო და ნიკო“, „ძველი და ახალი სახლები“, „კოლო ქალაქში“ – ავტორი.

ცნობილი ფილმის „არასერიოზული კაცი“-ს სცენარის ავტორი.

39 წლისამ დაიწყო ლექციების კითხვა.

პირველი რაც იყო, სტუდენტებს უთხრა „მე უნდა გასწავლოთ ის, რაც თვითონაც არ ვიცე“, იმ დღიდან

სტუდენტებს შეუყვარდათ თავისი ლექტორი, ვის ტყვეობაშიც აღმოჩნდნენ.

მათ იცოდნენ, რომ იგი იყო გასაოცარი წიგნების ავტორი.

მე თამამად შემძლია ვთქვა, რომ ერლომი ჩემი და ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი იყო. კარგად მახსოვს მისი ქორწილი. მე და ჩემი მეუღლე მერაბი ვიყავით მიპატიჟებული. ქორწილი აღნიშნა პლენაროზე დღეს დავით აღმაშენებლის ქუჩის №1 ყიფიანების ოჯახში. მისი მომავალი სიმამრი ნანა ყიფიანის მამა, ვასიკო ყიფიანი, იყო ჩემი დედამთილის ბიძაშვილი. ქორწილში მიპატიჟებული იყვნენ ნანას ნათესავები – ყიფიანები მამის მხრიდან: გუგული ყიფიანი თავის მეუღლით, ალიოშა ყიფიანი ლანკითიდან, მისი ძმა, ზურაბი, ასევე დედის ნათესავები, თაყაშვილები, მისი დეიდა ნუნუ, თავის მეუღლით, პეტრე. ერლომის მხრიდან მოპატიჟებულნი იყვნენ: მისი მამა, სერგო ახვლედიანი, მისი მეგობარი, კოლა გვანცელაძე, ისინი ერთად მუშაობდნენ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში. ძალიან ლამაზი წყვილი იყო ნანა ყიფიანი და ერლომ ახვლედიანი. თამადა იყო კოტიკო ყიფიანი (ბორისკა ყიფიანის მამა).

ეს ქორწილი ჩემთვის დაუვიწყარია. არაჩვეულებრივისიმღერები, რომლებსაც ასრულებდა თითქმის მაგიდის ყველა წევრი. ერლომს გვერდს უმშვენებდა ჩემი მამიდაშვილი გურამ რჩეულშვილი, მათ მომავალში შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც ანნო დაარქვეს. მე და ერლომი ხშირად ვხვდებოდით, როგორც რჩეულიშვილების ოჯახში, ასევე მის ულამაზეს ეზოში ტიცინან ტაბიძის ოჯახში ყოველ შეხვედრაზე მე ვახსენებდი იმ ლამაზ ქორწილის დღეს, დიდი სურვილი გვქონდა, ყოველთვის მეფერებოდა და გურამიზე ჩვენი საუბრები, გახსენება მათი სტუმრობა ჩვენს ოჯახში იყო. რაც გურამი ჩვენთან აღარ არის ყოველწელს, 4 ივლისს, გურამის დაბადების დღეს, მარინა რჩეულიშვილი და მისი მეუღლე, გეიდარ ფალავანდიშვილი, დიდ სუფრას შლიან გურამის საპატივსაცემოდ, სადაც თავს იყრიან გურამის მეგობრები, ნათესავები. მაქვს ბედნიერება, რომ ამ დღეს ჩვენც მე და ერლომი ვესწრებით და აქაც ვიხსენებთ ბავშობიდან გამოყოლილი ბედნიერ დღეებს. არასდროს მავინყდება, თუ თავის ტარების მძიმე დღეების გახსენება ჩემთან საუბრისას იწყებოდა გურამის არ ყოფნით და ცხოვრებისეული მძიმე დღეებით, რომელსაც ქართული ინტელიგენციით განიცდიდა.

მახსოვს, ერთხელ ვესტუმრე და იქ დამხვდა ზურაბ ყვანია. ერლომთან საუბარი ეს კიდევ ცალკე თემაა, ყოველთვის საინტერესო, ამაღლებული ჩვენი ქვეყნის მომავალზე. არასდროს მოგახვევდა თავს თავის ცხოვრებაზე, არადა შეიძლება ითქვას ლალი ცხოვრებით არ უცხოვრია. დღეს, როცა ერლომი აღარ არის ჩვენ შორის ქართველი ერი მას ყოველთვის გაიხსენებს, როგორც დიდ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს. მე კი, ჩემს თავს ვთვლი ბედნიერ ადამიანად, რომ მქონდა საშუალება, მემეგობრა ისეთ ადამიანებთან როგორებიც იყვნენ გურამი, ერლომი, ჩუფჩუა (თენგიზი) მირზაშვილი, მურმან რუიშაძე, რომელმაც შექმნა ნოეს სახე ფილმ „ნოემი“, აკაკი გელოვანი, მწერალი, თემო ჭყონია მოქანდაკე, შეიძლება ვთქვა, რომ XX საუკუნის ყველა სასიქადაულო მამულიშვილს ჰქონდა ჩვენ

ოჯახთან ურთიერთობა, როგორც ხელოვნების, ასევე მეცნიერებს, წარჩინებულ სამხედრო მოღვაწეებს. დღეს, ამ წელში თავს შევიკავებ, არა და ერთ დღესაც ყველას მოვიხსენიებ. ვფიქრობ, პირადად მე და ჩემი ოჯახის წევრები, ამ ადამიანებით ვიყავით ყველაზე მდიდრები. ამასწინათ ვესტუმრე ვაჟა ლორთქიფანიძის ოჯახს. გასაოცარია და მისმა სიმამრმა ბატონმა ოთარ ხომერიკმა მითხრა, პოლონეთის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, როცა მირეკავს არ ავინყდება, თქვენ ოჯახს იხსენებს და მოკითხვას გითვლითო. ისიც მახსოვს ირაკლი აბაშიძე და მისი მეუღლე ნელი ევროპის გარშემო მოგზაურობდნენ, რომ დაბრუნდნენ დამირეკეს და ნობათი და მოკითხვა გადმომცეს. უკრაინის სამეცნიერო საზოგადოების წევრისა და მის თავჯდომარისგან. ირაკლი ბიძია აღტაცებით მიყვებოდა, როცა მითხრა საქართველოში მეგობრები მყავს, „ვეფხის ტყაოსნის“ მთარგმნელი ვენერა ურუშაძე და ჟუჟუნა ნიჟარაძე. ჩემს სიხარულის საზღვარი არ ჰქონდა მე ვუთხარი, რომ ჟუჟუნა ჩემი ძმის შვილია-მეთქი.“ გადმომცეს საბერძნეთში ნაყიდი ულამაზესი ფინჯანი, ფრანგული ტკბილეული, ლამაზი გერმანული შარფი, ხოლო თვითონ ირაკლი ბიძიამ მაჩუქა პარიზის გეგმა წარწერით, ვიცი გამოგადგებაო. და მართლაც ოცი წლის შემდეგ, როცა საფრანგეთს ვენვით პარიზში ამ გეგმამ დიდი სამსახური გამიწია.

მახსოვს, განათლების სამინისტროში დამიბარეს ანკეტა შემავსებინეს, როგორც საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს 500 ლარით დაგაჯილდოვებოთ, მაგრამ შემდეგ ეს პრემია სად გაქრა, დღესაც უცნობია.

ვაგროვებდი ფულს 200 მილიონი კუპონი და 1000 რუსული რუბლი შემნახველ სალაროში გაყინეს, არა და როგორც მწერალს, 7 წიგნის ავტორს ამ ფულით მთელი წიგნების გამოცემას ვფიქრობდი. დღეს ნათარგმნი პლუტარქეს მოთხრობები, წერილები ჩემი კიდობნიდან (300 წერილი) გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში მინდოდა მომავალ თაობებისთვის საჩუქრად დამეტოვებინა, ბევრი ჩემი ნაწერები მრჩება გამოუქვეყნებელი. ისე, რომ ჩემი მოღვაწეობის უხელფასო შრომა, ყოველგვარი ანაზღაურებით არა მარტო მე, არამედ ჩემი თაობის ადამიანებს, არა მარტო გვანუხებს, არამედ გვაამაყებს, რადგან, როცა ვხედავთ ჩვენ ჯარისკაცებს, ჩაცმულებს, მოვლილებს, ამაში ხომ ჩვენი ღვაწლიცაა.

ერლომ ახვლედიანთან საუბრების დროს იუმორში, მაგრამ მაინც გულისტკივილით ვსაუბრობდით ბევრ ცხოვრებისეულ საკითხებზე. მისი საფიქრებელი იყო ყოველთვის ქვეყნის გამთლიანება, მშვიდი ცხოვრება, ჯანმრთელობა და ერთმანეთის სიყვარული. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ადამიანთა ცხოვრება გაუმჯობესდებოდა და ღვთის წყალობით, ადამიანს ბედნიერება არ მოაკლდებოდა. მეც ამის იმედი მაქვს, და ამ იმედით ვლოცულობ, ვიცი ღმერთი არ გაგვწირავს.

ვინც ამ წერილს წაიკითხავს, სიყვარულით გახსენებულ ერლომ ახვლედიანზე, არ გაუკვირდება, მე, როგორც მწერალი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვიხსენებ ერლომს, ადამიანს, რომელიც ყველას უყვარდა. დღეს იგი განისვენებს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ციური ხეთერელი

### 1966 წელს გაამოცა ჩემი ნიგნი “პოეტები მზის ახლოს”, რომლის რედაქტორია ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი ნატროშვილი.

რედაქტორისაგან (5. XII. 1985 წელი):

ციური ხეთერელის ნიგნი “პოეტები მზის ახლოს” განეკუთვნება მხატვრულ- პუბლიცისტური ნარკვევების ჟანრს, რომელიც უხვად არის დოკუმენტირებული ახლო წარსულის ქართველ პოეტთა და მოღვაწეთა მემუარული ჩანაწერებით და ჩვენი საუკუნის პირველი მეოთხედის პერიოდული პრესის მასალებით; უმრავლეს შემთხვევაში, ეს მასალები ან სრულიად უცნობია მკითხველისათვის, ანუ ჟურნალი თუ გაზეთი, სადაც ეს მასალებია გამოქვეყნებული, უკვე გადაქცეულია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად და მასობრივ მკითხველს მათზე ხელი არ მიუწვდება. მთელი ეს მასალები ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს იმაზე, თუ როგორ დაარსდა, და განვითარების რა ეტაპები გაიარა ქართველი პოეტების ორდენმა, რომელიც ცნობილი იყო “ცისფერი ყანების” სახელით; ამასთან, აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, და წინა პლანზეა წამოწეული ის უდიდესი როლი, რომელიც ცისფერყანელმა პოეტებმა შეასრულეს ახალი ქართული ლექსის დაფუძნებისა და განვითარების სფეროში.

ციური ხეთერელის ნიგნი სულ ხუთი თავისგან შედგება. პირველი თავი, გზადაგზა, მოგვითხრობს ცისფერყანელთა პირველ ნაბიჯებზე; მეორე თავი – “ელვარება ფერადი ჰანგის”, – ეხება ხსენებული ორდენის ერთ – ერთ მეთაურს და დამაარსებელს პაოლო იაშვილს; მესამე თავი – “უკვდავი სიტყვის მოასპარეზე”, თვალწინ გადაგვიშლის ვალერიან გაფრინდაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მეოთხე, – “ორპირის ფშანზე” – ახალი ქართული პოეზიის გამოჩენილ ოსტატსა და კულტურის ფრონტზე ყველა ეროვნული წამოწყებისა და თაოსნობის აქტიურ მონაწილეს ტიცვიან ტაბიძეს; ცალკეა გამოყოფილი ბოლო თავი – “ვით ქართველთა მზიური მოდგმა”, – რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს ცნობილი ქართველი პოეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იგი არ ეკუთვნოდა “ცისფერი ყანების” დაჯგუფებას, მაგრამ ქართული კულტურის მშენებლობის პროცესში მხარში ედგა ზემოთ ჩამოთვლილ პოეტებს.

ეს ნიგნი წარმოაჩენს ამ საინტერესო შემოქმედთა არა მარტო პორტრეტებს, არამედ პოეტური ინტერესების არეს, ესთეტიკურ იდეალებს, მათი ცხოვრების შთაგონებით აღსავსე დღეებს, მთელ იმ სულიერ სამყაროს და მჭიდრო ურთიერთ კავშირს რუს პოეტებთან, რომელიც მუდამ ალიტაცებს და ინტერესით განაწყობს მკითხველს, ალაღად გაუხსნის გულს ყოველი თაობის ადამიანს სხვა ქვეყნის შვილებთან სამეგობროდ და საკეთილდღეოდ.

წინამდებარე ნიგნიდან ცალკეული თავები ქვეყნდებოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე: (“მნათობი”, “ცისკარი”, “სოფლის ცხოვრება”, “ახალგაზრდა კომუნისტი”, “ნიგნის სამყარო”, “თეატრალური მოამბე”); ანალოგიური ხასიათისა იყო ც. ხეთერელის ნიგნი “საჭურველი ნათლისაი”, რომელიც 1983 წელს გამოსცა გამომცემლობა “მერანმა”. ნიგნი ასახავს გიორგი ლეონიძის ცხოვრებასა და შემოქმე-

დებას. ამ ნიგნიდან ერთ – ერთი თავი თარგმნა და გამოაქვეყნა ჟურნალმა “ლიტერატურნაია გრუზია” – მ (1985, №10).

ნიგნიდან – “პოეტები მზის ახლოს” – ამოღებულ იქნა თავი – “ისევ მაისობს მაისი” – კოლაუ ნადირაძე, იმხანად პოეტის გახმაურებული ლექსის – “1921 წლის 25 თებერვალი” – ს ირგვლივ შექმნილი კრიტიკული ვითარების გამო.

ამჯერად, ვამთავრებ მუშაობას ნიგნის – “პოეტები მზის ახლოს” – მეორე შევსებულ გამოცემაზე, რომელშიც სრული სახით შევა ზემოთ მითითებული თავი – “ისევ მაისობს მაისი” – კოლაუ ნადირაძე.

ჩვენი ჟურნალის “ათინათი” – ს საშუალებით გვინდა დროდადრო მკითხველს მივანოდოთ წერილები აღნიშნული თავიდან.

### გული ვინ შემომატყუა?

არსთა გამრიგემ სულ სხვა დროების შვილად და პოეტად დაბადა კოლაუ ნადირაძე – ერთ – ერთი ცისფერყანელი რაინდი. განსაცდელი, შგოთიანი, სისხლიანი გზების ხილვა არ დააკლო. ბევრი იმღელვარა და იტკივლა. ბედმა უმძიმესი განსაცდელი მოუვლინა – ადრევე გაჰყარა უსაყვარლეს, უახლოეს მეგობარ პოეტებს. სიჭაბუკის ვარიჟრაჟზე იგრძნობლობის სიმწვავე. დაჰკარგა მამა, რომლის გამოც უკვე ხანდაზმული პოეტი სულში ღრმა ტკივილებით დაწერს:

“მამის დაკარგვა ყველაზე დიდ უბედურებად მიმაჩნია ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს, არავინ, დედაც კი არ მყვარებია იმაზე მეტად, და არ არის ისეთი დღე, რომ ის ჩემს თვალწინ არ იდგეს, არ მესმოდეს მისი ხმა, არ ვიგონებდე ჩემი ცხოვრების ყოველ წუთს, მასთან გატარებულს”.

ღმერთმა არც მის პირველ სიყვარულს დააცალა. მხოლოდ მწარე სტრიქონებად დარჩება პოეტის ხსოვნაში პირველი ოჯახის სითბო და სიტკბო: “ცისფერი კაბა მაგონდება, ვინრო ქამარი, მორცხვი თვალები, სიყვარულმა რომ გააბრწყინა”....

ასე გაიღვევებს უჟამოდ გარდაცვლილი მეუღლის თამარ საყვარელიძის სილუეტი მის თვალწინ.

ეს ყველაფერი უეცრად მოხდა:

1913 წელს – ქორწინება. 1914 წელს – პირველი ქალიშვილი. 1916 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, 19 წლის კოლაუ ნადირაძე, უკვე 2 ქალიშვილის მამაა.

– დედა იშვიათი სილამაზისა ყოფილა. სრულიად ახალგაზრდა სცენისმოყვარე ივანე პერესტიანის კინოსტუდია “ქართულ ფილმში” მიუწვევია “სურამის ციხეში”, ვარდუას როლის სათამაშოდ. შემდეგ ნუნუს როლის შესასრულებლად ყოფილა მიწვეული “მამის მკვლელობა”, მაგრამ დედა გაციებულა და ლოგინად ჩავარდნილა. ერთი წელი ელოდა თურმე კინოსტუდია დედას გამოჯანმრთელებას. საქველმოქმედო საღამოც გაუმართავთ მის სასარგებლოდ, მაგრამ, ამოდ. ვერაფრით უშველეს, ტუბერკულოზით დაიღუპა, – სევდით იგონებდა კოლაუ ნადირაძის უფროსი ქალიშვილი ქალბატონი ნელი ნადირაძე – შენგელია.



1925 წელს ისევ ეწვია ოჯახური ბედნიერება. ამჯერად, პოეტმა ნინა მიხაილოვას, იქვე, ქუთაისის მკვიდრს, დაუკავშირა თავისი ბედი.

ქალბატონი ნორას ნაამბობოიდან:

– ნინას მამიდა და კოლაუს დედა მეგობრობდნენ. ნინა მიხაილოვა ნახევრად ქართველი იყო. მისი დედა მირიანაშვილის ქალი იყო. დედაჩემის ბებიაც მირიანაშვილი იყო. ნინას მამა იყო ბაბუაჩემის, კონსტანტინე ქავთარაძის, დეიდაშვილი, ასე რომ, ის ქალი ჩვენს ოჯახს ენათესავებოდა კიდევ. სწორედ ნინამ მოიყვანა პირველად კოლაუ ჩვენს ოჯახში და ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. კოლაუს ძალიან უყვარდა მამა.

არც ეს ქორწინება გამოდგა ილბლიანი. 1937 წელს დაშორდნენ ერთმანეთს.

1922 წელს გარდაიცვალა პირველი მეუღლე თამარ საყვარელიძე.

ამ წელს დაიბადა პოეტის უკანასკნელი საბედოც, ქალი, რომელთანაც განვლო მისმა ხანგრძლივმა ცხოვრებამ.

ელეონორა საგატოვსკაია ფონ რეიზე, მეფის არმიის ყოფილი ოფიცრის, ალექსანდრე საგატოვსკი ფონ რეიზეს, ასული:

– მამა ტოპოგრაფი იყო. მუშაობდა ინჟინრად სვანეთის, მონაშეთის გზების გაფართოებაზე. კადეტთა კორპუსი ჰქონდა დამთავრებული, აგრეთვე, სამხატვრო აკადემიაც, იყო შარლემანის მონაფე. მშვენივრად ხატავდა.

დავიბადე ქუთაისში. დედა ქავთარაძე იყო. სკოლაში საგატოვსკაიას გვარს ვატარებდი, ვინაიდან მამას სდევნიდნენ, როგორც გერმანელს და მეფის არმიის ოფიცერს. (ამის გამო არაერთხელ იყო გადასახლებული, დაპატიმრებული). აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, მუსიკალური სასწავლებელიც. მუსიკალური სკოლის დირექტორი იმხანად იყო მელიტონ ბალანჩივაძე.

1925 წელს ახალდაქორწინებული ნინა მიხაილოვა მეუღლესთან, კოლაუ ნადირაძესთან ერთად, თავისი ნათესავის, ალექსანდრე საგატოვსკი ფონ რეიზეს ოჯახს ეწვევა.

ეს პოეტის პირველი სტუმრობაა ამ ოჯახში. უცხო სტუმარი ყველაზე მეტად ოჯახის უმრწემეს წევრს, პატარა ნორას, გაახარებს. სამი წლის გოგონა სტუმარს კისერზე შემოეხვევა და ბავშვური ალერსით აავსებს. მხოლოდ ეს არის, სახელის წარმოთქმა უძნელდება.

– “Колец”, “Колец” – ასე ეძახდა, მაგრამ არასდროს ძიას არ ამბობდა. ამიერიდან “Колец” – ი მისი უფროსი და საყვარელი მეგობარია. ყოველ მოსვლაზე აღტაცებული შეჰყვირებს:

– კოლეცი მოვიდა !

– და საყვარელ სტუმარს სიხარულით უმალ მხრებზე მოველება.

1938 წელი.

ამ წელს გარდაიცვალა პოეტის დედა აგნესა (ანა) ბაინდურაშვილი.

ის – ის იყო, დაჰკარგა სულიერი ძმები – პაოლო, ტიციანი. გაეყარა ცოლს. უეცრად დაატყდა ბედის

რისხვა თავს. დაღონებული ძველ მეგობართან, ალექსანდრე საგატოვსკისთან შეივლის.

მთელი ოჯახი თანაუგრძობს ამ დიდ მწუხარებას.

– ნორა, შვილო, მოეფერე კოლაუს, დედა მოუკვდა, ცოლოა, – მეუბნება დედა.

მე ისევ ძველებურად მოვეხვიე და ვაკოცე. შენი კოცნა მალეველებსო, ისიც გავიგონე, განცვიფრებულმა რომ უთხრა ბებიას, როგორ დამშვენებულა ნორაო. ან სულ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ან ერთად უნდა ვიყოთო, – ეს სიტყვებიც უეცარი ელდა იყო ჩემთვის. დაბნეულობამ და მოუსვენრობამ შემიპყრო.

კოლაუმ შეწყვიტა ჩვენთან სიარული, რადგან კვლავინდებურად აღარ შეეძლო გაეგრძელებინა მამასთან და დედასთან ურთიერთობა.

დაიწყო ჩვენს შორის ფარული მიმონერა. ჩვენი “დესპანები” არიან კოლაუს უახლოესი მეგობრები – პოეტი შარუხ ჩარკვიანი და ინჟინერი დავით ქუთათელაძე. “შარუხენკო”, “შარუხიანი” (შალვა ჩარკვიანი – ნ. ნ.), “დავით გორსკი” – ასე ეძახდა მათ კოლაუ სიყვარულით. დავითი ქუთაისში გორაზე ცხოვრობდა და ამიტომ შეარქვა ასე – “დავით გორსკი”.

ფარულად იქორწინა პირველად – 17 წლის გიმნაზიელმა, ფარულად დაინერა ჯვარი მესამედ, 1939 წლის 28 ივლისს, მაგრამ ამჯერად, ორმოცდაოთხი წლის ასაკში, მეუღლე მხოლოდ 17 წლისაა.

მშობლიურ ქალაქს გაეცალნენ და დაბებს შეაფარეს თავი. ღელვით შემოიარეს – ბათუმი, მახინჯაური, სამტრედია, ხონი და ახალ ჯვარდანერილები, დროებით საფიჩხიაზე ჰპოვებენ ნავსაყუდელს.

აქედან იწყება გაჭირვების მძიმე წლები. წინ 1941 – ია. მალე დატოვებენ მშობლიურ ქუთაისს და თბილისში, კლარა ცეტიკინის ქუჩაზე (№17), ერთოთახიან ბინაში გაატარებენ ცხოვრების 18 წელს. აქვე შეეძინებთ ერთადერთი ვაჟი, ნუგზარი. ჭირს არსებობა, მაგრამ, რა სათქმელია რაიმე გაჭირვება, როდესაც ცოლ – ქმარს თავდავინწყებით უყვართ ერთმანეთი.

სიყვარულით გალია თითქმის საუკუნე. მან იცოდა სიკეთის და ბოროტების ფასი, ბოროტებაზე საუბარი სძულდა. რამდენი რამ სტკიოდა მის გულს, მაგრამ, ტკივილებს რაინდულად და გასაოცარი სიმშვიდით იტანდა.

ალბათ, ეს რაინდული პროფილი იყო მის იშვიათ პიროვნებაში ასე გამორჩევით თვალში საცემი, ყველას რომ ასე გვხიბლავდა და გვიზიდავდა.

ალბათ, სიკვდილიც ეადვილა, რადგან “სიკვდილამდე უყვარდა და სჯეროდა”.

სიყვარულის ცნებაც ხომ ასე განმარტა სიკვდილის წინახანებში ერთ ინტერვიუში: “რალაც ძალიან რაინდულია სიყვარული”.

“შენ იყავი ჩემი უკვდავი სიყვარული” – ასე რაინდულად დამორდა თავის უერთგულეს ცხოვრების მეგობარს შემოდგომის გვიან საღამოს.

კითხვები კი, ასეთი აწნვილი კითხვები წაიტანა საუკუნო სავანეში თავის მშფოთვარე, მღელვარედ გამოვლილი გზებიდან: “ ვინ მიმტრო, ვინ გამიმეტა, ერთი უბრალო კაცი, გული ვინ შემომატყუა, ეს საკვირველი განძი?”

ნათელა პავლეს-ასული ხარაიშვილი



ხარაიშვილების გვარის დალოცვა სამების ტაძარში

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე... დღე, ისტორიული და საინტერესო. ნარსული სევედიანი და ქარიშხლიანი, მაინც ლამაზი და აღმაფრთოვანებელი.

უნმინდესის ხმამ სუნთქვად აქცია ტაძარში მოსულნი, იმ დღეს 26 გვარს ლოცავდა პატრიარქი. ეს სიმრავლე ნიშანი იყო ერთიანობის, რამეთუ თითოეულ ქრისტიანს ჭირი და ლხინი ერთი უნდა ჰქონდეთ.

ხარაიშვილი საკმაოდ გავრცელებული გვარ-სახელია საქართველოში, ამიტომაც იყვნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ერთმანეთი უხაროდათ.

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში 3313 ხარაიშვილი ცხოვრობდა. აქედან, ყველაზე მეტი სახლობდა საჩხერეში – 436, თბილისში – 397, და ლაგოდეხში – 349.

ხარაიშვილების ისტორიული წყაროების დაყრდნობით, მათი თავდაპირველი საცხოვრისია საჩხერის რაიონის სოფ. ლოდორა, წმანი, ლიჩი, ჭალვანი, ხვანი. ეს ხუთი სოფელი, მდინარე ძირულის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული.

ისტორიული წყაროებიდანაც, და წინაპართა ზეპირი გადმოცემითაც, ცნობილია, რომ ხარაიშვილების გვარის ფუძე – საბანელაა, ეს არის მინა, ულამაზესი კუთხის, ზემო იმერეთისა. საბანელას ღელე უერთდება მდინარე ძირულას.

ღელის მიდამოებში ნანგრევებია შემორჩენილი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც აქ ცხოვრობდა ხალხი.

ისტორიული წყაროებით, ჩადუნელები, ხარაიშვილები და ხარაზიშვილები ერთი გვარია. ამის დასტურია პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსი „ჩადუნელები, ხარაზიშვილები და ხარაიშვილები ერთი გვარიის რომ არიან.“

ვყოფილვართ ფუძით ჩადუნელები, ვკითხვთ წინაპრებს, რა მოხდა მერე? ვყვოდით ისე, ვით ენძელები, გვარის გაყოფას მითებში წერენ. ხარივით ვხნავდით ჩვენს კუთვნილ მიწას, დედით ირწოდა ტკბილი აკვანი. ასე გამრავლდა, ოთარ და ნიკა, ასე გამრავლდა, ხვანი, ჭალვანი. მეცნიერები, მჭერმეტყველები, ჩვენს გვარში უფლით ბევრი ერია, და გაზაფხულის თეთრი ტყემლები, ბებერ მინაზე ახლაც მღერიან. ალბათ უფალმა ასე იწება, საგვარეულოს გვარის დაყოფა. ღვთის სიყვარული ჩვენით იწყება, ჩვენ ღმერთმა გრძნობით დაგვანყალობა.

ლომისის წმინდა გიორგის ხატი დაურიგდა ხარაიშვილებს. გვარის დალოცვის ინიციატორი იყო გვანცა ხარაიშვილი. იგი, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა იმისათვის, რომ ხარაიშვილების ჩადუნელების და ხარაზიშვილების გვარი დალოცვილიყო.

დაუფასდა გვანცა ხარაიშვილს შრომა, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს. ამ დღეს თუმცა წვიმა, მაგრამ ხარაიშვილების გულში მზე ანათებდა, დაე, ეს მზე იყოს სამარადისო ხარაიშვილების, ჩადუნელების და ხარაზიშვილების ფიანდაზი საუკუნეების მანძილზე... ამინ!



ხარაიშვილთა გამგეობის სია

1. ავთანდილ ხარაიშვილი - სოხუმიდან
2. ნათია ხარაიშვილი- სოხუმიდან
3. ელენე ხარაიშვილი- ლაგოდეხიდან
4. ჯონი ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
5. გვანცა ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
6. ინგა ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
7. ნაილი ხარაიშვილი - ხვანიდან
8. გულნაზი ხარაიშვილი – ხვანიდან
9. ნინო ხარაიშვილი – ლოდორიდან
10. ჯუმბერ ხარაიშვილი - ლიჩიდან
11. ნოდარი ხარაიშვილი - ლიჩიდან
12. მალხაზი ხარაიშვილი - ლიჩიდან
13. ნათელა ხარაიშვილი - ლიჩიდან
14. ქეთევან ხარაიშვილი - ლიჩიდან
15. ნიკა ხარაიშვილი - ლიჩიდან

ლომისის წმინდა გიორგის ხატი უნდა დაბძანდეს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში.

საკურთხეველიდან ხატის გამობრძანების, ინიციატორები იყვნენ ბექა და თორნიკე ხარაიშვილები.

ხარაიშვილების ლოცვა კურთხევის მაღლი ჰქონდეთ: გვანცას, ნინოსა და თორნიკეს, რომლებმაც გვარის დალოცვისთვის ყველაზე მეტი შრომა გასწიეს.

იქმნება გვარის საგვარეულო ფონდი, ანგარიშის ნომერი გამოქვეყნდება.

# ფიზიკულტურა და სპორტი

## ჯუმბერ ლეჟავა

### ჩემი ცხოვრებას გზა



მე, ჯუმბერ ლეჟავა, დავიბადე თბილისში 1939 წელს მოსამსახურის ოჯახში, ჩემი მშობლები: დედა ეკატერინე კალანდაძე და მამა – დავით ლეჟავა სასამართლო სისტემებში მუშაობდნენ. მყავს ერთი და – იზოლდა, მეუღლე – ლიანა ალიბეგაშვილი და ქალიშვილები: ხათუნა და მაია, 4 შვილიშვილი. სწავლა დავიწყე თბილისის მე-4-ე საჯ.სკოლაში, უმაღლესი განათლება კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მივიღე. ვარ კიბერნეტიკოსი. 1967 წელს მუშაობა დავიწყე მათემატიკის ინსტიტუტში. ყველაფერი კარგად აეწყო 46 წლის ასაკამდე, მხოლოდ 46 წლის ასაკში ფიზიკურად მოულოდნელი საფრთხის წინაშე დავდექი, კლინიკური სიკვდილი გადავიტანე. ექიმებმა გულის იმფარქტთან ერთად წვრილი ნაწლავის განგრენა დამიდგინეს. დიაგნოზი უმძიმესი იყო: მე დიდხანს სიცოცხლე არ მენერა. „ეს როგორ?“ ვეკითხებოდი ჩემს თავს, მე ხომ 50 წლისიც არ ვარ, და გადავწყვიტე ჩემი გზით სიარული: უმარტივესი ყოველდღიური ვარჯიშები: მკლავებზე ნოლბჯენიდან აზიდვები, ყოველდღიურად ვუმატებდი დატვირთვას და ვგრძნობდი, ავადმყოფობა როგორ იხევდა უკან. და როცა 6 თვის შემდეგ იგივე კლინიკაში გასასინჯად მივედი, ექიმები გაოგნებულები დარჩნენ: მე აბსოლუტურად ჯანმრთელი ვიყავი. გადავწყვიტე ამაზე არ გავჩერებულიყავი: ვვარჯიშობდი ყოველდღიურად 5-6 საათს, ვაკეთებდი აზიდვებს, დავრობდი, და მე, ქართველმა კიბერნეტიკოსმა, 50 წლის ასაკში დავამყარე ჩემი პირველი რეკორდი აზიდვებში: 4447 აზიდვა საათში, ეს მონაცემი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, მე კიდევ 11-ჯერ გავხდი გინესის რეკორდსმენი სხვადასხვა კატეგორიაში. ცხოვრება გრძელდებოდა, 53 წლის ასაკში გადავწყვიტე რადიკალურად შემეცვალა ჩემი ცხოვრების წესი: „მაგრამ რა უნდა გავაკეთო“

– ვეკითხებოდი ჩემს თავს. პასუხი ამ კითხვაზე მომცა ჩემი მეგობრის ვაჟმა რატიმ, რომელმაც მომანოდა იდეა: ველოსიპედით მსოფლიო მოგზაურობა. მართალია, ახალგაზრდობაში მე სპორტის სხვადასხვა სახეობით ვიყავი დაკავებული, მაგრამ ველოსიპედით მსოფლიო მოგზაურობის შესახებ არ მიფიქრია, თუმცა იდეა ძალიან მომეწონა: დავიწყე ინფორმაციის მოძიება, თუ როგორ უნდა დამეწყო მსოფლიო ტურნე: უნდა გავცნობოდი იმ სათანადო ტექნიკას, რაც საჭირო იქნებოდა ამ ტურნესთვის: (ატლასები, რუკები და ა.შ.) შემდეგ მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ოჯახს, მათ დიდი დახმარება გამიწიეს ამ საქმეში და აი, 1993 წლს 13 აგვისტოს დაიწყო ჩემი პირველი მოგზაურობა, რომელიც 2003 წლის 28 ნოემბერს დასრულდა: ვნახე 234 ქვეყანა, გზაში ვიყავი 3333 დღე, გადავიღე 7 000 ფოტო, შევხვედი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. მე ვარ პირველი მოგზაური, რომელსაც მიენიჭა „მსოფლიო მოქალაქის“ წოდება, ვარ „იუნესკოს“ კეთილი ნების ელჩი, საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა ხარისხის სახელმწიფოების კავალერი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე და, დღეს 2013 წლის 10 მაისს, როცა ვარ 74 წლის, მაისისთვის ვიწყებ ახალ, 2 წლიან ტურნეს ჩემი ველოსიპედით. მჯერა, უფლის თანადგომით მე ამ მოგზაურობასაც ღირსეულად გავართმევ თავს. ყველაფერი კარგად იქნება.

თქვენი ჯუმბერ ლეჟავა.  
2013წ. 10 მაისი.



ტექსტი ფრანგულად თარგმნა  
მარინა სსირტლაქაძე

-1-

Djumber Lejava: La route de ma vie.

Moi, Djumber Lejava, je suis né en 1939 à Tbilissi dans une famille fonctionnaire, ma mère - Katerina Kalandadze et mon père David Lejava travaillaient dans le système tribunal. J'ai la sœur Isolda, elle est cadette. Je suis marié: ma femme Liana Alibegachvili, elle est morte en 1990, j'ai deux filles: Khatuna et Maria et 4 petits-enfants.

J'ai fait mes études scolaires à l'école N4 de Tbilissi, ensuite l'Institut Polytechnique, je suis diplômé des ingénier électricien, et en 1967 ans j'ai commencé travailler dans l'Inst. de mathématiques. Je travaillais, mais soudain 46 ans j'ai survécu la mort clinique sur la table d'opération, les médecins prononcés: gangrène du rectum, ils affirmés et réaffirmés que tout est fini, pas longtemps à vivre. "Comment ça?" j'étais outré, j'ai seulement 50 ans, j'ai décidé d'aller sur mon chemin et commencer avec un simple sit-ups et push-ups, chaque jours j'ai augmenté la charge, mon cœur se met à

-2-  
fonctionner mieux, la maladie a commencé s'éloigner de moi, chaque jour je me sentait bien, et six mois plus tard, les médecins s'est avéré: mon cœur battait faiblement je suis en bonne santé. J'ai décidé de ne pas s'arrêter là, et augmenter l'activité physique et chaque jour, pendant cinq ou six heures je tordais sur le sol, et moi, à 50 ans, le cybernéticien géorgien mis le premier record du monde - dans une heure pour être essoré 4447 fois, il a été inclus dans le Livre Guinness, après cela, j'ai inscrit mon nom 11 fois dans différentes catégories.

À mon 53 ans, j'ai décidé changer radicalement ma vie: «Que faire maintenant?» - La réponse a incité le fils de mon ami - Rati, il me dit: vous êtes si fort et durable, pourquoi n'allez pas sur le vélo autour du monde et de visiter tous les pays du monde? Je pensais: tous les problèmes cardiaques dans le passé, je me sens comme un garçon de 20 ans, je suis plein d'énergie de mon 53 ans, mais comment

-3-

le faire: je n'ai pas l'information, alors j'ai décidé de rassembler d'information sur comment je dois commencer une tournée à travers le monde: acheté un vélo, sac à dos, tentes, pièces détachées pour la moto, se met à frapper la route, merci beaucoup ma famille qui m'a aidé à me préparer pour le voyage, donc à 55 ans, j'étais prêt à commencer, et 13 août 1993 emportant avec moi un sac de couchage, des cartes, des atlas et des dictionnaires, je suis monté sur mon vélo. Le voyage a commencé; - jusqu'au 28 novembre de 2003 ans: j'ai traversé l'Asie, l'Australie, le Pacifique, l'Amérique du Nord et Sud, l'Europe, l'Afrique, 234 pays et les territoires dépendants, 3333 jours, crée 7.000 pages carnet de voyage. Je suis devenu le premier voyageur qui a reçu le titre de "Citoyen du monde" et "Athlète du monde". Je pensais que la mission de mon voyage est non seulement de démontrer les capacités physique de l'homme et de promouvoir le monde de transport écologique - la bicyclette, la chose principale est l'étude et la promotion de la paix et de la tolérance.

Aujourd'hui, le <sup>4-</sup>10 mai 2013 ans, j'ai 74 ans, détenteur du record multiple, - "Guinness World Records", honore Maître des Sports, Ambassadeur de bonne volonté de l'ONU, le 26 mai, j'irai dans un nouveau voyage sur le vélo, qui durera 2 ans, grâce à Dieu, je pense que tout sera bien.

Votre Djumber Loejava.

10.05.13.

(Trad. de Marina Skhirtladze.)

გვანჯი მანია

რუსუდან გორდეზიანის სარეკორდო სადღეღამისო მარათონული ცურვის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, მსოფლიო რეკორდების დებულებით მოქმედი, ორგანიზატორთა და ხელშემწყობთა მიერ მოწვეული, რუსუდან გორდეზიანის სარეკორდო სადღეღამისო მარათონული ცურვის შემფასებელი კომისია:

კახი კახიაშვილი – სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 9-ჯერ მსოფლიო და გინესის რეკორდსმენი, კომისიის თავმჯდომარე; ჯუმბერ ლეუავა – მსოფლიო მოგზაური, მსოფლიო და გინესის 14-გზის რეკორდსმენი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ორგანიზატორი;

კომისიის წევრები: 1. გიორგი აბზიანიძე – საქართველოს ცურვის ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რუსუდან გორდეზიანის მწვრთნელი; 2. ზურაბ გაბუნია – მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ამავე აკადემიის მუზეუმისა და საგამოფენო დარბაზის ხელმძღვანელი, მოკრივე, თბილისის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, წყალჯომარდობის ოსტატი; 3. ბეგლარ ელბაქიძე – ხალხური ზეზელა, ანუ მხედრული, ორხელაღმართული სტილით ცურვის ოსტატი, საქართველოსა და თურქეთის მარათონების მრავალგზის გამარჯვებული; 4. ვალერი კავთიაშვილი – სპორტის მოყვარული, საქართველოს ფოსტის მუშაკი; 5. ემზარ კიკაბიძე – მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი ვეტერანთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, ქ. თბილისის მერიის ძიუდოს აკადემიის დირექტორი, წყალნაღებულის გადარჩენისათვის ოქროს მედლის მფლობელი; 6. ჰენრი კუპრაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსი-

ტეტის სრული პროფესორი, დარდანელის გმირი, მარათონელი მოცურავე, ცურვის ახალი კოლხური სტილისა და სკოლის ფუძემდებელი, ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი; 7. გიორგი მსხვილიძე – კარატისტი, საქართველოს ჩემპიონი, ევრაზიის თასის მფლობელი;

ვადასტურებთ, რომ 2013 წლის 16-17 ივნისს, კვირასა და ორშაბათს, რუსუდან გორდეზიანმა 25 წლის ქართველმა ისტორიკოსმა და ქორეოგრაფმა, თბილისში, სასწავლო-საწყლოსნო კომპლექსის „ოლიმპიკი“ 50-მეტრიან საცურაო აუზში (ჩოლოყაშვილის ჩიხი № 5 ბ), გამართა თავისი პირველი 24 საათიანი სარეკორდო მარათონი თავისუფალი სტილით ცურვაში და სრული 24 საათის განმავლობაში დამხმარე საშუალებების გარეშე გაცურა 46 500 მეტრი, რაც საქართველოში არსებულ – ოთარ ჭიჭინაძის მიერ 1987 წელს თბილისში, 25 მეტრიან საცურაო აუზში დამყარებულ რეკორდს (37 000 მ) 9 500 მეტრით აღემატება.

ახლა უფრო დანვრილებით მარათონის შესახებ:

1. მარათონი განხორციელდა გამოცხადებული პროგრამით - დაიწყო 16.06.3013-ს, კვირას, დილის 8:00 საათზე და დამთავრდა მეორე დღეს, ორშაბათს, ასევე დილის 8:00 საათზე;
2. „ოლიმპიკის“ კომპლექსის დირექციის კეთილი ნებით (აღმასრულებელი დირექტორი ლევან წერეთელი, ტექნიკური დირექტორი დავით პატარაია) 50 მეტრიანი საცურაო აუზი და მისი ინფრასტრუქტურა





ტურა ჩვენს მარათონელს, კომისიას, დამხმარე პერსონალსა და მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ემსახურებოდა;


3. აუზის წყლის ტემპერატურა (+ 26 გრადუსი), განათება, ჰაერის სინმიწი და ტენიანობა ნორმის ფარგლებში სათანადო აპარატურით იყო დარეგულირებული;
4. მარათონელის ფიზიკური მდგომარეობა კარდიოლოგიური კლინიკის „გული“ მიერ შეფასებული იყო როგორც „ჯანმრთელი“; მარათონელს მეთვალყურეობდა ექიმი გოდერძი გორდეზიანი (მარათონელის მამა); მარათონელი დატვირთვის შემდეგ კომპლექსის ექიმთა ჯგუფმა რუსუდანის ჯანმრთელობა შეაფასა, როგორც „დამაკმაყოფილებელი“;
5. კომისია გულდასმით აღნიშნავდა მარათონელის მიერ გაცურულ თითოეულ 100 მეტრს და შედეგი – ყოველი წუთი და წამი სანიმუშო ცხრილის გრაფაში შეჰქონდა; მთელი მარათონის – 24 საათის განმავლობაში ასეთი წესით შეივსო სულ 465 გრაფა;
6. ზემოხსენებული მსოფლიო რეკორდების დებულებიდან გამომდინარე მარათონელი მოცურავე ყოველ 1 საათში 5 წუთიანი შესვენებით სარგებლობდა;
7. კომისიის აღჭურვილობას შეადგენდა წამზომი, ელექტროსაათი, სანერი საშუალებანი, ჭოგრიტი, ფოტო – ვიდეო გადასაღები აპარატურა და მობილური ტელეფონები;
8. საცურაო აუზის გარშემო არსებული ბაქანი, მარათონელთან მიახლოებისა და სამი დისტანციიდან – სამი სხვადასხვა რაკურსით ფოტო და ვიდეო გადაღების საშუალებას იძლეოდა, რაც სათანადოდ იქნა გამოყენებული;
9. მარათონელის საკვებითა და სასმელით უზრუნველყოფის საქმეს განაგებდნენ უშუალოდ მარათონელის მიერ შერჩეული პირები; საკვები და სასმელი სურვილისამებრ 5 წუთიანი შესვენების დროს მიეწოდებოდა;
11. მთელი მარათონის განმავლობაში არანაირ საშიშქსცესს ადგილი არ ჰქონია, ამავ დროს კომისიის ყურადღება მარათონელის გულშემატკივართა რამდენიმე მოქმედებამ მიიქცია:

პირველი: ახალგაზრდა იურისტმა კოკი კობახიძემ აუზის განაპირა ბილიკის გასწვრივ იცურა 12 საათი - „ამით მარათონელ დას სოლიდარობა გამოეუცხადეო“ ...

მეორე: ფოტოაპარატიანმა მეგობარმა გიორგი თუჯიშვილმა მარათონულ სტიქიაში მყოფ მოცურავეს თხოვა პოზირება - ამით წაართვა 15 წამი...

მესამე: ორშაბათ დილას გამარჯვებულ მარათონელს გამოეცხადა კულინარი კახა ჩახვაშვილი, რომელმაც წარმოადგინა -- კოლხური აფრებიან-ხოფებიანი ხომალდის ფორმის ცეცხლისპირულ თაბახზე გამომცხვარი ერთმეტრიანი აჭარული ხაჭაპური...

მარათონის შემაჯამებელი პრესკონფერენციის შემდეგ სადღესასწაულო ხაჭაპური მარათონელის მამის – გოდერძი გორდეზიანის მიერ შემოთავაზებულ შამპანურებთან ერთად მარათონელმა, კომისიამ და გულშემატკივრებმა დააგემოვნეს...



დასასრულ, კომისია განმეორებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 25 წლის რუსუდან გორდეზიანმა 50 მეტრიან საცურაო აუზში 24 საათის განმავლობაში დამხმარე საშუალებების გარეშე გაცურა 46 500 მეტრი და დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი! ჩვენი საერთო აზრია, რომ აღნიშნული მარათონი იყო დაუვინყარი, ლამაზი და ხალისიანი სპორტული დღესასწაული, სანახაობა, რომელიც უთუოდ რუსუდან გორდეზიანისა და მისი მრავალი თანამდგომ-თანამოაზრის სამომავლო სამარათონო-სასპორტო პროგრამის განხორციელების გარანტი იქნება. ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ჩვენი ხელ-მონერებითა და ბეჭდის დასმით:

- კახი კახიაშვილი  
ჯუმბერ ლეჟავა
- გიორგი აბზიანიძე  
ზურაბ გაბუნია
- ბეგლარ ელბაქიძე  
ვალერი კავთიაშვილი
- ემზარ კიკაბიძე  
ჰენრი კუპრაშვილი
- გიორგი მსხვილიძე

რუსუდან გორდეზიანის მარათონის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრთა ხელმონერების ქვეშარიტებას ვადასტურებ: გვანჯი მანია – მარათონის ორგანიზატორ-კოორდინატორი, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშეწყობი კავშირი-კლუბის „გიორგი“ თავმჯდომარე.

# სოფლის მეურნეობა

## რობიზონ გიგაური

### საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი რ რ ე ვ ა

მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ წამყვანი და საჭირო დარგია, რომლის გარეშე ეკონომიკის და მოსახლეობის კეთილდღეობა არ არსებობს. ბევრისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ფლორას საფრთხეც ელოდება სტიქიური თუ მავნე ორგანიზმების ზეგავლენით. ზოგიერთი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, ხშირ შემთხვევებში ვიყენებთ შხამქიმიკატებს, სასუქებს და ა.შ. ხშირია შემთხვევები, როცა კულტურულ მცენარეებს უზნდებათ სხვადასხვა სახის დაავადებები, როგორცაა ვაზის ფილოქსერა. ხემცენარეებს კენწრულ ნაწილში ფოთოლცვენა და ბოლოს გახმობა. ყოველი ზემოთ აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს. თუ თქვენ გასურთ, რომ მიიღოთ უკუურკო პომიდორი, მთლიანად ხორცოვანი მასა, ამისთვის გამოიტენეთ პრეპარატი ჰეტეროაუქსინი.

მომზადების წესი: აიღეთ 1 აბი აღნიშნული პრეპარატი, გახსენით 0.5ლ. თბილ წყალში. მიღებული სითხე შეასხურეთ პომიდორს ყვავილობის პროცესში 2 დღეთუ გაქვთ დიდ ფართზე დარგული, დოზა გაზარდეთ რამოდენიმეჯერ.

ასეთნაირად დამუშავებული პომიდორი მოგცემთ უკუურკო ნაყოფის გაცილებით დიდ მასას თესლის გარეშე. თუ გასურთ, რომ კიტრის მოსავალი ორჯერ მეტი მიიღოთ, ამისათვის საჭიროა, კიტრის თესლი დააღობოთ ჰეტეროაუქსინის წყალხსნარში 4სთ. განმავლობაში და შემდეგ დათესოთ. ასეთნაირად დამუშავებული კიტრის თესლი მოგცემთ ორმაგ მოსავალს ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში, თანაც საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ ასეთნაირად დამუშავებული

თესლი ნიადაგში დაცულია ბოსტანა, ანუ მახრასგან. ამ შემთხვევაში ბოსტანა არ იყენებს კიტრის თესლს საკვებად, იმის გამო რომ მას აქვს სპეციფიური სუნი, რაც ბოსტანა ანუ მახრასთვის აუტანელია. ჰეტეროაუქსინი თავისი ქიმიური შემადგენლობით უახლოვდება ფენმძიმე ქალის შარდს.

თუ გასურთ ვაზის, ან ვარდის, ან ძნელად მფესვიანებელი მცენარეების დაფესვიანება, ამ შემთხვევაში აიღეთ 2 აბი ჰეტეროაუქსინი, გახსენით 1ლ. თბილ წყალში და სასურველი მცენარის კალმები ჩაალაგეთ 8სთ. განმავლობაში. შემდეგ ამოიღეთ, ჩარგეთ ნიადაგში, შედარებით ღრმად. ისინი აუცილებლად დაიწყებენ ფესვების გამოღებას, უფრო მეტი ფესვთა სისტემით. გარდა ამისა, არის კიდევ მრავალი პრეპარატი: მაგალითად 2,4 დუ, ანალოგიურად შეგიძლიათ მისი გამოყენება.

თუ ვაზის მტევნებს შეამჩნევთ დასკდომას, ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ პრეპარატი მეტალო ხელატი, რომელსაც ახლავს თავისი ინსტრუქცია ცნობისათვის. ასეთ შემთხვევაში მცენარეებს ეძლევათ 3-ჯერ ვეგეტაციის პერიოდში, პირველ აყვავებამდე, მეორე აყვავების შემდეგ და ნაყოფის სიმწიფეში შესვლის პერიოდში. მეტალო ხელატი ეძლევათ მცენარეებს ფესვთა სისტემაში მომსახურებლად. არის კიდევ ამჟღავნების სახით, რომელიც მაგრდება მცენარის შტამბში 3-ჯერ, როგორც ზემოთ არის მითითებული.

შეგიძლიათ დანერგოთ ეს გამოცდილი მეთოდი თქვენს პირად და სამეურნეო პრაქტიკაში. პრეპარატის შეძენა შეგიძლიათ მცენარეთა დაცვის საშუალებების სარეალიზაციო პუნქტებში.



# მედიცინა

ნაილი ხარაიშვილი – ხეთერელი

## ხეთერელის გუნებრივი სამკურნალწამლო საშუალებები

დარეგისტრირებულია საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროში, როგორც პარასამკურნალო პრეპარატები (№№00256-8-8). დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტში (-267-8-9). სასაქონლო ნიშანი დაპატენტებულია სამ ენაზე: ქართულად, რუსულად, ლათინურად. გამოკვლეული და აპრობირებულია პროგრესულ სამედიცინო კლინიკებში. გამოგონებები დაჯილდოებულია მთავრობის მიერ. სერთიფიცირებულ კაბინეტ “ქსენონში” კეთდება სახის ბუნებრივი ნიღბები მწვანე, ცისფერი და ლურჯი ქართული თიხებით.

### გუნებრივი დამამშვიდებელი ბალზამი

ფარმაკოლოგიური თვისებები: სედატიური, სპაზმოლიტიური.

ბამოყენება: ნევროზები, უძილობა, შფოთი, წინაკლიმაქსურ და კლიმაქსურ პერიოდში, ჭირვეულობა – ბავშვებში და გარდატეხის ასაკში. სახეს უნარჩუნებს მშვიდ გამომეტყველებას.

შემაღბენლობა: სვიის გირჩები, კატაბალახას ძირები, თავშავა, შავბალახა, ნატურალური თაფლი.

უკუჩვენება: გამოვლენილი არ არის.

მიღების წესი და დოზირება: ბავშვებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ჩ.კ. დიდებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ს.კ.

ტელ: 232 54 43; 599 32 54 43 – “ქსენონი”

### უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი”

სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი” აღადგენს, აჯანსაღებს და აძლიერებს ორგანიზმს. ის ასუფთავებს, კურნავს, იცავს და აახალგაზრდავებს სახის კანს.

ბამოყენების წესი: - ოჯახურ პირობებში მზადდება წყალ-მინერალური ხსნარი: 2 ლიტრ გადადუღებულ ცივ წყალში, რომელიმე მცენარეულ ნაყენში ან მინერალურ წყალში, მინის ჭურჭელში ჩაყრიან 8 ს.კ. თიხათა კომპოზიციურ ფხვნილს. აამღვრევენ ხის კოვზით. დალექვის შემდეგ გადაწურავენ ნალექამდე. მიიღება დღეში 200 მლ-დან 2 ლიტრამდე. გამოიყენება ყოველგვარი დაავადებების დროს. სახეზე იკეთებენ ნიღბებს კვირაში 2-ჯერ.

### ხეთერელის მალამო

/INGUENTUM CHETERELI/

ჩვენებები: ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებანი: ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, იშიასი, საჯდომი ნერვის ანთება, ნალრძობი, პოდაგრა, დაჟეჟილობა, კუნთის სპაზმი, სასუნთქი გზების ანთებები, ასაკობრივი ქავილი, ლორწოვანი გარსების მწვავე და ქრონიკული ჩირქოვანი ანთებები, დიაბეტური და ტროპიკული წყლულები, დამწვრობა.

სახის კანის მოსავლელად ეფექტურია, როგორც მკვებავი.

ბამოყენება: ყოველგვარი მკურნალობის დაწყების წინ, ჯერ შეიზილება მთლიანი ხერხემალი, ცხვირის, პირის, ჭიპის ღრუები და საზარდულები, შემდეგ დაიტანება კანის დაზიანებულ უბანზე ბუნებრივი ქსოვილის საფენით. იცვლიან დღეში 3-5-ჯერ.

წყლულოვანი კოლიტების, ბუასილის, პროსტატის, გინეკოლოგიური ანთებების დროს, გამდნარი, თბილი მალამო შეჰყავთ სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. დღეში 3-5-ჯერ მიკროოყნით (შესაძლებელია უნემსო 10 გრამიანი შპრიცის ბუნიკზე დაეცოს ბავშვის რეზინის გაზგამყვანი მილი 3 სმ). სასურველია, ამავდროულად, საფენები სწორ ნაწლავზე ან საშოში. გრიპის ან სხვა ვირუსული დაავადებების თავიდან ასაცილებლად, ცხვირისა და პირის ღრუებში რეგულარულად იზელენ მალამოს.

**შპსურვენიები:** გამოვლენილი არ არის.

**გვირდითი მოვლენები:** შეკრულობისადმი მიდრეკილები მკურნალობის პროცესში მიიღებენ საჭირო მცენარეულ ნაყენს. მაგ. თავშავა, ხეჭრელი და სხვ.

**ინახება** – გრილ ადგილას 3 წელი.

**მისამართი:** თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპ. 31, სართული I, ბინა-40. ვაჟა-ფშაველას მეტროს (დელისის შემდეგი) მარჯვნივ “ჯი-პი-სის” აფთიაქთან შესახვევი (ძეგლამდე 150 მ-ში). მიღება: ყოველ დღე – 1200-დან 1700-სთ-მდე. შაბათ-კვირას წინასწარი დარეკვით. 232 54 43; 599 32 54 43. ნაილი-მარიამ ხეთერელი. კოსმეტიკური კაბინეტი “ქსენონი”.

**მალამოს და სამკურნალო თიხათა კომპოზიციის შექმნა შეიძლება აბრეშოვით:**

**თბილისში:** წმინდა სამების საკათედრო ტაძარში (ავლაბარი), ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში (დიდუბე), წმინდა სამების ტაძარში (ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი), წმ.ბარბარეს ტაძარში და მის წინ მდებარე საეკლესიო მალაზიაში(ვაჟა-ფშაველას გამზ. №67). **სიონის ტაძრის წინ მდებარე მალაზიაში** – “სიონში”, ლესელიძის ქ. №30. ბახტრიონის ქ. №8, “ანჩისხატის” ტაძარში, საქართველოს საპატრიარქოს საბითუმო სანყოფში.

**ქუთაისში:** წმინდა გიორგისა და წმ. სამების ტაძრებში (ავანგარდის დასახლება).

**ხეთერელის მალამო სახსრებისათვის – თხევადი – (LININENTUM) (RECTAL)**

**ფარმაცოლოგიური თვისებები:** ანალგეზური, ანთების საწინააღმდეგო, იმუნური სისტემის და რეგენერაციის გამაძლიერებელი.

**შემადგენლობა:** უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი”, სამკურნალო მცენარეთა ზეთები და გამონაწვლილები: ბრტყელეკალა – Татарник колючий – *Oenopordum acanthium oleum*, აბზინდა – *Полынь горькая* – რტემისია აბსინტჰიუმ, ცხოველური ცხიმები – *Говяжий жир* – ლეუმ უბუღუს.


**ჩვენებები:** კოქსართროზი (I-II ხარისხი), გონართროზი, ართრიტები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მენისკი, პოდაგრები, ნალრძობი, მოტეხილობის შემდგომი რეაბილიტაცია. აქვს სახის კანის გამაჯანსაღებელი ეფექტი.

**შპსურვენიები:** გამოვლენილი არ არის.

**გამოყენების წესი და დოზირება:**

**I-რეჩტალური:** თხევადი მალამო შეიყვანება სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. სახსრების ძლიერი ტკივილისას დოზის გაზრდა დასაშვებია დღეში 4-6-ჯერაც.

**გვერდითი მოვლენები:** იშვიათ შემთხვევაში, შესაძლოა, ტკივილის მცირე ხნით გამწვავება, რომელიც მალე გაივლის.



**საშენები:** გამზადებულ, ნატურალურ-მინერალური თიხა “ნაილენოლის” კომბინირებულ (მრავალკომპონენტურ) საფენებს (კოკრებს) იდებენ მტკივნეულ უბანზე, დააფენენ პოლიეთილენს და შეიხვევენ. იცვლიან 8 ან 12 სთ-ში ერთხელ.

თხევადი მალამოს და მინერალური საფენების შექმნა: – “ქსენონი” – 232 54 43; 599 32 54 43

მკურნალობის ერთი კურსი 20-25 დღე. იმეორებენ წელიწადში რამდენჯერმე.

ავტორის რეკომენდაცია: თხევადი მალამოს (რექტალური) კარგი ეფექტი აქვს აგრეთვე კუჭნაწლავის, გინეკოლოგიური და შარდ-სასქესო სისტემის მკურნალობაშიც.

ნაილი-მარიამ ხეთერელი: ქ. თბილისი. 380068. ტელ: 232 54 43; მობ. 599 32 54 43  
 მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვ. 31 კორპ. IV სად. ბ.40.  
 დაბადების ადგილი და თარიღი: საქართველოს რესპუბლიკა. საჩხერე, 1948 წ. I მაისი.  
 პროფესია: პედაგოგი, ხალხური მეთოდებით მკურნალი.

ეროვნება: ქართველი.

სოციალური მდგომარეობა: ქმარშვილიანი.

სწავლა:

1. სკოლა – საჩხერე 1957-67
2. ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი №173968. რეგისტრაციის №01/433
3. მოსკოვის ხალხური მედიცინის ცენტრი. დიპლომის №259, რეგისტრაციის №158.

გამომბონებები:

1. მალამო “ხეთერელი” – პატენტის № 269 და თხევადი მალამო სახსრებისათვის.
2. დამამშვიდებელი ბალზამი “სპაზმოფილინი” – პატენტი 26.
3. გულის სამკურნალო სიროფი “ქართული ფლორა” (კარდიომარი).
4. სამკურნალო თიხების კომპოზიცია “ნაილენოლი” – პატენტი №352.
5. ცხოველურ ბენჯე დამზადებული სამკურნალო დამატებები აქსესუარები. კოქსართროზის სამკურნალო გადასახვევი აქსესუარი.

მეცნიერული შრომები:

1. ნიგნი – “მორწმუნე მენამლეობა” – სალბუნი სნეულთათვის – 1988 – “სარკმელი საქართველოსი”.
2. პრაქტიკული სახელმძღვანელო, “პროსტატის მკურნალობა ბუნებრივი მეთოდებით”, 1999 წ.
3. ფიტოთერაპია და რელიგიის საკითხები – 2000 წ.
4. ხეთერელის მალამოს შეყვანა ორგანიზმში ფინოფორეზის მეთოდით, 2003 წ.
5. კლასიკური მედიცინისა და ტრადიციული მედიცინის ურთიერთკავშირი, კონფერენცია – კურატორი, 2004 წ.
6. ქართული სამკურნალო თიხების კომპოზიცია “ნაილენოლი”, 2008 წ.

საქმიანობა:

1. ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი – უცხო ენების კათედრა – პედაგოგი, 1973-1995 წ.
  2. სპეციალიზირებული გერმანული სკოლა, 1985-1996 წ.
  3. გელათის სასულიერო აკადემია – პედაგოგი – 1992-1996 წ.
  4. სატაძრო მედიცინის ცენტრი – ხელმძღვანელი – 1990-1996 წ.
  5. საქართველოს საპატრიარქო – სამონასტრო მედიცინის აღდგენის განყოფილების გამგე, 1996-2005 წ.
  6. ფიტოთერაპიული კლინიკა – ხალხური მეთოდებით მკურნალი – 2000-2005 წ.
- საქართველოს საპატრიარქო – სამედიცინო კაბინეტი, ხალხური მეთოდებით მკურნალი, 1996 წლიდან დღემდე.

1990 წელს საქართველოში გაიხსნა „ხალხური მედიცინის“ ასოციაცია, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ნუზგარ ჯოგლიძე. ასოციაციაში ინვესტირდნენ ისეთ ხალხურ მკურნალებს, რომელთაც სამკურნალწამლო რეცეპტები გადმოცემული ჰქონდათ წინაპრებისაგან. თბილისის ფარმაცოლოგიურ კვლევით ინსტიტუტში იკვლევდნენ ქართული ხალხური წამლების ნიმუშებს და დადებითი რეზულტატის მიღებისას, ხალხურ მკურნალს აძლევდნენ მკურნალობის ნებართვას.

ყოველგვარი კლინიკური კვლევა წარმატებით გაიარა ჩემს მიერ წარდგენილმა ხარაიშვილებისა და ხეთერელების საგვარეულო წამლებმა. 1991 წელს ქუთაისში გაიხსნა „მწვანე აფთიაქი“, სადაც მხოლოდ ქართული ხალხური წამლები და სამკურნალო მცენარეთა ნაკრებები რეალიზდებოდა დაბალ ფასებში.

1991 წლიდან, 1995 წლამდე ამ აფთიაქში ხალხურ

მკურნალებად ვმუშაობდით მე და არჩილ ასკურავა, რომელიც ასკურავების საგვარეულო მოტეხილობის მალამოს ამზადებდა.

იმხანად საქართველოს ძნელბედობის ფაში ედგა. წავაგეთ რუსეთთან ომი და დავკარგეთ აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც რუსეთის ოკუპაციის ქვეშ მოექცა. 500 000 ლტოლვილი მოაწყდა აფხაზეთიდან დაწარჩენ საქართველოს. გაუჭირდა ხალხს. არ იყო ელექტრო ენერჯია, ბუნებრივი აირი, ძნელად ცხვებოდა პური, სრული კრახი განიცადა მედიკამენტებით ქვეყნის მომარაგებამ. ამ დროს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით, ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში გაიხსნა „სატაძრო მედიცინის აღდგენის“ განყოფილებები. განყოფილების გამგედ მაკურთხა მე, ნაილი ხეთერელი. ჩემი შვილები, მირანდა და ალექსანდრე ხეთერელები სამედიცინო ინსტიტუტის და-

მამთავრებელი კურსის სტუდენტები იყვნენ, ისინი თავიანთი კლასიკური განათლებით მეხმარებოდნენ ახალი საკმურნალო საშუალებების შექმნაში, წინაპროგრესული კვლევებსა და დარეგისტრირებაში.

ძალიან დიდი როლი შეასრულა სატადრო მედიცინის განყოფილებამ, როგორც გაჭირვებული მოსახლეობის დახმარებაში. პატრიარქის კურთხევით უანგაროდ გაიცემოდა ხალხური ნამლები ლტოლვილებისა და უპოვართათვის, მიუსაფარ და ინვალიდ ავადმყოფებზე.

მე და ჩემს შვილებს თვითონ მიგვექონდა ნამლები ოჯახებსა თუ ტაძრების წინ მდგომარე უპოვართათვის.

მახსოვს, ქაშუეთის ტაძრიდან ლოცვის შემდეგ გამოვედი... ხატები, ჯვრები, ლოცვების წიგნები შევიძინე, საფულე დამიცარიელდა, შინ წასასვლელად სამგზავრო ფული ააღარ მქონდა. დავიბენი. ნაცნობი არავინ იყო, რომ დახმარება მეთხოვა. ტაძრის გამოსასვლელში ორმწკრივად მდგომ უპოვრებზე შევჩერე მზერა. გავბედე და ხმამაღლა მივმართე: „აბა, რომელი თქვენთაგანი მასესხებს ხვალამდე 40 თეთრს-მეთქი. გაცემისგან სუნთქვა შემეკრა, თითოეული მათგანი ხურდებით სავსე ხელებს მიწვდიდა, არა ჩემგან აიღე, არა ჩემგანო. თქვენ ყოველთვის გვეხმარებით და რა იქნება, ჩვენც მოგვცეს უფალმა ძალა, რომ სხვას დავეხმაროთ. ხურდა ფულით სავსე ერთ-ერთი პეშვიდან ზუსტად 40 თეთრი ავიღე. უპოვარი მეხვეწებოდა, რომ ვალი არ დამებრუნებია მისთვის. თქვენ, ყოველთვის გვეხმარებით და რა მოხდება ერთხელ ჩვენც გაგიმართათ ხელიო. კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რა მაღალი სული აქვს ადამიანს, თუ მის ღირსებას არ შეეხება ვინმე. სიკეთე, მაღლის ქმნა ყოფილა ამ ნუთისოფლის საზომი. პატრიარქიც, ხომ ამას გვიქადაგებს, გვიყვარდეს ადამიანი, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა.

გელათის სასულიერო აკადემიის რექტორი (1993-94წწ.) გახლდათ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე (მარგალიტაშვილი).

სასულიერო სემინარიაში ვასწავლიდი „ხალხური მედიცინის ისტორიას.“ 1994-95 სასწავლო წელს დამამთავრებელი კურსის სტუდენტების პირველი გამოშვება იყო. პირველ დიპლომებს გასცემდა აკადემია – „სატადრო მედიცინის განყოფილება“ – აკადემიის შენობის I სართულზე, სადაც ვამზადდები და გავცემდი ბუნებრივ, მცენარეულ სამკურნალო საშუალებებს.

დიპლომების გადაცემის ცერემონიაში უნდა ჩართულიყო იმ დროს ქუთაისში მყოფი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც გახლდათ მსოფლიო პატრიარქის მოადგილე, არქიმანდრიტი – სერგი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქი, უნეტარესი ალექსი II, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრები აკადემიის შენობის II სართულზე უნდა ასულიყვნენ. კიბის თითოეულ საფეხურზე კურსდამთავრებულები იდგნენ დიპლომებით ხელში სამთავრობო პროტოკოლი ითვალისწინებდა მხოლოდ 30 წუთის დიპლომების გადასაცემად.

სტუმრები მობრძანდნენ. ფოიეში მათ დერეფანი გაუკეთეს სასულიერო პირებმა, დელაგაციას ჩვენი უწმინდესი და მეუფე კალისტრატე მოუძღვოდნენ.

ჩვენმა პატრიარქმა – ილია II თვალი მოჰკრა „სატადრო მედიცინის“ წარწერას. – ეს კაბინეტი ლიააო? – შეეკითხა მეუფეს. მეფუემ უპასუხა – „დაიხ თქვენო უწმინდესობავო“.

როგორც ჩანს, უწმინდესს გადააწყდა ან საერთოდ არ იცოდა სამთავრობო ოქმის შესახებ და გეზი ჩემი კაბინეტისკენ აიღო. დელეგაცია უკლებლივ შემოჰყვა უწმინდესს კაბინეტში. ედუარდ შევარდნაძეზე მაშინ ახალი განხორციელებული იყო ტერაქტი. მარჯვენა ხელის ცერი შეხვეული ჰქონდა ჭრილობის გამო.

ჩვენი პატრიარქი უამრავ კითხვებს მისვამდა. რა სამკურნალწამლო საშუალებებს ვამზადდები, რომელი რა დაავადებას უხდებოდა.

ხეთერელების მალამოზე აღვნიშნე, რომ ჩირქოვან ჭრილობებს მალე ახორციებდა.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ მტკივანი ხელი გამომინოდა და ხუმრობით მითხრა: „აი, თითი მაქვს დაჩირქებული, თუ თქვენი მალამო მომირჩენს, დიდ რეკლამას გაგიკეთებ, თუნდაც, მე ვიქნები თქვენი საკვლევი ბაჭიაო.“

მაგიდაზე უხვად ელაგა სამკურნალო მცენარეული ნაკრებები, მალამოები, ნაყენები თუ გამონაწვლილები. თითო ფლაკონი მალამო ჩამოვურიგე რუსეთიდან მოწვეულ სასულიერო პირების დელეგაციის წევრებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მალამო მივართვი სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II.

ჩვენი პატრიარქი ილია II აიღებდა მცენარეული ნაკრების პაკეტს, თუ სხვა სამკურნალწამლო საშუალებას, შემეკითხებოდა, რას უხდებოდაო და იქვე მდგომ სტიქიაროსანს გადააწვდიდა – „გია ჩადე ეს ჩანთაშიო“. ალექსი II გაფაციცებით ადევნებდა თვალს ჩვენს პატრიარქს, რომელსაც თითმის ყველა წამლის ნიმუში თან მიჰქონდა. ალექსი II საკმაო სიმაღლის პიროვნება გახლდათ. ის დაიხარა ჩემსკენ და ყურში ჩუმიდ მითხრა: „ещо другой довайте.“ ლამაზ ყუთში მასაც ჩავუღაგე სამკურნალო საშუალებები. ყოველივე ამას საკმაო დრო მიჰქონდა. მეუფე კალისტრატე, რომელიც სიმაღლით ყველა დელეგაციის წევრს აჭარბებდა, ხელებით მანიშნებდა, რომ გავჩუმებულიყავი და საჩუქრების დარიგებაც შემწყვიტა, რადგან დრო იწურებოდა. სტუდენტები კი კიბეების საფეხურებზე მდგარი ელოდნენ პრეზიდენტისა და პატრიარქების მიბრძანებას.

ხელმძღვანელი ოქმით შემოვიდა, განაცხადა, რომ დრო ამოიწურა და სტუმრებს თხოვა მანქანებში ჩამსხდარიყვნენ.

პატრიარქებმა დამლოცეს, პრეზიდენტმა მადლობა გადამიხადა და კაბინეტიდან გაბრძანდნენ.

შენდობას ვითხოვ და ბოდიშს ვუხდი გელათის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულების პირველ გამოშვებას, რომელთაც ჩემი მიზეზით, საზეიმო ვითარებაში ვერ გადასცეს დიპლომები.

ემოციებით ისე ვიყავი დატვირთული, ოთახში ადგილს ვერ ვპოულობდი. ხატების კუთხესთან დავდექი და უფლის სამადლობელ ლოცვას ვკოხულობდი. კარებზე დააკაკუნეს. გავაღე კარი და რას ვხედავ! – მეუფე კალისტრატე და მსოფლიო პატრიარქის მოადგილე – არქიმანდრიტი სერგი შემობრძანდნენ. მეუფემ წარმადგინა და მითხრა მომესმინა მისთვის. არქიმანდრიტი სერგი შემობრძანდნენ. მეუფემ წარმადგინა და მითხრა მომესმინა მისთვის. არქიმანდრიტი სერგი რუსული წარმომავლობის იყო. ის, იმ პერიოდში ცხოვ-

ვრობდა მსოფლიო პატრიარქის საფრანგეთის რეზიდენციაში.

არქიმანდრიტი სერგი მიყვება ასეთ ამბავს, რომ 63 დღის წინ მას მოუვიდა ორი მინვევა საფრანგეთში, ერთი საქართველოდან, წმინდა ადგილების მოსალოცად, ხოლო მეორე – ბელგიიდან, სადაც სისხლძარღვების ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ ქვედა კიდურებზე.

ბევრი უფიქრია და ვერ გადაუნწყვეტია, ერთდღა იმავე დროს დანიშნულ ავიარისზე სად, რომელ ქვეყანაში აჯობებდა წასვლა. დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოს წახვის, მაგრამ აუცილებელი იყო ოპერაცია ბელგიაში. გამგზავრების წინდა ღამეს ულოცია და უთხოვია უფლისთვის, როგორც უფალი ჩათვლიდა საჭიროდ იმ ქვეყანაში გაფრინდებოდა. არქიმანდრიტს ჩემთვის არ განუმარტავს როგორ,

მაგრამ მითხრა, რომ უფალმა მას საქართველოში გამგზავრებაზე მიანიშნა. თურმე ის მისმენდა, როდესაც დელეგაციის წევრებს ჩვენს საგვარეულო წამლებზე ვესაუბრებოდი, ყური მოჰკრა სისხლძარღვოვანი დაავადებების მკურანლობის ბუნებრივ მეთოდებს და მთხოვა მიმეცა მისთვის სამკურნალო საშუალებები. დაწვრილებით დამეწერა წამლის გამოყენებისა და შენახვის წესები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II და ყველა იმ მსოფლიოში ცნობილი, ბუმბერაზი სასულიერო პირების დალოცვა, მადლი და რჩევები უსათუოდ საცხოვრებელი იქნება ჩემი, ჩემი შვილებისა და სრულიად საქართველოსი ორთავ სოფელსა შინა!

დიდება უფალს!

მადლობა წმ. მარიამ ღვთისმშობელს!

შეგვინდე უფალო ყოველგვარი ცოდვანი ჩვენი!  
2013წელი. მაისი



გერმანელი კომპოზიტორი  
ჰერმან ვეილინგი – განკურნებული პაციენტი



ნაილი ხეთერელ-ხარაიშვილის შვილიშვილები: ოთარ, ნიკოლოზ და გიორგი პატარაიები



ნაილი ხეთერელ-ხარაიშვილის მადლიერი პაციენტი –  
ჯუშუპარ ლუქაშა

# ნორჩი ათინათელები

ჟურნალი „ათინათის“ მთავარი რედაქტორი მადლობას უხდის თბილისის 165- ე საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონლამა კილაძეს, შემოქმედით მოსწავლეების, „ნორჩი ათინათელების“ ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის.

რაც შეეხება ამჟამად სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ლამარა გერგედავას მან წარმატებით გაართვა თავი საბავშვო განყოფილების რედაქტორობას.

ჟურნალი „ათინათის“ საბავშვო განყოფილება იწვევს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს.

## პოეზია

## ესა

### ლუკა შედანია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

### მიხეილ კობერიძე

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

### საქართველო ჩემო!..

### „მტერ-მოყვარე“

საქართველო ჩემო,  
ქართველების ღმერთო,  
შენი მთა და ბარი  
ჩემთვის ერთადერთო!..  
საქართველო ჩემო,  
მოელვარე მზეო,  
შენი ცა და მიწა  
მინდა ვადღეგრძელო.  
ასჯერ განათელო,  
მაგრამ მაინც დგახარ  
ჩვენ რომ გაგვამხნევო,  
ჩემო საქართველო...  
საქართველო ჩემო,  
ჩემო გულის მზეო,  
ვიცი, აყვავდები,  
როგორც მუხის ხეო!  
26.05.2013

არაფერია ისეთი ლამაზი და იმედის მომგვრელი, როგორც ატმის აყვავებული ბაღები, ადრე გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებს საოცარი ფერებით.

მზის სხივებით გამთბარი დილა გათენდა, ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა ირგვლივ. გონება ვერ წარმოიდგენდა ასეთ მშვენიერ დილას ხალხი ერთმანეთის სამტროდ თუ მოიცლიდა.

დილის იდილია დიდხანს არ გაგრძელდა. ჰაერში გაისმა ავტომატის გასროლა, ამას რამდენიმე აფეთქება მოჰყვა, ეს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ რადგან თითქმის ყოველი დილა ასე იწყებოდა ხეობაში, შემდეგ კი, როგორც წესი, სიმშვიდე ისადგურებდა. ამჯერად კი არ შეჩერდა სროლა და აფეთქებები, არამედ იმატა, ახმაურდა მძიმე ტექნიკა. მოსახლეობას შიში შეეტყო.

უფროსები შეშფოთებას არ იმჩნევდნენ, ბავშვებს დრო და დრო გადმოგვხედავდნენ ხოლმე და ჩაფიქრებულები ცდილობდნენ სიტუაციაში გარკვევას.

ექვსნი ვიყავით, თამაშსა და გართობას ვინ ჩიოდა დღე და ღამე თავშესაფარში ვიმალებოდით რა ბედი გველოდა ალყაშემორტყმულ სოფელში არავინ იცოდა.

ასე გრძელდებოდა ოთხი დღე, შემდეგ კი, როდესაც მხარეებმა ერთმანეთის განადგურებით გული იჯერეს, ზავი დადეს. უფროსები ცდილობდნენ, ბავშვები სამშვიდობოს გავეყვანეთ მიუხედავად ომისა და მტრობისა, მონინალმდეგეებს შორის მაინც მოიძებნა პატიოსანი და სანდო ხალხი, რომლებმაც იკისრეს ჩვენი სამშვიდობოს გაყვანა. მართალია, ეს გზა საშიში იყო, მაგრამ ის სიფელი დღე და ღამე იბომბებოდა და იქ ბავშვების დატოვება არ შეიძლებოდა.

ათამდე ბავშვი მიხვეულ-მოხვეული გზებითა და ქუჩებით ქალაქში შეგვიყვანეს, სადაც დაგვხვდა ჩვენი „მტერ-მოყვარე“. ჩავსხედით მანქანაში და, მტრის ბუნაგის გავლით, დავიძარით სამშვიდობოსკენ.

არასოდეს დამავიწყდება მინგრეულ-მონგრეული ქალაქი და დამფრთხალი, შეშინებული ხალხი, რომლებსაც ეს გაუთავებელი ომი არაფერს ჰპირდებოდა ნგრევისა და სიკვდილის გარდა, მიუხედავად ყველაფრისა, გამიჩნდა იმედი, რომ ხალხში ნდობა გაიმარჯვებდა.

ამბობენ, იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო... მე კი ვისურვებდიმარადიული ყოფილიყო იგი... ომი უფლის გაჩენილს ხელყოფს, თავისუფლებასა და სიცოცხლეს გვართმევს არადა რარიგ მშვენიერია იგი...

### შმაგი ხანთაძე

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

### “იასამანი”

იასამანი, დედაბუნების,  
ქვეყნის მნათობის არსი მთავარი...  
იასამანი გულის წამალი,  
იასამანი მზეს შესადარი,  
აყვავებული იასამანი...  
სულის სილაღე, წყალობა ღვთისა,  
იასამანი ყვავილთა მეფე,  
იასამანი ბუნების რისხვა...  
მაგრამ ყოველთვის იმაზე ვფიქრობ,  
ასეთი ნაზი, მშვენიებით სავსე,  
იასამანო!  
რატომღა გაჩნდი ამ ქვეყანაზე?!



**ირაკლი ჯიგანია**

თბილისის 167-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ილიას „ლოცვა“ შთაბეჭდილება**

ალბათ, დღესდღეობით, ყოველი რელიგიის მიმდევარმა ადამიანმა იცის, რა არის ლოცვა და ყოველი მორწმუნე ადამიანის დღე იწყება მონანიებით, ღვთისადმი მიმართვით. ყოველი ჩვენგანისთვის უწმინდესია, ის ადამიანს უნერგავს ღვთის სიყვარულსა და თავმდაბლობას და არა მარტო ღვთისადმი, არამედ ადამიანებისადმი. ლოცვის ნაკითხვას აქვს დიდი მნიშვნელობა და უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს და რას გვასწავლის ის. ყოველი მისვლა ეკლესიაში და ერთი სანთლის დანთება მაცხოვრის ხატის წინ, სიკეთის მომგვრელი ნაბიჯია, მაგრამ დღეს, როგორც ილია ამბობს ლექსში: „ლოცვა“, ჩვენ უპირველესი მიზანი სიმდიდრის თხოვნა არ უნდა იყოს:

მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგევარ შენ წინა...

ადამიანი სიმდიდრეზე ოცნებით თავს ცოდვაში იგდებს. ღმერთმა გვასწავლა, რომ ამით სიყვარულს ვერ შევიწარმუნებთ და, რა თქმა უნდა, რწმენაც გვეკარგება. ლოცვა უნდა ამოდიოდეს გულიდან და ყოველი გრძნობა და განცდა უნდა მივუძღვნათ უფალს. დიდად არ მომწონს, როდესაც მარტო თავისთავზე, თავისი ღმერთისთვისა და დიდებისთვის რომ ლოცულობენ ვითომ, მერე იტყვიან: რა ცოდვა ჩავიდინე? დღეს, რა თქმა უნდა, უშეცდომო არავინ ვართ, მაგრამ ამდენი უნდა ვიცოდეთ და გვესმოდეს, რა არის ცოდვა და რა არა. ილია გვასწავლის ასევე, ვინც შეცდომებს ჩადის, უნდა აუხსნას, რომ არასწორს აკეთებ. ბოლოს კი, სიკვდილის ჟამს, ყველას უნდა ახსოვდეს და შენ თვითონაც უნდა იცოდეს, რომ ყოველ შენს სიკეთეს თუ ბოროტებას ყველა დაიმახსოვრებს და შენი სული მუდამ ნათელში იქნება. უნდა გახსოვდეს, რომ ღმერთი ყოველთვის შენს კეთილდღეობას განაგებს.

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა...

ამ სიტყვებით იწყება ღმერთთან ურთიერთობა და არ დაგვაგინწყდეს..

**ანი ჩიტაია**

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ბზა მონასტრისაკენ...**

(გ. ჩოხელის „ბედისწერის თეატრი“)

ესე

ოფელია გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების „ბედისწერის თეატრის“ პერსონაჟია. ის დრომ ჩამოაბერა. თეატრში მოკარნახედ მუშაობდა, მაგრამ მსახიობებმა ტექსტის შესწავლა დაიწყეს და ოფელია იძულებული გახადეს თეატრი დაეტოვებინა. შექსპირისდროინდელ, თეთრ, ფუშფუშა კაბაში გამოწყობილი ქალი უგზო-უკვლოდ დაადგა გზას, ჩაჯდა მათარებელში და შუალამისას, ერთ სოფელს მიადგა. დააკაკუნა. შევიდა. იქ ავადმყოფი ქალი, მართა დახვდა. მან ოფელია სულეთის ანგელოზად ჩათვალა ჩაცმულობის გამო და ეგონა საიქიოს ნაიყვანდა. ოფელია ყველაფერს მიხვდა, ანგელოზის როლი მოირგო და ლოგინად ჩავარდნილი ქალი დაარწმუნა, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდებოდა, არ მოკვდებოდა. მეორე დღეს მართა ფეხზე წამოდგა, ყველას უკვირდა. სოფელში ხმაც გავრცელდა, რომ მასთან ანგელოზი ცხოვრობდა,

ყველა ოფელიასთან მიდიოდა პრობლემების გადასაჭრელად. ისიც ცოტა ხანს თამაშობდა ამ როლს, მაგრამ სინდისმა შეაწუხა და სიმართლე თქვა. მართამ ინერვიულა და გარდაიცვალა. ყველა შეიკრიბა, ოფელიაც იქ იყო. მას უეცრად იდუმალი ხმა ჩაესმა: მონასტერში წაიღო, ოფელია, მონასტერში. ის მართლაც გზას გაუყვია...

მოთხრობა „ბედისწერის თეატრს“ შევადარებდი ო'ჰენრის ნაწარმოებს „უკანასკნელი ფოთოლი“. ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ორი გოგონა სიუ და ჯონსი ცხოვრობს. ჯონსი ავად არის, ფანჯარას შეჰყურებს, ფიქრობს, რომ როდესაც უკანასკნელი ფოთოლი ჩამოვარდება მეც მოკვდები. ამავე სახლის პირველ სართულზე ცხოვრობს მოხუცი, სამოც წელს გადაცილებული ბერმანი, რომელიც დიდი ხანია შედევერის შექმნაზე ოცნებობს, თუმცა, ჯერ ამას ვერ ახერხებს. იმისთვის, რომ ჯონსი გადარჩენილიყო ბერმანმა დახატა უკანასკნელი ფოთოლი. წვიმიანი ღამის შემდეგ, როდესაც ჯონსიმ ხეს შეხედა და ფოთოლი კვლავ ხეზე შეამჩნია, მონესრიგება გადაწყვიტა. ბერმანმა კი ორი დღე იავადმყოფა და გარდაიცვალა. მისი ნახატი კი უკანასკნელი ფოთოლი „შედევრად“ დარჩა. ოფელიაც და ბერმანიც ცდილობენ გადაარჩინონ მართა და ჯონი. ბერმანმა ეს მოახერხა თავისი სიცოცხლის სანაცვლოდ. ოფელია შეეცადა მართა გადაერჩინა, თუმცა არ გამოუვიდა. მიუხედავად ამისა ცოტათი მაინც გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

ჩაჩაურიც, პერსონაჟი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან, მართას და ჯონსის მსგავსად, სიკვდილის მოლოდინშია და ვალდებულად მიდის ქვეყნიდან.

გოდერძი ჩოხელი გვასწავლის, რომ ცხოვრება ერთი დიდი თეატრია რომელსაც აქეთ-იქით კულისები აქვს, შიგ კეთილი და ბოროტი მოკარნახეები სხედან. რა თქმა უნდა, კეთილი მოკარნახე კეთილის ქმნას გკარნახობს, ბოროტები კი ბოროტებას ჩაგჩურჩულებენ.

ადამიანის ცხოვრება ღირს იმად, რომ იყო ვალდებული ჩაჩაურით, გადაარჩინო ახალგაზრდა ბერმანივით და მიხვდე ოფელიასავით, რომ ღვთის წინაშე იყო ალაღმართალი და ამისთვის მისკენ მიმავალი გზები უნდა გამონახო, თან უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება მშვენიერია...

**ქეთევან სხირტლაძე**

ქ.თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ბერმანის „შედევი“**

(ო, ჰენრი „უკანასკნელი ფოთოლი“)

ესე

უილიამ სიდნეი პორტერი. ანუ ო, ჰენრი ცნობილი ამერიკელი ნოველისტია. იგი მახვილგონიერი, სხარტი, წარმტაცი სიუჟეტების მქონე ნოველების ავტორია. მისი ენა უნიკალურია. ო, ჰენრის მოულოდნელი დასასრულების ვიურტუოზს უწოდებენ. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ცნობილი ნოველი. ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „უკანასკნელი ფოთოლი“. ამ ნოველაში მოხუცი, სამოც წელს გადაცილებული, ხელმოცარული მხატვარი, ბერმანი თავისი „შედევით“ გადაარჩენს ავადმყოფ გოგონას, ჯონსის.

ნოველის გამირები სიუ, ჯონსი და ბერმანი ვაშინგტონ სკეერის დასავლეთით, ერთ პატარა უცნაურ

ქუჩაზე ცხოვრობდნენ. გოგონები სიუ და ჯონსი, მეგობარი მხატვრები არიან, ისინი მეორე სართულზე ცხოვრობენ. ჯონსი ჰნემონითაა დაავადებული. მას ჰგონია, რომ როცა უსურვავის ხეს ყველა ფოთოლი მოსწყდება, ისიც მოკვდება.

მოხუცი ბერმანი ერთი ხელმოცარული მხატვარია, რომელიც მუდამ შედევის შექმნაზე ოცნებობს, მაგრამ, ჯერჯერობით, მისი ოთახის კუთხეში მოღებრზე გადაჭიმული ხელუხლებელი ტილო უკვე ოცდახუთი წელია, რაც ამაოდ ელის შედევის პირველ შტრიხს. იგი ყოველთვის ნატურაა ახალგაზრდა მხატვრებისთვის. როცა სიუ განდეგილის დახატვას გადაწყვეტს, ბერმანს დაიხმარებს, თან ჯონსის შესახებ უამბობს. ბერმანს ეს სულელურად მოეჩვენება. მოხუცი ნატურის როლის შესრულებაზე მაინც თანხმდება.

ქარიანი, წვიმიანი ღამის შემდეგ, დილით, სიუ ფარდას გადასწევს და დაინახავს, რომ უკანასკნელი ფოთოლი ისევ იქვეა, ტოტზე, არც კი ირხევა.

ჯონსის რწმენა უბრუნდება, სიცოცხლე უხარია და იწყებს ოცნებას, რომ ნეაპოლის უბე დახატოს.

მას სიუმ უამბო მოხუცი ბერმანის ამბავი. ის საავადმყოფოში, ორი დღის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაცვლილიყო. როცა იპოვეს, სიცვიდან იყო მოკრუნჩხული, უკვირდათ, სად უნდა ყოფილიყო ქარიანი, წვიმიანი ღამეს ბერმანი.

ბერმანი კი...

კეთილშობილმა მოხუცმა ბერმანმა ჯონსი გადაარჩინა...

ეს ნაწარმოები მე მახსენებს გოდერძი ჩოხელის „ბედისწერის თეატრს“ და რევაზ ინანიშვილის „ჩაჩაურის ნასვლას“. სამი პერსონაჟი – ჯონსი, ჩაჩაური და მართა სიკვდილს ელიან. განსაკუთრებით, მართას და ჯონსის ამბავი ემთხვევა ერთმანეთს. მართას ოფელიას ტყუილი გადაარჩენს, რომელიც თითქოს და „სულეთის ანგელოზად“ მოევიანა მართას, და სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს. ჯონსის კი „შედევი“, რომელიც ბერმანმა იმ ღამეს დახატა, როცა უკანასკნელი ფოთოლი ჩამოვარდა. განსხვავება ის არის, რომ ოფელია მართას სიმართლეს ეტყვის სულეთის ანგელოზი არ ვარო და მართლაც ამ სიმართლეს გამო დაიღუპება, ჩაჩაური ვალმოხდელი მიდის ამ ქვეყნიდან, ხოლო ბერმანი ამ სიცვიდან და ქარში ხატვისგან და ფილტვების ანთებით მოკვდება, ჯონსი კი მისი „შედევით“ გადარჩება.

ერთი სიტყვით, ნოველაში საუბარია ერთი დიდებულის, ხელმოცარული მხატვრის „შედევზე“, რომელიც ჯონსის გადაარჩენს. ეს არის ბერმანის „სიცოცხლის შედევი“ „უკანასკნელი ფოთოლი“...

## ნატა პირველი

167-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

### დედა

ესე

დედა – სიტყვა, რომელმაც ასაკი არ იცის. დედაზე მნიშვნელოვანი ყველა ჩვენგანისთვის არავინაა. როცა რაიმე გტკივა, ცუდად ხარ, ის ყოველთვის შენ გვერდითაა. ყველანაირად ცდილობს, როცა თავისუფალია, რაიმე პატარა საქმეც კი გააკეთოს, ამიტომ მიიღო მან 167-ე სკოლაში წლის საუკეთესო მასწავლებლის სახელწოდება. ჩემი დედიკო ისეთი კეთილი,

ლამაზი, საყვარელი ადამიანია, რომელიც ყველას უყვარს და ყველა აფასებს. მეგობრებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, ყველასათვის საამაყოა. ის, ყველანაირად ცდილობს, რომ ჩემს ძამიკოს და მე დარიგებები მოგვანოდოს, ჩემი აზრით, მას ეს ყველაფერი გამოსდის, დედიკო ყოველთვის ჩვენ გვერდითაა... ზოგჯერ ვაბრაზებ, მაგრამ მე ის ძალიან მიყვარს. როცა სკოლაში კარგ ნიშნებს ვიღებ, ოლიმპიადებზეც ვიმარჯვებ, სახლში ძალიან გახარებული მოვდივარ, რომ ისიც გავახარო. ძალიან უყვარს სახალისო საქმეების კეთება, სტუმრებთან ერთად დროსტარება. მემამყება, რომ ასეთი ჭკვიანი, კეთილი და ლამაზია დედიკო... დარწმუნებული ვარ, რომ იგი არა მარტო მე, არამედ მეგობრების საამაყო ადამიანია. ამ პატარა, თბილ სიტყვებში მე არ გამომიხატავს ის ყველაფერი, რასაც ვგრძნობ, მხოლოდ ორიოდ რამეს ვიტყვი:

დედა – სიტყვა, რომელმაც ასაკი არ იცის.

ეს სიტყვები არა უბრალო, არამედ გულიდან წამოსული სიტყვებია.

## ლუკა შედანი

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

### „ყმანვილი უნდა სწავლობდეს...“

( დ. გურამიშვილის „დავითიანი“ )

ესე

„ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, ნავა სადაო?

ვინცა ქმნა თიხა ჭურჭლად, რას უძღვნის ხელფასადაო?

ვით რემა ხნარცეს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო.“

ეს სტროფი დავით გურამიშვილის „დავითიანის“ იმ თავშია მოცემული, რომელსაც „სწავლა მოსწავლეთა“ ჰქვია და გამოხატავს პოეტის აზრს სწავლაცანათლების ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე.

პოეტის შეხედულებით, მოზარდმა თავიდანვე უნდა გააცნობიეროს და გაიაზროს თავისი ვინაობა, თუ რა მისია დააკისრა მას უფალმა ღვთისა და კაცობრიობის წინაშე. მან უნდა იცოდეს, რა გზა უნდა გაიაროს, რათა მიაღწიოს წარმატებას, ბედნიერებას, წინსვლას. ასევე უნდა გაითავისოს, რომ ყოველივე ამის მიღწევა სწავლის, ცოდნის, სწავლული, ბრძენი ადამიანების გამოცდილების გარეშე წარმოუდგენელია, თითქმის შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფსკრულში გადაიჩენება ლაგამიშვებული ცხენების რემასავით და სიბნელეში გაუჩინარდება.

დავით გურამიშვილის შემოქმედება ცხადყოფს, რომ ის ღვთისმორწმუნე პიროვნებაა. მისი სტროფები შთაგონებულია ღვთიური წიგნით - ბიბლიით და ანტიკური ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს ბრძნული გამონათქვამით: „შეიცან თავი შენი“

დავით გურამიშვილს ამ სტროფით უნდოდა ეთქვა, რომ ღმერთის მიერ ბოძებული ნიჭი, მხოლოდ ნიჭად არ უნდა დარჩეს. ჩვენ იგი უნდა გამოვიყენოთ, მისი საშუალებით უნდა განვვითარდეთ და მივიღოთ ცოდნა.

ჩემი აზრით, ეს სტროფი ეხმიანება მათეს სახარებას (25:14-30), სადაც სამ მონაზეა საუბარი, რომელთაგან ორი შრომისმოყვარეა და ცდილობენ თავიანთი შრომით მოიპოვონ წარმატება და შესძლეს კიდევ, მაგრამ მესამე ეს ნიჭი მინაში ჩაფლა და არაფერში

გამოიყენა.

ეს ორი მონადინებული მონა, ღმერთმა დააფასა და შეიყვარა, მაგრამ მესამემ სამუდამოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა .

მე ეს სტროფი მინდა შევადარო სულხან-საბას იგავს „ვირი და აქლემი“, რომელთაც ვერ დააფასეს ის დიდი მადლი, თავისუფლება, რომელიც მათ ღმერთმა უბოძა და განსაცდელში ჩაცვივდნენ.

ყველა ადამიანს თავისებური ნიჭი აქვს, და მას გამოვლენა სჭირდება, მაგრამ მხოლოდ გამოვლენა როდი კმარა, მიზნის მისაღწევად დიდი შრომაა საჭირო, წარმატებული მომავლის მისაღწევად...

**თამარ მოთიაშვილი**

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ადამიანს მოვალეობა**

(რ.ინანიშვილი „ჩაჩაურის წასვლა“)

ესე

„ჩაჩაურის წასვლა“ რევაზ ინანიშვილის ნოველია. მასში აღწერილია მომაკვდავი ადამიანის ფიქრები და განცდები. ნოველის მთავარი პერსონაჟია ჩიჩაური. ის სიკვდილის წინ იხსენებს ცხოვრების განვლილ გზას... მას ერთი რამ აღელვებს: მიდის თუ არა ვალმოხდილი ამ ქვეყნიდან.

რევაზ ინანიშვილის ნოველა მახსენებს გოდერძი ჩოხელის „ბედისწერის თეატრს“, სადაც ოფელია მომაკვდავ მართას გადაარჩენს კეთილშობილური ტყუილით, თითქოს ის სულეთის ანგელოზია, მაგრამ როცა ის აღიარებს, რომ ცასთან არავითარ კავშირში არაა, ამრთა მოკვდება, ოფელია კი იდუმალი ხმის კარნახით მონასტერში მიდის, რადგან ღმერთთა ყელას ნავსაყუდელი... გიორგ ლეონიძის „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილში“ ნინიაც ვალმოხდილია... ო, ჰენრის „უკანასკნელ ფოთოლში“ მოხუცი ბერმანი გადაარჩენს თავისი „სიცოცხლის შედევრით“ ჯონსის, რომელიც ჩაჩაურით სიკვდილის მოლოდინშია, სიც თავისებურად ვალმოხდილია.

ყველა ზემოაღნიშნულ ნაწარმოებს აერთიანებს ცხოვრება და სიკვდილის მოლოდინის თემა...

ჩემი აზრით, რევაზ ინანიშვილს ამ ნოველით სურდა ეთქვა, რომ ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა უნდა იყოს ღირსეული, სიკეთით და სიყვარულით სავსე, ათა უკან მოხედვის არ გვეშინოდეს, ეს ადამიანის მისიაა, მისი უპირველესი მოვალეობა... მწერალ თვალს გვიხელს, სმენას გვიმახვილებს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს ავკარგიან ქვეყანას, სადაც თავადვე ცხოვრობს. ეს მისი სამშობლოა, რომელიც უკვე მკითხველის სულიერ სამშობლოდ იქცა.

**მარიამ ჯიქია**

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ოცდაექვსი საუკუნის წინათ...**

(გ. ტაბიძის „ჰიმნი ქართულ ანბანს“)

“შენ, რომელიც მარად მზეებერ გვინათ, არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად, არამედ მზით ამოენთე ბრწყინად - ოცდაექვსი საუკუნის წინად”...

ეს მშვენიერი ლექსი გალაკტიონ ტაბიძის კალამს ეკუთვნის... ყველამ ვიცით, ქართული ანბანი უძველესია და უმშვენიერესი;

“შენ სიძველის გამოსავს ნელი ხავსი, ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი”...

გალაკტიონ ტაბიძემ “ჰიმნი ქართულ ანბანს” XX საუკუნეში შექმნა. ლექსში ჩაქსოვილია დიდი სიყვარული ანბანისადმი, პოეტისა განწყობა ამაღლებულია. ქართველ კაცს ყოველთვის ესმოდა დედენის მნიშვნელობა ერისთვის და მეტიც, აღმერთებდა მას. ქართული ენა არის საფუძველი ქართველთა ერთიანობისა. ყველა ქართველ პოეტს უყვარდა და უყვარს საქართველო და ქართული ენა... ლექსის მიხედვით, ქართული ანბანი უძველესია და თან პარალელურად, უახლესიც... ანუ:

“კვლავ გვინათე, როგორც ეხლა გვინათ, რა იყო და რაა ახალ ბრწყინვად...”

ის ძველია, მაგრამ მარადიული სიახლე მოსავს, ამოენთება “მარად ბრწყინვად” და იქნება მარადიულად, მას ექნება წარსული, აწმყოცა და მომავალიც: “ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ”...

**თამარ თედიაშვილი**

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე

**დაბრუნება**

(გ.ტაბიძის „დაბრუნება“ )

ესე

„ლიხს აქით და იქით, მტკვარს, ლიახვს და ფაზისს, არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,”

პირველი ტაეპიდანვე თვალში გვხვდება საქართველოს ერთიანობის საკითხი, მისი სილამაზის, სრულყოფილების, „ოაზისი“ არსებობა უდაბნოში. ეს სიტყვები ნათელჰყოფს, რომ პოეტისათვის ძვირფას ადგილს სხვებიც სანატრელად მიიჩნევენ. გალაკტიონის „დაბრუნება“ ერთგვარად წარსულის გაიდევალეზაზეა აგებული. „ყოველგან უჩინრად ტირიან დანაკლისს

თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის. ”

იგი სევდიანია, მისტირის თამარ მეფის „ოქროს ხანას“ და ერეკლეს ძვლებს. რომ არა ისინი იქნებ სულ სხვანაირი ყოფილიყო ყველაფერი.

შემოქმედის ფიქრები გადასწვდომია მტრისგან მრავალჯერ აოხრებულ მცხეთას, „ხვლიკისფერი“ სვეტიცხოვლითა და ძველთაძველი ჯვრის მონასტრით რომ იწონებს თავს, მუხრანის ციხის ნანგრევებს, იტრიის ხეობას დედათა მონასტრით...

თავის დროზე, გრიგოლ ორბელიანიც არ იშურებდა ხოტბას თამარისათვის.

„ ყვავილოვანი ნალკოტი შენი, შენის დიდების სხივ-მოკლებული, აღარა ჰშვენის, აღარ გვიბრწყინვის შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!.. ”

არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩამორჩება თანამედროვეთ და პოემით „ბედი ქართლისა“ გვიხატავს, ერეკლე მეფის დროებს, მის ნაბიჯებს, ქვეყნის კურს-

სა და მისწრაფებებს:

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით, თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად; თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,

როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!“

გალაკტიონი მხოლოდ ისტორიით არ შემოიფარგლება, მისი ცნობიერება მითოლოგიაშიც ფართოდ გვახედებს.

„და ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე ხაზებად იშლება ეროსი,..“

„ეროსი“, როგორც მოგეხსენებათ, სიყვარულის ღმერთია, ამავედროულად მწუხარებაში დამშვიდების ღვთაებად მიიჩნევა. მე თუ მკითხავთ, ამ წარმართ ღმერთში საკუთარ თავს აიგივებს გაკალტიონი, ისიც ცდილობს დაუყვავოს თავის ქვეყანას, დაამშვიდოს, დაცემული წამოაყენოს და შეაგულიანოს.

„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? - ეს ჩემი სამშობლოს მთებია!“

პოეტი საქართველოს „ დაბინდულ ქლიავს“ ადარებს, რითაც, ჩემი აღქმით, ხაზს უსვამს ქვეყნის იდუმალებას, მისტიკურობას, მუდამ თან მსდევს.

როგორც უკვე გითხარით, გალაკტიონ ტაბიძე „უდაბნოდ გადაშლილ ოაზისთან“ აიგივებს საკუთარ სამშობლოს. გიორგი მერჩულეს მიხედვით, ერთდროულად ემშავეულ ძალთა სამყოფელად და ღვთაებრივი გამოცხადების ადგილად მიიჩნევა უდაბნო, ხოლო ჩვეულებრივ მკითხველს უდაბნოს წალკოტი ამოუტივტივდება მესხიერებაში. ოაზისს აგრეთვე ყინულისაგან თავისუფალ ადგილს უწოდებენ ანტარქტიდაში. მოკლედ რომ ვთქვათ, მრავალნაირი ახსნა მოეძებნება ამ თითქოსდა მარტივ სიტყვას, შესაძლოა ფანტაზმაგორიაშიც კი გადაიზარდოს. მე, მაინც იმ თვალსაზრისს დავჯერდები, რომ პოეზიის მეფეს სურდა დაენახებინა მამულის სრულყოფილება, ტერიტორიული, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყოველმხრივი ნაყოფიერება. მიუხედავად ამისა, მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს: XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს ლტოლვა ევროპისაკენ, პარიზი იმ დროისათვის კულტურული ცენტრის ფუნქციას ასრულებდა, ამავე დროს რუსი მწერლები და პოეტები, გაურბოდნენ ბოლშევიკებს, საქართველოს აფარებდნენ თავს, ამიტომ ამ მხარეს კულტურულ ოაზისს უწოდებდნენ. ეს ფაქტორიც სავსებით დასაშვებია ერთ-ერთ ვარაუდად.

მართალია, დიდ საჩუქრად და სასწაულად უნდა მივიჩნიოთ ასეთი მადლიანი მიწის წილობა, თუმცა, ეს ყველაფერი, როგორც თავლი ფუტკარს, ისე იზიდავს მტრებს...

ქართველებს ოდითგანვე ხმლით ხელში ეძინათ, ხან ერთი მხრიდან მოდიოდა მტერი, ხან მეორედან. ყველაზე მეტად მდგომარეობა არაბთა გამოჩენამ დაძაბა მერვე საუკუნეში. ყველაფერი გადაასხვაფერა „არაბთა თვალები,

ქცეული ელადად,..“

პოეტი სამშობლოში დაძაბულობამ, რომანტიკოს ხელოვანად აქცია, მისთვის რთული ასატანი აღმოჩნდა ამდენი ომი და შუღლი ერთმანეთთან. ამან გალაკტიონ ტაბიძის სულის მესაიდუმლე, ერთადერთი მეგობარი და მეუღლე შეინირა. რეპრესიების დროს ისიც გადაასახლეს. „გემი დალანდი“ სწორედ ამ

მოგონებებთან ასოცირდება.

„მე რალაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...“

ირგვლივ ზვირთებია

და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები...“

პოეტს 1918 წელს დაწერილი აქვს, ლექსი „იმავე სათაურით: „გემი „დალანდი““

„მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“, შავი ზღვის ცაზე და ზვირთებზე შეყვარებულნი;..“

...გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:

შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!

შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი““ .

პოეტი „დაბინდული ქლიავისფერი“, „უდაბნოდან“, ჩემი აზრით, სულიერ ოაზისს, სამშობლოს უბრუნდება, მდიდარი წარმოსახვით... უკან კი რჩება ის, რაც მოსწონდა, ან კონტრასტში იყო მის სულიერებასთან...

### ქრისტინე იზორია,

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

#### „გათავდა, მორჩა, მიწაზე ვრჩები“...

(ფიქრები ტერენტი გრანელის პოეზიაზე)

ტერენტი გრანელის ლექსებში გადმოცემულია სევდა და მისტიციზმი, დიდ გაჭირვებაში გამოვლილი პოეტის შემოქმედება ძალიან სევდიანია. ტერენტის პოეზიას ხშირად ადარებენ გალაკტიონისას. მკვლევარი ლუარა სორდია თავის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი“ წერს: „გალაკტიონმა და ტერენტი გრანელმა მრავალგვარად დაახასიათეს ცხოვრება. ისინი ცდილობდნენ: „სიბუნელში, ჩონჩხებში“ გზების გაგნებას, ცხოვრების მიზეზის პოვნას, მარადიული ყოფნა-არყოფნის პრობლემების პოეტურ გადაწყვეტას და თავისებურ პასუხებს პოულობდნენ ამაზე“. „გალაკტიონის არსებობა მწარე ფილით, ეკლის გვირგვინით შხამდებოდა“ „ცხოვრება დასცინის ამაღლებულ ოცნებას და ბორკილს უმზადებს თავისუფლების მაძიებელ ადამიანს“...

„გამორეკე, გამოფხიზლდი და გაეშურე“ მიმართავს პოეტი თავის ლირიკულ გმირს და აიძულებს მას იფიქროს წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, რადგან, მისი თქმით: „ნამდვილი ცხოვრება არის მომავლის ორგანიზაცია“...

„გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ „სიცოცხლის ფესვი მკვიდრნათელია“, ამიტომ „სინათლის მქნელი სიცოცხლეა“, მისი ძალისხმევით საგანი მას ენატრება ცოცხალი ცხოვრების ცეცხლი“, „ახალი სხივი“.

„გახსოვდეს სიცოცხლე!“ – ამბობდა გოეთე.

„გახსოვდეს სიკვდილი“ – გვაფრთხილებდა ტერენტი გრანელი. ორივეს ერთი მიზანი ჰქონდა, გამოეფხიზლებინათ ადამიანი ყოველწამიერი აზრიანი არსებობისათვის“...

„გათავდა, მორჩა, მიწაზე ვრჩები, სხვა ფიქრებისთვის მე არ მცალია.

ასე რომ ოხრავს – სულია ჩემი,

ასე რომ ტირის – როიალია.

თითქოს ძვირფასი რალაც დაკვარგე,

გული სუსტია და უფრო მწირი.

საცაა მოვა ახლა აკაკი

და როიალიც დაიწყებს ტირილს“...

ტერენტი გრანელის ამ ლექსში ჩანს მისი სულიერი განცდები და სულიერი დაბრუნება ამქვეყნიურობაში.

**ანი მელაძე**

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

**ტარასკონიდან კახეთამდე...**

თქვენ, ალბათ, წაგიკითხავთ ცნობილი ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს ნაწარმოები „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“ და ვინ არ იცის ილია-აავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ ეს ორი ცნობილი ნაწარმოები ყველას ძალიან უყვარს... წარმოვიდგინე, როგორ შეხვდებოდა ტარტარენი ლუარსაბს...

ერთხელ, ტარტარენ ტარასკონელს, მოგზაურობის მნატვრელს, სულითა და გულით ტყე-ღრეში და მთებში ხეტილისა და განსაცდელის მიძებნელს, აქამდე ტარასკონის მეტი არ ენახა. ორმოცდახუთისა იყო და ქალაქგარეთ ერთ ღამეც არსად გაეტარებინა, სულ დიდი-დიდი ბოკერი თუ ენახა. ტარასკონიდან ბოკერამდე დიდი არაფერი მანძილია. ერთხელაც, გათენდა, ჩვეულებრივი დილა იყო. ტარტარენმა გარეთ გასეირნება მოინდომა, რამდენი ხანია გარეთ არ ვყოფილვარო. პარკისკენ მიიწედა, როცა დაინახა, ყველა ამ უბნის მოქალაქე ერთ კედელთან მიცვენილიყო. ტარტარენიც მიუახლოვდა უბნის მოქალაქე ერთ კედელთან გაკრული ფურცელი, სადაც დიდი ასოებით ეწერა „კონკურსი“. ვისაც მეტი დახვრეტილი ქუდი ექნებოდა, ის გაიმარჯვებდა და გაემგზავრებოდა საქართველოში. კონკრეტულად, კახეთში, ივლიდა თანრჯიმანთან ერთად. ტარტარენმა მონაწილეობა მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, მან სამხიარულო ცნობა გაიგო, გაიმარჯვა. გამგზავრების დღეც დადგა. თარჯიმანმა ლალამ, ტარტარენს სახლში მიაკითხა. ამხედრდნენ ცხენზე და გაემგზავრნენ. ჩავიდნენ კახეთში, მაგრამ სად უნდა წასულიყვნენ, ამიტომაც შევიდნენ მათ პირდაპ მდებარე სახლში, რომელიც შუაგულ კახეთში მდებარეობდა. იქ დახვდათ დიდი გამლილი სუფრა. ტარტარენს გაუხარდა, ძალიან შიოდა. სახლიდან ცოლ-ქმარი გამოვიდა. ტარტარენმა და ლალამ მათ ყველაფერი აუხსნეს. თურმე, ის კაცი, ლუარსაბი ხოლო ქალი – დარეჯანი ყოფილა. წარმოიდგინეთ, ტარტარენის ლუარსაბთან ჩასვლა. ლუარსაბმა ტარტარენი მიიპატიჟა. სუფრას მიუსხდნენ. ბევრი დალიეს, ჭამეს, მოგეხსენებათ, ორივე სმა-ჭამის მოყვარულია! თანაც რომ დააკვირდეთ, ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. დამეგობრდნენ. ლუარსაბმა ტარტარენს ყველაფერი დაათვალერებინა. ტარტარენის წასვლის დრო დადგა, მაგრამ ლუარსაბიც თავისთვის დაპატიჟა. დათანხმდა და გადამწყვიტეს ერთად ჩასულიყვნენ ტარასკონში...

**ინგლისურიდან თარგმნა: ნათია გვაჯაიამ,**

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

**დახმარე შენს პლანეტას**

იცით, რომ ჩვენ შეგვიძლია გადავარჩინოთ და დავიცვათ ჩვენი პლანეტა?! არ უნდა გადავყაროთ ძველი ნივთები, რადგან არსებობენ ისეთი კომპანიები, რომლებიც მათ ამუშავებენ და აახლებენ, შევადგოვით ძველი ტანსაცმლები და მივცეთ გაჭირვებულ ხალხს. როდესაც ჩვენ მივდივართ საყიდლებზე, უნდა ვიფიქროთ, ნამდვილად გვჭირდება ისინი თუ არა, ამ

შემთხვევაში, ჩვენ ვეხმარებით პლანეტას და ვზოგავთ ფულს.

ჩვენ უნდა მივიღოთ შხაპი და არა აბაზანა ყოველდღე, რადგან შხაპის დროს ნაკლებ წყალს ვხარჯავთ.

ჩვენ არ უნდა დავლიოთ პლასტმასის ჭიქებიდან და ბოთლებიდან, რადგან ისინი რთული გადასამუშავებელია, ამიტომაც უნდა დავლიოთ შუშის ბოთლებიდან, ისინი ნამდვილად მუშავდება.

თუ ყველაფერს გავაკეთებთ უკეთესი შანსია, რომ გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა.

**ველური დასავლეთის გმირები**

ქაუბოები (cowboy) ცნობილები არიან უკვე 500 წელია. ჩვენ მათ ვიცნობდით ჰოვილუდის ფილმებიდან, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა აბრაჰამ ლინკოლნმა შეწყვიტა მონობა 1863 წლის 1 იანვარს, ბევრი აფრო-ამერიკელი გახდა ქაუბოი (ცონბოყ) იმიტომ, რომ მათ შეეძლოთ ემოგზაურათ თავისუფლად. ბევრი ადგილობრივი ამერიკელი გახდა ქაუბოი (ცონბოყ) XIX საუკუნეში.


დღევანდელი ქაუბოები (cowboy) ისევე აგრძელებენ ცხოვრებას თავიანთ მამულებზე, მაგრამ ისინი იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

დღემდე ისინი დგებიან დილის 5 საათზე და მუშაობენ მზის ჩასვლამდე.

ტექსტები: „ველური დასავლეთის გმირები“ და „დაეხმარე შენს პლანეტას“ თარგმნილია წიგნიდან: აულ ელყ „თოპ შკორე“, გამომცემლობა: „ხფორდ ნივერსიტყ რესს“, 2007 წელი, გვ 51-74

**ეკატერინე ქადაგიძე**

თბილისის 161-ე საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



ჭაბუასთან ერთად

დიდია და საკვირველი ჩვენი ისტორია, თუ როგორ წარმოიშვა ქართული ენა. ორიათას სამასი წლის წინათ მეფობდა წმინდა ფარნავაზი, მეფედ ცხებული. გაგიკვირდებათ და იტყვიან: — ცხებული ქრისტეს მობრძანებიდან იწყებაო...

ქართლის ცხოვრებიდან ვიცით ერთ-ერთი ღვთიური სასწაული: — ნადირობის დროს ღვთისრჩეულ მეფე ფარნავაზს წვიმაში, ერთი კლდის გამოქვაბულში შე-

ფარებულს ჩასთვლიმა... ხილვაში მზემ და მისმა სხივებმა ჰაერში აიყვანეს.

ეს იყო ღვთის ხილვა, ღმერთმა აპოვნინა დიდი საუნჯე, ამ კურთხეულ მეფის დროს გაერთიანდა სრულიად საქართველო. ძველი მცნებით, დიდი ხნის წინათ წარმოშობილი ქართული ანბანი, იქცა საძირკვლად ქართული დამწერლობისა.

...წამოვიზარდე, უკვე თავისუფლად შემიძლია კითხვა და მიხარია რომ მწერლები და ასევე მეცნიერები ამდენ საინტერესო ნიგნებს წერენ...

როდესაც დედამ ბაკურ სულაკაურის სკოლაში წამიყვანა, პირველი კლასიდანვე ჩემმა მასწავლებლებმა შემავარეს კითხვა და იმის შემდეგ სულ ხმამაღლა ვკითხულობდი. ბაკური ბიძია: — ჩვენი სკოლის დირექტორი, ყოველთვის მაქებდა ჩემს დიდებასთან და მისი გამომცემლობის ულამაზეს ნიგნებს მჩუქნიდა. პატარაობიდან სულ ვფიქრობდი; — როგორ წარმოიშვა ქართული ენა... დღეს როცა მერვე კლასის მოსწავლე ვარ და უკვე როცა ვლაპარაკობ და ვკითხულობ ინგლისურად, გერმანულად, რუსულად და ჩემს უსაყვარლეს ქართულ ენაზე, ეს კითხვა თუ როგორ წარმოიშვა, ქართული ენა, ვფიქრობ ძალიან რთული საკითხია, სულ პატარა ამაზე ვერ ვიფიქრებდი და დღემდე არც მიფიქრია ამ საკითხზე. ეხლა როცა წამოვიზარდე მივხვდი, რომ ამ თემაზე დიდი მეცნიერები ფიქრობენ. ჩემი დიდედა ჟუჟუნა. ნიჟარაძე-მაჭავარიანი არის დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი, მან დაწერა და დაბეჭდა რამდენიმე ნიგნი. დიდებასთან დაბადების დღეზე და ისედაც ხშირად მოდიან ხოლმე სხვა მწერლები, პოეტები, პედაგოგები და მათი საუბრიდან ახალ რამეებს ვგებულობ, თან ვიმახსოვრებ. მეცნიერებისგან რომლებიც დიდებასთან სტუმრად იყვნენ გამიგია რომ დედამინაზე 14 ანბანია. 14 ანბანში ერთ-ერთი ჩემი უსაყვარლესი ანბანია.

მე ნამდვილად ვამაყობ, რომ საქართველო და ქართველები ღმერთმა გაგვარჩინა, ამაყი ვარ, იმითაც რომ მე და ჩვენი ნაცნობები, მეგობრები იმ ენაზე ვლაპარაკობთ, რომელი ენითაც ლაპარაკობდნენ ფარნავაზი, რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი რწყინვალე და სხვა დიდი ქართველები.

მე არ ვიცი ჩვენი წინაპრები როგორ იგონებდნენ ქართულ სიტყვებს მაგრამ იმის ნამდვილად მჯერა და მნამს, რომ ენა ყველაზე ადვილად იქ შეიქმნებოდა, სადაც იყო ლამაზი ველ-მინდვრები, ვენახები, მცხუნვარე მზე, ზღვა და თევზებით სავსე მდინარეები, ასეთი ქვეყანა კი არის საქართველო ჩვენი ძველი წინაპრები ბევრს შრომობდნენ აშენებდნენ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, თან ნადირობდნენ, იგონებდნენ ახალ-ახალ სიტყვებს. ისინი ზოგჯერ ცდილობდნენ ისეთი ხმით ელაპარაკათ, როგორც ხმაურიანი ჩანჩქერები, ან როგორც მგალობელი ჩიტები, ეტყობოდა რომ ადამიანები მათ ხმებს ბაძავდნენ, რომ ახლოს მოეტყუებინათ ნადირი, ფრინველი. ალბათ ასე არის შექმნილი ისეთი სიტყვები როგორებიცაა, ჩხრიალი, შრიალი, წკრიალი, ყიყინი კაკანი, კაკუნი, ბრახუნი და კიდევ ბევრი

სხვა სიტყვა. თუ ერთი მთავარი სიტყვა გაჩნდებოდა ვფიქრობ იმისგან სხვა სიტყვების შექმნა ძნელი აღარ იქნებოდა. მაგალითად თავი: მოთავე, მეთაური, სათავე, თავპირი, რუსთავი, რუსთაველი, მოთავეობა, თავისმობა, სათაური და სხვა. კაცი: კაცური, კაცობრიობა, კაცუნა, ვაჟკაცი და სხვა.

ალბათ ისიც უნდა მომხდარიყო, რომ წინაპრები ისე, როგორც დღეს თავიანთი მეზობელი ხალხისაგან ახალ სიტყვას გაიგონებდნენ და თუ ის ახალი სიტყვა უკეთესი იყო ძველს ივინებდნენ და ახალს იყენებდნენ.

ჩემმა დიდებამ მაჩუქა სულხან-საბას ოცტომეული ლექსიკონი სადაც ხშირად ვკითხულობ ზოგიერთ სიტყვას, თუ ძველად როგორ ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები მაგალითად არაყი არბოულს ნიშნავს წინათ ამ სიტყვა იყი-თ ხმარობდნენ. იუველირია-ინგ სიტყვა-ქართულად ჯავარს ნიშნავს ეს სიტყვა შოთა რუსთაველსაც აქვს მოიხსენიებული „ვეფხისტყაოსანში“ ისე რომ ქართულში ბევრი სიტყვა ნასესხებია სხვა ენებიდან. ასევე ჩვენდა გასაკვირად სხვა ენებიც სესხულობდნენ ქართული ენიდან სიტყვებს. მაგალითად არაქართული და ნასესხები სიტყვებია ფიქრი, ვახტანგი, მერაბი, გურამი, ზურაბი, თამაზ, ალექსანდრე, დარეჯანი, ლუარსაბი, ქევანი, ზაქარია და ჩემი სახელიც კი ეკატერინე.

ჩემმა ბიძაშვილმა პატარა ერეკლე მაჭავარიანმაც ქართულ ენას ახალი სიტყვა შემატა როცა ბევრი სილამაზე ამბობს და ლამაზობებია. აი ასე, წარმოიქმნებოდა ჩვენი ქართული ენა ასეული და ათასეული წლების განმავლობაში. ჩვენი სამშობლო და ჩვენი ენა ნამდვილად კურთხეულია, მათ იცავს და კიდევ დაცავს ღვთისმშობელი მარიამი.

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ეპისკოპოსი ილი II-ის კურთხევით მისი ნაჩუქარი ნიგნებიც გვაქვს „ბიბლია“, „როგორ აშენდა სამების ეკლესია“.

ასევე მაქვს ჩემი უსაყვარლესი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის ნიგნები წარწერით, გურამ ბედოშვილის ჩემი დიდებას დიდი მეგობრის ნიგნები, დიდება ჟუჟუნამ კი მაჩუქა „ვეფხისტყაოსანი“ — შოთა რუსთაველის, თავისი დაწერილი ნიგნები და რაც მთავარია შემავარა წერა, რითაც დიდად ვახარებ ჩემს დედიკოსა და მამიკოს და ყველა იმას ვისაც ძან ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს ჩემ ნათლებს მაია წერეთელს, გია ქათამაძეს, ზაზა გადელიას, თემური ტყემალაძეს. ჩემს უსაყვარლეს ბიძას ერეკლე მაჭავარიანს და ჩემს ბიძებს — ქადაგიძეებსა და მათ შვილებს ნატოს, ანდროს, აჩიკოს ჩვენი თაობის ბავშვებისთვის სასიხარულოა რომ თბილისში არის ადგილი სადაც ელგუჯა მამაშუკელის ძეგლია, ანბანის ძეგლი „აი ია“ და რითაც იქნება ჩვენი ქართული დედაენა. მეც მინდა რომ მწერალი გამოვიდე დიდება ჟუჟუნასავით.

დედაენის შემქმნელი კი ყველა ბავშვის საყვარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა იაკობ გოგებაშვილი პატარაობიდან მის ნაწარმოებებს დედა და ჩემი დიდება სულ მიკითხავდნენ.

# მეტარე ჟურნალისტები

ინტერვიუ ჩაინერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე, ლუკა შედანიამ

## ინტარკიუ მწერალ რევაზ მიშველაქასთან

ბატონო რევაზ, მე გახლავართ “ნორჩი ათინათელი”, ლუკა შედანიამ. უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ დამდეთ პატივი და დამთანხმდით ინტერვიუს ჩაინერაზე. მინდა რამდენიმე შეკითხვა დაგისვით როგორც თქვენს შემოქმედებაზე, ასევე პირად ცხოვრებაზე.

### - გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით გვიამბოთ თქვენს შესახებ.

- ჩემი ბიოგრაფია, არც ისე რთულია. დავიბადე 1940 წლის 1 იანვარს. სკოლა დავამთავრე ქუთაისში, 1958 წელს. დავამთავრე თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. აქვე ვმუშაობდი თითქმის 40 წლის განმავლობაში. პარალელურად ვიყავი მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი, პროზის სექციის ხელმძღვანელი და რედაქტორი ჟურნალებისა: „კრიტიკა“ და „ნუგეში“.

ამჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მწერალთა კავშირის გაზეთის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ვარ. ეს არის სულ ჩემი ბიოგრაფია.

### - რა ასაკიდან დაიწყეთ წერა?

- უნდა გაგანზილოთ. არ მივეკუთვნები იმათ რიცხვს, ვინც წერა საბავშვო ბაღიდან დაიწყო და ამჟღავნებდა „დიდ ნიჭს“ პოეზიასა და პროზაში. მე უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი გახლდით, როცა ნოველების პირველი კრებული გამოვეცი. წერა სკოლის დამთავრების შემდეგ დავიწყე. ლექსებს არ ვწერდი და არ ვწერ. პროზაიკოსი ვარ.

- მე გავეცანი თქვენს შემოქმედებას, კერძოდ, წავიკითხე თქვენი ორი წიგნი: „კაცნი“ და „ელდა“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თქვენზე იქონია თუ არა გავლენა რაიმე ფაქტმა,

### თქვენი ცხოვრების გზად მწერლობა რომ აირჩიეთ?

- მადლობელი ვარ, რომ ჩემი წიგნები წაგიკითხავს. რაც შეეხება გავლენას, რაიმე კონკრეტულმა ფაქტმა, ალბათ, არ იქონია, ლიტერატურის ნიჭი დაბადებიდან დამყვა. მწერლობას ვერ ისწავლი, ვერც დაიბრალებ, ამიტომაც, რომ მშობლები იშვიათად ამბობენ: „ჩემი შვილი მწერალი უნდა გამოვიდესო“. შეიძლება გამოვიდეს ექიმი, ინჟინერი, სპორტსმენიც კი, მაგრამ მწერალი არ გამოვა, თუ ეს ნიჭი დაბადებიდან არ დაგყვა. ზოგი იწყებს წერას ახალგაზრდობიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწერალთა კავშირში გვყავს ისეთი მწერლები, რომლებმაც წერა 60 წლის ასაკში დაიწყეს. ჩემი პრინციპია, რომ თუ შეგიძლია არ დაწერო - არ უნდა დაწერო. თუ ძალიან არ შემანუხა სიუჟეტმა, თუ არ განვიცადე სულიერად იმ დონეზე, რომ აღარ შემიძლია ქალაქზე არ გადავიტანო - მე არ გადამაქვს. სტრიქონები, სიუჟეტები, ხასიათი

ირანდება გონებაში, დღესაც, როცა აქ მოვდიოდი, ერთ ნოველას ვუკირკიტებდი, აბა, როგორ დავამთავრო, როგორ ჯობია-მეთქი. ასე რომ, რაღაც ბიძგი, რაღაც რყევა, მწერლობას ვერ დაგანწყებინებს. მწერლობა შენი სულიერი მოთხოვნილება უნდა იყოს.

### - თქვენი ნოველები უაღრესად საინტერესოა. ეყრდნობა თუ არა ისინი რეალურ ფაქტებს?

- რეალურ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ეყრდნობა, იმიტომ, რომ უამრავი ამბავი, ფაქტი, სიუჟეტი შემოდის ყოველდღიურად ადამიანის გონებაში. მე არ ვეკუთვნი იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ნოველებს წერენ ნატურიდან გადახატვით, ე.ი. რეალურ ამბავზე დაყრდნობით. რეალურმა ამბავმა შეიძლება რაიმე ადგილი დაიჭიროს შენს ნოველაში,



მაგრამ ფოტოგრაფი იქნები, თუ იმას ზუსტად ისე გადმოსცემ, როგორც მოხდა. მწერალი ახალ მხატვრულ სამყაროს ქმნის, მე ის ფაქტი რალაცაში შეიძლება გამომადგეს, მაგრამ დამთავრება ნოველისა, განვითარება მოქმედებისა, დიალოგები - ეს ყველაფერი ჩემუღია, მე ვაძლევ სიცოცხლეს, მე ვარ მამა ნოველისა და არა რეალური ფაქტი.

- **თქვენს შემოქმედებაში, ესეებსა და ინტერვიუებში იგრძნობა ეროვნული სულისკვეთება, ტკივილი, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიას უკავშირდება - როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

- ვერ წარმომიდგენია მწერალი, რომელიც თავისი ქვეყნის წირ-ვარამს გვერდზე გადაუდგება. შემოქმედს თუ არ აინტერესებს რა დღეშია თავისი სამშობლო, და არ ფიქრობს მის გადარჩენაზე, მწერალი არ არის. მწერლობა დიდი ტვირთია და ის ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას. ყველა ჭეშმარიტი მწერალი მუდამ თავისი ქვეყნის წირისუფალი იყო, ასეთად მომაქვს მეც თავი.

რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, ის მძიმე დღეშია, მინდა იცოდეთ შენ და შენმა თანატოლებმა, რომ ჩვენი ქვეყანა XII საუკუნეში, აღმაშენებლის დროს, 300 000 კმ/კვ იყო, დღეს კი საქართველო 45 ათასი კვ/კმ-ია; ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთმა წაგვართვა უზარმაზარი ტერიტორია, თითქმის 2/3, მეოცე საუკუნემდე მოვედით 111 ათასი კვ/კმ-ით, ახლა ესეც არა გვაქვს და რუსეთთან უკანასკნელი ომის დროს, 2008 წელს, კიდევ დაგვარგეთ 25 ათას კვ/კმ. საქართველოს პატრონი არავინაა, ის პატარა ქვეყანაა და როგორც ირკვევა მისთვის თავს არავინ გამოიძებს. საქართველო, ორ ვეშაპ სახელმწიფოს შორის, როგორცაა რუსეთი და აშშ, კოზაკივით იჭყლიტება, ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვკარგავთ ტერიტორიებს. მცოცავი ოკუპირება ჰქვია იმას, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის - სამაჩაბლოს საზღვარზე, 300 მეტრით კიდევ ჩამოგვაჭრეს მინა, საქართველოს ჯარიც უძლური ჰყავს და ვერც ხელისუფლებას მიუწვდება ხელი იმაზე, რომ რუსეთს ეს აგრესია შეაჩერებინოს. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ჩემი წინასწარმეტყველება მაინც ოპტიმისტურია. საქართველოს ჰქონია ისტორიაში უარესი დღეებიც, მაგრამ არ გამქრალა. აი, თქვენ რომ გაიზრდებით, უნდა უპატრონოთ ქვეყანას, უნდა დადგეთ საქართველოს ყოველი მტკაველი მიწის დასაცავად, როგორც იდგნენ დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის მებრძოლენი.

დღეს ქართველი გადაეჩვია სამშობლოს დაცვას, დამკვიდრდა ფსიქოლოგია მშობლებში, რომ ქვეყანა უნდა დაიცვან სხვისმა და არა მათმა შვილებმა, ასეთი აზროვნებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. გავიხსენოთ მარაბდის ბრძოლა, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედამ ომში ცხრა შვილი გაგზავნა და ცხრავე შესწირა სამშობლოს. სანამ ყველა დედა ამ შეგნებით არ აღიჭურვება, საქართველოს არაფერი ეშველება. მწარეა საქართველოს ისტორია, ქართველობაც ბედისწერაა, ამიტომ უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილები საქართველოს მომავალ მებრძოლენად, საქართველოს პატრონებად, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლით მოგვიტანეს აქამდე. ყოველი

მტკაველი ქართული მიწისა სისხლითაა გაყენილი.

- **ბატონო რევაზ, თქვენ მიღებული გაქვთ უამრავი პრემია, ბრძანდებით „ლირსების ორდენის“ და „ი. ჯავახიშვილის“ მედლის კავალერი - რას ნიშნავს თქვენთვის ყოველივე ეს?**

- ჯილდოს მიღება, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, გარდა „ლირსების ორდენისა“ და „ი. ჯავახიშვილის მედლისა“ მიღებული მაქვს რუსთაველის და ი. ჭავჭავაძის პრემიები. რუსთაველის პრემია არა მარტო საქართველოში, არამედ, მგონი, მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოა, რადგან თვითონ რუსთაველი მსოფლიოში უპირველესი პოეტია. რა თქმა უნდა, გაყოყოჩება არ მჩვევია. დღესაც ისევე ვიბრძვი, როგორც რიგითი ჯარისკაცი პოლიტიკასა და მწერლობაში.

- **გავიგე, რომ გამოდის თქვენი ნაშრომების ოცდახუთტომეული. საინტერესოა, მასში შევა თქვენი ცნობილი ნაწარმოებები, თუ მკითხველი უნდა ელოდოს სიახლეებს?**

- ოცდახუთტომეულში შევიტანე ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები, რაც კი შემქმნია მთელი სიცოცხლის მანძილზე. აქ შედის, უპირველეს ყოვლისა, პროზა, პუბლიცისტიკა, შედის ჩემი მეციერული და პოლიტიკური ნაშრომები. ეს არის რჩეული თხზულებების ოცდახუთი ტომი და რამდენადაც ვიცი, ჯერ არც ერთი მწერლის ოცდახუთტომეული არ გამოსულა. მნიშვნელობა რაოდენობას კი არა აქვს, არამედ იმას, თუ შიგ რაა ღირებული, მსურს ჩემი მოვალეობა მკითხველის წინაშე, შესრულებულად ჩავთვალო.



- **რას ურჩევდით მომავალ თაობას?**

- მომავალ თაობას ვურჩევდი, იკითხოხო ნიგნი, ვურჩევდი განათლდეს ისე, როგორც შეეფერება ქართველ კაცს ამ კომპიუტერულ ეპოქაში; ვურჩევდი ყველაფერი შეითვისოს და გაიგონოს, რასაც თავისი მშობლები კარგსა და საგულისხმოს ჩასძახიან, ამავე დროს იქონიოს თავისი პირადი აზრი საგნებსა და მოვლენებზე. ვურჩევ, რომ კომპიუტერი გამოიყენონ გონივრულად, მისდიონ სპორტს და ჩამოყალიბდნენ სრულფასოვან პიროვნებებად, ვურჩევ ყველა მშობელს, ორ საათზე მეტ ხანს არ დასვან შვილები კომპიუტერთან. თუ გაჯიუტდე-



ბიან და „ტირილს“ დაინყებენ, სხვა რამით, სპორტით დაასაქმონ ისინი. მიუხედავად ასაკისა, დღესაც ვცდილობ ვიყო სპორტულ ფორმაში. ადამიანს სპორტი თუ არ აინტერესებს, ის სრულფასოვნად ვერ განვითარდება.

ბატონი რევაზი ძალიან სასიამოვნო რესპოდენტი აღმოჩნდა, მან აღნიშნა, რომ მიესალმება ჯუმბერ

ლექავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის, ჟურნალ „ათინათის“ შემოქმედი „ნორჩი ათინათელების“ საქმიანობას და წარმატებები უსურვავს მათ.

დღეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, ბატონო რევაზ!

### ინტერვიუ ჩაინერა თბილისის 167-ე სკოლის VII კლასის მოსწავლემ ირაკლი ჯიგანიამ

ინტერვიუ სოხუმის უნივერსიტეტის სრულ პროფესორ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, გ. ტაბიძის სახ. მედლისა და პრემიის ლაურეატ ლუარა სორდიასთან.

– ქალბატონო ლუარა, თქვენ ბრძანდებით ჯუმბერ ლექავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, მე კი, ამავე აკადემიის ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი შემოქმედი, „ნორჩი ათინათელი“.

ერთხელ, 2010 წლის ოქტომბრის თვეში დაბეჭდილი გაზეთ „სოხუმის უნივერსიტეტის“ მე-9 ნომერს ვათვალისწინებდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო თქვენზე დანერგული სტატიების სათაურებმა: „გალაკტიონ ტაბიძის უბადლო მკვლევარი“, „მადლი და ზნეობა... შუქი და სიკეთე... გონი და სინატიფე...!“ „ცასთან კომუნიკაცია“, „ლუარა სორდიას მონოგრაფია“, „გოდერძი ჩოხელის „მგელი“. გაზეთის ეს ნომერი გახდა ბიძგი, რომ შეგხვედროდით.

გმადლობთ, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. ეს, ჩემთვის, მე-7 კლასის მოსწავლისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუძლია თქვენი მოღვაწეობის გაცნობიერება, დიდი პატივია.


– გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების კვლევისას თქვენ ხშირად მიმართავთ ბიბლიას, ჰიმნოგრაფიას, მითოლოგიას, ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა ნააზრევს, უცხოურ კლასიკურ პოეზიას.

თქვენზე წერენ, რომ ღრმად ჩანვდით გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობას, ამოიცანით სიმბოლურ-მეტაფორული სახეები. დროის რა მონაკვეთი დაგჭირდათ ამ უზარმაზარი სამუშაოების შესასრულებლად და ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

– „პოეტის მეფედ“ აღიარებული გალაკტიონი ქართული პოეტური გონის უმაღლესი გამოვლინებაა, მისი ერთ-ერთი თვალუწვდენელი მწვერვალი.

სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი ამ გენიალური შემოქმედის წინამძღვარი იყო საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, საღვთო მუსიკა. პოეტის რელიგიურ, ფილოსოფიურ, მამულიშვილურ ღირსებაში განუმეორებელი ენიგმატით ვეზიარებით მარადიულ ჭეშმარიტებას, როგორც ეროვნულ, ისე საკაცობრიო სატკივრებს.

ნათელმხილველი და ნათელმსმენი, „ბუმბერაზი წინათგრძნობით“ მომადლებული პოეტი ბიბლიური წინასწარმეტყველებით ჭვრეტდა „სხვისთვის უხილა-ფარულს“, საინფორმაციო ველში გასული შეიგრძნობდა სამივე დროის მოვლენებს, მომავალში მოსალოდნელ პროცესებს, ტოტალურ კატაკლიზმებს და რწმენისკენ მიბრუნებას, წმინდა გზის ერთგულებას, „გონთ სიძლიერის“, „გამჭირაობის იმედად“ ყოფნას ურჩევდა მეფისტოფელის ეპოქის ნაშეერთ, მაგრამ



„ყრუ საუკუნე“ მზერადაგმანული და სმენადახშული იყო უზენაესი სამართლიანობის, საღვთო ჰანგების მოსასმენად, რაც პოეტის ტრაგიკულ მსოფლგანცდას ამძაფრებდა.

გალაკტიონმა შორს გასწია ქართული აზროვნების ჰირიზონტები, ეროვნულთან ერთად, მთელი სამყაროს წყლულები გაითავისა, ახალი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, სწვდა პოლუსებს, კოსმიურს... როგორც ზღვარგადაღმახველმა მოგზაურმა და მეზღვაურმა, დალაშქრა „აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზები“, კულტურათა სინთეზირებით შექმნა ახალი „განუმეორებელი საფეხური ქართული და ზოგადსაკაცობრიო ღირსებისა, „ათასის მხედველობით, ათასის მზით, ასი ათასის სმენით“ მომადლებული, „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებას დაუფლებული, ჭვრეტდა „სხვისთვის უხილა-ფარულს“, ლოკალურს და გლობალურს, მიღმურის და მერმისის საიდუმლოებებს...

პოეტების მეფის ცათამნვდენ კოშკებს, ჯერჯერობით, ქართული მეცნიერება ბოლომდე ვერ აწვდენს თვალს. ამაოდ დაშვრებიან მისი სიდიდით გაღიზიანებული ოპონენტები, ვისაც მსოფლიო და ქართული კლასიკური პოეზიის, კერძოდ, გალაკტიონის სკოლა არ გაუვლია, ვერასოდეს ააღწევს საოცნებო პარნასზე.

„პოეტური ინტეგრალის“ დიდოსტატისადმი ჯერ კიდევ სკოლაში აღმედრა ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები

სერგი ქილაია და ვიოლეტა ცისკარიძე, ექსპერტები – პროფესორები როსტომ ჩხეიძე და სოსო სიგუა, ხოლო ოპონენტები – პროფესორები: დავით თევზაძე, მიხეილ კვესელავა, ტარიელ კვანჭილაშვილი, აკაკი ხინთიბიძე, სულხან ჟორდანიას, ავთანდილ ნიკოლეიშვილი. მათმა დადებითმა რეცენზიებმა, კეთილმოსურნეობამ ახალი სტიმული მომცა შემდგომი მუშაობისთვის და ასე შეიქმნა ჩემი შვიდი დასტამბული მონოგრაფია ამ უპირველესი პოეტის შესახებ. ყველა ჩემს ხელმძღვანელს, ექსპერტს და ოპონენტს დღემდე ვთვლი კომპეტენტურობის, ზნეობრიობის ეტალონებად, ჩემს გზამკვლევადად, ჭეშმარიტი მოძღვრის თვისებებით დაჯილდოებულ მოღვაწეებად.

ძნელია განერიდო სულის მზრდელი, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლენილი ქართველი ორფეოსის მიერ აღძრულ გრიგალებს, მისგან დანთებულ მარადიულ ცეცხლს...

ისევ ვაგრძელებთ მუშაობას პოეტის შემოქმედების მთავარ წყაროებზე, ისევ ვცდილობთ შევადნოთ მისი გენიალური ენიგმების, პოეტური ლიცენციების საწყაროში.

გვჯერა, მოვა დრო, როცა ქართველი და უცხოელი მკითხველ-სპეციალისტები ბოლომდე ირწმუნებენ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას განაცხადის სისწორეს: „... გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... გალაკტიონმა გადააჭარბა თავის ევროპელ მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“.

**– ჩვენი ეროვნული ლირიკისადმი თქვენი სიყვარული დაამტკიცეთ ქართული პოეზიის დედოფლის – ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ორი მონოგრაფიით: ანა კალანდაძის პოეზია /ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები/, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 /დამხმარე სახელმძღვანელო/, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, /„უნივერსალი“, თ. 2009.**

**– რა ნიშნით გამოარჩიეთ „თუთის“ ავტორი მეოცე საუკუნის პოეტებისგან?**

– ჩემი არჩევანი განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ამ გამოჩენილი პოეტის რელიგიურობამ, რადგან აღიარებული აზრია, რომ ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა. საერთოდ, შემოქმედის შეფასების ჩემეულ კრიტერიუმებში უპირველეს ადგილს რელიგიურ, ქრისტიანულ იდეალებს ვაკუთვნებ.

ანა სწორედ საჭირო დროს და მხსნელად მოევლინა ადამიანთა ურწმუნოებით დაგვალულ სულებს თავისი გულშიჩამწვდომი, რწმენის მსახური, ტაძრისკენ გზის გამკვლევი უსათუთესი მელოდიებით, ეროვნული ტრადიის ერთგულებით. მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟის დამდაბლებული, მხოლოდ მინისკენ მიქცეული, ტრივიალურ ინტერესებს, ინსტინქტებს დამონებული სული შურის, შიმის, ეჭვის კომპლექსებზე სინანულით, ლოცვით, „ზემადლთა ძალით“ მაღლდება, უზენაესის მაღალ ფრთებქვეშ შეფარებული, „სიხარულის ხმით“ განწმენდილი ახერხებს მინიერისა და ზეციურის მორიგებას, ისწრაფვის ზენაართა საუფლოსკენ, ეზიარება „ყოველთა დიდ სიყვარულს“, კოსმიურ ჰარმონიას. მისი პოეზიის გვირგვინია ფშაური მოტივები, საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ბიბლიური პარადიგმების გამოყენებით მიგნებული მარადიული ჭეშმარიტებები.

პოეზიის დედოფალს ვიცნობდი სატელეფონო საუბრებით. ჩემი პირველი წიგნის გამოცემისას მისთვის სასურველი ფოტოს შერჩევა ვთხოვე. დამპირდა დახმარებას, მაგრამ კარგა ხანს არ შემეხმინა, რამაც მაფიქრებინა, რომ ის არ დაინტერესდებოდა რიგითი მეცნიერის ნაცოდვარით. წიგნი ინტერნეტში მოძიებული სურათით გამოვეცი და მწერალთა კავშირში დავუტოვე. რამდენიმე დღეში გაისმა ჩემს ტელეფონში პოეტი ქალის თბილი, თბილი, „შაქრისფერი ხმა“, რამაც სიხარულის თავზარი დამცა. ასე დაიწყო ჩვენს შორის სატელეფონო საუბრები. ვულოცავდი და მილოცავდა დღესასწაულებს, მაღლობით მოიხსენებდა ჩემს მოკრძალებულ ნაშრომს, მეპატიჟებოდა თავის ბინაში, აინტერესებდა ჩემი და ჩემიანების ცხოვრების ყველა წვრილმანი, მპირდებოდა, რომ ჩემთვის ჰქონდა ძალიან საინტერესო ინფორმაციები, რჩევები. შინაგანი ძრწოლით მავსებდა შეხვედრის მოლოდინი... როგორც მკვლევარი, მაშინ ჩემს თავს არ მივიჩნევდი მასთან ვალმოხდილად, პირისპირ გამოცხადების ღირსად, კიდევ ვაგრძელებდი მუშაობას მის ესთეტიკაზე, სამოქალაქო-პატრიოტულ და ფილოსოფიურ ლირიკაზე, ვფიქრობდი, რომ კიდევ ახალი მონოგრაფიებით ხელდამშვენებული თუ მიმვებდავი ამ უზენაესთან წილნაყარ მისანთან... ამ შეხვედრის უსასრულო გადადებით მე თვითონ დავისაჯე. ამასობაში ის ზეცაში იხმო უფალმა. სინანული გვიანია. ნუგეშად მრჩება მისი უტკბესი ხმის გაგონების ბედნიერება. დღესაც ჩამესმის თითქოს მიღმურიდან გამოღწეული, უფალ-ანგელოზებთან სერობიდან მოზრუნებული წმინდანის მიერ ჩემთანა მთკვდავისთვის დაუხანებლად წილადებული ხმის ნათელი ჟღერა და მჯერა: ნათელშემოსილი, სიხარულშემოსული დიდი პოეტი საქართველოს თანამდევ მარადიულ სულად გარდაისახა, ის სასუფეველში დამკვიდრდა და ღმერთს ავედრებს ჩვენი ტანჯული სამშობლოს მომავალს...

სამუდამოდ ჩამრჩა მესსიერებაში უკანასკნელ გზაზე მთანმინდისკენ მიმავალი პოეტის კიდევ ერთი უხმო „შეხმინება“: ვარდ-ყვავილების გვირგვინთა ზღვიდან ქარმა ერთი თაიგული ჰაერში აიტაცა, მთელ პროცესიას შემოავლო, კარგა ხანს ატრიალა სივრცეში და ისევ ძირს დაუშვა! ჩემმა უნიჭიერესმა კოლეგამ, ანას თაყვანისმცემელმა პოეტმა დარიკო ფიფიამ ყვავილების ეს „ფესტი“ აღიქვა, როგორც დიდი პოეტის უკანასკნელი მოფერება თავისი ხალხისადმი. კომენტარის სისწორე მეც ვირწმუნე და იმ მწუხარე წამს უსაზღვროდ გამახარა როგორც „იალადებით სიყვარულისად მობერილი“ პოეტის დიდი სულის სასწაულმოქმედებამ, ისე იმისმა რწმენამ, რომ სინმინდით გამორჩეული სიტყვის დიდოსტატი ხედავდა მისი მიღმურში გადასახლებით დამწუხრებულებს და არც არასოდეს დატოვებდა თვისტომთ უნუგეშოდ, რომ სხვაც იყო ირავლივ უზენაესით ხელდასხმული, როგორც ჩემი საყვარელი სტუდენტყოფილი და ამ დროისთვის უკვე საკუთარი ხმით გამორჩეული პოეტი და მეცნიერი დარიკო ფიფია... მხოლოდ პოეტებს ესმით, უსიტყვო ჰანგები, მხოლოდ ისინი ხედავენ „სხვისთვის უხილავ-ფარულს“...

**– ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე აღიარებულია ქართული პროზის რაინდად. თქვენ მისი შემოქმედება გააშუქეთ ათასგვრდ-**

იან სოლიდურ მონოგრაფიაში – „რევაზ მიშველადის ნოველათა სამყაროში“ (თბ. 2001), ასევე შეადგინეთ მწერლის შეგონებების, გამონათქვამების, ხატოვანი თქმების, ფრაზების კრებული (თბ. 1999), რომელსაც ახლავს თქვენი წინასიტყვაობა.

**რას ეფუძნება მისდამი ასეთი განსაკუთრებული ინტერესი და რა წარმოადგენს რევაზ მიშველადის შემოქმედების მთავარ მოტივებს?**

– მწერლის ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს მეცნიერებას, კრიტიკას, პუბლიცისტიკას, ნოველისტიკას. თავისი სიტყვიერი კულტურის ყოველ სფეროში მწერალი ილია ჭავჭავაძისებური პირუთვნელობით ამხელს საერთო-სახალხო სატიკვრებს და ჩვენი ბედუკულმართი ერის ხსნის გზებს ეძებს. ხუთ ათეულ წელზე მეტია, სამშობლოს მაჯაზე, მის სუნთქვაზე მიყურადებული, სიფხიზლის ზარებს რეკავს, მუხლჩაუხრელი მსახურია ეროვნული ტრადიციის, მამული, სარწმუნოება.

გახალხურებულია მწერლის პერსონაჟები, სახეები, ფრაზები.

სიცოცხლეშივე კლასიკოსად არის აღიარებული, ეს კი ერთეულთა ხვედრია.

დიდმა ნოველისტმა ობიექტურად, ინდივიდუალური ხელნერით წარმოაჩინა საბჭოთა ეპოქაში წითელი ურჩხულის ზეობის ჟამი, „ჩრდილოელი დათვის ვეება ჩრდილი“, ტოტალიტარული ყინულოვანი მონსტრის მიმართება ჩვენი გმირული წარსულის მქონე, გამორჩეული ნიჭისა და უსაზღვრო კულტურული პოტენციის მქონე ერისადმი.

მწერალმა პირუთვნელად გვიჩვენა მეოცე 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის არსი, დიდი სამამულო ომი რუსეთთან, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიები, დევნილთა და ემიგრანტთა პრობლემები.

მკითხველ-სპეციალისტთა მეხსიერებაში სამუდამოდ რჩებიან მრავალსახოვან ინტელიგენტთა კატეგორიები, თანამდებობის მანტიით მოსილთა ანგარება, გულგრილი მედროვეები, ე.წ. „მთის ავადმყოფით“ სნეულნი, „თეთრი ყვავები“ და „გამოგონილ სკამებზე“ მოკალათებულნი. უმაღლესი ოსტატობით შუქდება დანაშაულისა და მართლმსაჯულების პრობლემა, ხელმოცარულთა, პატარა ადამიანთა ფსიქოლოგია, ოჯახის, სიყვარულის, ადამიანთა ურთიერთობის კულტურის საკითხები, გვეცნაურებიან ლოთები, ნარკომანები, კონფორმისტები.

ნოველისტი გვახედებს ჰადესის სამყაროს საიდუმლოებებში, გვაზიარებს გილგამეშის სევდას.

რევაზ მიშველადის მთავარი ორიენტირია ეროვნული იდეოლოგია, ქვეყნის მომავალში გასაღწევი გზების ძიება, რელიგიური პოსტულატები.

მწერალი ახერხებს ქართველი კაცის გადასახედიდან დაინახოს მსოფლიო და უცხოელის თვალთახედით განჭვრიტოს ეროვნული ფენომენი. მთელი მისი შემოქმედება არის ქართველობის ადგილის ძიება მსოფლიოს რუკაზე, ქვეყნის მარადიულობის საფუძვლები, მიზეზთა მიზეზის მიგნება.

ზოგჯერ ბიბლიური წინასწარმეტყველის – იერემიას გოდებას მოგვაგონებს მშობელი ქვეყნის ბედუკულმართობით ნაკარნახევი ტრაგიკული ინტონაციები, მაგრამ, საბოლოოდ, მწერალს სჯერა, რომ ძლიერია ქართული ეროვნული გენი, უკვდავია მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

რევაზ მიშველადემ რომანტიკაშიც თქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა მკითხველის მიერ უკვე გათა-

ვისუფლებული წიგნით „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

ახლა გამოდის მწერლის თხზულებების 25 ტომი, რაც მკითხველ-სპეციალისტებს საშუალებას მისცემს სრულყოფილად გაისიგრძეგანონ ეროვნული კულტურული ფენომენი, სამშობლოს სადღეისო და სამომავლო პრობლემები, მწერლის მიერ აპოკალიფსურ ტირანებთან ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე, მხატვრული ოსტატობა, ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ტოლფარდი იუმორი.

ბევრი რამ, რაც რეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, დიდ ნოველისტს ათეულოლი წლები წინ აქვს ნაწინასწარმეტყველები. ამიტომაც მწამს, რაც დრო გავა, უფრო მეტი ფასი დაედება მის შემოქმედებას.

**– ცნობილია თქვენი მონოგრაფია, რომელიც მიუძღვნით გოდერძი ჩოხელის რომანს „მგელი“.**

**– რა არის მწერლისა და თქვენი მთავარი სათქმელი?**

– დიდი მწერლობა ყოველთვის ლოკალური არეალის საშუალებით გლობალური პრობლემების დასმაგადაწყვეტას ემსახურება.

რომანი „მგელი“ მართლაც დიდი წიგნია, გოდერძი ჩოხელი – სულის მზრდელი წიგნების ავტორი, ჭეშმარიტად უზენაესისგან ხელდასხმული „ქრისტეს მეზალე“, იტალიელ გენიოსს – დანტეს რომ დავესესხოთ.

წიგნში აღწერილი დორაისხევი – ბოლშევიზმის ავბედითი კომპლექსებით დაღდასმული სახელმწიფოს მოდელია, მაგრამ მწერლის სათქმელი სცილდება კონკრეტული ეპოქის სატიკვარს და საერთოდ ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნისთვის მარადაქტუალური იდეის მხატვრული ხორცშესხმაა. რომანში ადამიანის კეთროვანი სული, მისი ბნელი ინსტინქტები, დემონური სანყისები სიმბოლიზებულია მგლის სახეში, ხოლო ადამიანთა მგლის სისხლით ნათლობა, ცოფის სინდრომი, შავი და წითელი ფერების პრიმატი, მთაში წითელი გველეშაპის გამოჩენა სათქმელის ხატოვნად წარმოჩენას ემსახურება.

მწერალი ხედავდა ჭეშმარიტი რელიგიის შეცვლას კომუნიზმის ქიმერებით, ფსევდორელიგიით, ქრისტიანული მცნებების ნაცვლად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობას, ახალი, უღმერთო, სიკეთისაგან დაცლილი ადამიანის გაფეტიშებას, ჰუმანიზმის პრინციპების აბუჩად აგდებას და ხმა აიმაღლა ამ საბედისწერო პროცესების წინააღმდეგ. თავისი მხატვრული სიტყვის მისიად ურწმუნოების ბაცილებისგან ხალხის განკურნება, უმაღლესი საკაცობრიო და ეროვნული ზნეობრივი იდეალების გადარჩენა დაისახა მიზნად, მასონობის, კოსმოპოლიტიზმის აკვანში გამოზრდილ, სატანური მრწამსით დაფრთიანებულ მხეცებს დაუპირისპირა ადგილის დედის, დედა დედამინის ბუნებრიობა, სათნოება, ჯანსაღი გენეტიკური კოდებიდან მომდინარე სიკეთის ძალა, ტრადიციული ღირებულებები, რწმენა.

მწერლის მართებული აზრით, სულის განკურნების გზა არის სინანული, ლოცვა, შინაგანი არასრულფასოვნებასთან ბრძოლა, რწმენა, სიყვარულთან ზიარება. ამიტომაც ახდენს აქცენტირებას ბიბლიურ პარადიგმებზე (ყვავილი, ცეცხლი, პური, წყალი), რითაც უფალზე მიგვანიშნებს.

ეს მარად გასათვალისწინებელი პრობლემა დასმულია ბიბლიაში, მითოლოგიაში, ქართულ და უცხოურ კლასიკურ მწერლობაში. საკმარისია გავისენოთ ჯონ აპდაიკის „კენტავრი“, იუნესკოს „მარტორქები“, ჰერ-

მან ჰესეს „ტრამალის მგელი“, ოთარ ჩხეიძის „თეთრი დათვი“.

გოდერძი ჩოხელის ჩანაფიქრი და სამწერლო მანერა წინამორბედთაგან აბსოლუტურად განსხვავებული, ინდივიდუალური და განუმეორებელია.

რაც შეეხება „სულიერის კიდობანს“, სრულიად ახლებური სიტყვაა ჩვენს რომანისტიკაში, საქართველოს ეროვნული ტრადიციების წინასწარი ხილვა.

**– გთხოვთ, მითხრათ სათაურები თქვენი იმ მონოგრაფიებისა, რომლებიც არ მიხსენებია, რათა ახალგაზრდებმა დავიმახსოვროთ, გავითავისოთ ის დიდი სულიერება, ზნეობრივ-ინტელექტუალური კულტურა, რაც თქვენს შრომებშია ჩაქსოვილი.**

– გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჩემი დამხმარე სახელმძღვანელოებია: „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები“ (გამომცემლობა „განათლება“, თბ. 1991), „გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993), „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1991), „გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები“ („უნივერსალი“, თბ. 2011), „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონის პოეზია“ („უნივერსალი“, თბ. 2011), „გალაკტიონ ტაბიძე ტერენტი გრანელი“ (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005.

ტერენტი გრანელის პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურებების გარკვევის ცდაა მონოგრაფიები: „უცნობი სფინქსი“ („ალაშარა“, სოხუმი, 1992), „ტერენტი გრანელის ბედისწერა“ („უნივერსალი“, თბ. 2011).

ჩემი აზრით, ჭეშმარიტი მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია ინტერესი საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულისადმი. ეს პრობლემა გაშუქებულია ნაშრომში: „საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართული პოეზიაში“ („უნივერსალი“, თბ. 2009).

2009 წელს „უნივერსალმა“ გამოსცა ჩვენი წიგნი: „ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართული პოეზიაში“.

ბიბლიის ერთი კონცეფციის, აპოკალიფსურის სახეების, გრაალის საკაცობრიო იდეალის, გრაალის ორდენის ქართველი რაინდების შესახებ შეიქმნა ჩემი წიგნი „წერილები“ („უნივერსალი“, თბ. 2009).

ხალხის მეხსიერებაში რჩებიან არა დინების მხარეს, არამედ „ქარის პირისპირ“ (გალაკტიონი) მავალნი, რადგან „ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის იყო ოპოზიცია“ (ტიციან ტაბიძე).

„მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა“ („უნივერსალი“, თბ. 2011) ანალიზებს დინების წინააღმდეგ მავალთა – გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, კოტე მაყაშვილის, გიორგი ლეონიძის ანტისაბჭოთა პოეზიის ნიმუშებს.

დიდი ლიტერატურის უპირველეს მახასიათებლად, მარადიულობის გარანტიად მესახება მომავლის განჭვრეტის, ანტიციპაციის უნარი. ამ ასპექტით შესწავლილია მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური პროზა და პოეზია წიგნში „ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ („უნივერსალი“, თბ. 2011).

ასევე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნეტბიბლიოთეკაში განთავსებულია ჩემი სამი მონოგრაფიის ელექტრონული ვერსია: „ქართული მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე“ (ჯუმბერ ლეყავა), 2012, „მერაბ კოსტავას პოეზია (ეროვნულ-პოლიტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაწიერი)“, 2012 წ., „ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან“ / ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების შესახებ“, 2012.

ქართული კლასიკური მწერლობის უმთავრეს საკითხებზე შექმნილი ჩემი ათი მონოგრაფიის ხელნაწერი, ჯერჯერობით, სამზეოზე გამოსვლის მოლოდინშია...

**– თქვენ ბრძანდებით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების საყვარელი მოძღვარი. როგორი სტიმულია ყოველივე ეს თქვენთვის?**

– ძალიან რთული, საპასუხისმგებლო, მაგრამ საპატიო საქმეა ორ ფრონტზე თუნდაც მცირედი კვალის დატოვება.

სტუდენტურ აუდიტორიაში გაჟღერებული ცოდნა ყოველთვის უშინაარსო ლამაზსიტყვაობად რჩება, თუ თუნდაც მრავალმხრივ ინფორმაციას არ დაემგზავრა მაღალი ზნეობა, სიკეთე, კეთილმოსურნეობა, სიყვარული.

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ „ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (პავლე მოციქული).

დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა ილია ჭავჭავაძის თეზის „ცოდნის გასარწმუნოებისა“ და „რელიგიის გამეცნიერების“ შესახებ.

ასეთი „ცოდნა სიყვარულია“ (გრიგოლ ნოსელი), „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქული), „ღმერთი სიბრძნეა“ (სიბრძნე ზირაქისა) ამიტომაც იტალიელმა გენიოსმა დანტემ წმინდა სულს შესთხოვა „სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი“.

საერთოდ, ადამიანი, ახალგაზრდობა დიდი წიგნია, მისი სრულყოფილი ნაკითხვა მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ. ხშირად თაობათა შორის გაუცხოება, გაუგებრობა და ხიდჩატეხილობაა, სტუდენტობას უფროსი თაობა ზოგჯერ სიახლეებისგან მოწყვეტილებად, კონსერვატორებად ეჩვენება და არცთუ უსაფუძვლოდ. მოზარდის სულის კარის შეღება მხოლოდ სიყვარულით, კეთილმოსურნეობით, მისი სატკივრების გათავისებით შეიძლება, მხოლოდ მაშინ ხერხდება მის მინუსებზე მინიშნება, როცა ნამდვილ გულშემატკივრად დაგიგულებს. მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ ოცნების ზღვაში მცურავი მოზარდი პრეტენზიული და ამბიციურია და უხეშად არ უნდა შევეხოთ მის თავმოყვარეობას.

სტუდენტებთან ურთიერთობა უფლებას არ გაძლევს მოდუნდ, იყო გულგრილი მედროვე, არაადეკვატური, არაოპერატიული, ანგარებიანი, არაფხიზელი. ეს კონტაქტი უნებურად ამოზიდავს როგორც სულის საგანძურს (თუ ასეთი არსებობს), ისე შხამის ბაცილებს, „ფიქრის ნაგავს“, „ზნეობის ჯართს“ (ოთარ ჭილაძე).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „მეცნიერის ცხოვრება ტანტალუსის ტანჯვას მაგონებს. ფრიგის მითიური მეფე ტანტალუსის ღმერთებმა დასაჯეს: ყელამდე წყალში იდგა და წყურვილი ახრჩობდა.

„მეცნიერებაც ეგრეა, მთელი ცხოვრება უნდა

შეალოო მას, სულ ცოტას მიაღწევ თუ არა, სიბერე კარზე მომდგარია უკვე“.

მაგრამ თავდავინყებულები შრომის, ტანჯვის, ძიებისთვის გაღებული ძალისხმევის სტიმულია შერჩეული სპეციალობის სიყვარული.

მეამაყება, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტები სახელგანთქნილად მოღვაწეობენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ერთ-ერთი იმათგანია თქვენი ღირსეული მასწავლებელი, ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტი ლამარა გერგედავა, რომელმაც უკვე გააკეთა ძალზე საგულისხმო განაცხადი თავისი პროზაული კრებულებით - “ლიტერატურული მოზაიკა”, (თბ. 2012).

ქალბატონ ლამარას ასევე სერიოზული ჰობია ქართული მეცნიერება. მან სადისერტაციოდ შეარჩია ისეთი საინტერესო და ახალი პრობლემა, როგორც არის „დონკიხოტის არქეტიპები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. დისერტანტმა გვიჩვენა, რა ნიადაგი არსებობდა ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში ასეთი ზოგადსაკაცობრიო თემის არგუმენტირებული კვლევისთვის ნაშრომი ზედმინევენით აკმაყოფილებს დღევანდელი მეცნიერებისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს. იგი სრულიად ახალი სიტყვაა ესპანურ-ქართული ინტერესებისა თუ ფსიქოლოგიური თანხედრის თვალსაზრისით და დარწმუნებული ვარ, დაიმსახურებს დიდ აღიარებას.

**- რომელია თქვენი ყველაზე ლამაზი, განხორციელებული ოცნება და ჯერ კიდევ მიუღწეველი მიზანი?**

- მართალია, ვფიქრობ, მოწოდებით შევარჩიე ჩემი პროფესია და სპეციალობა, მაგრამ ძალზე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დასახული ოცნება მიღწეულია. თვითკმაყოფილება, უკვე შესრულებული სამუშაოთი თავმოწონება აფერხებს წინსვლას. მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ გასავლელი მანძილისკენ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, აღმართამდე ძალზე შორსაა, მრავალი ჩანაფიქრი და გამოუმუშეურებელი ხელნაწერი მაქვს.

ჩემი და ყველა ქართველის განუხორციელებელი მიზანი, ძილ-ღვიძლის თანამდევნი ტკივილ-საწუხარი შაგრენის ტყავივით დაბატარავებული სამშობლოა, დაკარგული ტერიტორიები, ამიტომ ყველაზე აქტუალური პრობლემა ეროვნული ეთნოსის, მისი გამორჩეული ფენომენის, რწმენის, კულტურის გადარჩენა, დაკარგულის დაბრუნება, მომავალში გაღწევაა.

ამ კითხვის პასუხს ვეძებ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, სულიერ მამათა, ჩვენი მწერლობის მისანთა, პოლიტიკოსთა ნააზრევში, ვცდილობ ჩვენი ქვეყნის სამართლიანობის ფარ-მუზარადად, აფარებს, იმედის ნამსხვრევების შეკონინებას, და, თუმცა, „ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა“, მაიმედებს ფშაველი გენია, ლუხუმის ლაშარის გორზე „შადგომის“ მოლოდინი, უკეთესის მაცნედ მესახება

„მომავლის სხივების“ ხილვა პოეტების მეფის მიერ, გოდერძი ჩოხელისთვის გამოცხადებული ნათლის სვეტი ფსოუსთან, გაუდაბურებული დარიაჩანგის ბალის ხელახალი აყვავება ოთარ ჭილაძის პერსონაჟის ცნობიერებაში („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა,“) საქვეყნო ჭირთან გაძლების დიდი ძალაა ქართული მესიანისტური იდეა.

**- კითხვა, რომელსაც მოელოდით და ვერ დაგისვით**

- რაკი, უპირველესად, რელიგიური მხატვრული სიტყვა მიზიდავს, სტუდენტები, ნაცნობები ხშირად მეკითხებიან, მყავს თუ არა მოძღვარი.

გულახდილად ვიტყვი: ვარ მორწმუნე, თუმცა არა ეკლესიური, არ მყავს მოძღვარი, მაგრამ სახლში მაქვს ხატების კუთხე, გამუდმებით ვანთებ სანთლებს, ვლოცულობ ჩვენს ტანჯულ სამშობლოზე, სიკეთეზე.

ზოგიერთი სასულიერო პირი ანაფორით პირადი კეთილდღეობისთვის იმოსება, იგი თვით არის ღვთისგან დაცილებული. ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებზე, პირად საუბრებში ხშირად გაცხადებული დავრჩენილვარ ზოგიერთ მამათა გონებაშეზღუდულობით, მავანი საერთოდ ვერ ერკვევა ბიბლიურ პარადიგმებში, ზარავს შტაინერის ხსენება (ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას შტაინერით დროებითი გატაცების აღნიშვნა).

ცნობილი ღვთისმეტყველები მარადიული სიბრძნის მარცვლებს წარმართულ, ანტიკურ ეპოქაში, საერო აზროვნებაშიც ეძებდნენ, ჭეშმარიტება კითხვების, ეჭვების, ანალიზის პირმშოა, შედარება-შეპირისპირების გზით მიიწვდომება. „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევაზე“, ბრძანებდა ანა კალანდაძე.

ეკლესიებში ხშირად დავდივარ, ვესწრები წირვას და არ მომწონს ზოგიერთი მოძღვრის უხეშსიტყვაობა, მრევლის უდიერად მოხსენება ჩაცმულობის გამო.

ხანდახან წინასწარმეტყველის მანტიით მოსილი, თითქოს ღვთის ნების ამსრულებელი მამაო არასწორი ინფორმაციებით ადუნებს გონებას, სიფხიზლის ნაცვლად სიჩლუნგის, სიბეცის ტყვეობაში ამყოფებს მალემრწმენთ.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სულიერ მწყემსებში არ არიან ნოდებულთა შორის რჩეულნი.



ყოველთვის მიზიდავდა ქუთაისის მონამეთა მონასტრის ბერის - მამა გიორგის აზროვნება და გამომხატულებაც დამინერია მის შესახებ შექმნილ კრებულებზე. ქრისტიანული ცხოვრების გზამკვლელად მესახება დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის, ბ-ნ აკაკი მინდიაშვილის რწმენით გაჯერებული ნაწერები.

მამა გაბრიელის ცხოვრების სასწაულები ხომ მისი ღვთისგან ხელდასხმულობის დასტურია.

ჟურნალ „ათინათს“ უფლის მაღლით ავსებს მეუფე თადეოზის, მეუფე მირიან იორამაშვილის, დეკანოზ თავმას ჩოხელის საღვთო სიბრძნით აღბეჭდილი პოეზია.

ჟურნალ „ათინათის“ დაარსებისას მისი მთავარი რედაქტორის, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, პოეტ გულნაზ ხარაიშვილის მთავარი მრჩეველი იყო ჩვენი დიდი ღვთისმეტყველი და მთარგმნელი, თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი ბ-ნი ედიშერ ჭელიძე.

არა მხოლოდ ქართველმა ერმა, მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ გულის ფიცარზე უნდა აღიბეჭდოს უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთო ჭეშმარიტებით, საღვთო სიყვარულით, ზეციური ზნეობითა და

სამაგალითო ეთიკით გამორჩეული მამულიშვილური ქადაგებები, გამოთქმები, რჩევები, რაც როგორც პიროვნული, ისე ეროვნული მისიის გაცნობიერების უპირველესი საფუძველი და იმედის წყაროა.

**- გმადლობთ, რომ გამონახეთ დრო ჩემთან სასაუბროდ. შემდგომშიც ბევრჯერ გეთქვათ ახალი მეცნიერული სიტყვა.**

**- რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას?**

- მოდის ძალზე ნიჭიერი, ინტელექტუალური თაობა. ამის დასტურია თუნდაც თქვენი, „ნორჩი ათინათელების“ მოთხრობები, ესეები, თარგმანები, მათში ჩანს დიდი შემოქმედებით პოტენცია.

თქვენ და მთელ ქართველ ახალგაზრდობას ვუსურვებ შრომისმოყვარეობას, დროის რაციონალურად გამოყენებას, როგორც ტრადიციული სულიერი ფასეულობების ერთგულებას, ისე ახალი ეპოქისეული დადებითი ტენდენციების გათავისებას, ქრისტიანული მრწამსით ცხოვრებას, პროფესიის მონოდებით შერჩევას, სამშობლოს გადარჩენის გზების პოვნას, ქართული გენის მარადიულობას.

გფარავდეთ ღმერთი. თქვენი ღვანლით ზენიტში აწეულიყოს ქართული კულტურის მზე.

**ტარიელ ხარატიშვილი – ლაგოდეხის რაიონის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე**

- მოგესალმებით ბატონო ვანო, მე გახლავართ ლაგოდეხის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი. ჟურნალ ათინათის წევრი, ნორჩი ათინათელი, ვწერ ლექსებს და ვარ სტიქაროსანი.

- როდესაც, ჯ.ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტთან მოვხვდი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილთან, რათა ჩემი ლექსები დამებეჭდა ათინათში, ქალბატონ გულნაზის ჩემი ლექსები მოეწონა. ჩემთვის საოცარი ის იყო, რომ მან ჩემს სულში შემოხედვა მოახერხა. ვისაუბრეთ სიკეთეზე, მან გაიხსენა მადლიანი პიროვნებები, ამათგან პირველობას თქვენ განიჭებდათ. შეიძლება იმიტომ, რომ ისიც საჩხერელია, ან იქნებ იმისთვის, რომ თქვენ მართლაც ის ღვთის კურთხეული გამგებელი ხართ, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება. სურვილი გამიჩნდა, საჩხერეში ჩამოვსულიყავი და ანგელოზის კვალი დამეტოვა ამ კუთხეში. გმადლობთ, რომ მიმიღეთ.

- მინდა ავღნიშნო, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდობის ფრთა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა. დღევანდელი დღე ჩემთვის სასიხარულოა, რადგან ლაგოდეხის რაიონიდან მესტუმრე პატარა „ნორჩი ათინათელი“.

- ჟურნალი ათინათი ყველა დარგს მოიცავს, თესავს სიკეთეს. თქვენ, როგორც გამგებელს, სურვილი გაქვთ თუ არა გამოწერით შედიოდეს რაიონის სკოლებში ჟურნალი „ათინათი“?

- დიახ, დიდი სურვილი მაქვს, ჟურნალი ძალიან საინტერესოა. შევეცდები ჟურნალი „ათინათი“-თ დავაკომპლექტო რაიონის სკოლები და ბიბლიოთეკები.

- რა არის თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული? ტრადიციისადმი პატივისცემა, საქმისადმი ერთ-



**ინტერვიუ საჩხერის გამგებელთან**

გულეობა, თუ ორივე ერთად?

- ჩემთვის ყველაზე პრიორიტეტული ტრადიციისადმი პატივისცემაა არის და საქმისადმი ერთგულებაც, ვცდილობ ნაბჯ-ნაბიჯ ვაკეთო ის, რაც ჩემი ხალხისთვის მისაღები იქნება.

- გაგვაცანი თქვენ ოჯახი

- დაოჯახებული არ ვარ, შენი ფეხი ყოფილიყოს პატარა ანგელოზო, ჩემი პირადული ბედნიერების მომწესრიგებელი.

- თქვენი სურვილები

- ჩემი სურვილია, საქართველოში, პირველ რიგში, დაისადგუროს მშვიდობის ატმოსფერო და მერე კი ყველა პიროვნება თავისთავს ჩაეკითხოს, დღეს საერთო საქმისთვის რა გააკეთება, ან რა შეუძლია რომ გააკეთოს. არ დაუპირისპირდნენ მტრობით ერთმანეთს. დათესონ სიკეთე, ამაზე კარგი არაფერია. ჩემი სურვილია, დაკარგული ტერიტორიები მალე დაუბრუნდეს ჩვენს ხალხს. ეს სურვილიც არის და ჩემი დიდი ტკივილიცაა...

– მე ნავიკითხე ანთოლოგიაში დაბეჭდილი ზღაპრები, მომეწონა და ქალბატონ გულნაზის ვთხოვე, ზღაპრების ავტორს, ვინ იყო ის პიროვნება, რომელსაც ღმერთკაცად მიიჩნევდა. მან საიდუმლოდ გამანდო, სიკეთის მთესველი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიაო, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ეს ზღაპრები 2003 წელს დაწერა, როდესაც საქართველოს მაღლის მთესველი ბატონი ბიძინა გამოუჩნდა. რაც შეეხება პოლიტიკას, ის ამ საქმეში არ ერევა და ზღაპრებიც გააჩერა. მე კი სურვილი გამიჩნდა, პირადად ვნახო, მოვეფერო და ჩუმიად ვუთხრა: მიყვარს და ინტუიციით ვგრძნობ, რომ მხოლოდ ის გადაარჩენს საქართველოს. თქვენ საჩხერის გამგებელი ხართ, იქნებ თქვენ შეძლოთ, რომ „ნორჩი ათინათელის“ ინტერვიუზე დათანხმდეს. მე ხომ სტიქაროსანი ვარ და, მასთან რამოდენიმე კითხვა მაქვს. დასმული კითხვები საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

– თქვენ გაჩუქებთ წიგნებს, სადაც ასახულია ის ქველმოქმედება, რაც პრემიერმა გააკეთა. თქვენ სტიქაროსანი ხართ, ღმერთის გნამთ, თუ უფალს უნდა ეს, შეხვედრა შედგება, რადგან ჩვენს პრემიერს



– ბატონ ბიძინა ივანიშვილს მომავალი თაობა ძალიან უყვარს.

– რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს“?

– ჟურნალ „ათინათს“ ვუსურვებ, რომ გაეძლოს დროთაჭიდილისათვის.

**ტარიელ ხარატიშვილი**

ლაგოდეხის რაიონი. მეოთხე კლასის მოსწავლე

*ვუძღვნი ჩემს საყვარელ მასწავლებელს კლარა ტატაშიძეს*

მასწავლებლის თვალს არაფერი გამოეპარება. მასწავლებელი... ო, რა ლამაზი სახელია, მასწავლებელი ნოდებაა რჩეულთათვის. ის შემასწავლებელია, გვასწავლის ყველაფერს და ვარსკვლავებს მზეებად აცქევს. ის მზეები მის წინაშე დაიჩოქებენ და მადლობას გადაუხდინან.

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა და ჩემი აზრით, ჩვენ კი არა, მასწავლებელი არის ხატი, ყოვლისა მფარველისა და შემასწავლებელი. ჩემი პირველი მასწავლებელი – ის არის ჩემი პირველი ნიშნის სათნოებისა.


ყველაფერი ლამაზია მასწავლებელთან ერთად, მაგრამ იმ მასწავლებელსაც მოფერება უნდა.

მასწავლებელი მზეს ამოიყვანს, ყანას გაახარებს, ზღვას სითბოს შეჰმატებს და დედამიწას აამწვანებს. ხოლო იმ მზეს რასაც მასწავლებელი ჰქვია არაფერი შეედრება.

**გზა სიკეთისა**

საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში სტუმრად მოვხვდი ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორთან ერთად. მასპინძელი ბატონი მირზა ხარატიშვილი, კარებში შეეგება მამიდას და ჩვენ კი თავისი უჩვეულო ღიმილით თავისი ხელით გაშენებულ ვარდების ხეივანით კმაყოფილი, ნაირ-ნაირ ვარდებს გვთავაზობდა. მთელი გარემო ლამაზად იყო მორთული.

ეზოს კარი გაიღო და შემობრძანდა ქალბატონი მერი. ეს ქალბატონი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის დეიდაა. მადლობა უფალს, უნებლიედ აღმომხდა და სიყვარულით გადავეხვიე ქალბატონს. მან თავისი შვილიშვილივით ჩამიხუტა გულში და ჩემთან ერთად სურათი გადაიღო. მადლობა „ათინათის“ რედაქტორს რომ ასეთი მნიშვნელოვანი დღე მაჩუქა.



\* \* \*

მინდა ვიყო ბერი,  
და არ მქონდეს ბევრი.  
მინდა მყავდეს შვილი,  
არჩევანი ჩემი...

**თოლია**

(ავტორი ლურჯ თოლიაში შავ ზღვას გულისხმობს)

რატომ მოკალით ის თოლია ხეზე, რომ იჯდა,  
რატომ მოკალით ის თოლია ლურჯი, რომ იყო.  
რატომ მოკალით ისტორია მრავალჯერადი,  
ო, რატომ მინდა შენი სული შორს, რომ გარიყო.

**რამდენი სიცოცხლე არსებობს ქვეყნად?!**

რამდენი სიცოცხლე არსებობს ქვეყნად?!

ერთი, თუ ორი, სამი თუ ასი...

ამ ქვეყანაზე მოვსულვართ ფერფლად.

შევიგრძენ ღმერთო მე შენი ფასი.

რამდენი არის სიკვდილი ნეტავ.

ერთი, თუ ორი, სამი თუ ასი.

რა ეშველება უვიცს და ბეჩავს


ვინც რომ სიცოცხლის არ იცის ფასი.

**უფალო!**

უფალო ჩვენო მფარველო,  
მადლობთ, რომ მუდამ გვიცავ  
ყველას სიკეთეს ვარგუნებ,  
მე ჩემს სიცოცხლეს ვფიცავ.  
მუდამ შენ გეჩურობები,  
ვგრძნობ, რომ შენა ხარ ჩემში.  
მუდამ შენთანა მყოფელი,  
მინდა ვიცოცხლო შენში.

**ჩემს სიყვარულს!**

მე შენ მიყვარხარ ძვირფასო ჩემო,  
და მიყვარები ლამაზო მუდამ...  
მე არა კაცი გარეგნულად ვარ,  
გარს მახვევია ლამაზი მუზა.  
ნათელი თვალით გიმზერ ყოველდღე,  
შენ კი არა გსურს, მე რომ მიხილო.  
შენ თუ სხვა გიყვარს ბარემ მითხარი,  
რომ გულზე სევდა გადავიფინო.



**გიორგი ჭანტურია**

ქ.თბლისი 147-ე სკოლა. XII კლასი

**როგორ გავნათლდით?**

“ერთი კარგი დურგალი შვიდ გლახა ვექილს ჯობიაო,” უთქვამთ, მაგრამ დაიჯერა ვინმემ? მოდით, გადავხედოთ გასულ საუკუნეს. საუკუნეს, როდესაც ორ-ორი დიპლომის ქონა ერთგვარი მოდა იყო (მერე რა, რომ დიპლომები ჭკუის და გონების მაგივრად არყით და კონიაკით იშოვებოდა?) და თითქმის მთელს საქართველოში “ოლონდ იურიდიული დაამთავროს ჩემმა შვილმა და მერე თავშიც ქვა უხლია”-ს პრინციპი მოქმედებდა. ამთავრებდნენ (ან ამთავრებინებდნენ) იურიდიულს და მერე ყველა თავ-თავის გზას დაადგებოდა ხოლმე. რაც მთავარია, იმის საბუთი მაინც ჰქონდათ, რომ კანონი სულ ზეპირად იცოდნენ. კანონი, რომელიც არ კანონობდა.

ვიარეთ, ვიარეთ ამ გზით და რას მივალნიეთ? მოგახსენებთ: თამამად შეგვეძლო, დაგვეკვინა, საქართველოში ქვა რომ ააგდო, უთუოდ ვექილს გაუტეხსო თავს. თავგატეხილი ვექილიც სიამაყით გვაჩვენებდა დიპლომს, სადაც ეწერა “ნარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის ესა და ეს უმაღლესი სასწავლებელი”, ფურცლის ბოლოს კი ოდნავ გაკრულად ხელს აწერდა (ხშირ შემთხვევაში, ღვინით გაბრუებული) დეკანი.

დღეს რა დავიკვებნით? “ეს ახლა ვმუშაობ, ბიძია, შემთიანრიკად, თვარა ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული,” - ისმის თითქმის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან. მე რა მაინტერესებს, იცით? თუ ამდენი “საზოგადო მოღვაწე” ბოლოს მაინც ხელებს დაიკაპინებდა და ან კედლების ღებვას დაიწყებდა, ან ისევ იმ ზემოთხსენებულ დურგლობას მიჰყოფდა ხელს, თავის დროზე სწორედ ეს ღებვა ან დურგლობა რომ ესწავლათ, განა რამე დაშავდებოდა? განა უკეთ არ გამოუვიდოდათ ის, რისი გაკეთებაც დღეს ბედის უკუღმართობისა თუ საკუთარი წინდაუხედავობის გამო მაინც უწევთ?

ამბობენ, მუშა-ხელი ბევრი მიმართულებით გვაკლიაო, მაგრამ ასე არაა. მუშა-ხელის მეტი რაა ამქვეყნად? მერე, როგორი? განათლებული, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით, ჩახედული, მაგრამ სულ სხვა სფეროში, დოქტორანტურაგამოვლილი, გამოცდილი, პატივცემული.

თუმცა, საკითხავია, იმათგან რალა გამოვიდა, ვინც ინსტიტუტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ ისევ იმ საქმეს გაჰყვა, რასაც ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში სწავლობდა? რა გამოვიდა და ძალიან კარგი და წარმატებული პენსიონრები, რომლებიც სინანულით იხსენებენ ოქროს წლებს, მისტირიან წარ-



სულს და აკრიტიკებენ ანმოს, სადაც "ისე გაძვირდა ცხოვრება, ისევე ჩემი თოთხმეტი მანეთი მერჩინა თქვენს ორას-სამას ლარსო..."

**ლურჯთმიანი გოგონა**

- დედა, ნახე, ფერია!

მამინ პატარა ვიყავი. დედამ გაშვერილი თითი ძირს ჩამომამშვებინა, სირცხვილიაო.

- ეგ ფერია კი არა, გოგონაა, უბრალოდ, ლურჯი თმა აქვს.

გოგონაც პატარა იყო, მაგრამ "უბრალოდ ლურჯი თმა" კი არა, საოცრად ლამაზი, მელნისფერი კულულები ჰქონდა. მივაშტერდი. იგრძნო დაჟინებული მზერა და შავი თვალები თმებით დაფარა. ბებიამისი ახლდა, უკვე გაჭაღარავებული, შავებით მოსილი ძვალი და ტყავი. მის გარეშე არსად მინახავს.

- რა ჰქვია? - ვკითხე დედას.

- აბა, მე რა ვიცი? - მომიშორა უცებ, - ნავედით, დაგვალამდება.

უკან-უკან ყურებით გავყევი, "ფერიისთვის" თვალის მოშორება მენანებოდა. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა.

\*\*\*

- შეხედეთ, რა ფერის თმა აქვს! - ახარხარდა ერთი. ახარხარდნენ სხვებიც.

ერთი წელი გასულიყო, მაგრამ ისევ პატარა ვიყავი. ვიჯექი და წვრილი ტოტით მინას ვჩიჩქნიდი. ჟრიაშულმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, გაკრეჭილი გოგობიჭების მზერას თვალი გავაყოლე და "ფერია" დავინახე.

ბავშვები შორიდან ხითხითებდნენ, ალბათ, გოგონას ბებიის რიდი ჰქონდათ და ახლოს ამიტომ ვერ მიდიოდნენ. "ფერია" მდელიოზე იჯდა, წიგნში ჩარგული თავი ასწია, გამოიხედა, იგრძნო დაცინვა და ანითლებული ლოყები ისევ თმებს შეაფარა. წამოინია, ბებიას მიეკრა, რაღაც ჩასჩურჩულა. ბებიამ გაუღიმა, შუბლზე აკოცა, ხელი ჩასჭიდა და წაიყვანა.

ისევ გაშტერებული ვუყურებდი, სანამ ორივე ფიჭვნარში გაუჩინარდებოდა.

ეს იყო ჩვენი მეორე შეხვედრა.

\*\*\*

- სანყალი, გული გასკდომია...

ორი წელი გასულიყო. მაინც პატარა ვიყავი. ბრბოში შესვლა დავაპირე, მაგრამ დედაჩემმა საყელოში ჩამავლო და უკან გამათრია, არაა საშენო საქმეო. ხალხის შუაგულში მაინც მოვკარი თვალი შავებში გახვეულ ჭაღარა ქალის ცხედარს. ამაკანკალა.

- დავმარხოთ, მაღლია. - ამბობდა ერთი.

- კლდის პირას ცხოვრობდა, ქოხში. იქვე მივაბაროთ მინას. - გამოუხმაურა მეორე.

გოგონა არავის გახსენებია.

ფიჭვის ტყე გავიარე, კლდის პირას მივედი და ხის პატარა ქოხი დავინახე, ღარიბული, ჩაბნელებული. ლურჯთმიანი გოგონა კლდის კიდეზე იდგა და სევდით

გასცქეროდა ძველ სამყოფელს. გვერდიდან ვუყურებდი, სულგანაბული.

ერთხანს ასე ადგა, მერე გულზე დაკრეფილი ხელები გაშალა, მალა აიხედა, თმებით დაფარული სახე გამოუჩნდა. მზის შუქზე წამიერად გაიელვა ცრემლმა და "ფერია" ზურგით გადაეშვა კლდიდან.

ალბათ, გაშლიდა ფრთებს, გაფრინდებოდა, ბებიამისს იპოვიდა და ისევ უკან გაჰყვებოდა. მაგრამ, ეს უკვე აღარ დამინახავს.

**მარი-ბებო**

მთელი ბავშვობა ერთ პატარა ქუჩაზე გავატარე. საუცხოო ადგილი იყო, ზაფხულში მზე არ შეგანუხებდა და ზამთარში უმზეობა. „ქუჩაც“ მხოლოდ ფორმალურად ერქვა, თორემ ექვს სახლს ძლივს იტევდა თავიანთი პატარ-პატარა ეზოებით. მშვიდი ადგილი იყო, შორს ქალაქის ხმაურისა და აურზაურისაგან. გაზაფხულობით მთლიანად გადამწვანებულიყო, ზამთარში კი სულ მთლად დაიფარებოდა ხოლმე თეთრი, ფაფუკი თოვლით. ქუჩის თავში ბებერი მუხა იდგა. იმდენად ხნიერი და დაჩაჩანაკებული, რომ შემოდგომის ცივი ქარი რომ დაუბერავდა, აქეთ-იქით ქნევის თავიც არ ჰქონდა. ამავე მუხაზე კუსტარულად იყო მიჭედებული ხის სქელი ფიცრები, რომლებიც მაგიდისა და სკამების როლს ასრულებდნენ. ეს ფიცრებიც ისე მოძველებულიყვნენ, რომ გეგონებოდა, ხეს შეეზარდნენო, აქა-იქ ძლივსაა ჩანდა ჟანგიანი ლურსმნები. სანამ ახალგაზრდა ხეები ამაყად გასცქეროდნენ ჰორიზონტს, სანამ ბავშვები აქეთ-იქით დავრბოდით და ბურთის დევნაში ვატარებდით დროს, ჩვენი ქუჩის მამაკაცები შემოუსხდებოდნენ ხოლმე ბებერ მუხას და მისივე ჩრდილქვეშ საათობით ურახუნებდნენ დომინოს, შაშს ან ჭადრაკს.

ერთადერთი, ვინც შეიძლებოდა მუხაზე ხნიერად მიგეჩნიათ, იყო ქალბატონი მარიამი, რომელსაც დიდიან-პატარიანად ყველა მარი-ბებოს ეძახდა. მარი-ბებო ქუჩის ყველაზე ბნელ სახლში ცხოვრობდა. სახლივით ბნელ, დანაოჭებულ სახეზე მუდამ ტკივილი და სევდა აღბეჭდვოდა. ერთ დროს ცისფრად მოელვარე თვალები განაცრისფრებოდა და გაცივებოდა, თეთრ თმას კი შავი თავშლის ქვეშ მალავდა. მუდამ ჯოხს ატარებდა, მაგრამ ყოველთვის წელში გამართული დადიოდა. მისი ჯოხი, რომელიც ერთ დროს ჩვენი ბებერი მუხის სალი და გამძლე ტოტი იყო, წელ-წელა პატრონის ხელივით დაკოჭრილიყო და დასუსტებულიყო. ბავშვებს მარი-ბებოს ტანზე ისევე არ გვენახა ღია ფერის სამოსი, როგორც მის სახეზე - ღიმილი. რაც თავი მახსოვს, შავი ტანსაცმლით დაიარებოდა ჩვენს პატარა ქუჩაზე. საღამოობით კი სახლში შედიოდა, სანთელს დაანთებდა და ლოცულობდა. ერთხელ ერთ დომინოს მოთამაშე კაცს წამოსცდა, მარი-ბებო მხიარულად მაქამდე იყო, სანამ მისი ქმარ-შვილი ცოცხლები დააბიჯებდნენ ამ ქვეყნადო. ბავშვებმა გაკვირვებით გავხედეთ სევდიან მოხუცებულს, მაგრამ ბევრს ვერაფერს მივხვდით. ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე მივხვდი, რა ძლიერი ადამიანი იყო ქალბატონი მარიამი, მაგრამ მამინ უკვე აღარც მარი-ბებო იყო და აღარც მისი მუხის ჯოხი.



**თიკო ნულაია**

147-ე სკოლა

7 წლისა ვიყავი, როცა სვანთის მთები ფეხით გამოვლახე. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი იმ ტრაგედიის მიზეზს, რის გამოც მოგვიწია ხუთი დღე და ღამე ფეხით სიარული. დედასთან ერთად მოვდიოდი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როდის ექნებოდა ამ ტანჯვას ბოლო.

უზარმაზარ მთებშიც კი ჰაერი მძიმე და დახუთებული იყო. სუნთქვა გამიჭირდა, ირგვლივ ტირილისა და მოთქმის გარდა არაფერი ისმოდა. დედასთან ერთად მივყვებოდი ამ ნაკადს და ვწუნუნებდი. დედაც ტიროდა, მაგრამ მე მისი ცრემლები კიდეც უფრო მალიზიანებდა. ამ ყველაფრისაგან თავის დაღწევა მინდოდა. არ მინდოდა ფეხით სიარული. მამასთან მინდოდა, მას ხომ ყოველთვის მანქანით დავყავდი, ჩემს მამიკოსთან მინდოდა, რომელიც იქ მომიკლეს, საიდანაც მოვდიოდი.

აუტანელი მგზავრობის, სიცივისა და შიმშილის გამო ტყეში მივიმალე, გავყევი ბილიკებს და ერთ უზარმაზარ სახლს მივადექი, თავშესაფარი ვთხოვე, უმალ მიმიღეს, რადგან ჩვენი გასჭირი მაშინ ყველამ იცოდა. ჩამაცვეს, მაჭამეს არაფერი დამაკლეს. სიმშვიდე და სინყნარე ვიგრძენი. მაშინ არ მიფიქრია დედაჩემზე, რა დარდი და წუხილი ჰქონდა მას. ვერ წარმომედგინა ჩემი ხალისიანი დედიკო რა ტანჯვას განიცდიდა ამ მოულოდნელი უბედურების შემდეგ. დარდს ახალი დარდი დაემატა, დარჩა განმარტოებით. მისი ერთადერთი ნუგეში ხომ მე ვიყავი.

მაშინ ყველას დაკარგული ვეგონე და იმ ოჯახში, სადაც ვცხოვრობდი, ყველანი თბილად მექცეოდნენ, მაგრამ მე ჩემი დედიკო მენატრებოდა, მასთან ყოფნა მინდოდა, დრო გადიოდა და საშინელი სინდისის ქენჯნა მეუფლებოდა. ჩემში ყველაფერი აირდაირია, ციებ-ცხელებით შეპყრობილი ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი იქაურობისათვის.

ერთ დღეს, როდესაც უკვე 15 წლისა ვიყავი, იმ სახლიდანაც ისე წამოვედი, როგორც დედაჩემისაგან. წამოვედი, უკან არ მომიხედავს. მივრბოდი და ვყვიროდი:—დედა! დედა! უცებ გამიელვა აზრმა: მორჩა, მე ის დავკარგე, როგორც მამა. არა...არა...ის ცოცხალია, მე მას მოვძებნი, მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს ამისათვის, მაინც მოვძებნი, ღმერთო, დამეხმარე!

გზაში მიმავალი მანქანა გავაჩერე და ვთხოვე, ქალაქში წავეყვანე. ასე თხოვნა—თხოვით თბილისში ჩავედი. იქ გავარკვიე, რომ დაკარგულთა სიაში ვიყავი. შვილდაკარგული დედების თავშეყრის ადგილი მოვძებნე. მივდიოდი და ვნახულობდი, ტანჯული დედების

თვალებიდან როგორ იღვრებოდა დაგუბებული ცრემლები.

სალამო ხანი იყო, მზე ჩადიოდა, სევდა მომანვა გულზე, არ მინდოდა ეს დღეც ჩვეულებრივ უიმედოდ დამთავრებულიყო. უკან მობრუნებას ვაპირებდი, როდესაც ტირილის ხმა მომესმა. ეს ხმა ნაცნობი იყო. ნაბიჯი გადავდგი წინ...ერთი უკან...არა, შეუძლებელია,—გავიფიქრე. ტირილის ხმასთან ერთად გავიგონე:—დათო, დათუნა...ეს ხომ დედაჩემის ხმაა, ხმამალა დავიყვირე დედა! მოვტრიალდი და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი დედაჩემის მკრდზე ჩახუტებული. ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო ჩემი ახალი დღის დასაწყისი.



**მარიამ მაჩაიძე**

147-ე საჯარო სკოლის მეხუთე მესამე კლასის მოსწავლე

**ჩემო ენა ქართული**

ჩემო ენა ქართული  
ენა ამოქარგული,  
ქართველთა სიამაყე,  
ქართველთა სიღიადე.

შენით ხარობს ქვეყანა  
და ამაყობს ყველგანა,  
მინდა მუდამ გადიდონ,  
ფარხმალი არ დაყარო.

აღორძინდი მუდმივად  
ქართველთა სიცოცხლისთვის,  
საქართველოს ღირსება  
ჩემო ენა ქართული.

**საქართველო**

ჩემო ქვეყანა ტანჯულ  
მტრისაგან აოხრებულ,  
ბევრი ნაწილი წაგართვეს  
ქართველი ხალხი აწამეს.

შენ გამო ბევრმა იბრძოლა  
და მოგიყვანა დღემდე,  
გაბრწყინდი და აღორძინდი  
მუდამ იმარჯვე მტერზე.

### საზარულას განცდები

მე ერთი მოხუცი ვაშლის ხე ვარ. დარგვიდან ყოველ წელს ვისხამდი წითელ და და გემრიელ ნაყოფს, მაგრამ ბოლო სამი წელი შევწყვიტე ვაშლის გამოსხამა. დავიღალე და დასვენება გადავწყვიტე. პატრონმა კი ეს არ მაპატიო საცოდავს და მოჭრა დამიპირა. მე ვიდექი იმ ოჯახის ეზოში სადაც პატარა ბიჭი და ბებია ცხოვრობენ. სწორედ მოხუცმა დაავალა შეიღობვილს ჩემი მოჭრა. ბიჭმა ეს ვერ გამიბედა და დაიყვირა: ამ ერთ წელსაც დავაცდი და მერე მოვჭრიო. მე ამ სიტყვების შემეშინდა. ვიფიქრე, რომ სიცოცხლეს გამომასალმებდნენ, ველარ შევძლებდი სხვა ხეებივით ავყვავებულყავი გაზაფხულზე და ხალხის აღფრთოვანება გამომეწვია საკუთარი სილამაზით. ნაყოფსაც ველარ მოვისხამდი. მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი სიცოცხლის ბოლო. არ მინდოდა ეს მომხდარიყო, ძირში ნავეჭერი. ვხვდებოდი, რომ ჩემი ტოტები შეშად იქცეოდა, გახურებულ ლუმელში დაიწვებოდა და ფერფლი გახდებოდა. არც არაფერი დამიშავებია. ვისხამდი ნაყოფს და ვიდექი წყნარად. იმისთვის არ ღირს ჩემი სიკვდილი, რომ ვაშლი სამი წლის განმალბობაში არ მოვისხი. ნუთუ ასეთი სასტიკია ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი. უნდა ხვდებოდეს, რომ მეც მაქვს სიცოცხლის სურვილი და არ მინდა სიკვდილი. ჯერ არ ველოდი აღსასრულს. ვაპირებდი, ისევ ლაღად გამეგრძელებინა ცხოვრება, მაგრამ ვინ მაცალა. განა არ მინდოდა კვლავ გამომელო ნაყოფი და ჩემი ტოტები წითელი ვაშლებით დამეხუნძლა, მაგრამ ეს ველარ მოხდება. მომავალ წელს ამ ეზოში მხოლოდ ჩემი კუნძი დარჩება. ნეტავ მომცემდეს ღმერთი იმის ძალას, რომ ისევ ავყვავდე. შეშინებული მთელი ტანით ვკანკალებ და ვთრთი.



ეკა კაკაჩია

7 წლისა ვიყავი, როცა სვანთის მთები ფეხით გამოვლახე. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი იმ ტრაგედიის მიზეზს, რის გამოც მოგვინია ხუთი დღე და ღამე ფეხით სიარული. დედასთან ერთად მოვდიოდით და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როდის ექნებოდა ამ ტანჯვას ბოლო. უზარმაზარ მთებშიც კი ჰაერი მძიმე და დახუთული იყო. სუნთქვა გამიჭირდა, ირგვლივ ტირილისა და მოთქმის გარდა არაფერი ისმოდა. დედასთან ერთად მივყვებოდი ამ ნაკადს და ვწუნუნებდი. დედაც ტიროდა, მაგრამ მე მისი ცრემლები კიდევ უფრო მაღიზიანებდა. ამ ყველაფრისაგან თავის დაღწევა მინდოდა. არ მინდოდა ფეხით სიარული. მამასთან მინდოდა, მას ხომ ყოველთვის მანქანით დავყავდი, ჩემს მამიკოსთან მინდოდა, რომელიც იქ მომიკლეს, საიდანაც მოვ-

დიოდით. აუტანელი მგზავრობის, სიცივისა და შიმშილის გამო ტყეში მივიმალე, გავყვევი ბილიკებს და ერთ უზარმაზარ სახლს მივადექი, თავშესაფარი ვთხოვე, უმალ მიმიღეს, რადგან ჩვენი გასჭირი მაშინ ყველამ იცოდა. ჩამაცვეს, მაჭამეს არაფერი დამაკლეს. სიმშვიდე და სიწყნარე ვიგრძენი. მაშინ არ მიფიქრია დედაჩემზე, რა დარდი და წუხილი ჰქონდა მას. ვერ წარმომედგინა ჩემი ხალისიანი დედიკო რა ტანჯვას განიცდიდა ამ მოულოდნელი უბედურების შემდეგ. დარდს ახალი დარდი დაემატა, დარჩა განმარტოებით. მისი ერთადერთი ნუგეში ხომ მე ვიყავი.

მაშინ ყველას დაკარგული ვეგონე და იმ ოჯახში, სადაც ვცხოვრობდი, ყველანი თბილად მექცეოდნენ, მაგრამ მე ჩემი დედიკო მენატრებოდა, მასთან ყოფნა მინდოდა, დრო გადიოდა და საშინელი სინდისის ქენჯნა მეუფლებოდა. ჩემში ყველაფერი აირდაირია, ციებ-ცხელებით შეპყრობილი ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი იქაურობისათვის.

ერთ დღეს, როდესაც უკვე 15 წლისა ვიყავი, იმ სახლიდანაც ისე წამოვედი, როგორც დედაჩემისაგან. წამოვედი, უკან არ მომიხედავს. მივრბოდი და ვყვიროდი:—დედა! დედა! უცებ გამიელვა აზრმა: მორჩა, მე ის დავკარგე, როგორც მამა. არა...არა...ის ცოცხალია, მე მას მოვძებნი, მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს ამისათვის, მაინც მოვძებნი, ღმერთო, დამეხმარე!

გზაში მიმავალი მანქანა გავაჩერე და ვთხოვე, ქალაქში წავეყვანე. ასე თხოვნა—თხოვით თბილისში ჩავედი. იქ გავარკვიე, რომ დაკარგულთა სიაში ვიყავი. შვილ-დაკარგული დედების თავშეყრის ადგილი მოვძებნე. მივდიოდი და ვნახულობდი, ტანჯული დედების თვალებიდან როგორ იღვრებოდა დაგუბებული ცრემლები.

სალამო ხანი იყო, მზე ჩადიოდა, სევდა მომანვა გულზე, არ მინდოდა ეს დღეც ჩვეულებრივ უიმედოდ დამთავრებულიყო. უკან მობრუნებას ვაპირებდი, როდესაც ტირილის ხმა მომესმა. ეს ხმა ნაცნობი იყო. ნაბიჯი გადავდგი წინ...ერთი უკან...არა, შეუძლებელია, — გავიფიქრე. ტირილის ხმასთან ერთად გავიგონე:—დათო, დათუნა...ეს ხომ დედაჩემის ხმაა, ხმამალლა დავიყვირე დედა! მოვტრიალდი და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი დედაჩემის მკრდზე ჩახუტებული. ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო ჩემი ახალი დღის დასაწყისი.

### ქართული ენა

მე ქართველი ვარ პატარა,  
პირველი მიყვარს დედა  
და დედის მერე ჩემთვის,  
მეორე არის ენა.

შენ გიმღეროდნენ პოეტნი  
და ლექსს გინერდა ყველა,  
ო, ენავ ჩემო, უტკბესო,  
უძვირფასესო ენავ.

შენ ხარ სიმღირო ჩენი,  
შენით ამაყოფს ერი,  
ჭირში თუ ლხინში მუდამ  
ვერა დაგაკლოს მტერმა.

ღმერთისგან დალოცვილო,  
ღმერთისგან კურთხეულო,  
ჩვენო სინმინდე, ჩვენო,  
ღირსებავ ენავ ჩვენო.



### ნატა გელაშვილი

147-ე საჯარო სკოლა

#### დედაშვილობა

დედას ხუთი შვილი ჰყავდა. დიდი წვალეებითა და შრომით გაზარდა, განათლება მისცა და დააფრთიანა. შვილები დაოჯახდნენ. ახლა ისენი გახდნენ მშობლები. გადიოდა ბედნიერი წლები. დედა ბერდებოდა და თანდათან დაუძღურდა. საბრალოს თვალთ სინათლე ისე დააკლდა, რომ სულ შინ იყო და გარეთ ვეღარ გამოდიოდა.


გაიგეს დედის გასაჭირი შვილებმა და ყველანი მშობლის სახლში შეგროვდნენ. დაიწყეს ბჭობა თუ როგორ დახმარებოდნენ დედას. ერთმა მოიფიქრა, რომ ქონება გაეყიდათ და ამ ფულით ემკურნალათ დედისთვის. ყველაზე პატარამ თქვა:– რომ შემეძლოს დედას ჩემს მხედველობას მივცემდიო.

დედა კუთხეში მიმჯდარიყო, უსინათლო თვალებიდან ცრემლი სდიოდა. „გენაცვალოთ დედა, უფალმა თქვენც გაგრძნობინათ დედაშვილობის ძალა“! ფიქრობდა გულში მუხუცი დედა და გახარებული უფრო მეტად იმიტომ იყო, რომ შვილებმა იგრძნეს პასუხისმგებლობა მშობლის მიმართ და დედისგან ნასწავლი სითფო დააფრქვიეს ირგვლივ.

#### ქართული ენა

იათა სევდა,  
იადონთ სტვენა,  
ხმატკბილი ენა,  
ასეთი არის ქართული ენა.

ღმერთების ენავ,  
წინაპართ ენავ,  
კურთხეულ იყავ,  
ქართულო ენავ.



### გვანცა ბურჯალიანი

ქ.თბილისის 147-ე საჯარო სკოლის  
მე-9 კლასის მოსწავლე

უცებ გავიდა თხუთმეტი წელი,  
ხანდახან აღარ გათენდეს მინდა,  
ამ ცხოვრებისგან რალაცას ველი,  
აღარ ვარ ისევ ბავშვივით წმინდა

ყველას ჰგონია-ვარ მხიარული,  
მუდამ ლალი და სხვისი გამრთობი.  
მაგრამ,ეს ასე სულაც არ არის,  
ხანდახან მეც ვარ მშვიდი,დამთმობი

ჩუმად,ძილისწინ მეც ბევრს ვოცნებობ,  
არარსებული ამიხდეს მინდა,  
არ მყოფნის რწმენა მონანიების,  
მე ჯერ ცხოვრების ვერ ვპოვე წმინდა,

უცებ გაფრინდა ეს ჩემი მუზაც,  
და აღარ დამრჩა სიტყვები თავში,  
და ბოლოს მინდა,მე ღმერთს შევთხოვო,  
რომ ვიყო ისევ ის წმინდა ბავშვი.

#### დედა

ჩემი პირველი სიტყვა,  
ჩემი პირველი გრძნობა,  
მე მიყვარს ჩემი დედა,  
მისი ჩემდამი ნდობა...

მე ჩემს პატარა ნაბიჯებს,  
ვდგამდი დედასთან ერთად,  
ის არის ჩემი მრჩეველი,  
მან მიმიყვანა ღმერთთან...


ახლაც,როცა მე უკვე დიდი ვარ,  
ისევ ვარ მისი პატარა გოგო,  
დედა!შენა ხარ ჩემი სიცოცხლე  
შენ არ დამტოვო,ამას გთხოვ,ოლონდ...!

#### რატომ ?

რატომ დავიწყე ლექსების წერა?  
რატომ დაფრინავს ეს ჩემი მუზა?  
რატომ სჭირდება გაჩერებულ გემს  
ზღვაში ჩასული ვეება ღუზა?

რატომ დაფრენენ ჩიტები ცაში?  
რატომ უკბინა სანყალ კაცს ბუზმა?  
რატომ ახარებს არტისტებს ტაში?  
რატომ უმტყუნა უიღბლოს ტუზმა?

რატომ მოიკლა ტაბიძემ თავი?  
რატომ დატანჯა ბოროტი კუზმა?  
რატომ აღარ აქვს ამ სიტყვას რითმა?  
რატომ მიმყუნა ამჯერად მუზამ?



**ტყეშელაშვილი თამარი**

ქ. თბილისის 147-ე საჯარო სკოლის  
V3 კლასის მოსწავლე

**ო, ენავ ჩემო!**

ო, ენავ ჩემო,  
ო, ჩემო გულო,  
რა გავაკეთო,  
რომ შენ იხარო  
არა არ დავთმობ  
შენსა დიდებას,  
შენს სიძლიერეს  
და შენს გულსთქმას.  
მიყვარხარ სულით და  
ვგრძნობ შენს ტკივილს,  
მარად გვინათე, როგორც  
მზის სხივი.  
გადაარჩინე ჩვენი მამული!

**მუხა**

დიდი ხანია ერთ განაპირა ადგილას ვდგავარ. მე მომსწრე ვარ საქართველოს ბედნიერებისა თუ უბედურების. მიუხედავად ასაკისა, მხნედ ვდგავარ და დიდი სურვილი მაქვს, დიდხანს ვიცოცხლო, რომ დავტკბე ჩემი ქვეყნისა და ბუნების მშვენიერებით. მხოლოდ ტყისმჭრელის მოახლოებისას ვთრთი და ვკანკალებ.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ და გამიხსენებია წარსული, მიტირია ანმყოზე და შემშინებია მომავლისა. ჩემ წინ არაერთ ქართველს დაუღვრია სისხლი, რომლითაც მრავალი ხე შეღებილა, მაგრამ ცრემლიც უმაღვე გამქრობია, როდესაც საქართველო გაბრწყინებულა დავითისა და თამარის ოქროს ხანაში. ამაყი ვყოფილვარ სამასი არაგველის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძისა და სხვათა გმირი ქართველების თავდადებით, ქართველ დედათა სულისკვეთებით.

ახლა კი... წელში მოვიხარე და გავჭაღარავდი. ფიქრებში ჩავიძირე, ძილიც მესიამოვნა. უეცრად ხმაური მომესმა და რას ვხედავ! ჩემ ირგვლივ მრავალი ბავშვი დავინახე, მათ შუაში კი უფროსი ადამიანი. ისინი დიდხანს საუბრობდნენ ჩემსა და საქართველოს კავშირზე, ბავშვები სულგანაბულნი უსმენდნენ მასწავლებელს. მე, წელში მოხრილმა, თითოეული ბავშვის თვალში სამშობლოს უსაზრვრო სიყვარული დავინახე და ძალიან გავიხარე. იმედი მომეცა. ეს ხომ ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც საქართველოს გადაარჩენდნენ, გააძლიერებდნენ და ერთ მუშტად შეკრავდნენ.

მადლობა უფალს ამის დანახებისთვის! მე წელში გასწორება აღარ გამჭირვებია, ერთიანად გავიმართე, ავშრიალდი, მაგრამ რა ავშრიალდი. ტანში სასიამოვნო ყრუანტელმა დამიარა და მომავლის აღარ შემშინებია.



**ნინი ჩალაძე**

ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა

**როგორც “მგზავრის წერილები”**

როგორც იქნა, გაისმა სასტვენის ხმა. ნახევრად გაუთოებულ თეთრ მაისურთანმა ქალბატონმა შემოაბიჯა ვაგონში და ბილეთების წარდგენა მოგვთხოვა. მეორე კლასის ვაგონის კუთხეში ვიჯექი და მოუთმენლად ველოდი გამგზავრებას. დალილო-ბისგან მძიმე წამწამები თვალს პროფესიონალი მოჭიდავესავით ეჭიდავებოდა. დაბალქუსლიანი, ნითელი ფეხსაცმელი თანდათან მიახლოვდებოდა, მისი ბათუმის მზეს დანაფებული ფეხი შევლივით ნახად მოაბიჯებდა მტვრიან ვაგონზე... საოცარი, მშვიერი და გაუმაძღარი თვალებით შემომხედა და ბილეთი დამცინავი ტონით მომთხოვა. ალბათ ეგონა, რადგან აცაბაცად მქონდა წვერი აჭრილი, ქურდი ვიყავი ან ბაცაცა, უბრალო ხულიგანი. თუმცა, ჩემი წვერი მგონი რომ უფრო შესაცოდია, ვიდრე ეჭვის დამბადებელი. რა იცით, მარტოობაში დამხჩვალ კაცს ხან რა დასჭირდება, ხან რა...

ხმა მეორე. სასტვენმა იკივლა თუ არა, თითქოს ჩემს ვნებებში ჩაძირული, ბათუმის მზეს დანაფებული ფეხები უკან გაბრუნდნენ და ნითლად, ნაზი კაკუნით მიალწიეს ვაგონის კარამდე. ჩემ წინსკამები ცარიელი იყო, ვგრძნობდი, ისევ მარტო უნდა გამგზავრა და მომიწევდა „ჩემთავალმატებულებასთან“ უსასრულო ლაპარაკის გაბმა.

ავდექი... სარკმელს საფეთქელი მივადე. რატომ მესიამოვნა ასე არ ვიცი, მაგრამ დიდი ხანი დავყავი იქ.. ვუყურებდი დამონებულ ხეებს, რომლებიც სიმაღლისდა მიხედვით ჩამწკრივებულიყვნენ და ხე-ხუცესის ბრძანებებს ტოტმეუხრელად, ფოთოლჩამოუცვენრად ემორჩილებოდნენ. გაფრენილი ვიყავი, იმ ბედურამ ამაფრინა, რომელიც საგზაო ნიშნის ქვეშ დახტუნაობდა და ერთი ნამცეცის ალების თავიც არ ჰქონდა.

ვაგონი უცბად მოიცვა ა, ე, ი, ო, უ-მ, ჩემი კისერი უმიზნოდ გაეკიდა ხმოვნებს და დანახა სამი ანელ-დანელილი, ამოკლ-ჩამოკლებული, ჩამავ-ჩაქერებული გოგონა, რომელთა ბათუმის მზეს დახამებული ფეხები მე მიახლოვდებოდნენ. დავენარცხე ვითომ რბილ სკამზე და წვერში ჩავმალე ყოლოსფერი დამსკდარი ტუჩები...

ხმოვნები თანდათან მიახლოვდებოდნენ... და, აი, მოყვა ა, ე, ი, ო, უ-ს გამარჯობა და სამივე ფეხით აყრილი, ჩამავექერებული გოგონა დაეშვა ჩემს წინ მდებარე რბილ სკამზე....

აი, ახლა დაიწყო მგზავრობა.. ჩემი ამბორს მონდომებული ტუჩები გველგესლებივით იმალებოდნენ აცა-

ბაცად აჭრილ წვერში.სიტყვებს ვერ ვალაგებდი. თანხ-  
მოვანთა ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა ჩემს  
თავში...და უცბად ვთქვი "ი" -ბატონო?რომელიღაცა  
ჩაშავქერებული ცდილობდა გაეგო "ი"-ს წარმოთქმის  
მიზეზი. ხმოვანს ფეხებდარუჯული გოგოების სიცილი  
მოჰყვა...

ქარაფშუტობა დაგვეჩემებია...ვცდილობდი კონ-  
ტაქტში შესვლასმარტო იმიტომ,რომ რამით გამერ-  
თო თავი..პირველი შეკითხვა საცხოვრებელი ად-  
გილი იყო.არ ვიცი,ჩემი შეკითხვა რატომ აღმოჩნდა  
ასეთი გაცეცხლებული,მაგრამ ფაქტია,ყავისფერი  
ტყავის ჩანთიდან ამოღებულ სიგარეტს ცეცხ-  
ლიც კი წაუკიდა და ბოლიც კი გამოაშვებინა..  
პირველი,რაც გავიფიქრე,ის იყო,ვიჯექი თუ არა არ-  
ამწვევლების ვაგონში,მაგრამ ჩემი ფიქრი მეორე  
ჩაშავქერებულმა,მარჯვენა ფეხის მარცხენაზე გა-  
დადებით გაფანტა...

მატარებელში ბნელოდა,თუმცა ეს არც მთავრო-  
ბის და არც მატარებლის არაკეთილმოწყობის ბრა-  
ლი გახლდათ,უბრალოდ გვირაბს საგულდაგულოდ  
მიეკრა იგი მკერდზე და თითქოს გაშვებას არ აპირ-  
ებდა..სიბნელე მანყნარებდა და არ მაძლევდა ჩაშა-  
ვექერებულებისკენ გახედვის უფლებას..ეს ნეტარება  
კი დიდხანს არ გაგრძელდა...მათი ყბა წამში სამია-  
თას ბრუნს აკეთებდა და ირონიულ ღიმილს აწებებდა  
ჩემს სახეზე...გაძლება შეუძლებელი იყო..მგზავრობა  
"სივრცეთში" საკმაოდ მენელებოდა..თავცარიელო-  
ბის ბოლი კი თავბრუს მახვევდა და მალენჩებდა.ეს  
კი ჩემთვის ყველაფერზე უარესი იყო..

უკანა რიგებიდან დაჟანგებული ტყავის ქურთუკე-  
ბის სუნი მცემდა და შავი სათვალისაგან არეკლილი

სხივიჩაშავქერებულებს თმაზე ეცემოდა...ჩანდა,არც  
თუ ისე ზრდილი ხალხი მეჯდა უკან(ჩემ სავარძელს  
რალაც ძალა ზანტად აწვებოდა) არაფრის თქმა არ  
მინდოდა- არ მიყვარს კონფლიქტი,თუმცა, იმ წუთებ-  
ში თითქოს ლაჩრობა შემომხვეოდა ნელზე.რისი  
მეშინოდა? ვიღაცა ტყავის ქურთუკიანს არ დაერტყა  
ჩემთვის ხელი და ისედაც ალენილი წვერი უფრო არ  
აელენა ? თუ,იმის მეშინოდა,რომ სიტყვაში მომი-  
გებდნენ და ჩემს ენაწყლიან ენას დაამატრახებდნენ.  
არ ვიცი,რეალობა ისაა,რომ ჩანურული ვზივარ ვაგო-  
ნის კუთხეში...

გარუჯულ ფეხებს ნისლად ედო სიგარის  
ბოლი,ნითელი მალბორო თანდათან იცლებოდა...  
მათი სახე ისევ ისეთივე უმოძრაო იყო,მხოლოდ ყბა  
მოქმედებდა მარცხნიდან მარჯვნივან მარჯვნიდან  
მარცხნივ..


ჩემი იასამანი მენატრებოდა..ჩემი ენძელას ფეხე-  
ბა იასამანი,რომლის შავი კაბის ბოლო,თითქმის ეხ-  
ახუნებოდა ყვითელჟილეტიანი კაცების დაგებულ  
ასფალტს.ჩემი უმანკო...უფრო და უფრო მიყვარ-  
დებოდა , ბათუმის მზეს დახამებულ ფეხებს რომ  
ვუყურებდი...მონატრება მკლავდა,მაგრამ არ მანყ-  
ობდა..მონატრება ისჯება "სივრცეთში" თავისუ-  
ფლების აღკვეთით,თუმცა მე მოსიარულე პატიმარი  
ვიყავი,პატიმარი, რომელსაც თავისი ხელით დაქონდა  
საკანი...

მგზავრობა უსასრულო იყო..."სივრცეთი" არ  
არსებობდა,ჩემი მოგონილია,ჩემი დანერილია,აი ეს  
ატოტილნი ჩემ ვაგონში საიდან გაჩნდნენ არ ვიცი..  
ალბათ უადგილო ადგილას ამიკანკალდა კალამი...



## გახსენებ

## ირაკლი ანდრიაძე



ბატონო ირაკლი, შენ განვლილ გზას სიკეთისა და ნიჭიერების კვალი ატყვია. რომელსაც დრო ვერ წაშლის. მაღლით მოსლ ღვანლს დიდი სულიერი ამაღლებით ეხმიანება მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატრიო მოქალაქე, ეროვნული პრემიის ლაურეატი – *ემირ ბურჯანაძე*

## დედაქალაქის პირველი მერი

ირაკლი ანდრიაძე თავის საქმეზე შეყვარებული, პროფესიონალი და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანი, ორგანიზატორი და სამეურნეო მოღვაწე. მის სახელთან დაკავშირებულია დიდი მასშტაბის კომპლექსების, ულამაზესი შენობა-ნაგებობების, ძეგლების, ხეივნების, სვერების, მინისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობები, ეს ყველაფერი გაოცებას იწვევს.


მასთან დაახლოება დედაქალაქის სიმბოლოზე მუშაობის პროცესს დაემთხვა. 1989 წელს მთავრობის სასახლის სხდომათა დარბაზში დამტკიცდა თბილისის სიმბოლო, დროშა და სიმბოლური გასაღები, რომელსაც მოჰყვა თბილისობის სიმბოლო და თბილისის საპატრიო მოქალაქის ნიშანი. დედაქალაქის ატრიბუტიკის სრული პაკეტის შემქნას დიდი დრო მოვანდომე. ამ დროს ყოველთვის ვგრძნობდი ბატონი ირაკლის ყურადღებას და მზრუნველობას. ასეთ საინტერესო ადამიანთან ურთიერთობა სტიმულს მაძლევდა და იზადებოდა დედაქალაქში შემოსასვლელის და მხატვრულ-არქიტექტურულ მცირე ფორმათა არსებობის აუცილებლობა.

ირაკლი ანდრიაძის თავკაცობის ჟამს მიენიჭა ჩვენს დედაქალაქს „მშვიდობის დესპანის“ საპატრიო ტიტული. ირაკლი ანდრიაძე თბილისის პირველი მერი.

დღეს უკვე ერთი წელი გავიდა რაც ბატონი ირაკლი ჩვენს გვერდით აღარ არის. მჯერა, რომ მისი კეთილი სული ცათა სასუფეველიდან ილოცება. მე კი ლექსის სტრიქონებში ჩავაქსოვ იმ დიდი მოღვაწის მოგონებას, რომელსაც დიდი ირაკლის მოგონება ჰქვია.

- ი – ცის უფალმა, რაც შეჰქმენი, რაც გააკეთე,
- რ – იხით სიტყვებშიც ლაგამს იწყვეტს მოსაგონებლად...
- ა – ცილდა ზეცას, შენ დაგეძებს, რითმებს აფეთებს,
- კ – აი ყმის სულის სადიადოდ, საგოგმანებლად.
- ლ – ურჯ ზეცასავით დიდი არის უკვდავება და,
- ი – ქ სასულეთში სადღეგრძელო შენზედ ითქმება...
- ა – საფრენ ფიქრთან ალბათ, ქარიც არ გაანჩხლდება,
- ნ – იმნად კედლებში სიხარული ჩამოიქნება.
- დ – არდმა ზღვის იქით ძალიან შორს გადააბიჯა,
- რ – იურაჟის დილას ღვთის სამება მაღლს ფენს ფერებით.
- ი – ქ მისულები, ურწუნონიც, ბევრი დადინჯდა,
- ა – სეა, ასე, ხატებს კრძალვით მივეფერებით.
- ძ – ინ! - ძინ! გაისმის ეკლესიის სამრეკლოდან და...
- ე – რს ასალბუნებს, უწმინდესის ბრძნული სიტყვები.
- ს – ამარადუამოდ სულიწმინდის რწმენის კალოდან ჩვენ მინიერნი, სამების კვალს ლოცვით მივყვებით.

## გულნაზ ცისკარელი



### ნიკოლოზ მელიქიძე

სიკეთის დათესილი წლები მიიღია, გაიცრიცა და ცრემლებად დაიღვარა. ნიკოლოზ-ივანეს-ძე მელიქიძემ პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. მაშინ როდესაც სამი კლასის განათლებით სკოლაში პედაგოგებად მუშაობდნენ, იგი პედაგოგიც იყო და დირექტორიც. მან სხვადასხვა თანამდებობებზე იმუშავა წლების განმავლობაში.

მისი სული ახლა ცათა სასუფეველშია, დატოვა ოთხი შვილი, ოთხივე უმალლესი განათლებით და რვა შვილიშვილი, რომლებიც გააგრძელებენ, მის ზეალმატებულ ცხოვრების გზას.

ჩემი თვალთ ვნახე, ამ დიდი ადამიანის უკანასკნელი გამოთხოვების ცრემლიანი დღე. დღე ამაღლებულიც იყო, რადგან სოფელში მცხოვრებნი, რაიონიდან თუ ქალაქებიდან ჩამოსულები, ახასიათებდნენ დადებით პიროვნებად. ხევისბერ გოჩასავით საქმის მომგვარებელ-ბრძენ ადამიანად ნათლავდნენ ბატონ ნიკოლოზს.

არ შეიძლება ცრემლიანი თვალთ არ შეგეხება თმახუჭუჭა შვილთაშვილისათვის, სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ახალგაზრდასათვის, რომელიც დატიროდა ბაბუას.

ერთი რძალი თუ სიტყვით შეთხოვდა კიდევ დამარიგე რამეო, ლიანა მალრაძე. მეორე რძალი დედამთილს ეფერებოდა და მოვლა პატრონობას პირდებოდა. ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი, და ფაზისის საერო აკადემიის წევრი, სიფაქიზით უსწრებდა სევდიან თავშალს და გულში დედის ადგილს უთმობდა დედამთილს.

ღრმა პატივისცემით:

**ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი და ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია.**

წერეთლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები, ხელოვნების აკადემიის თანამშრომლები, სტუდენტები, თვალთ დაგეძებენ, სოხუმიდან ლტოლვილ ტარიელ ხარაიშვილს, სად წავიდა ეს ლომივით ბიჭიო, კითხულობდნენ გაკვირვებით. პასუხი მთელი თვის გამავლობაში იდუმალებაში იყო დამალული.

მერე თანდათან გამოიკვეთა შენი არყოფნის მიზეზი. უფალმა იხმოვო, იქ სამარადისო დღეები გააგრძელებინაო ტარიელს.

იკითხავ მამი, მე რადღეში ჩავარდი ალბათ... მსხვილი, შენნაირი ბომბორა კურცხალი გადმოგორდა თვალებიდან, იარა ცრემლმა ნაკადულად, მქონდა ცრემლის მიზეზი. წინ რომ შემხვდებოდი, მამი როგორ ხარ, ხომ არაფერში დაგეხმაროო, არათქო გეტყოდით ხოლმე ჩემო ბიჭებო, და თვალს შენი ძმისკენ გავაპარებდი, გულს მიძიძენიდა, სოხუმის ომში დაკარგული შენი ძმის ფეხი.

ახლა მამი, შენს ძმას ბომბორა ტარიელი გამოეცალე და დატოვე... მშობლები ცრემლთან და დარდთან.

თავს იმით ვინუგეშებ, რომ შენნაირი კეთილის და ალალის, სამოთხის კარი ღია დამხვდებოდა.

შენი სული იქნებ ზღვასთან დაფრინავს ხშირად, ნახულობს სახლს და საფლავებსაც უვლის მალი-მალ.

შენი ძმის ფეხი სოხუმის ომს შეენირა და... როგორ ტკივიხართ თქვენი სისხლის პოეტ მამიდას.

გულნაზ ცისკარელი.

### ტარიელ ხარაიშვილი





## ზურა მამულაშვილი



**შენს თავს გაუფრთხილდი დედა!....**  
(ლექსს საჩუქრად ვუძღვნი ქალბატონ ჟენია მამულაშვილს)

ზ – არი თუ ჩამოვკარ ჩემი.....  
უ – ნდა ჩამითვალო – ბედად!  
რ – აღად მომტირიხარ დღემდი.....  
ა – ლარ დამიტირო..... დედა!

მ – ენდე..... დამიჯერო უნდა.....  
ა – რ მსურს ჩაიღვენთო – ცრემლად,  
მ – ე ვერ გაგიფრთხილდი, მიტომ,  
უ – ნდა გამებუტო..... – დედა!

ლ – ანდად რომ მიდგახარ კვალში,  
ა – მდენს ამიტომა ვბედავ,  
შ – ენ იცი, ვარსებობ ცაში.....  
ვ – აი რაღად გვინდა დედა!

ი – სე გაუძელი ტკივილს,  
ლ – ოყა ნუ აქციე ცრემლად.....  
ი – სევ ჩემთან ნუ ხარ ფიქრით.....  
შენ თავს გაუფრთხილდი დედა!....

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

## ნათელა ჭახნაკია

ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

მადლიერების გრძნობით,

ადამიანის ჯანმრთელობა ყველაფერზე წინ დგას ამქვეყნად, მით უფრო ხანდაზმულობის ასაკში. რამდენად დიდია მადლიერების გრძნობა, როცა გამოჩნდება ადამიანი, რომელიც გიშველის, ტკივილებს დაგიაშვებს და ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებს. სწორედ ასეთი მშველელი აღმოჩნდა ჩემთვის ექიმი მანანა ლირდალაძე.

უკვე 2-3 წელია ამ ექიმის მკურნალობის წყალობით მოვიკეთე და ახლაც მისი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფები.

ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი. სასწაფოს ექიმმა სისხლში გემოგლობინის მკვეთრი დაცემა დამიდგინა. მირჩიეს, მანანა ექიმისთვის მიმემართა. მან მკურნალობის კურსი დამინიშნა, რის შედეგადაც მალე გამოვმჯობინდი. სიტყმატური მკურნალობით კი გებოგლობინი ნორმამდე გაიზარდა. რამდენიმე ხნით შევისვენე ნამლებს მიღებისგან და ანალიზმა კვლავ გებოგლობინის დაწევა აჩვენა. ისევ ჩემს მწყალობელ ექიმს მივმართე. მან კვლავ განაგრძო ჩემი მკურნალობა და იმედი მაქვს, მის მიერ დანიშნული კურსი ამჯერადაც ეფექტური იქნება.

ფეხის ტრავმის გამო მე მასთან პირადად შეხვედრას ვერ ვახერხებ, ჩემს ვაჟს მაიქვს ანალიზის შედეგები. ჩვენს შორის ურთიერთობა ძირითადად ტელეფონის საშუალებით ხდება. არ შემიძია, არ გამოვხატო უღრმესი მადლიერება ამ კეთილშობილი ქალბატონის მიმართ, რომელიც უანგაროდ მეხმარება, ყურადღებითა და მოთმინებით ისმენს ჩემს ჩივილებს, მანუგეშებს და ყველანაირად გვერდში მიდგას. შეიძლება ითქვას მისით ვსულდგმულობ.

ის არ გახლავთ ჩვეულებრივი ექიმი. უაღრესად ხანგრძლივი გამოცდილების პროფესიონალია. მასთან მუდმივად პაციენტების რიგია. 40 წელია მუშაობს კლინიკაში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც თანამშრომლებში ასევე პაციენტებში. მთავარი მაინც ისაა, რომ მაღალი სულის ადამიანია და თავის ცოდნასა და ენერგიას უშურველად უნილადებებს ყველა შეჭირვებულს.

მინდა ჩემი პატივისცემა და მადლიერება მისდამი, როგორც კარგი ექიმისა და დიდსულოვანი ადამიანისადმი ამ ორიოდ სიტყვით გამოვხატო.

გმადლობთ ყველაფრისათვის, მანანა ექიმო!

### ტარიელ მუმლაძე

### გულნაზი ხარაიშვილს

ათასობით ლექსის ავტორს, პოეზიის დიდოსტატს,  
შენი ლექსის ფერიები ჰარმონიას გიმოსავს.  
დაგილოცავ ღვთიურ ენას, დაგილოცავ მირონსაც,  
შენი წიგნით გავიხარე, წარმატებას გილოცავ.  
დაგელაშქროს ასი კარი, არ შეეხო ბოლო კარს,  
კიდევ დიდხანს გემოღვანოს საუკუნის ბოზოქარს.  
შენს ლექსებში ვიკარგები, რომელს მივეთილისმო,  
ლექსთა ჰანგი ისე დაჰქრის, როგორც სიო დილისო.  
შენს ყველა ლექსს ღვთიურძალის ერთვის სხივი ნათელი,  
ჩვენს მომავალს იმედსა ჰფენს შენი ლექსის სანთელი.  
შენი კალმის სიდიადე იკურთხება განგებით,  
პოეზიის ფართო გზა გაქვს, აწეული თაღებით.  
სჩანს შენს გზაზე შენი ნიჭი სხივანთებულ გზებს ფენდა.  
და კიდევაც ამ ლექსებით ქალი იქეც ლეგენდად.



**ვულოცავ იზა დათუნაშვილს დაბადების დღეს**

იზა დათუნაშვილი 83 წლის ხდება 1 ივლისს. უდიდესი სურვილი მაქვს, რომ მან იცოცხლოს კიდევ იმდენი წელი, რამდენიც გავლილი აქვს. მან სამი შვილი და ხუთი შვილი აღზარდა. ის არის ოჯახის ერთგული, უსაყვარლესი ადამიანი, რომლის ამაგს დაფასება უნდა. მე ტარიელ ხარატიშვილი, ბებიჩემს ვულოცავ დაბადების დღეს. მჯერა, რომ ის მოესწრება ჩემს შილიშვილებს. ის თავისი ასაკის მიუხედავად ახალგაზრდულად გამოიყურება. მოკლედ ბებო, საყვარელო და შეუდარებელო გილოცავ დაბადების დღეს.

ტარიელ ხარატიშვილი



**მანონი ყუბანეიშვილი**

*ჯუმბერ ლეჟავამ და მანონი ყუბანეიშვილმა მსოფლიო ერთად უნდა შემოიარონ*

ხმით წკრიალობ როგორც ზარი,  
 მსმენელს უტკობს გულის არეს  
 რას დაგაკლებს წვიმა, ქარი,  
 დაგპატრონობს ღამის მთვარე,  
 შენ, ჰავაის ბულბული ხარ,  
 ტანწერწეტა, ნაზო ქალო,  
 დიდ მწვერვალზე უკვდავხარ,  
 ეგ, გზა აღარ შეიცვალაო.

გულნაზ ცისკარელი

# წეტაღის ნიგელოზები



ანანო მალაკელიძე



მერაბ ხაჩიძე



ნატალი ხაჩიძე



დავით მალაკელიძე



ქეთათო ბოყოველი



პატარა მანუჩარი (მანუჩარ მაჩაიძის შვილიშვილი)

**სარჩევი**

უფლის საგალობელი.....2  
 გულნაიზი ხარაიშვილი .....3  
 რედაქტორი ..... 4

**მხატვრული განყოფილება**

რევაზ მიშველაძე შარი, ქმარი თორმეტი დღით..... 5-8  
 ნიკა თოდუა წითელი მარგალიტი..... 7-8  
 გვანცა ხარაიშვილი — მე და ჩემი ქუჩის მათხოვარი, წიგნები და თანამედროვე  
 მსოფლიო, დარჩენა ..... 9-11  
 თამარ ჯაჭვაძე — რუსთაველი „ბუხამბაზი“ ..... 11  
 ნინო ტატიაშვილი — ბავშვები და მისი ცნობისმოყვარეობა ..... 12  
 ლალი კახიძე — უძღები შვილის ზღაპარი ..... 13  
 ინტერვიუ გარი ჩაფიძესთან ..... 14-15

**ფფიურები**

ტერენტი გრანელის დღიურებიდან ..... 16  
 რეზო ადამია ..... 17-20  
 ვანიკო ჩერქეზია ..... 20  
 ელენე ფუტკარაძე ..... 21

**წლები**

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) ..... 22-23  
 ტერენტი გრანელი ..... 24  
 კახა ბაციკაძე ..... 25  
 ლია ბეჟანიშვილი — ღვინერთა ..... 26-27  
 ეთერ გვარამაძე .....  
 თარგმანი მაჰყვალა გონაშვილი ..... 28-29  
 ეთერ გვარამაძე ..... 30-31  
 ნუნუკა გურალია ..... 32  
 ზაურ ნოზაძე ..... 33  
 გოგი დგებუაძე ..... 34-35  
 თინათინ სუხიშვილი ..... 36-37  
 ლამზირა შეყილაძე ..... 38-39  
 ლალი კახიძე ..... 40-41  
 ქეთევან ნათელაძე ..... 41  
 ელგუჯა სხირტლაძე ..... 42  
 ანუ უშიკიშვილი ..... 43  
 დავით ტიგინაშვილი ..... 44-45

ლეილა შუბითიძე .....	46-47
მიმოზა ცანავა .....	48-49
კოტე ცინაძე .....	50-51
ბელა ნავდარაშვილი .....	51
ნარგიზ ტატისვილი — მარგველაშვილი .....	52-53
თამარ ჯაჭვაძე .....	54-55
ციურ ხეთერელი .....	56-57
ბეჟან ხარაიშვილი .....	58-59
გულნაზ ხარაიშვილი .....	60-61
ნათელა ხარაიშვილი .....	62

## წოდებები

სერგი ლომაძე .....	63-68
--------------------	-------

## წერილები

ტიტე მოსია .....	69-71
ლუარა სორდია .....	72-75
ჯიბო ჯიმერი .....	75-79
ლიანა ნურნუმია .....	79-81
სერგი ლომაძე .....	81-83
ჯულიეტა ალავიძე .....	83-85
ლალი რატიანი .....	85-88
მანანა კვატაია .....	88-89
ნიკო ხერკელაძე .....	90-92
ჟუჟუნა ნიჟარაძე .....	92-94
ციური ხეთერელი .....	94-96
ნათელა პავლეს ასული ხარაიშვილი .....	96
ჯუმბერ ლეჟავა .....	97-102
გვანჯი მანია .....	102-103

## სოფლის მეყრნეობა

რობიზონ გიგაური .....	104
-----------------------	-----

## მეფიტინი

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი .....	105-109
---------------------------------	---------

## ნოტიჩი ათინათელები

ლუკა შედანია .....	110
შმაგი ხანთაძე .....	110
მიხეილ კობერიძე .....	110

ირაკლი ჯიგანია.....	111
ანი ჩიტაია.....	111
ქეთევან სხირტლაძე.....	112
ნატა პირველი.....	112
ლუკა შედანია.....	112-113
თამარ მოთიაშვილი.....	113
მარიამ ჯიქია.....	113
თამარ თედიაშვილი.....	113-114
ქრისტინე იზორია.....	114
ნათია გვაჯაია (ინგლისურიდან თარგმნა).....	115
ეკატერინე ქადაგიძე თბილისის 161-ე საჯარო სკოლა.....	115-116

### **წმტწმწ უყრწწჯისტები**

ლუკა შედანია ინტერვიუ რეზო მიშველაძესთან.....	117-119
ირაკლი ჯიგანია ინტერვიუ ლუარა სორდიასთან.....	119-124
<i>ლაგოდეხი</i>	
ტარიელ ხარატიშვილი.....	124-126
<i>თბილისის 147-ე საჯარო სკოლა</i>	
გიორგი ქანტურია.....	126-127
თიკო ნულაია.....	128
მარიამ მაჩაიძე.....	128-129
ეკა კაკაჩია.....	129
ნატა გელაშვილი.....	130
გვანცა ბურჯალიანი.....	130
ტყეშელაშვილი თამარი.....	131
<i>რუსთაველი</i>	
ნანი ჩალაძე.....	132

### **გახსენებ**

ირაკლი ანდრიაძე.....	133
ნიკოლოზ მელიქიძე.....	134
ტარიელ ხარაისვილი.....	134
ზურა მამულაშვილი.....	135

### **მიჯოტვ**

ნათელა ქახნაკია.....	136
ტარიელ მუმლაძე.....	136
ტარიელ ხარატიშვილი.....	137

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით [gulnazi5@bk.ru](mailto:gulnazi5@bk.ru)

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;  
0341227287.

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“ მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

გარეკანის მეორე გვერდზე მთავარი ანგელოზი მიქაილი, მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.



**ქურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი**

**პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია**

**რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და**

**ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი – ნუგზარ ნადარაია**

**მხატვრული განყოფილების რედაქტორები:**

**დავით კაპანაძე-პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,**

**სერგი ლომაძე,**

**კახა ბაციკაძე,**

**ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე.**

**საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:**

**ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური**

**ვანო შუმტაკაშვილი –პროფესორი**

**სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ლუარა სორდია – პროფესორი.**

**საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგელავა – აკადემიის ნამდვილი წევრი**

**რედკოლეგიის წევრები:**

**ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური**

**იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური**

**სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი**

**მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის**

**ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.**

**ლამზირა შეყილაძე-პოეტი**

**მანანა დანგაძე-ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან არსებული შემოქმედთა**

**გაერთიანების ხელმძღვანელი**

**თამრიკო ჯაჭვაძე – ფილოლოგი (პოეტი)**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე**

**ქურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების**

**მეცნიერებათა აკადემია, IV სართული.**

**ტელეფონი: 593 65 79 21**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)



## რუსუდან გორდეზიანის მარათონი

მარათონს უძღვებოდა რეკორდების დებულებით მოქმედი მსაჯთა კოლეგია.

წყლის გედი, ასე მონათლეს მაყურებლებმა. საოცარი ელვის ცეკვის ილეთით მისრიალებდა წყალში რუსუდანი. ტალღა ოდნავ ირხეოდა, სმენად გადავიქეცი. ახლოობები და მსაჯები დაძაბული ბრძოლის მონაწილენი გავხდით. საოცარი აღნაგობით დაჯილდოებული 25 წლის რუსუდანი ეპაექრებოდა წყალს, უფრო სწორად, წყალს უყვარდა იგი, თითქოსდა, უფროთხილდებოდა, ან რუსუდანი ეფაქიზებოდა მას.

რუსუდან გორდეზიანი პროფესიით ისტორიკოსი და ქორეოგრაფია, თავისი განათლებიდან გამომდინარე, ასე შეიძლება აიხსნას მარათონი: მან იცოდა წყლის ისტორია და სამაიას ცეკვავდა წყალთან, შემსრულებლები იყვნენ: რუსუდანი, უხილავი ღვთის ძალა და წყალი. სხვანაირად აღქმა არ შემიძლო მე, მის ერთ-ერთ გულშემატკივარს.

როდესაც რუსუდან გორდეზიანი გავიცანი, დაუფიქრებლად გადავწყვიტე, ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან მიმეყვანა. ბატონი ჯუმბერი ხომ ყველასათვის ერთგული, დამრიგებელი და გზის გამკვალავი პიროვნებაა, ალალი, მიზანდასახული, უბოროტო და უკეთილშობილესი.

მარათონი ბატონი ჯუმბერის გადანყვებილებით და ბატონი გვანჯი მანიას ორგანიზატორობით შედგა. მარათონი მეტად საინტერესო და ისტორიულ მოვლენად იქცა მსოფლიოს ქვეყნებისათვის. გამარჯვების მომწესრიგებელ-შემსწავლელი ვახლდათ მისი მწვრთნელი გიორგი აბზიანიძე - საქართველოს მოცურავეთა ახალგაზრდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. რუსუდანი ის ახალგაზრდაა, რომელსაც ძალიან უყვარს ლიტერატურა, თეატრი, კინო და ზღვა.

„მიყვარს ზღვა, ნაპირიდან შორს გასვლა, სადაც არის მხოლოდ სივრცე, წყალი და ცა“, - ამბობს რუსუდანი.

რუსუდან გორდეზიანის მამა, (ექიმი) ბატონი გოდერძი გორდეზიანი, შეიძლება შინაგანად ლელავდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, თავს დასტრიალებდა თავის ულამაზეს „წყლის გედს“. მის გვერდით სიამაყით და თითქოს მასთან ერთად ცურავდა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც 24 საათიანი დამკვირვებლის როლი შეასრულა.

ბატონი გვანჯი მანიაც სიამაყით ფურცლავდა ადრე ჩატარებული მარათონების ისტორიას და პროგნოზირებას უკეთებდა რუსუდანს, რომ იგი გაიმარჯვებდა. და აი, 17 ივნისის დილის 8 საათი. რუსუდანმა ოცდაოთხი საათი წყალში კი არ იცურა, ისრიალა და 47 კილომეტრით მან ყველანაირი რეკორდი მოხსნა მსოფლიოში.

დამკვირვებელ-შემფასებლები იყვნენ: მხატვარი, ზურაბ გაბუნია, მუსიკოსი - ბეგლარ ელბაქიძე; კოკი კობახიძე, ჯუმბერ ლეჟავა, გვანჯი მანია, მისი მეგობარი გოგა და სხვები... სხვადასხვა ორგანიზაციის პიროვნებები და ნათესავები.

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია ულოცავს ამავე აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერს, - რუსუდანის დედას (ანა ხუნაშვილს) ქალიშვილის დიდ გამარჯვებას.**

ཐུག་པོ་

ཐུག་པོ་

